

ISSN—0132—6066

საქართველოს
სსრ მეცნიერებათა
აკადემიის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-9
1982

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

4.1982

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

4.1982

ქრნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

ს ა რ ა მ ი დ ე კ ო ლ ე ბ ი ა : ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე).

პასუხისმგებელი მდივანი ჯ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкრелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глonti

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1982, № 4.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 17.VIII.82; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.XII.82; უფ. 05880;
ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆; შალალი ბეჭდვა; ნაბეჭდი თაბაში 16,8; სააღრიცხვო-
საგამომცემლო თაბაში 14,8; ტირაჟი 1700; შუკვ. 2813; ფასი 1 მან. 20 კაპ.

*
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*
საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან	5
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს	5
ა. ვ. ანდროპოვის სიტყვა	7
სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი	
დ. თევზაძე, ქართული მწერლობა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის დიდ ოჯახში სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავზე	9
მ. ბეჟიტაძე, მოტივთა ბუნებისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში	19
ი. მერკვილაძე, ქართულ-რუსული საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ პერიოდიკაში	32
ნ. მახარაძე, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ მწიგნობრულ-ლიტერატურული წყაროებისათვის	38
ვ. კალანდარიშვილი, ასექტიზმის პრობლემა ილია ქავჭავაძის „განდევილში“	46 ✓
მ. გაბიძაშვილი, ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე. წ. არქეტაქების ურთიერთმიმართებისათვის	61
ქ. ბეზარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის ერთი ჰიმნის ძველი ქართული თარგმანის ინტერპრეტაციისათვის	68
მ. შაყულაშვილი, ერთი ტერმინის გაგებისათვის	80 ✓
დ. გვენცაძე, საგანგებო ჟანრების ტექსტის ლინგვისტური ტიპოლოგია და კლასიფიკაცია	84
პ. ე. ბეილი, ირანული <i>šak, šagna</i> — „საბუთი“ — ქართული „წიგნი“	99 +
მ. როგავა, სახელმძღვანელოს ტექსტის ორგანიზაცია მისი შემადგენელი ნაწილების ბმულობის ხარისხის თვალსაზრისით	102
ნ. კვაშალი, კონტენტ-ანალიზის და მასთან დაკავშირებული ზოგი ლინგვისტური საკითხის მიმოხილვა	117
ს. გუშაშვილი, ა-პრეფიქსის ხმარების ზოგიერთი თავისებურება ჩანჩურ-ინგუშურ ენათა ვინ-კატეგორიის სახელებში	135
ცნობები და შენიშვნები	
ვ. აბრამიშვილი, ვაჟა-ფშაველას თიანური უცნობი პუბლიკაციები	138
ი. ტაბალუა, ესპანელი ავტორი საქართველოში ავგუსტინელ მისიონერთა მოღვაწეობის შესახებ	148
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	
ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სტივენსონისეული თარგმანი	157
მ. მურვიანოვი, სლავისტური მარგინალიები ქართველი ბიზანტოლოგის წიგნზე	168
პროზიკა და ინფორმაცია	
ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში სადოქტორო დისერტაციათა თემების დამტკიცება	179
	186
ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშია	187

СОДЕРЖАНИЕ



От Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР	5
Обращение Центрального Комитета КПСС, Президиума Верховного Совета СССР, Совета Министров СССР к Коммунистической партии, к советскому народу	5
Речь товарища Ю. В. Андропова	7

60-летие образования Союза ССР

Д. Г. Тевзадзе, Грузинская литература в великой семье многонациональной советской литературы (к 60-летию образования Союза ССР)	9
М. Т. Бежитадзе, К природе мотивов в творчестве Важа-Пшавела	19
Ю. Ш. Мерквиладзе, Некоторые вопросы грузинско-русских общественно-культурных взаимоотношений в грузинской периодике второй половины XIX века	32
Н. А. Махарадзе, К вопросу книжно-литературных источников «Мудрости лжи» С.-С. Орбелиани	38
Г. Н. Калаидаришвили, Проблема аскетизма в «Отшельнике» И. Чавчавадзе	46
Е. П. Габидзашвили, О взаимосвязи архетипов житий сирийских сподвижников	61
К. П. Безарашвили, К вопросу об интерпретации древнегрузинского перевода одного гимна Григория Назианзина	68
Г. Н. Шакулашвили, К пониманию одного термина	80
М. А. Гвенцадзе, Лингвистическая типология текста и классификация газетных жанров	84
Х. В. Бейли, Иранское <i>šak, šagna</i> — «документ», грузинское <i>წიგნი</i> — «книга»	99
М. Д. Рогава, Организация текста учебника с точки зрения степени связности составляющих его частей	102
Н. Г. Квашали, Обзор контент-анализа и некоторых связанных с ним лингвистических вопросов	117
С. Э. Гумашвили, Некоторые особенности употребления префикса <i>j</i> в именах, обозначающих женщин в вайнахских языках	135

Сообщения и заметки

В. И. Абрамишвили, О тифлиских неизвестных публикациях Важа-Пшавела	138
И. М. Табагуа, Испанский автор о деятельности миссионеров августинцев в Грузии	148

Критика и библиография

З. К. Гамсахурдия, «Вепхисткаосани» в переводе Стивенсона	157
М. Ф. Мурьянов, Славистические маргиналии к книге грузинского византолога	168

Хроника и информация

В Комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре»	179
Утверждение тем докторских диссертаций	186
Н. С. Джанашиа	187



Կոլոն

17347

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიდან,
სსრ კავშირის მინისტრთა საბაოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს, რომ 1982 წლის 10 ნოემბერს დღის 8 საათსა და 30 წუთზე უეცრად გარდაიცვალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის — დიდი ლენინური საქმის ერთგული განმგებლის, მშვიდობისა და კომუნისმისათვის მგზნებარე მებრძოლის სახელი მუდამ იცოცხლებს საბჭოთა ადამიანებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობის გულში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მიმართვა

კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს

ძმირფასკო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. გარდაიცვალა ლენინის დიდი საქმის ერთგული განმგებელი, მგზნებარე პატრიოტი, გამოჩენილი რევოლუციონერი და მშვიდობისათვის, კომუნისმისათვის მებრძოლი, თანამედროვეობის უთვალსაზრისო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი.

ლ. ბრეჟნევის მთელი მრავალმხრივი მოღვაწეობა, პირადი ბედი განუყოფელია საბჭოეთის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ეტაპებისაგან. კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაცია, დიდი სამამულო ომი და ომის შემდგომი აღორძინება, უამირის ათვისება და კოსმოსის კვლევის ორგანიზაცია — ყოველივე ეს მუშათა კლასის სახელოვანი შვილის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ბიოგრაფიის ნიშან-სვეტიცხეა. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა იგი პარტიას, ლეონიდ ილიას ძე თავდადებ-

ით, მისთვის ჩვეული ენერჯითა და სიმტკიცით, გაბედულებითა და პრინციპულობით იბრძოდა მისი დიდი იდეალებისათვის.

ამხანაგ ბრეჟნევის სახელს, მის დაუცხრომელ მუშაობას სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტებზე საბჭოთა ადამიანები, ჩვენი მეგობრები მთელ მსოფლიოში სამართლიანად უკავშირებენ პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების ლენინური ნორმების თანამიმდევრულ დამკვიდრებას, სოციალისტური დემოკრატიის სრულყოფას. იგი ბრძნულად წარმართავდა პარტიის ლენინური შტაბის — მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობას, გვიჩვენებდა ერთ-სულოვანი კოლექტიური მუშაობის უნარიანი ორგანიზაციის მაგალითს. მას ეკუთვნის უთვალსაზრისო როლი განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე პარტიის ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშა-

ევასა და განხორციელებაში, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების კურსის განსაზღვრასა და რეალიზაციაში, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

წარუვალია ღვინოდ ილიას ძე ბრენევის დამახსოვრება საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენი პარტიის პოლიტიკის — მშვიდობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის, დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების, იმპერიალიზმის აგრესიული ზრციების მტკიცედ უწყვედების, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილების პოლიტიკის ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. დიდა მისი წვლილი მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის შექავეშირებაში, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის განვითარებაში.

სანამ ღვინოდ ილიას ძის გულა ძგერდა, მისი ფიქრები და საქმეები მთლიანად ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესებს. მშრომელთა მხებთან იგი მუდამ იყო განუწყობი დაეკავშირებული. კომუნისტთა, უველა კონტინენტის ასობით მილიონი ადამიანის შეგნებაში იგი იყო და დარჩა ღვინოდ ილიურის იდეურობის, თანამიმდევრული ინტერნაციონალიზმის, რევოლუციური ოპტიმიზმისა და ჰუმანიზმის განსახიერებად.

მძიმეა ჩვენი დანაკლისი, დიდა ჩვენი მწუხარება. ამ გლოვის ფაშს საბჭოთა კავშირის კომუნისტები, უველა მშრომელი სულ უფრო მკიდროდ ირახმებიან სკეპ ღვინოდის ცენტრალური კომიტეტის, მისი ზღმმღვანელი ბირთვის გარშემო, რომელიც ჩამოყალიბდა ღვინოდ ილიას ძე ბრენევის კეთილნაყოფიერი გავლენით. ხალხს სჯერა პარტიის, მისი მძღავრი კოლექტიური გონებისა და ნების, მთელი გფლით უჭერს მხარს მის ხაშინაო და საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან: ღვინოდის დროშა, ოქტომბრის დროშა, რომლითაც მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებანი მოვიპოვეთ, საიმედო ზღმშია.

პარტია და ხალხი შეიარაღებულნი არიან სკეპ XXI—XXVI ყრილობების მიერ შემუშავებული კომუნისტური აღმშენებლობის დიდებულნი პროგრამით. ეს პროგრამა განუხრელად ხორციელდება. პარტია კვლავაც უოველ დონეს იზმარს წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის შესრულების საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტია კვლავაც უოველნიარად იზრუნებს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის კავშირის განმტკიცებისათვის,

საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობის, სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულიკვეთებით მშრომელთა იდეოლოგიური წრთობისათვის.

უცვლელია საბჭოთა ხალხის ნება მშვიდობისადმი. არა ომისათვის მზადება, რომელიც ხალხებს თავის მატერიალურ და სულიერ სიმდიდრეთა უმიზნო ხარკვას უქადის, არამედ მშვიდობის განმტკიცება — აი ზვალინდელი დღის შეუქარაკველავი. ამ კეთილშობილური იდეით არის გამსჭვალული ოთხმოციანი წლების სამშვიდობო პროგრამა, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა.

ჩვენ ვხედავთ საერთაშორისო ვითარების მთელ სირთულეს, იმპერიალიზმის აგრესიული წრეების ცდებს ძირი გამოუთხარონ მშვიდობიან თანაარსებობას, უბიძგონ ხალხებს მტრობისა და სამხედრო კონფრონტაციის გზიკაენ. მაგრამ ეს ვერ შეარყვს ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას დაეკვთა მშვიდობა. უოველ დონეს ვიხმართ, რათა სამხედრო ავანტიურების მოუყვარლებმა საბჭოთა ქვეყნას მოულზადებულნი არ მოუსწრონ, რომ პოტენციურმა აგრესორმა იცოდნეს: მის გარდაუვალად ელის გამანადგურებელი საპასუხო დარტყმა.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ეყრდნობა თავის ძლიერებას, იჩენს უდიდეს სიფხიზღესსა და თავდაპერილობას, უცვლელ ერთგულებას თავისი საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული პრინციპებისა და მიზნებისადმი, შეუპოვრად იბრძოლებს იმისათვის, რომ კაცობრიობას თავიდან ააცილოს ბირთვული ომის საფრთხე, იბრძოლებს დაძაბულობის შენელებისა და განიარაღებისათვის.

ამ ბრძოლაში ჩვენთან ერთად არიან მომმე სოციალისტური ქვეყნები, ერგვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლები, უველა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ქვეყნები, მსოფლიოს უველა პატიოსანი ადამიანი. მშვიდობის პოლიტიკა გამოხატავს კაცობრიობის ძირეულ ხარისხეო ინტერესებს, და ამიტომაც მომავალი ასეთ პოლიტიკას ეცუთვნის.

საბჭოთა ხალხს პარტია მიანიჩა თავის ნაცად კოლექტიური ზელადად, ბრძენ ზღმმღვანელად და ორგანიზატორად. მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის სასახტური პარტიის მთელი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრია. პარტიისა და ხალხის ურყევი ერთიანობა იყო

და არის საბჭოთა საზოგადოების უდრეკი ძალის წყარო. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თვალისწინებით უფროხილდება მშრომელთა ნაღობს, დღენიადაგ განამტკიცებს თავის კავშირს მანებთან. ხალხი პრაქტიკულად დარწმუნდა, რომ ჩვენი პარტია მოვლენების უოველი შემობრუნების დროს, უოველი განსაცდელის დროს თავისი ისტორიული მისიის სიმაღლეზე რჩება. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხელმძღვანელობით შემუშავებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა კვლავაც თანამიმდევრულად და მიზანდასახულად განხორციელებდა.

ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრება და მოღვაწეობა

მუდამ იქნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი ერთგული სამსახურის შთამაგონებელი მაგალითი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქამენ რწმენას, რომ კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი გამოიჩინენ მაღალ შეგნებასა და ორგანიზებულობას, დენიური პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებული შემოქმედებითი შრომით უზრუნველყოფენ კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებას, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა

ამხანაგებო!

მძიმე დანაკლისი განიცადეს ჩვენმა პარტიამ, ჩვენმა ხალხმა, მთელმა მოწინავე კაცობრიობამ. დღეს ვეთხოვებით ჩვენი სამშობლოს სახელგანთ შვილს, მგზნებარე მარქსისტ-ლენინელს, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ ხელმძღვანელს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის უთვალსაჩინოეს მოღვაწეს, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის დაუცხრომელ მებრძოლს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნეს. ნება მიბოძეთ, უწინარეს ყოვლისა, ღრმა თანაგრძნობა გამოუცხადო ლეონიდ ილიას ძის ოჯახსა და ახლობლებს.

ლეონიდ ილიას ძე გეუთვნოდა იმ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა პლეადას, რომლებიც აღიზარდნენ და გამოიწვრილნენ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დამკვიდრებისათვის, ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბჭოთა ხალხის თავდადებული ბრძოლის წლებში.

მუშა და მეომარი, გამოჩენილი ორგანიზატორი და ბრძენი პოლიტიკური მოღვაწე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ხალხთან სისხლხორციულად, განუყრელად იყო დაკავშირებული. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა ექვემდებარებოდა მშრომელი ადამიანების ინტერესების სამსახურს. მთელი თავისი ხალხის ნიჭი, მთელი თავისი უდიდესი ენერჯია მან მოახმარა სოციალიზმის — თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის, მშრომელი ადამიანების ძმობის საზოგადოების საქმეს.

პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის უმაღლეს პოსტებზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ისტორიის უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი. მისი ხელმძღვანელობით მუშავდებოდა და თანამიმდევრულად ხორციელდებოდა პარტიის პოლიტიკა, რომელიც გამსჭვალულია მუდმივი ზრუნვით მშრომელი ადამიანისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მტკიცედ დამკვიდრდა პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების დენიური ნორმები, ერთსულოვანი, ერთობლივი მუშაობის სასიკეთო ატმოსფერო.

ხალხის მესხიერებაში ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი სამუდამოდ დარჩება როგორც მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის გამოჩენილი მებრძოლი. იგი თანამიმდევრულად, სულის მთელი მგზნებარებით იბრძოდა საერთაშორისო დამაბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ კაცობრიობა ეხსნა პირთუფლი ომის საფრთხისგან, განემტკიცებინა სოციალისტური თანამშრომლობის შეკავშირება და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა.

ამხანაგებო! ამ მწუხარების უამს, როცა ვეთხოვებით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნეს, მთელი ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი აცხადებენ, რომ ურუქვად აქვთ ვალაწუვებელი მტკიცედ და თანამიმდევრულად განხორციელონ ის სტრატეგიული გეზი საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, რომელიც მუშავდებოდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კეთილნაყოფიერი გავლენით.

საბჭოთა ადამიანები, რომლებიც კიდევ უფ-

რომ მივიღროდ ირანშემბიან პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი კოლექტიური ხელმძღვანელობის გარშემო, აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ პარტიის პოლიტიკას, უსაზღვროდ ენდობიან მას. პარტია კვლავაც უოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ კიდევ უფრო აამაღლოს ხალხის ცხოვრების ღონე, განავითაროს საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული საფუძვლები, განამტკიცოს ქვეყნის ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერება, დაამკვიდროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოქმე ხალხთა შეგობობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტი განუხრებლად განახორციელებს პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ხალხის ნებას.

ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფოების დიდი თანამგებობის შეკავშირება, მთელი მსოფლიოს კომუნისტთა რიგების ერთიანობა საერთო მიზნებისა და იდეალებისათვის ბრძოლაში. ჩვენ შევიწინარჩუნებთ და განვავითარებთ სოლიდარობასა და თანამშრომლობას კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებთან, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა ბრძოლასთან. უოველთვის ვიქნებით მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საქმის ერთგული.

რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა იმპერიალისმის ძალები ცდილობენ ხალხებს უბიძგონ მტრობისა და საშხედრო კონფრონტაციის გზისაკენ, პარტია და სახელმწიფო ურ-

ყვეად დაიცავენ ჩვენი სამშობლოს საარსებო ინტერესებს, უზრუნველყოფენ დიდ სიფხიზლეს, მზადყოფნას გამანადგურებელი ლაზარის ჩასცენ აგრესიის უოველგვარ ცდას. ისინი ამარაველებენ თავიანთ მეცადინეობას ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლაში, განამტკიცებენ თანამშრომლობას პლანეტის მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან. უოველთვის მზად ვართ ყველა სახელმწიფოსთან, ვინც ამას მოისურვებს, პატიოსანი, თანასწორუფლებიანი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის.

ამ მწუხარების დღეებში განსაკუთრებული ძალით ვგრძნობთ ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხისადმი სოციალისმის ქვეყნების მშრომელების, მოქმე პარტიების, სოციალური პროგრესისათვის ყველა მებრძოლის მხარდაჭერასა და სოლიდარობას. მაღლობელი ვართ მათი ამისათვის. ვემადლიერებით აგრეთვე ყველა კონტინენტის ბევრი ქვეყნის მთავრობებსა და ხალხებს, რომლებმაც ამ დღეებში პატივი სცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ხსოვნას.

ამხანაგებო! საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ აცხადებს, რომ მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის საქმისადმი, კომუნისმისა და მშვიდობის საქმისადმი სამსახური, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე შეაღია ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევემ, არის და კვლავაც იქნება მთელი მისი საქმიანობის უმაღლესი მიზანი და აზრი.

მშვიდობით, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე! შენი ხსოვნა არახდროს არ ჩაქრება ჩვენს გულში. შენი საქმე გაგრძელდება ჩვენი პარტიისა და ხალხის მიღწევებში!

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი

დავით თივაძე

ქართული მწიგნობა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის
 დიდ ოჯახში სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავი

საბჭოური ლიტერატურა თვისებრივად ახალი მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ეს არის სრულიად ახალი ტიპის მწერლობა, რომლის მზგავსს არ იცნობს მსოფლიო ლიტერატურის ისტორია. მისი ძირითადი ნიშანია მრავალეროვნულობა და სოციალისტური ჰუმანიზმი.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის სამოცწლიანი გზაც უნდა მოვიხროთ როგორც მთელი საბჭოური ლიტერატურის ერთიანი მხატვრულ-ესთეტიკური პროცესის ორგანული ნაწილი, ამასთან — თავისთავადი გაბედული ნოვატორული მხატვრული ძიებებითა და მიგნებებით. მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ერთიანობაში, ანუ „საბჭოთა მწერლობის“ ცნებაში, ვგულისხმობთ მოძმე ლიტერატურათა არა ისეთ ერთობას, რომლის დროს ეროვნული მწერლობები ინთქმებიან ერთმანეთში და დამოუკიდებელ სახეს კარგავენ (როგორც ამას გვიკვირებენ ბურჟუაზიული „სოვეტოლოგები“), არამედ ისეთ პროცესს, რომელიც ყოველ ეროვნულ მწერლობას უნარჩუნებს სრულ დამოუკიდებლობას და უზრუნველყოფს მის განვითარებას საკუთარი ხალხის ყოფის, იდეალებისა და მხატვრული ტრადიციების კვალობაზე. საბჭოთა ლიტერატურების ერთიანობა და დამოუკიდებლობა დიალექტიკური ბუნების გამოვლინებაა და მათი „წინააღმდეგობრივი“ ხასიათი განაპირობებს ეროვნულ მწერლობათა დამოუკიდებლობასაც და ერთიანობასაც. ურთიერთ ზეგავლენა (იდეური თუ მხატვრული), რომელსაც ახდენენ მოძმე ერების ლიტერატურები, ეროვნულ მწერლობათა გამდიდრებისა და განვითარების საწინდარია.

„Советская литература.—წერს ლ. ა. პლუტინი,—несет в себе художественное единство разных по своему генезису национальных литератур, каждая из которых, не теряя своей самобытности, представляет органическую часть этого единства. Художественный опыт каждой национальной литературы становится достоянием всех, а общие закономерности развития выступают как коренные закономерности развития каждой“ (2,996).

ისტორიამ არ გაამართლა ზოგიერთის შიში იმის თაობაზე, რომ მოძმე ხალხთა ლიტერატურის, განსაკუთრებით მდიდარი რუსული მწერლობის გვერდით, მეტი რომ არა ვთქვათ, დაიხრდილებოდა ეროვნული მწერლობები, კერძოდ, ქართული. ვერც რაპუელ-ვულგარული კრიტიკის შეხედულებები დამკვიდრდა. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, მარქსიზმისა და ინტერნაციონალიზმის დროში ებრძოდა ეროვნულის ყოველგვარ გამოვლინებას (სამწუ-

ხაროდ, ოციან წლებში ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ვულგარული კრიტიკის მხარეზე აღმოჩნდა (1, 81—83; 2, 33—44);

ქართული საბჭოთა მწერლობა, რომლისთვისაც უცხო არასოდეს ყოფილა მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის მონაპოვარი, მრავალსაუკუნოვანი მდიდარი კლასიკური მწერლობის ტრადიციებზე დაყრდნობით დაადგა მოძმე ხალხთა ეროვნული ლიტერატურის დიდ ოჯახში განვითარების ახალ გზას. „ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური!“ — ასეთი იყო პრინციპი, რომელმაც ძირითადად სწორად განსაზღვრა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ბუნება და განვითარების გზა.

ქართული მწერლობა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ოჯახში ხელცარიელი არ შესულა. ჩვეულებრივ იგი მიეკუთვნება მრავალეროვანი საბჭოური ლიტერატურული ოჯახის „პირველ ტიპოლოგიურ ჯგუფს“ (რუსულის, უკრაინულის, სომხურის და სხვათა გვერდით), რომელმაც რევოლუციამდე შექმნა დიდი მხატვრული ტრადიციები განსხვავებით ოქტომბრის პირშმობთა „მეორე ტიპოლოგიური ჯგუფისაგან“, ე. წ. „რუსული აღმოსავლეთის“, ჩრდილო კავკასიის, ვოლგისპირეთის ხალხთა ლიტერატურებისაგან.

ქართულ მწერლობას რევოლუციამდე განვლილი ჰქონდა მხატვრული აზროვნების 15-საუკუნოვანი გზა ცივილიზებულ სამყაროსთან ურთიერთობაში. თავისი ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა დარღვევისა და წყვეტების მიუხედავად, მან შეინარჩუნა მსოფლიო სტანდარტების მაღალი დონე. ძველი ქართული მწერლობის უაღრესად თვითმყოფადი სახე XIX საუკუნეში გამდიდრდა ევროპული რომანტიზმისა და კლასიკური რეალიზმისათვის დამახასიათებელი ტიპოლოგიური ნიშნებით ისე, რომ ახალ თვისებრივ დონემდე ამიღლებულიყო ქართული რეალისტური მიმართულება, რომლის ელემენტები ჯერ კიდევ V საუკუნეში გვაქვს. XIX საუკუნის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ქართული მწერლობა ეზიარა ევროპულ მოდერნიზმს (სიმბოლიზმი, იმპრესიონიზმი, უფრო გვიან ექსპრესიონიზმი, ფუტურიზმი), მაგრამ როგორ ფართოდაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ევროპული მხატვრულ-ლიტერატურული სკოლების როლი, ქართული მწერლობა მუდამ ინარჩუნებს დამოუკიდებელ ბუნებასა და განვითარების საკუთარ გზას.

ურთიერთზეგავლენის განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართულ-რუსულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობაში, რომელიც დააგვირგვინეს XX საუკუნის წარმომადგენლებმა: მაქსიმ გორკიმ, ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, გალაკტიონ ტაბიძემ, ვალერი ბრიუსოვმა, ანდრეი ბელიმ, სერგეი ესენინმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, ტიციან ტაბიძემ, ბორის პასტერნაკმა, გიორგი ლეონიძემ, ნიკოლოზ ტიხონოვმა, პაოლო იაშვილმა და სხვ.

ქართულ მწერლობას აგრეთვე ურთიერთობის დიდი ისტორია აქვს სომხურ, აზერბაიჯანულ, უკრაინულ, აფხაზურ, ოსურ ლიტერატურებთან. ეს ტრადიცია საფუძველი იყო და თავის მხრივ განაპირობებდა კიდევ ქართული მწერლობის განვითარების ხასიათსა და როლს მრავალეროვან საბჭოურ ლიტერატურაში.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის დასაწყისი, მისი ისტორია, ემთხვევა მრავალეროვანი საბჭოური მწერლობის სათავეს და მისი ერთ-ერთი მთავარი მხატვრული ნაკადია.

ოციანი წლები — ესაა პერიოდი საბჭოური ლიტერატურის ესთეტიკურ-მხატვრული ფორმირების, სოციალისტური რეალიზმის როგორც მხატვრული აზროვნების ახალი შემოქმედებითი მეთოდისა და მიმართულების დასამკვიდრებლად. ასე იყო ქართულ მწერლობაშიც, სადაც პეგემონიისათვის იბრძოდნენ სხვადასხვა ლიტერატურული ასოციაციები და დაჯგუფებები („პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია“, „ციხფერი ყანწები“, „აკადემიური გაერთიანება“, „მემარცხენე ფრონტი“-ფუტურიზმი, „არიფიონი“). ბუნებრივია, ამ პერიოდის ესთეტიკურ-მხატვრულ ბრძოლას ასაზრდოებდა და ამძაფრებდა მაშინდელი სოციალურ-პოლიტიკური ვითარება, კერძოდ, ეს იყო წლები, როცა ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი საკითხი „ვინ-ვის?“. ამის მიუხედავად ოციანი წლებში, როგორც მოძმე ხალხთა ლიტერატურები, ქართული მწერლობა განვითარდა უანობრივად, ფორმებით, სახეებით, თემატიკითა და ლიტერატურული გმირებით: უჩვეულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ისტორიის ისე მოკლე დროში, როგორიცაა ერთი ათწლეული, გალაკტიონ ტაბიძის, ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძის, დემნა შენგელაიას, შალვა დადიანის, ლეო ქიაჩელის, სერგო კლდიაშვილის, პაოლო იაშვილის, პოლიკარპე კაკაბაძის, სანდრო შანშიაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, იოსებ გრიშაშვილის, ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის და სხვათა შედეგები ეპოსში, ლირიკასა და დრამატურგიაში. ენარულ და თემატიკურ-მხატვრულ მრავალფეროვნებასთან ერთად თანდათანობით გამოიყვება სოციალისტური იდეურობა. გალაკტიონ ტაბიძის პოეტური მოწოდება — „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ვწირავთ სიცოცხლეს ჩვენ, პოეტები საქართველოსი“ — გამოხატავს მთელი ქართული მწერლობის პოზიციას. მისი ლექსები — „ახალ მერნების წყება“, „ეს გრიგალია სიახლის“, „მისიმა ისევ მომიტანა ლავკარდი ზღვები“, პოემა „ჯონ-რიდი“, „ოქტომბრის გამარჯვებისათვის“, „ლენინი“, ლექსები „კახეთზე“ და სხვ. — დალადებს „მეორედ დაბადებაზე“ პოეტისა, რომელიც კვლავ მოუხმობს „ლურჯა ცხენებს“, როგორც ადამიანის აქტიური მოქმედებისა და მისი დაუოკებელი სულის სიმბოლოს.

უკვე 1928 წლიდან, მოახლოებული „დიადი გაზაფხულის“ მიჯნაზე გ. ტაბიძის პოეზიაში ახალი ძალით შეიჭრა რევოლუციისა და ქვეყნის განახლების მძლავრი პათოსი.

ამ პერიოდის საბჭოთა ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მოტივები რევოლუციის, საბჭოთა პარტიოტიზმის, ხალხთა მეგობრობის, სოციალურ-პოლიტიკურად დამარცხებული ადამიანების, ზედმეტი ტიპისა და ახალი გმირის პრობლემა ქართულმა ლიტერატურამ თავისებურად გადაწყვიტა: ეროვნული ყოფისათვის დამახასიათებელი ნიშნებითა და მხატვრული ფორმებით. ამ დროს, ერთი მხრით, ახალ მხატვრულ სიმაღლეებს იპყრობს ქართული რეალისტური პროზის (ილიას სკოლა) მძლავრი ფრაზა (მ. ჯავახიშვილი, შ. დადიანი და სხვ.), მეორე მხრივ, — ქართული უახლესი მოდერნისტული პროზა (ნ. ლორთქიფანიძე, დ. შენგელაია, კ. გამსახურდია, ლ. ქიაჩელი). სწორედ ამ ხანებში ყალიბდება ქართული რომანის სინთეზური სახე, რომელშიც ორგანულადაა შერწყმული ეროვნული კლასიკური მწერლობისა და ევროპული მოდერნიზმის

ტრადიციები ახალ ესთეტიკურ მრწამსთან. გ. მერკვილაცხეს ეს პერიოდი მიანიხსნა „პირველ პერიოდად“ თანამედროვე ქართული რომანის განვითარებაში. „მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია არის, — წერს იგი, — ცხოვრების ახალ მოვლენათა, ახალ შთაბეჭდილებათა უშუალო ეპიკური ხატვის ფართო ისტორიული და თანამედროვე ფონი, რომელიც აქამდე არცთუ ისე ნაცნობი იყო ქართული რომანისათვის“ (4, 76).

მნიშვნელოვანი პროცესები დაიწყო პოეზიაშიც. ოციანი წლების მეორე ნახევრიდან ქართული პოეზიის თემატიკა უფრო კონკრეტულ ნიშნებს ატარებს. ზოგად-აბსტრაქტული ხასიათის ლექსები შეცვალა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოციალისტური გარდაქმნებისათვის დამახასიათებელმა მოტივებმა, კონკრეტულმა მოვლენებმა და საგნებმა. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის ფაქტი გახდა ზაპეისის მშენებლობა. იგი ქართულ სინამდვილეში შემოვიდა როგორც სახე-სიმბოლო ახალი ცხოვრებისა და ახალი ადამიანის დაბადებისა.

ამ პერიოდში ქართული კლასიკური პოეზიის მდიდარი ბუნება თავისებურად გამოვლინდა ჩვენი დროის სასიქაღდლო პოეტების ტიციან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის ლექსებში. ერთი შეხედვით „მიმდინარე პოლიტიკისაგან თავისუფალ“, „ნეიტრალურ“ პოეტურ შედეგებში გაისმა ეროვნული პოტენციის შესატყვისი მძლავრი ხმები — ჰუმანიზმის, პატრიოტიზმისა და სიყვარულის. ეს მოტივები გახსნილია დიდი შინაგანი ძალით. სამშობლოს სიყვარულის ის მაღალი გრძნობა, რომელიც ასე დიდოსტატურად გამოხატეს ტიციან ტაბიძემ და გიორგი ლეონიძემ, უპირველეს ყოვლისა საბჭოთა საქართველოს ეკუთვნის;

ოციანი წლების ქართული საბჭოთა პოეზია დაავიროვინა გ. ტაბიძემ ლექსების ციკლებით „ეპოქა“ და „რევოლუციურ საქართველოს“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულმა საბჭოთა დრამატურგიამ მიიღო, ლირიკასთან და ეპოსთან შედარებით, ლარიბი მემკვიდრეობა, მნიშვნელოვანი მოვლენაა შ. დადიანის, პ. კაკაბაძის, ს. შანშიაშვილის, კ. კალაძისა და სხვ. პიესები, რომლებიც ოციანი წლების ბოლოს დამკვიდრდნენ ქართული თეატრის რეპერტუარში.

ოცდაათიანი წლების საბჭოთა ლიტერატურა ახალი ეპოქაა მხატვრული აზროვნების ისტორიაში. მისი თემატიკურ-პრობლემური სიახლე, მრავალფეროვნება და მხატვრულ-იდეური ღირსებები ქმნის თვისებრივად ახალ საფეხურს საბჭოთა მწერლობაში. ამ პერიოდის საბჭოური ლიტერატურის მაღალ იდეურ-მხატვრული დონე განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური ცხოვრების რევოლუციურმა გარდაქმნებმა, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობამ და ქმედითი ორგანიზაციულ-შემოქმედებითი ღონისძიებების გატარებამ ლიტერატურის ფრონტზე.

მომქმე საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა გვერდით 30-იან წლებში უჩვეულო განვითარების გზას დაადგა ქართული მწერლობა. ამ პერიოდში ლიტერატურის ყველა გვარი (ეპოსი, ლირიკა, დრამა) და მათი სახეები, ფორმები გასრულდა და გამდიდრდა. გაფართოვდა მათი იდეურ-ესთეტიკური გავლენის სფერო მკითხველ საზოგადოებრიობაზე. ფრიად ფართო ადგილი დაიკავა ამ წლების ქართულ ლიტერატურაში თანამედროვეობის თემატიკამ. ეპიკური გვარის საყოველთაოდ აღიარებული ნაწარმოებები: კ. ლორთქიფანიძის „კოლ-

ხეთის ცისკარი“, კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, აგრეთვე ისტორიულ თემაზე დაწერილი მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, დ. შენგელაის „ბათა ქექია“ განსაზღვრავს ამ პერიოდის ქართული პროზის მონუმენტურ სახეს.

ამ პერიოდის ბევრი ქმნილება შესულია საბჭოური მწერლობის ოქროს ფონდში და დღესაც ინტერესს იწვევს.

1936 წელს სსრკ მწერალთა კავშირის მესამე პლენუმის პრეზიდიუმში თავის მისალმებაში წერდა: „ამ წლების (1921—1936. — დ. თ.) მანძილზე საქართველომ აღმოაჩინა ბრწყინვალე კულტურა; ქართული ლიტერატურა და მუსიკა ფართოდაა ცნობილი საბჭოთა კავშირის მშრომელებისათვის. ჩვენ ვამაყობთ მით და ვაფასებთ მას, როგორც ჩვენს საერთო კულტურისთვის და ჩვენს საერთო მიღწევებს“ (5).

ჩვენი ეროვნული მწერლობის აღმავლობა ამ ეტაპზე უნდა განვიხილოთ, როგორც მრავალეროვანი საბჭოური მწერლობის შინაგანი კანონზომიერების გამოვლინება, — წერს გ. ლომიძე, — „Этапы советской многонациональной литературы пресмственно связаны друг с другом, они составляют единое историческое целое, хотя отличаются друг от друга многими особенностями“ (6,5).

თემატიკა და მოტივები, რომლებსაც შემოქმედს კარნახობს მოძმე ერთა ერთნაირი ყოფა და პრობლემები, ბუნებრივია, საერთოა და ერთგვარად „სავალდებულო“ შემოქმედისათვის (ეს ერთგვარობა კიდევ უფრო ნიშნულია ერთი ერის შემოქმედი ძალებისათვის), მაგრამ თუ გაითვალისწინებთ, რომ ნამდვილი შემოქმედის თვალი ყოველთვის ინდივიდუალურია და ორიგინალურად ხელავს სინამდვილეს, ცხადია, მაშინ ერთფეროვნება გამოიციხულია.

მოძმე ერთა ლიტერატურების ურთიერთზეგავლენა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მასტიმულიზირებელი ფაქტორი მხოლოდ და არაერთიან შემთხვევაში არ შეიძლება იყოს განსაზღვრელი. ამას აღასტურებს 30-იანი წლების მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის ისტორიაც. მისი ძირითადი მოტივებია: დიადი სოციალისტური გარდაქმნები ქალაქად და სოფლად, სამშობლოს სიყვარული — პატრიოტიზმი, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის, ისტორიულ-პერიოდიკული, კერძომესაკუთრული ფსიქიკის სოციალისტურად გარდაქმნის თემატიკა და ა. შ. ამ თემატიკაზე ყველა მოძმე ერის ლიტერატურებში შეიქმნა ეპოქალური მხატვრული ქმნილებები, რომლებიც აღბეჭდილია დროის ნიშნით.

კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“ და „დიდოსტატის მარჯვენა“, კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ლ. ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, დ. შენგელაის „ბათა ქექია“, პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“, გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ტ. ტაბიძის, პ. იაშვილის, ი. გრიშაშვილის, ა. აბაშელის, ს. შანშიაშვილის, ა. მირცხულავას, ვ. ვაფრინდაშვილის, კ. ნალირაძის, კ. კალაძის, ს. ჩიქოვანის, გ. ქუჩიშვილის, ი. მოსაშვილის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, ა. გომიაშვილის პოეტური ნაწარმოებები (პოემები და ლექსები) ზოგადი თვალსაზრისით საერთო საბჭოური თემატიკის რკალში თავსდება, მაგრამ მათი დამოუკიდებლობა და თავისთავადობა იქვს არ იწვევს. ისინი იმდენად ორიგინალურია — ფორმით ეროვნული და ზოგადინტერნაციონალისტური, რომ სცილდება კიდევ საბჭოთა ხალ-

ხის იდეურ-ესთეტიკურ სამყაროს და ფართო ინტერესებს აღძრავს საზღვარგარეთის ხალხებშიც (ეს საზოგადოდ დამახასიათებელია ყველა ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებისათვის). საბჭოთა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურისა და კრიტიკის გაცნობა ამ დებულებას ადასტურებს. „კ. ლორთქიფანიძის გლეხებს, — წერს ი. ლესერკლი, — იგივე თვისებები აქვთ, რაც შოლოხოვის, ჩინელი რომანისტებისა და თვით ფრანგი მწერლების ნაწარმოებთა გლეხებს, ყველგან ერთგვარი დაჯინებითი სიყვარული მიწისა, ერთნაირად კონსერვატული სიბრძნე, ცხოვრების პირობების ერთგვარივე სიმაკრე და ერთგვარივე უღონო მორჩილება ზეცის კაპრიზებისადმი“ (7).

ქართველი მწერლის, შოლოხოვის, ჩინელი რომანისტებისა და ფრანგი მწერლების გლეხთა საერთო ხასიათი, რომელსაც შენიშნავს ფრანგი კრიტიკოსი ლესერკლი, ცხადია, გამოვლინებულია მკაფიოდ ეროვნულ ფორმებში. ყოველ მათგანში იგრძნობა თავისი ხალხის ყოფა, ისტორია, ფსიქიკა, ენობრივი ფერადები და ა. შ. ნაწარმოების სტრუქტურულ-კომპოზიციური თავისებურებანიც კი, ავტორის ინდივიდუალობასთან ერთად, ეროვნულ ნიშანს ატარებს.

ეროვნული ფორმა კი, რა თქმა უნდა, როგორც შენიშნავს ი. აბაშიძე, მხოლოდ ენის პრობლემა როდია: „ნაციონალური ფორმა, — განაცხადა საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობაზე პოეტმა, — არ შეიძლება შემოვხედვით მხოლოდ ნაციონალური ენის ცნებით. გარდა ენისა, ნაციონალურ ფორმას ხელოვნებასა და ლიტერატურაში მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავენ: ხალხის ნაციონალური ხასიათის თავისებურება, მისი ყოფის სპეციფიკა, ნაციონალური კულტურის ტრადიციები, თვით ქვეყნის თავისებური ბუნებაც კი, რომელიც ხელოვნებაში ბადებს განსაკუთრებულ კოლორიტს, ფერებსა და მელოდიების განსაკუთრებულ შერწყმას. და რაც უფრო მეტად და მრავალფეროდ გადმოგვიშლის ხალხი თვალწინ თავის ნაციონალურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სპეციფიკას, მით უფრო ძვირფასი წვლილი შეაქვს მას საკაცობრიო კულტურის საგანძურში, ავსებს და ამდიდრებს მას ახალი შტრიხებით...“

ნაციონალური ფორმის გარეშე, ნაციონალური ხასიათის გარეშე მხატვრული სახე გადაიქცევა უსხეულო, ხორცშესხმულ სქემად, შიშველ იდეად, რომელიც მოკლებული იქნება სიცოცხლეს და დამაჯერებლობას“ (8).

სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის თემატიკა 30-იანი წლების საბჭოთა მწერლობის ლაიტმოტივია. მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, ა. ტვარდოვსკის „მურაყის ქვეყანა“, ნ. ზარიანის „აცავან“ და ქართველი მწერლების — კ. ლორთქიფანიძის, კ. გამსახურდიასა და ლ. ქიაჩელის დასახელებული რომანები არსებითად ერთი ეპოქის, ერთი სოციალურ-პოლიტიკური საზოგადოებრივი წყობილებისა და მოვლენის არს წარმოსახავს, მაგრამ ამავე დროს რაოდენ სხვადასხვაგვარი და განსხვავებულია მათი გმირები და ხასიათები! სწორედ ეს სხვაობა ქმნის მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის მრავალფეროვნებას და სიმდიდრეს. ეს თავისებურება გამოვლინდა ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის, პატრიოტული თუ სოციალისტური მშენებლობის თემატიკაზე მუშაობისას.



ეს პრინციპი გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებსა და ომის შემდეგ დგომი პერიოდის საბჭოთა ლიტერატურაშიც. რა თქმა უნდა, მართალი არ იყვნენ აგაევი და სხვა ჯურის ვულგარიზატორები, რომლებმაც 50-იანი წლების დასასრულს დაიწყეს ლაშქრობა საბჭოთა ქვეყანაში ეროვნული ენებისა და, საზოგადოდ, ეროვნული ფორმის წინააღმდეგ, რამეთუ თითქოს მათი (ეროვნული ენების, ფორმების) თანაარსებობა კომუნისტურ საზოგადოებაში წარმოუდგენელია. ამ ანტილენინური დებულებიდან გამომდინარე მოითხოვდნენ საბჭოური ლიტერატურების შერწყმასა და ნიველირებას, მეტიც, განიზარახეს საბჭოური ლიტერატურების ისტორიების, ე. ო. მოძმე ერთა მწერლობების უკვე განვლილი გზების, გადაშლა, ანუ „შერწყმა“. მაგალითად, 1961 წლის დასასრულს მოსკოვში, გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა საკავშირო თათბირი, რომელმაც განიხილა „მრავალეროვან საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის პროსპექტი“. მასში კი საბჭოთა ეროვნულ ლიტერატურათა ისტორიების დამოუკიდებელი გაშუქება გათვალისწინებული არ იყო.

საქართველოს დელეგაციამ (ბ. ქლენტი, ლ. კალანდაძე, ს. ჭილაია, გ. ციციშვილი, გ. მარგველაშვილი, მ. აბულაძე) არ გაიზიარა „პროსპექტის“ ავტორთა პრინციპი, კერძოდ, ბესო ქლენტმა თათბირზე მკაცრად გააკრიტიკა „მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის“ წარმომადგენელი პროსპექტი (1961), რომელიც არსებითად ანიველირებდა მრავალეროვან საბჭოთა მწერლობას.

„თუ ჩვენ საბჭოთა ლიტერატურის ისტორიას ამ პროსპექტის მიხედვით დავწერთ, — განაცხადა მან თათბირზე, — ისეთ სურათს მივიღებთ, თითქოს ჩვენი ქვეყანაში ეროვნულ ენათა და ლიტერატურათა სრული შედუღება უკვე განხორციელებულიყოს. თითქოს ჩვენ ახლა გვექონდეს მხოლოდ ერთიანი სრულიად საკავშირო საბჭოთა ლიტერატურა და აღარ არსებობდეს ეროვნული ლიტერატურანი, რომლებიც ეროვნულ ტრადიციებითა და სხვა თავისებურებებით განპირობებული თვითმყოფადი გზებით ვითარდებიან...“

საბჭოთა ლიტერატურის მცოდნეობრივ შრომებში ფართოდ გავრცელებულია ერთი ანალოგია. ამ ანალოგიის მიხედვით, საბჭოთა ხალხების ეროვნული ლიტერატურანი წარმოადგენენ მდინარეებს, რომლებიც ერთვიან ერთიანი, სრულიად საკავშირო საბჭოთა მწერლობის ზღვას თუ ოკეანეს. არ არის ეს სწორი ანალოგია, — შენიშნავს კრიტიკოსი. — როდესაც მდინარე ზღვას თუ ოკეანეს ერთვის, იგი საბოლოოდ კარგავს თავის საკუთარ სახეს, თავის არსებობას, ჩვენი ეროვნული ლიტერატურები კი, რაც უფრო მეტად უახლოვდებიან და უკავშირდებიან ურთიერთს, მით უფრო ამდიდრებენ ერთმანეთს, მით უფრო ვითარდებიან და მდიდრდებიან ისინი და თითოეული მათგანი მით უფრო მკაფიოდ, ღრმად, სრულად გამოხატავს თავისი ხალხის სახეს, მის ეროვნულ სულს.

ამიტომაც თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჩვენ შეგვიძლია დავწეროთ ისტორია განყენებული, თავისთავად არარსებული სრულიად საკავშირო ლიტერატურისა, რომელშიც არ იგულისხმება ცალკეულ ეროვნულ ლიტერატურათა არსებობა, — ეს მცდარი იქნება მეთოდოლოგიურადაც და პოლიტიკურადაც. არა, ამხანაგებო, ქვეყნად არ არსებულა, არც ახლა არსებობს და მე არა ვფიქრობ, რომ ოდესმე იარსებებს უეროვნო და უენო ლიტერატურა, ზეეროვნული მწერ-

ლობა... ლიტერატურა ყოველთვის იყო, არის და მე მგონია, ქნება კიდევ ყოველთვის ეროვნული, რომელიც გარკვეულ ეროვნულ ენაზე, გარკვეულ ეროვნულ ნიადაგზე ვითარდება“ (9).

საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობის გამოჩენილმა თეორეტიკოსმა გიორგი ლომიძემ საგანგებოდ შეისწავლა ეროვნულის, საბჭოურისა და ზოგადსაკაცობრიო-ინტერნაციონალურის ურთიერთმიმართება და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ „ეროვნულისა და სოციალისტურის მთლიანობა კანონზომიერად იწვევს ეროვნულის ამალვებას, მის ყველა სიცოცხლისუნარიან საწყისთა ზრდას და წარმოჩენას“ (10, 38). ამასთან შენიშნავს ავტორი: „ეროვნულ აღორძინებას იწვევს არა ნაციონალური ეგოიზმი, არა ეროვნული ყოყოჩობა და შეზღუდულობა, არამედ ნაციონალურ ინტერესთა სიფართოვე, ხალხთა ინტერნაციონალური ერთიანობის შეგნება“ (10, 39). მკვლევრის სიტყვით, ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ „საბჭოურ ეპოქაში ჩამოყალიბებული ადამიანური ფსიქიკისა და მოქმედების თავისებურებები უკვე აღარ იმყოფება კავშირში ეროვნულ ხასიათთან, რადგანაც ნაციონალური ხასიათი მათ მეტაფიზიკურად, ცხოვრების ზემოქმედებისაგან მოწყვეტით, აქვთ ვაზარებული“ (10, 87).

რა თქმა უნდა, ეროვნული ხასიათი არ შეიძლება იყოს სტატიკური, უცვლელი. იგი ახალ ყოფაში, საბჭოურ ურთიერთობაში თანდათანობით თავისუფლდება ძველი ნიშან-თვისებებისაგან და ივსება ახალაზალით; ეს პროცესი კი იწვევს ფორმის ცვლილებას და განახლებას.

გიორგი ლომიძის სიტყვით, „ეროვნულ ხასიათში შერწყმულია ფსიქოლოგიის, წარმომადგენლობის, ტრადიციების ისტორიულად ჩამოყალიბებული მდგრადი ნოვატორული ნიშნები“ (10, 88). „იგი (ეროვნული ფორმა. — დ. თ.) ახალ თვისებრიობას იძენს და სრულ პარმონიაში იმყოფება ინტერნაციონალურ, სოციალისტურ იდეალთან. დრმა შეცდომას უშვებს ის, — წერს გ. ლომიძე, — ვინც ხელოვნებაში ეროვნულ მომენტს წარსულთან, დრომოქმულთან ათანაბრებს... არ უნდა გვეშინოდეს ნაციონალურისა, როგორც ისეთი ქიმერისა, რომელიც ხელს უშლის ერების ურთიერთდაახლოებას“ (10, 79). ინტერნაციონალიზმი განისაზღვრება არა ეროვნულ გრძნობათა გახუნებით, ჩაკვლით და „საერთო საკაცობრიო“ შეგნების მოჭარბებით, არამედ ეროვნული გრძნობებისა და სოციალისტური ინტერესების ორგანული ერთიანობით“ (10, 118).

ლეონიდ ბრევენემა სკკპ პარტიის XXIV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან კმაყოფილებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ „ლიტერატურა და ხელოვნება ნაყოფიერად ვითარდება“ ყველა ჩვენს რესპუბლიკაში, სსრკ კავშირის ხალხთა ათობით ქნაზე, ეროვნული ფორმების მკაფიო მრავალფეროვნებით“ (ხაზგასმა ჩემია. — დ. თ. 11, 120—121).

საბჭოთა ქვეყანაში 72 ენაზე არსებობს და ვითარდება შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული მწერლობა. „მრავალეროვნანი საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის“ ექვსტომეული (რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1970—1974), რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის ანალიზს, ნათლად მეტყველებს ქართული ეროვნული მწერლობის განვითარების დონეზე. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჯერ კიდევ 1953 წელს გამოქვეყნებული მონოგრაფია „История грузин-

ской литературы“ (ავტორები: ა. ბარამიძე, შ. რადიანი, ბ. ქლენტი) და „История грузинской советской литературы“ (1977), რომელიც მოამზადა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად.

70-იან წლებში კიდევ უფრო გაღრმავდა ქართული მწერლობის სოციალისტური შინაარსი, რომელიც წარმოსახულია ეროვნულ ფორმებში. ედუარდ შევარდნაძემ „ლიტერატურითე ობოზრენიეს“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ „ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება შინაარსით სულ უფრო ინტერნაციონალისტური ხდება და ამავდროულად უფრო ინტერნაციონალისტური ხდება“ (ხაზგასმა ჩემია. — დ. თ., 5). ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ „ინტერნაციონალიზმი ეროვნული ცხოვრების უმადლესი ფორმაა... ინტერნაციონალიზმი უეროვნო არ არის. იგი ერთა შორისი და მრავალეროვნულია. ასე გვესმის ჩვენ საბჭოთა კავშირში მცხოვრები მოძმე ხალხების ეროვნულ კულტურათა ურთიერთგანმსკვლევისა და ურთიერთგამდიდრების პროცესი“¹⁴ (ხაზგასმა ავტორისაა).

17347

გ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიჭოვანის, ი. აბაშიძის, გ. აბაშიძის, კ. ნადირაძის, კ. კალაძის, ა. მირცხულავას, პ. გომიაშვილის, ი. ნონეშვილის, კ. კალანდაძის, რ. მარგარიანის, მ. ლებანიძის, ა. კალანდაძის, მ. მაჭავარიანის, ა. სულაკაურის, ხ. ბერულავას, თ. ქელიძის, შ. ნიშნიანის, თ. ჭილაძის, თ. ჭილაძის, მ. ქელიძის, ჯ. ჩარკვიანის, ტ. ჭანტურიას, მ. ფოცხველიძის, ვ. ჯავახიძის, ფ. ხალვაშის, შ. ფორჩხიძის, გ. გეგუქორის, მ. კახიძის, ლ. სტურუას, რ. ამაშუყელის, ბ. ხარანაულის და სხვათა პოეტურმა ქმნილებებმა ერთ-ერთი მრავალმნიშვნელოვანი პოეტური ნაკადი შექმნეს საბჭოურ პოეზიაში. შემთხვევითი არ არის ქართული პოეზიის როლის ნიკოლოზ ტიხონოვიცეული შეფასება: „ქართული პოეზია თავის გავლენას ახდენდა რუსულ საბჭოთა პოეზიაზე და შესაძლებელია სხვა ერის პოეზიაზეც“. ეს სიტყვები ერთხელ კიდევ დადასტურდა თანამედროვე ეტაპზე. „ჩემი აზრით, ბევრი რამის სწავლა გემართება ქართული პოეტებისაგან, — წერს გამოჩენილი რუსი პოეტი მიხეილ ლუკონინი, — ქართული პოეტებში ძალიან მიზიდავს მათი ერთგულება პოეტური ხელოვნებისადმი, თავმოწონება ამ ხელოვნებით, ორგანული გრძობა თანამედროვეობისა და მაღალი პოეტურობა. მიზიდავს ლექსის კომპოზიციური სიხალე, მღვღარება, ხატოვანება. ქართული პოეზიის გაცნობა აახლავს და ეხმარება წარმოდგენას პოეტურის ბუნების შესახებ, გულს გვიკეთებს. საყოველთაოდ ცნობილია, რაირი უყვართ საქართველოში პოეზია და პოეტები“ (10).

განსაკუთრებით გაიზარდა თანამედროვე ქართული პროზის ხვედრი მრავალეროვან საბჭოთა მწერლობაში. ნ. დუმბაძემ 70-იან წლებს „ქართული პროზის რენესანსი“ უწოდა და ქართული თეატრის, კინოს, მუსიკისა და ფერწერის „განსაკვივრებელი აღიარება მსოფლიო მასშტაბითაც“ კი ქართულ ლიტერატურას დაუკავშირა. დღეს ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი“ და ჯ. ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, რომლებიც შორს გასცადა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს ისე, როგორც თავის დროზე კ. გამსახურდიას, კ. ლორთქიფანიძის, ლ. ქიაჩელიძის, გ. აბაშიძისა და სხვათა რომანები, აღიარებულია მთელი მრავალეროვანი საბჭოთა მწერლობის წარმატებად. ნიშნულია, რომ სწორედ

2. მ ა ე ნ ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 4

ქ. შარაძის სახ. სახ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ა ბ ს ლ ა თ ო რ ე ა დ

ნ. დუმბაძისა და ქ. ამირეჯიბის რომანებისა და გმირების ცხოველყოფილების საიდუმლოება ეროვნულობაშია. მათში ადვილად შეინიშნება პლასტიკი, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ცოცხლობს ქართველი ხალხის სულიერ და მატერიალურ კულტურაში.

ამგვარად, ქართული მწერლობა, რომელიც საბჭოთა ეპოქაში ვითარდება მრავალეროვან საბჭოურ ლიტერატურათა დიდ ოჯახში, მოძმე ხალხთა ერთობლობასა, ძმობასა და თანამეგობრობაში, ახალ დიდ წარმატებებს აღწევს.

„მთელი ჩვენი საბჭოთა ეპოქის მთელი განვითარების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ერთმანეთს, მით უფრო ვმდიდრდებით ყოველი ჩვენგანი, რაც უფრო ძლიერდება და ღრმავდება ურთიერთზემოქმედება, მით უფრო მკაფიო და სისხლბორცეულით სავსე ხდება ყოველი ჩვენი ეროვნული ლიტერატურა. მთელი ჩვენი საბჭოთა ეპოქის მანძილზე არამცთუ არ შეგვიმჩნევია რაიმე ნიშნები ეროვნულ ენათა და ლიტერატურათა გაქრობისა, მათი შედუღებისა, არამედ პირიქით — ჩვენ თვალწინ აღმოცენდა და განმტკიცდა ათეული ახალი დამწერლობანი, ახალი ლიტერატურანი, რომლებიც კანონიერად იწოდებიან ოქტომბრის პირშეობად“ (ბ. ელენტი. 9).

ლიტერატურა

1. თევზაძე დ., თანამედროვე ქართული მწერლობის საკითხები, თბ., 1962.
2. კაჭარავა ი., ლენინი და ქართველი ინტელიგენცია, თბ., 1980.
3. Плоткин Л., Советская литература, Краткая литературная энциклопедия, т. 6, 1971.
4. შერკვილაძე გ., თანამედროვე ქართული რომანი, თბ., 1965.
5. სსრ კავშირის მწერალთა კავშირის მესამე პლენუმის პრეზიდიუმის მისალმება, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1936, 12 მარტი.
6. Ломидзе Г., Единство и многообразие советской литературы (1932—1941), История советской многонациональной литературы, т. 2, книга I, М., 1971.
7. ციტირებულია ბ. ნევსკაიას წერილიდან: „წიგნი სუნთქავს პოეზიითა და მიწის სურნელით“, „ლიტერატურული გაზეთი“, 1960, 15 იანვარი.
8. ირაკლი აბაშიძის სიტყვა საბჭოთა მწერლების მეორე საკავშირო ყრილობაზე, „ლიტერატურული საქართველო“, 1955, 7 იანვარი.
9. ბ. ელენტი, შევექმნათ მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურის ისტორია (მოხსენების გადამუშავებული სტენოგრაფია მოსკოვში გორკის სახ. მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ საკავშირო თათბირზე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1962, 5 იანვარი.
10. ლომიძე გ., საბჭოთა ლიტერატურის თეორიის პრობლემები, თბ., 1977.
11. ბრეჯნევი ლ. ი., სკვპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას, თბ., 1971.
12. შევარდნაძე ე., საუბარი „ლიტერატურაზე ობობრენიეს“ კორესპონდენტთან, აღმანახი „კრიტიკა“, 1979, № 3.
13. ლუკონინი მ., ჩანაწერები საქართველოზე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1981, 20 მარტი.
14. შევარდნაძე ე., „ერთი და მისი კულტურა“, გაზ. ლიტერატურული საქართველო, 1 ოქტომბერი, 1982.

მარინე ბაქიტაძე

მოტივთა გუნდებისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

მწერლის შემოქმედებაში მოტივთა ურთიერთმიმართებაზე მსჯელობისას საჭიროა განიმარტოს, თუ რა იგულისხმება მოტივის ცნების ქვეშ. ამ წერილში ჩვენ გამოვდივართ მისი გარკვეული გაგებიდან, რომლის მიხედვითაც მოტივი არის ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც დასაბამს აძლევს შესატყვის მხატვრულ შინაარსს. მოტივით არის განსაზღვრული მხატვრული შინაარსის ასეთი გაშლისაკენ წარმართული დინამიკა. ის ფაქტი, რომ საქმე შეეხება სწორედ მხატვრული შინაარსის დასაბამ თემას, იქიდანაც ჩანს, რომ თვით მოტივის ხშირად, როგორც თემის ზოგად აზრს, მხატვრული ფორმა აქვს. მაგ., ა. ვესელოვსკი მოტივის ცნებების ქვეშ გულისხმობს უმარტივეს თხრობით ერთეულს, რომელიც ხატონად უპასუხებს პირველყოფილი ადამიანის მოთხოვნილებებს¹.

მოტივი შეიძლება განმეორდეს მრავალ ნაწარმოებში და ძალიან ხშირად, როგორც ეს განსაკუთრებით ლიტერატურის განვითარების ადრეულ საფეხურზე ხდებოდა, პერსონიფიცირებული ხატის სახით წარმოდგეს. ხატის სახით მოტივი ქართულ ხალხურ ზღაპრებში მოცემულია, მაგ., დევის სახით, რომელიც ასახიერებს ბოროტ ძალას და მთელი რიგი ზღაპრების სიუჟეტის დინების სათავედ იქცევა.

პერსონიფიცირებული ხატის სახით მოტივი გვხვდება აგრეთვე ახალ მხატვრულ ლიტერატურაში. მაგ., მკვლევარი გრ. კიკნაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვაჟას შემოქმედებაში გვხვდება ზოგიერთი მოტივის პერსონიფიცირების შესაძლებლობა. მაგ., ყველა კეთილშობილ, შურისძიებისაგან განთავისუფლებულ ვაჟაკის სახეს შეიძლება ვუწოდოთ გოგოთურის მოტივი. ასევე ვაჟას შემოქმედებაში მამაცური ბუნების გამოვლინება მკვლევანდება ზვიადაურის მოტივი².

მაგრამ ხატოვანი ბუნება არ არის მოტივის მთავარი და აუცილებელი ნიშანი. მოტივს შეიძლება ახასიათებდეს ასევე შინაარსობრივ დამოკიდებულებათა სიუჟეტ და პრობლემური ხასიათი. ასეთ შემთხვევაში მოტივი პრობლემის მხატვრული საშუალებით გახსნას და სიუჟეტის გაშლას ემსახურება და მას შესატყვისი ემოციური დატვირთულობაც ახასიათებს. სწორედ ასეთი მოტივი აძლევს ლიტერატურას იმ ხასიათს, რის გამოც შეიძლება შემდეგში მისი მრავალნაირი ინტერპრეტაცია.

ასეთ, პრობლემის თვალსაზრისით მდიდარ მოტივს წარმოადგენს ვაჟას შემოქმედებაში პატრიოტული მოტივი, რომლის ბუნებაზეც და რომლის კავშირზეც შურისძიების მოტივთან გვინდა შევჩერდეთ ამ წერილში.

¹ А. Веселовский, Историческая поэтика, Ленинград, 1940, стр. 494—495.

² გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა, ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1978, გვ. 158.



პატრიოტული მოტივი, ერთი მხრივ, ძალიან საინტერესო პრობლემას წარმოადგენს და, მეორე მხრივ, ემოციურად განსაკუთრებით დატვირთული ამბებითა და შინაარსით თითქოს განსხვავებული ნაკადების საწყისად იქცევა. პატრიოტული სიუჟეტის შინაგანი ლოგიკა და ემოციური ბუნება ისეთ პრობლემად დგას და ისეთ მრავალფეროვან თემათა მოცემის შესაძლებლობას იტევს, რომ ერთი, უფრო ზერეულე, შეხედვით არც ჩანს, რომ საქმე ყოველთვის პატრიოტიზმს შეეხება. მაგ., პატრიოტიზმის გახსნის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს თემისა და პიროვნების ურთიერთობის თემატიკა, ყველა შემთხვევაში თემისადმი ერთგულების მოტივი; მეორე შემთხვევაში, პატრიოტიზმი მიუღებელი სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობს. პატრიოტიზმი არის ისეთი მოტივი, რომელიც მრავალ მოტივს აერთიანებს, დასაბამს აძლევს მრავალ თემატურ ნაირსახეობას და შეიძლება ყველაზე უფრო ამართლებს იმ დებულებასაც, რომ მხატვრული სიტყვეერება ხატებით აზროვნებაა.

ასეთი ვითარება შესაძლოა იმიტომ, რომ პატრიოტიზმი სრულიად განსხვავებულ შინაარსს ატარებს იმისდა მიხედვით, თუ რა საზოგადოებრივი წყობილების, რა სოციალურ-ეკონომიკური პირობების საფეხურზე არის ის მოცემული. ეს განსხვავება ისეთი ხასიათისაა, რომ პატრიოტიზმის შინაარსი, როგორც ვთქვით, ხშირად კიდევ უპირისპირდება ერთმანეთს.

არა მარტო იმ საზოგადოებისადმი დამოკიდებულება, რომელსაც ეკუთვნის გმირი, სრულიად განსხვავებულია პატრიოტული განცდის განვითარების სხვადასხვა ისტორიულ პირობებში, არამედ გარკვეულ ფსიქოლოგიურ პროცესთა, ფსიქოლოგიურ განცდათა თითქოს ცხადი და გამოკვეთილი შინაარსი ასევე განსხვავებულ სახეს იღებს. მაგ., ისეთი ფსიქიკური ემოცია, როგორც არის შურისძიების გრძნობა, პატრიოტიზმის შინაარსის ცვლასთან ერთად თავისი განცდისეული რაობით განსხვავდება ერთმანეთისაგან და ურთიერთგამომრიცხავ ხასიათსაც კი ატარებს. სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობასთან დაკავშირებით საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე შურისძიება მართლმსაჯულების როლში გამოდის და ამის გამო ის არ შეიძლება უარყოფით ემოციას წარმოადგენდეს, როგორც ამას ახლანდელი გაგებითა აქვს ადგილი.

რა და რა სახეს იღებს პატრიოტიზმი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესატყვისად?

რომ ავიღოთ პატრიოტიზმი, როგორც სუბიექტური განცდა, როგორც გარკვეული განცდისეული კატეგორია, ვითარება უფრო მარტივ შინაარსს შეიცავს. ასეთი განცდის კლასიკური ნიმუში ქართულ ლიტერატურაში არის რაფიელ ერისთავის ლექსი „სამშობლო ხევსურისა“.

ამ განცდის უცვლელ ზოგად მომენტს ძალიან კარგად ასახავს ალ. გრიბოედოვის სიტყვები: „И дым отечества нам сладок и приятен“. ვ. ი. ადამიანს უყვარს თავისი სამშობლო ასეთი, როგორც ის არის და რომელსაც ის შეეზარდა. ეს არის ის უცვლელი ნიშანი, რომელიც განცდისეულ მომენტს შეადგენს, მაგრამ განცდისეული ასპექტით არ შეიძლება შემოისახლდეს პატრიოტიზმის შესწავლა.

პატრიოტიზმი, ამ ცნების ნამდვილი მნიშვნელობით, წარმოადგენს სოციალურ კატეგორიას და, როგორც ასეთი, ექვემდებარება ისტორიულ განვითარებას. სწორედ ამიტომ სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე ის განსხვავებულ

შინაარსს იძენს. ამასთან დაკავშირებით მას განსხვავებული ეთიკურ-ზნეობრივი საზომიც შეიძლება ახასიათებდეს. ამდენად, პატრიოტიზმი, როგორც სოციალური კატეგორია, გულისხმობს აგრეთვე ეთიკური პრინციპის ისტორიულად ცვალებად ხასიათს.

კლასობრივი საზოგადოების და, ამრიგად, სახელმწიფოებრივი წყობილების პირობებში პატრიოტიზმს სხვა ხასიათი აქვს, ვიდრე კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებამდე.

საზოგადოებრივ ფორმაციათა ისტორიაში აღრეულ საუბურზე გვხვდება გვაროვნული საზოგადოება, რომლის წევრთა შორისაც სისხლით ნათესაურია კავშირის მომენტები ჯერ კიდევ შემორჩენილია. შემდეგ მოხდა გვართა გაერთიანება, რომელიც თემის ან ფრატრიის სახელწოდებითაა ცნობილი. ვინაიდან გვაროვნული და თემური საზოგადოების ის დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ჩვენთვის არის საინტერესო, ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ არ გამოეყოფთ მათ და შევჩერდებით მათი ყოფის ზოგად თავისებურ რეალიებზე. კაცობრიობის ისტორიის ამ ეტაპზე ხალხთა ცხოვრების პირობები არ იძლეოდა საზოგადოების ფენებად დიფერენციაციის შესაძლებლობას თუ აუცილებლობას.

უპირველესი ნიშანი გვაროვნულ-თემური საზოგადოებისა არის ის, რომ ამ საზოგადოებრივ ფორმაციაში ძირითადად არ არსებობს კერძო საკუთრება. ამის თაობაზე ფ. ენგელსი შრომაში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ“ აღნიშნავს: „...საოჯახო მეურნეობას ხომ მთელი რიგი ოჯახები ერთად და კომუნისტურად ეწევიან, მიწა მთელი ტომის საკუთრებაა, მხოლოდ პატარა ბაჩხები აქვთ მათ დროებით სარგებლობაში გადაცემული საოჯახო მეურნეობისათვის, მაგრამ მმართველობის ჩვენი გაბერილი და რთული აპარატის ნიშან-კვალიც კი არ ჩანს“³. როდესაც ბერძნული გვარისათვის დამახასიათებელ ნიშნებს განიხილავს, ფ. ენგელსი იმეორებს ჯ. გროტის ცნობას იმის შესახებ, რომ ამ გვარს ქონებაც საერთო ჰქონდა, მაგრამ მცირე ნაკვეთებზე პირადი საკუთრების უფლება მათთან ნებადართული იყო.

ახლა შევხედოთ, თუ რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით კავკასიის თემურ საზოგადოებაში. მ. კოვალევსკის ცნობით, ხევსურების პირად საკუთრებას მხოლოდ თავიანთი შრომის შედეგად გაწმენდილი „ახოები“ შეადგენდა. მაგრამ მიწის დამუშავება თავისთავად უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდა ამ კუთხეში გავრცელებული მეურნეობისა⁴. ამავე ცნობას გვაწვდის ქართველი ეთნოგრაფი ს. მაკალათია⁵.

პროდუქციის თანაბარი განაწილება გამორიცხავდა თემის წევრთა შორის ქონებრივი დიფერენციაციის წარმოშობას და, ამრიგად, საზოგადოების წევრთა დაყოფასაც ურთიერთსაწინააღმდეგო კლასებად.

ამგვარად, გვაროვნულ საზოგადოებაში გამორიცხულია ცალკეული წევრების ვალდატყეობისა და ექსპლოატაციის შესაძლებლობა.

კოლექტივის წევრთა თანაბარუფლებიანობა თავისთავად განსაზღვრავს თემური საზოგადოების მმართველობაში დემოკრატიული საწყისის არსებო-

³ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ, წიგნი: კ. შარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, თბილისი, 1950, გვ. 225.

⁴ Ковалевский М., Закон и обычай на Кавказе, Москва, 1890, т., გვ. 242.

⁵ ს. მაკალათია, ხევსურეთი, თბილისი, 1935, გვ. 27.

ბას, როგორც ფ. ენგელსი შენიშნავს, იროკეზთა ტომში „...ყველა უთანხმოებას და დავას წყვეტს იმათი კოლექტივი, ვისაც ეს ეხება... ყველა საკითხს თვითონ დაინტერესებული პირები წყვეტენ“⁶.

ამისდა მიხედვით გვაროვნულ-თემურ საზოგადოებაში მოქმედებდა დაუწვრთელი, მაგრამ ძალიან ძლიერი კანონები, რომლებიც ყველა მისი წევრისათვის საერთო იყო და რომელიც მათი ცხოვრების მარეგულირებელ ნორმებს შეადგენდა. თითოეული ქცევის ასეთი ნორმა თვით თემისავე კეთილდღეობასა და სიძლიერეს ემსახურებოდა. სწორედ ეს განსაზღვრავდა მათ წარმოშობასა და განმტკიცებასაც ამ საზოგადოებაში.

მაგ., მძარცველური თავდასხმები სხვა თემებზე საპატიო და საგმირო საქმედ ითვლებოდა. ვინაიდან ის საკუთარი თემის გაძლიერებას ემსახურებოდა, ხოლო თვით თემის წევრებს შორის მიტაცება და ქურდობა დიდ სამარცხვინო საქმედ იყო მიჩნეული. ფ. ლეონტოვიჩი აღნიშნავს, რომ «Воровство и хищничество играют важную роль в жизни горца... Предания осетин, чеченцев и других горцев яркими красками рисуют древний быт горцев, подчинявшихся требованиям адата лишь в тесных родовых кругах и считавших хищничество вполне законным в отношении к чужеродцам»⁷.

იმ ფაქტზე, რომ მეზობელი ტომების საქონლის დატაცება თემის ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარეობდა, ს. მაკალათია საგანგებოდ ჩერდება თავის ნაშრომში „ხევსურეთი“⁸. სწორედ ამის გამო აღიქმებოდა მეზობელ ტომთა მძარცველი გმირად, ხოლო ძარცვა ხალხის გმირული სულის გამოსაბრძმედ საშუალებად.

ვაქას პერსონაჟთა სამოქმედო არე მთაა, მთა — დასახლებული ერთმანეთისაგან განცალკევებული წვრილი ტომებით, რომლებსაც მძიმე ეკონომიკურ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. მიწა აქ მწირია და მოუსავლიანი. ამიტომაც მოსახლეობა ძირითადად მესაქონლეობას მისდევს. ამავე დროს მეურნეობის ერთი და იგივე სახეობა ნაკლებად იძლეოდა თემებს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლის შესაძლებლობას. თემს არ გააჩნდა ისეთი ეკონომიკური ძალები, რომლებსაც შეიძლებოდა დაყრდნობოდა მისი მატერიალური კეთილდღეობის ზრდა. ასეთ შემთხვევაში თემებს შორის საქონლის მიტაცებები ისეთივე როლს თამაშობდა, როგორც ეკონომიკური ვითარებებით გამოწვეული ომები დიდ სახელმწიფოებს შორის.

პრობლემა მქლავდება პოემა „ალუდა ქეთელაურში“ წარმოდგენილ ვითარებაში. მუცალისა და ალუდას შეტაკების მიზეზია პირველის მიერ ალუდას სოფლიდან ცხენების გატაცება. ერთი შეხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მუცალმა ვაჟკაცისათვის უღირსი საქციელი ჩაიდინა, რომ იგი, შეიძლება ითქვას, მიმტაცებელი და მძარცველია. ამავე დროს ნაწარმოებს დღედებითი გმირი, სწორედ ის, ვინც მისგან დაზარალდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დაუნდობელი ბრძოლაა, სცნობს და აღიარებს მის ღირსებას. უფრო მეტიც, ალუდა აღტაცებაში მოჰყავს მუცალის პიროვნებას. ამიტომაც დასტირის მოსისხლის გვამს და მის გამო სარწმუნოებრივი სამართლის ნორმისაც კი არღვევს.

⁶ ფ. ენგელსი, დასახ. ნაშრომი, გვ. 250.

⁷ Ф. Леонтович, Ада́ты кавказских горцев, Москва, вып. 1, 1982, გვ. 19.

⁸ ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

სწორედ აღნიშნული სოციალური მიზეზები და პირობები ხდის გასაგებ-
სა და გამართლებულს იმ ფაქტს, რომ ვაჟას ნაწარმოებებში პერსონაჟთა ურ-
თიერთდამოკიდებულება რაინდულ სულისკვეთებას ამჟღავნებს, მიუხედავად
იმისა, რომ მათი შებმის საფუძველი დატაცებაა.

გმირი არ უთვლის სხვა თემის წევრ გმირს დანაშაულად ისეთ ქცევას,
რომელიც გარკვეულ სოციალურ ფუნქციას ასრულებს, ე. ი. იმ სოციალური
ერთეულის არსებობასა და კეთილდღეობას ემსახურება, რომლის წევრსაც ის
წარმოადგენს. თვითონ ისიც თავის საპატიო მოვალეობად მიიჩნევს თავისი თე-
მისათვის სხვა თემიდან საქონლის მოტაცებას.

ამ ვითარებამ განაპირობა ალუდასა და მუცალის ურთიერთობით შექმნი-
ლი საინტერესო ფსიქოლოგიური სიტუაცია. ორივე გმირს თავის წმინდა მო-
ვალეობად მიაჩნია თემს დაეხმაროს ეკონომიკურ მოღონიერებაში მტრული
თემისაგან საქონლის მოტაცების გზით. სწორედ ამიტომაც, რომ, მიუხედავად
მათი ინტერესების დაპირისპირებისა, თითოეულ მათგანს შესწევს უნარი პა-
ტივისცემა და თანაგრძნობა იგრძნოს ერთმანეთისადმი. მუცალს უნდა, რომ
მისი თოფი დარჩეს ალუდას, ალუდა კი კლავს მას და ამავე დროს დასტირის.

ამ ვითარებით აჩსნება ისიც, რომ თემს, როგორც სოციალურ ერთეულს,
აღარ მოსწონს ასეთი ზედმეტი გრძნობისა და შეცოდების გამოძღვანება
მტრისადმი. ეს უკვე საფრთხეს უქმნის მათი სოციალურ-ეკონომიკური პირო-
ბებით შექმნილი ადათების დაცვის საქმეს.

აი, სწორედ ამ პირობებში თავისებურ შინაარსს იღებს შურისძიების აქ-
ტი, როდესაც ის საზოგადოებრივი ერთეულის, ამ შემთხვევაში თემის, ინტე-
რესებს ემსახურება. ალუდა შურს იძიებს მუცალზე როგორც თემის წევრი.
იგი თემის წინაშე ვალდებულია დამტაცებლებზე შური იძიოს და ამ გზას
ალუდა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიმართავს. ამავე დროს მის არსებობაში
შურისძიების სურვილს კიდევ უფრო უნდა აღრმავებდეს პირადი ინტერესი,
ვინაიდან მისი საკუთრებად ერიო მტრის მიერ დატაცებულ რეზაში. და თით-
ქოს ეს მომენტები უნდა თამაშობდეს ისეთ როლს, რომ ალუდას მტრის ღირ-
სების დანახვა გაუჭირდეს. გმირის პირადი ქონების დაზარალების ფაქტს სპე-
ციალურად აღნიშნავს მწერალი იმისათვის, რომ უფრო მეკეთრად გაუსვას
ზაზი მის ღირსებას. ალუდას პიროვნებაში ლაპარაკობს სამართლიანობის
გრძნობა: არ ჩაუთვალოს მტერს პიროვნულ უზნეობად ის საქციელი, რის უფ-
ლებასაც საკუთარ თავს მისცემდნენ როგორც თვითონ, ისე მისი თემის წევრე-
ბიც. ამიტომ არის ვაჟასათვის ალუდა დადებითად გამორჩეული ტიპი. ალუდა
სამაგიეროს უხდის მუცალს, როდესაც დაედევნება მას. შურს იძიებს მასზე,
მაგრამ ამავე დროს არავითარი უარყოფითი გრძნობა არა აქვს მუცალისადმი.
სწორედ ამიტომ მათი ბრძოლა უფრო ჰგავს რაინდთა ორთაბრძოლას და არა
მომტაცებელზე გააფთრებული დაზარალებულის შურისძიებას. ამრიგად, სო-
ციალური მოტივებით, უფრო ზუსტად, საკუთარი თემის კეთილდღეობისათვის
ზრუნვით შეპირობებული შურისძიება დადებითი ხასიათის ზნეობრივ საქციე-
ლად განიცდება. ამ შემთხვევაში შურისძიება თემის საერთო მიზნებს ემსა-
ხურება და არა პირადი უარყოფითი და არასაპატიო ემოციის გამოვლენაა.
სწორედ ამას ვგულისხმობდით, როცა ვამბობდით, რომ შურისძიება, როგორც
ფსიქოლოგიური განცდა, სხვადასხვა შინაარსით იტვირთება საზოგადოების
განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, ამ საფეხურზე მოცემული პატრიოტული განცდის

ძირითადი თავისებურება. არავითარ შემთხვევაში მოკვეთილი. თემიდან უსამართლოდ განდევნილი ალუდა საყვედურის უფლებასაც არ აძლევს ოჯახის წევრებს:

„—დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,
მოდით, მამყვეით, ვიღინოთ,
ღმერთმ ეს გვიარგუნა ბედადა,
ჯეარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყვეთ,
ნუ გაღიქცევეთ ცეცხლა“⁹.

ყველგან ამ საფეხურზე პირადი უკმაყოფილება და ბრძოლაც თემის წევრებთან გამოირიცხავს გმირისათვის თემის, როგორც ასეთის, წინააღმდეგ გამოსვლას.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით აგრეთვე ვაქვას მეორე პოემაც „სტუმარ-მასპინძელი“. ჯოყოლა, როდესაც გაიგებს, რომ მისი სტუმარი ქისტეთის მოსახლე მტერია, არ ამბობს უარს შურისძიებაზე:

„მე გთხოვ, გაუშვა, მუსაო,
ნუ სტანჯავ უღიერადა;
როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
იქ მოეპყარით აველა“¹⁰ —

მიმართავს იგი მომხდურთა წინამძღოლს.

როგორც ვრ. კიკნაძე აღნიშნავს, ჯოყოლა ამ შემთხვევაში ცნობს იმ ადათს, რომლის თანახმად ოჯახიდან გასული სტუმრის მიმართ ისევ ძალაში შედის სისხლის აღების მოთხოვნა¹¹. ამავე დროს იგი იცავს ასევე მის თემში გავრცელებულ არანაკლები მნიშვნელობის მქონე ადათს — ესაა სტუმარმასპინძლობის ადათი, რომლის მიხედვითაც მასპინძლის წმიდათაწმიდა მოვალეობაა სტუმრის დაცვა. ამას მოწმობენ ჯოყოლას შემდეგი სიტყვები:

„—რას სჩადით? — შემოუძახა:
ვის სტუმარს ჰმოჭავთ თოკითა.
რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?“

ანდა:

„ვის ვაუყვიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?
* * * * *
თვის რჯული დაგვიწყებიათ,
მიტომ იქცევეთ მცდარადა“.

ამგვარად, პოემაში ერთმანეთს ემთხვევა ორი ურთიერთსაპირისპირო ადათის შესრულების აუცილებლობა. ეს ვითარება კი წარმოქმნის კონფლიქტს თემსა და მის წევრს შორის. ამის თაობაზე ვრ. კიკნაძე შენიშნავს: „საკმეის არის, რომ თვით თემი შეიცავს ერთიმეორისადმი დაპირისპირებულ, შეუთანხმებელ ტრადიცია-ადათებს. აქ ჩვენ ვხედავთ, რომ თემს არ უქისრია ისეთი პოზიტიური სამართლის მიწოდება, რომელიც უზრუნველყოფდა მოსა-

⁹ ვაქო - ფ შ ა ვ ე ლ ა, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III, თბილისი, 1964, გვ. 74.

¹⁰ იქვე, გვ. 217.

¹¹ ვრ. კიკნაძე, ვაქა-ფშაველას ხუთი პლემა, გვ. 161.

ხლეობის ნორმალურ სოციალურ ცხოვრებას. ვაჟა გვიჩვენებს, რომ გარკვეულ სიტუაციაში ურთიერთშეთანხმებული დადებითი ადათი თემს არ მოეპოვება და ეს იწვევს პიროვნების ტრაგედიას. ამიტომ საკითხი ისე კი არ შეიძლება გაშუქდეს, რომ თემს ებრძვის პიროვნება, არამედ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თვით თემი „ებრძვის“ საკუთარ თავს, თვით იგია გაორებული. თვით თემშივე მოცემული შინაგანი წინააღმდეგობა.

ეს წინააღმდეგობა იმ ხარვეზში იჩენს თავს, რომელიც თემის ადათობრივი სამართლის სისტემაში არსებობს. ვაჟას გმირებისათვის არ არის ცნობილი ადათი, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი მაშინ, როდესაც მტერი სტუმრადაა. ამ შემთხვევაში რომელს მისდიოს მან — სტუმართმოყვარეობის თუ სისხლის აღების ადათს?¹² ამ ვითარების ფონზე იკვეთება მწერლის დამოკიდებულება შურისძიების ფაქტისადმი. ჯოყოლასაც, ისევე როგორც ალუდა ქეთელაურს, მეტი საფუძველი გააჩნია იმისა, რომ გაუჭირდეს თავშეკავება სასტიკი შურისძიებისაგან. მაგრამ ვიდრე ჯოყოლა გაიგებდა, რომ მისი სტუმარია ზვიადაური, ის მოიხიბლა მისი პიროვნებით. ამასთანავე ჯოყოლა იცებს, რომ ზვიადაური მისი ძმის მკვლელია. ეს ფაქტი კი უთუოდ ქმნის იმის საფუძველს, რომ მისი დამოკიდებულება სტუმრისადმი მკვეთრად შეიცვალოს და უარყოფითი სახე მიიღოს. ჯოყოლას მით უმეტეს უნდა აღეძრას ზვიადაურის დასჯის სურვილი. მწერალმა კი სწორედ იმას გაუსვა ხაზი, რომ მის მიერ დახატული კეთილშობილი პიროვნება არ აწყვა პირადი შურისძიების გრძნობას და თემისგანაც სტუმარმასპინძლობის ადათის დაცვა მოითხოვს.

ამგვარად, ამ წინააღმდეგობის ფონზე, რომელიც ჩნდება თემში ორი ადათის დამთხვევის გამო, იკვეთება კეთილშობილი პიროვნება, რომელიც განთავისუფლებულია პირადი შურისძიების გრძნობისაგან; და თუ თანახმაა დაუშვას მოსისხლეზე შურისძიება, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ საკუთარი თემის ინტერესები დაიცვას, შეასრულოს იმ სოციალური ერთეულის ფუნქცია, რომლის წევრსაც თვითონ წარმოადგენს. თანამომეტყაგან ზურგშექცეული ჯოყოლა ისევ და ისევ საკუთარი თემის მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში იღუპება.

ამგვარად, ვაჟა-ფშაველამ პოემების „ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის“ მიხედვით გვიჩვენა, თუ როგორ თავისუფლებიან კეთილშობილი პიროვნებანი პირადი შურისძიების გრძნობისაგან, მაგრამ არასოდეს უკან არ იხევენ, როდესაც შურისძიების აქტს ჭაბუკან საკუთარი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ.

აღნიშნულ ვითარებას განაპირობებს ის გარემოება, რომ შესატყვისი ოჯახურ-გვაროვნული ნიშნები შემონახულია ამ საზოგადოებაში და ამიტომ მისი წევრების ურთიერთობა თემთან სულ სხვაგვარ ხასიათს ატარებს. ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა მისი წევრი ისე დაპირისპირებოდა თემს, რომელშიც ის ცხოვრობს, რომ ამის გამო მთლიანად არ დარღვეულიყო თემისა და მისი წევრის არსებობის შესაძლებლობა. ამიტომ აქ წევრი სწირავს თავს მაშინაც, როდესაც მას ოპოზიციაში უდგას. ალუდა თემის მიმართ საყვედურის წარმოთქმის ნებას არ აძლევს თავისი გაუბედურებული და განდევნილი ოჯახის წევრებს. ასევე ჯოყოლა თავს სწირავს მისდამი მტრულად განწყობილ თემს. სწორედ ამიტომ ჯოყოლასა და ალუდას ტრაგიკული ბედი გაცდება თემისა და

¹² გრ. კ ი კ ნ ა ძ ე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისი, 1957, გვ. 74.

პიროვნების დაპირისპირების პრობლემას, როგორც ამაზე მიუთითებს მკვლევარი გრ. კიენაძე. მისი აზრით, საქმე შეეხება თვით საზოგადოებაში წამოჭრილ წინააღმდეგობას და ურთიერთდაპირისპირებას. კეთილშობილი გმირები ამ ურთიერთდაპირისპირებულ ადათთა შორის ირჩევენ უფრო მაღალი ზნეობრივი პრინციპის განმასხვრციელებელ ნორმას ანდა იბრძვიან უღირსი ადათის (ხელის მოჭრა) კანონად გადაქცევის წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს თემის, როგორც ასეთის, ერთგულნი რჩებიან. მათი პატრიოტიზმი თემური წყობილების შესატყვის ხასიათს ატარებს და არავითარ შემთხვევაში არ უპირისპირდება თემს, როგორც ასეთს, სწორედ ამიტომ ჯოჯოლასა და ალუდას ბრძოლა მაღალი პატრიოტული ქცევის შესანიშნავი ნიმუშია.

საინტერესოა, რომ ანალოგიურ ფაქტებს ვხვდებით ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში.

პლატონის „კრიტონში“ სოკრატე უარს აცხადებს ვაპარვაზე, რათა სიკვდილის განაჩენი აიცილნოს თავიდან. მას არ უნდა იმ სახელმწიფოს კანონის დარღვევა, რომლის წინააღმდეგ გამოსვლისთვისაც მას სიკვდილი მიუსაჯეს. მისთვის სამშობლო და სახელმწიფო მტრებსები იდენტური ცნებებია. ამის თაობაზე „კრიტონის“ კომენტარებში ა. ლოიჯი სავანგებოდ მიუთითებს: «Государственные законы, а также само государство и общество мыслятся платоновским Сократом как нечто родное для отдельных граждан, как их дорогие родители, с которыми у отдельных граждан сохраняется теснейшая связь»¹³.

სწორედ ამიტომ სოკრატე კანონების პირით ასე ეუბნება კრიტონს: «ძმა რომ გყავდეს, ანდა ბატონი, ხომ ვერ გაბედავდი თავი გავეტოლებინა მათთვის და რა შეურაცხოფაც უნდა მიეყენებინათ, შეურაცხოფითვე გადაგვხალა სამაგიერო: ლანძღვა-გინებისათვის — ლანძღვა-გინებით, ცემისათვის — ცემით და ა. შ. ხოლო მამულსა და კანონებს, შენ გგონია, უფლება გაქვს, როგორც გინდა ისე მოექცე და შენი ნება-სურვილისამებრ მაგაც სანაცლო? ...ომში იქნება, სამსჯავროში თუ სადაც გნებათ, ყველგან უყოყმანოდ უნდა შეგასრულოთ სამშობლოსა თუ სახელმწიფოს ბრძანება»¹⁴.

ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ბერძნულ პოლისებში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი თემური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშნები.

ფ. კესიდი შენიშნავს, რომ „პოლისური დემოკრატიის განმასხვავებელ ნიშანს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ხასიათთან ერთად წარმოადგენს საზოგადოებრივი ინტერესების პირველადობის აღიარება კერძო ინტერესებთან შედარებით და აგრეთვე პოლისის მოქალაქის საზოგადოებრივი ბუნების მაღალი შეფასება. პოლისური დემოკრატიის თვალსაზრისით ადამიანის საზოგადოებრივი არსი და საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესობის პრინციპი პირადალთან შედარებით გულისხმობს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას ზოგადსახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტაში. განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა, რომ პოლისში იზღუდებოდა ქონებრივი დიდურენციაცია, და ამის წინააღმდეგ გარკვეულ ზომებსაც მიმართავდნენ. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა ქონებრივი უთანასწორობის წარმოშობა, სპარტის სახელმწიფო დაბრკოლებას უქმნიდა ვაჭრობისა და ხელოსნობის გან-

¹³ Платон, Сочинения в трех томах, под общей редакцией А. Лосева и Ф. Асмуса, т. I, комментарии, Москва, 1971, гл. 622.

¹⁴ პლატონი, კრიტონი, „განთავი“, 1976, № 1, გვ. 86.

ვითარებას, ფუფუნების საგნების წარმოებას და სპარტანელთა ყოველი სახის ურთიერთობას სხვა სახელმწიფოს მოქალაქეებთან¹⁵.

ადამიანთა სწრაფვას სიმდიდრის დაგროვებისაკენ ძველი ბერძნები ფსიქიურ დაავადებასაც კი მიაწერდნენ. მათ არ ესმოდათ ამ ფაქტის ეკონომიკური მიზეზები¹⁶.

აქ ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული ისეთი სახელმწიფო სისტემა, რომელიც გარკვეული პრივილეგირებული საზოგადოების ინტერესების დამცველია, თუმცა საამისო ნიადაგი თანდათან მზადდებოდა. ათენის დემოკრატიული სახელმწიფო უკვე იხრწნებოდა. სოკრატე ათენის დემოკრატიული სახელმწიფოს რღვევის ყველაზე უფრო მწვავე პერიოდში მოღვაწეობდა. როგორც ა. ლოსევი შენიშნავს: «На гнилой почве вырождавшейся демократии зародился крайний индивидуализм, всегдашняя уверенность в себе, эгоизм и жажда власти»¹⁷.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე პატრიოტული გრძნობა ასეთ ხასიათს არ ატარებს. „პატრიოტული გრძნობის ცნება, — შენიშნავს გრ. კიკნაძე. — უბრალოდ არ ემთხვევა ეროვნული გრძნობის ცნებას“¹⁸. თვით სახელიც, ე. ი. ეროვნული გრძნობის ეტიმონი, მიუთითებს იმაზე, რომ საქმე შეეხება უკვე ერის ჩამოყალიბების საფეხურს. ერის არსებობის პირობებში საკუთარი ქვეყნისადმი სიყვარული შეიძლება ისეთ ხასიათს ატარებდეს, რომ ერთი შეხედვით ეწინააღმდეგებოდეს იმას, რასაც უფრო ადრეულ საფეხურზე პატრიოტული გრძნობა ეწოდება. საქმე იმაშია, რომ ერის შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს კლასობრივ საზოგადოებასთან და ამრიგად სახელმწიფოებრივ წყობილებასთან, ხოლო კლასობრივი სახელმწიფოს პირობებში, ერთი ერის სხვადასხვა კლასს შორის ბრძოლის პირობებში პატრიოტული გრძნობის შინაარსი აუცილებლობით უკავშირდება ამ ეროვნული ერთეულის პროგრესული მომავლისათვის ბრძოლის პრინციპს. სწორედ ეს ფაქტი ლაპარაკობს პატრიოტული გრძნობის, ერთი მხრივ, ისტორიულ-საფეხურებრივ ხასიათზე, ხოლო, მეორე მხრივ, ღაღადებს იმაზე, რომ პატრიოტული გრძნობა ეთიკური, ზნეობრივი კატეგორიაა. კლასი, რომელიც იბრძვის ბატონობისათვის, თავს არ სდებს იმისათვის, თუ რა არის უკეთესი თავისი ხალხისათვის, როგორც ასეთი, მთლიანი ერთეულისათვის. იგი არ შეიძლება ჩაითვალოს პატრიოტულად მოქმედ კლასად, თუნდაც ბრძოლის დემაგოგიურ პრინციპად მას წინ წამოწეული ჰქონდეს პატრიოტული ლოზუნგი.

აი, სწორედ აქ ჩანს პატრიოტიზმის როგორც მხოლოდ ფსიქოლოგიური კატეგორიის უქმარობა პატრიოტიზმის როგორც სოციალურად გამართლებული ცნების შინაარსთან შედარებით. აი, ეს იგულისხმება იმ დებულებით, რომ პატრიოტიზმი ეთიკური კატეგორიაა და ამავე დროს შეგნების გარკვეული დონესაც გულისხმობს. შეგნების გარკვეული დონის ჩართულობა პატრიოტიზმის ცნებაში სწორედ იმით არის განსაზღვრული, რომ პატრიოტიზმის მოცემულობის საკითხს წყვეტს ის გარემოება, თუ რომელი ქცევაა ქვეყნისათვის პროგრესული და საკეთილდღეო. სწორედ ამიტომ, რომ თავის ქვეყნის განსათავისუფლებლად მოქალაქე-პატრიოტი ებრძვის არა მარტო უცხოელ დამ-

¹⁵ Ф. Кессиди, От мифа к логосу, Москва, 1972, გვ. 20.

¹⁶ იქვე.

¹⁷ პ ლ ა ტ ო ნ ი, დასახ. წიგნი, გვ. 623.

¹⁸ გრ. კ ი კ ნ ა ძ ე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისი, 1957, გვ. 28.

პერობელ ძალას, არამედ თავისი ქვეყნის ხელისუფლებას. ეს ადგილობრივი ხელისუფალნი მისი თანამემამულენი არიან, მაგრამ პატრიოტული პოზიციის პრინციპის მიხედვით შეტევის ობიექტად იქცევიან, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგ., დეკაბრისტთა აჯანყებისას. რუსეთის მოწინავე ინტელიგენციამ მიზნად დაისახა მმართველობის იმ სისტემის შეცვლა, რომელიც ხელს უშლიდა მათი ქვეყნის განვითარებას.

პატრიოტიზმი, როგორც სოციალური კატეგორია, როგორც უკვე ვთქვით, აუცილებლობით შეიცავს თავის თავში მალალ ეთიკურ ნორმებს და ამაღლებულ შინაარსს. ამიტომ სხვა ერის დაჩაგვრა, მასზე გაბატონება თავისი ერისთვის გარკვეული უპირატესობის მისანიჭებლად არ შეიძლება პატრიოტული აქტის პრინციპად ჩაითვალოს. სწორედ ამას გულისხმობს გრ. კიკნაძე, როდესაც წერს: „შეიძლება სულიერი ძლიერების მოთხოვნას დაეუკავშიროთ ვაჟის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ის ნიშანი, რომელიც სხვა ერის წარმომადგენელთაგან პატივისცემაში მდგომარეობს. ვაჟა-ფშაველა ჩერქეზთა მხარეს ქორ-შავარდნების ბუდეს უწოდებს („სისხლის ძიება“), აქებს ჩერქეზ ქიჩირს, ზოლო ქისტ ჭოყოლასა და ქისტ მუცალს თუ რაოდენ ღირსებებს მიაწერს, ეს ყველასათვის უეჭველი და თვალნათლივ დასანახი ფაქტია. თავისი ამგვარი — ეიწორ ნაციონალისტური თვალსაზრისისაგან სრულიად თავისუფალი დამოკიდებულებით ვაჟა არა მხოლოდ საკუთარ, არამედ თავისი ხალხის იმ შინაგან სულიერ თვისებებს წარმოაჩენს, რომელიც დიდი ხნის შემდეგ იმ კალანდაძის პოეტურ სურათშიც გამოვლინდა:

- რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდღავ,
 მათ ვაჟაკობას, ძალას და სიმხნეს?
 მიწა უესიათ მათ ხვესურთ ძვლებით...
 —რას ამბობ, ქალავ, ვაჟაკებ იყვნეს,
 ამლას გაწყვიტეს ბრვე ვაჟაკები,
 ახივლამიცი უზომო ხოცეს...
 —რას ამბობ. ქალავ, ვაჟაკებ იყვნეს,
 —რა ვიცი... ღმერთმა მშვიდობა მოგცეს“¹⁹.

მაგრამ არაიშვიათად დიდ სიძნელეს შეიცავს იმ პრინციპის და კრიტერიუმის დადგენა, თუ რა უნდა ჩაითვალოს ობიექტურად საკუთარი ქვეყნის საკეთილდღეო მოქმედებად. აი, აქ გამოდის წინ პატრიოტიზმის უაღრესად მრავალწახნაგოვანი შინაარსი და მისი სწორად გაგების სირთულე. სუბიექტური თვალსაზრისით შესაძლებელია ერთმანეთის საწინააღმდეგო ქცევა მივიჩნიოთ პატრიოტულად, ზოლო ერთსა და იმავე ქცევას განსხვავებული თვალსაზრისით შევხედოთ იმისდა მიხედვით, თუ რას ჩავთვლით და რა უნდა იქნეს აღიარებული ქვეყნის საკეთილდღეო ნაბიჯად.

ეს ვითარება ძალიან მიგნებულად არის ასახული ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემაში „ბედა ქართლისა“, სახელდობრ, პოემის იმ მონაკვეთში; სადაც პოეტი წარმოაჩენს ერეკლე მეორისა და სოლომონ მსაჯულის კამათს. თითოეული მათგანი სამშობლოს ერთგული მოღვაწეა. მძუნედავად ამისა, ურთულესი ეროვნული პრობლემის გადაჭრისას ისინი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციასზე დგანან. სუბიექტურად ორივე პატრიოტია, ორივეს კეთილშობილი გრძობა და სამშობლოს კეთილდღეობის სურვილი ამოძრავებს. თითოეული მათგანის პოზიცია ამ თვალსაზრისით უპასუხებს პატრიოტიზმის ცნების მოთხოვნას.

¹⁹ გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა, გვ. 150.

მაგრამ ისმის კითხვა, თუ მათ შორის რომელი ცდება, ე. ი. საკითხის გადჭრა რომელი მათგანის მიერ იქნება საკეთილდღეო ქვეყნისათვის. როგორც არ უნდა გადაიჭრას საკითხი, ნამდვილ პატრიოტულ შემართებას ვერც ერთს ვერ წავართმევთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ რთულ სიტუაციაში ძალიან ძნელია გარკვევა, რა ჯობია ქვეყნისათვის: პატრიოტული ასაკითხი აქ უკვე ბრძნული პასუხის მოთხოვნას აყენებს.

ვაჟა გვიხატავს არა მხოლოდ თემის ინტერესებისათვის მებრძოლ გმირებს, არამედ მის შემოქმედებაში ვხვდებით ერთიანი საქართველოს ინტერესებისთვის ბრძოლას და ამ ბრძოლაში მონაწილე გმირთა სახეებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მისი პოემა „ბახტრიონი“, სადაც პოეტმა 1659 წლის კახეთის ცნობილ აჯანყებაში ქართველ მთიელთა ღვაწლი წარმოაჩინა. ამ საკითხზე დაწვრილებით აქ ველარ შეეჩერდებით.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, როგორც ვამბობდით, პატრიოტიზმის მსგავსად შურისძიების გრძნობაც საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე სრულიად განსხვავებული შინაარსით იტვირთება. შურისძიების ის სახე, რომელსაც სისხლის აღება ეწოდება, თავის დროზე მართლსაჩუქლების როლს ასრულებდა და ამდენად საზოგადოების ქცევის მოწესრიგებას ემსახურებოდა. მაშინ, როდესაც არ არსებობდა სახელმწიფო აპარატი, შურისძიება ითვლებოდა სამართლის განხორციელების ერთადერთ საშუალებად. დამნაშავე ისჯებოდა დაზარალებულის ან მისი ნათესაების მხრიდან. შემდგომ სამართლის დამცველის როლი სახელმწიფომ იტვირთა. ამის თაობაზე ელისაბედ ფრენცელი შენიშნავს, რომ სამართლის უქონლობისას, როდესაც სამართლის დამრღვევთა წინააღმდეგ სახელმწიფოებრივი დევნა არ არსებობდა, პირადი შურისგება იყო დაზარალებულთათვის დამნაშავეისათვის პასუხის მოთხოვნის ერთადერთი საშუალება. სახელმწიფოებრივი ცენტრალური ორგანოების წარმოშობამ ხელი შეუწყო იმ წარმოდგენის ჩამოყალიბებას, რომ რომელიმე პიროვნების მიმართ ჩადენილი უსამართლობა წარმოადგენს სახელმწიფოს მიმართ ჩადენილ უსამართლობას და ამით პირადმა შურისძიებამ დაკარგა საფუძველი და ძალა. ხოლო მანამდე უახლოეს ნათესავთა მკვლელობასა და შეურაცხყოფაზე შურისძიება იყო მოვალეობა, დაკანონებული მთელი დასავლური ცივილიზაციის ფარგლებში. ბერძნებთან და რომაელებთან ეს მოვალეობა წმინდად ითვლებოდა და მას საფუძვლად ედო რწმენა, რომ მოკლული ნათესავი მხოლოდ ამ მოვალეობის შესრულების შემთხვევაში თუ მისივე ნებდა.

ამგვარად, შურისძიებას გარკვეულ პერიოდში საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგების მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა. ამიტომაც იქცა იგი აღათობრივი სამართლის ნორმად და რელიგიური სარჩელიც დაედო. ე. ფრენცელი მიუთითებს, რომ ძველ ბერძნებთან და რომაელებთან მას საფუძვლად ედო რწმენა, რომ შურისძიების აქტის განხორციელება მოასვენებდა მოკლულ ნათესავს. ასეთივე რწმენა არსებობდა კავკასიის მთიელ ტომებშიც. ვაჟას შემოქმედებაშიც ვხვდებით ამგვარი რწმენის გამოთხილს. ამის საილუსტრაციოდ საქმარისია ვავისენით ზვიადაურის საფლავეზე დაკვლის სცენა პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“:

„აი საფლავეც ქისტისა,
 ხალხი მოერტყა ვარსაო,

მოლა მოპყვება ლოცვასა,
 იხსენებს თავის მკედარსაო.
 ნუ იტანყები, დარლო,
 ნუ შეიწუხებ თავსაო,
 მოესდქით შენი მოძმენი
 შენის სამარის კარსაო,
 მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე,
 არ გაჭმევთ მტრისა ჯავრსაო²⁰.

რამდენადაც სხვადასხვა ტომში შურისძიების წარმოშობისა და არსებობის განმაპირობებელი საფუძველი ერთი და იგივეა, ამდენად მისი ფუნქციის შინაარსიც ერთია. საზოგადოების განვითარების იმ საფეხურზე, რომელზეც მართლმსაჯულებას უკვე სპეციალური დაწესებულებრივი ფორმა და აპარატი ემსახურება, შურისძიება არსებობს ისეთი გადანაშთის სახით, რომელსაც პირადი გამოროტება კვებავს და რომელიც დანაშაულებრივი და არაზნეობრივი საქციელის წყაროდ იქცევა. ვეჟა-ფშაველამ პოემაში „სისხლის ძიება“ გვიჩვენა საინტერესო გარდამავალი საფეხური, როდესაც შურისძიება არ ატარებს პატრიოტული აქტის ხასიათს და არც პირად გამოროტებას ემსახურება. ამ შემთხვევაში იგი ასრულებს დამსჯელის ფუნქციას იქ, სადაც ამის საზოგადოებრივი აპარატი არ არის მოცემული. ქიჩირი ცეცხლში ჩაითრევა და დაწვავს ასლანის ბავშვებს. ეს არის მისთვის ერთადერთი საშუალება ჩერქეზთა მთავრის დასჯისა. ქიჩირი, ვეჟას დახასიათებით, არ არის უარყოფითი გმირი. ამიტომ მის მიერ ჩადენილი ისეთი საზარელი ქცევა, როგორცაა ბავშვების დაწვა, მხოლოდ და მხოლოდ მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობით აიხსნება.

სხვაგვარი ვითარებაა მოკვეთილში, სადაც პიესის მთავარი პერსონაჟი პირადი შურისძიების გრძნობასაა აყოლილი. ბახას პიროვნებაში ეს გრძნობა შეურაცხყოფილი სიყვარულის ნიადაგზეა წარმოშობილი. მისი საცოლე გაიტაცა ჩონთამ. ბახამ, ერთი მხრივ, დაკარგა ქალი, რომელიც უყვარდა, ხოლო, მეორე მხრივ, იგი თავმოყვარეობაშელახული აღმოჩნდა. ამ ვითარებამ აღუძრა მას შურისძიების ისეთი ძლიერი სურვილი, რომ ამ სურვილმა ის თავიდანვე დანაშაულის გზაზე დააყენა. იმისათვის, რომ ამ აეწიოკებინა ჩონთას ოჯახი და გაეტაცა მშვეინარი, მან დაიხმარა ქისტების რაზმი, უწინამძღვრა მას საკუთარი თემის წევრის წინააღმდეგ.

პირადი შურისძიების გრძნობის აყოლამ შეუქმნა ბახას ასეთი კონფლიქტური ვითარება. ის დაუპირისპირდა იმას, რასაც მისთვის ყველაზე დიდი ღირებულება აქვს: ერთგულებას თავისი თემისადმი. იგი ჯერ მტერს შემოუძღვა საკუთარ მხარეში, ხოლო შემდეგ მისი ტომის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში აღმოჩნდა. შურისძიების გრძნობას აყოლილი ბახა უკვე ვეღარ არჩევს მისალმებას და მიუღებელს პირად მტერთან ბრძოლაში.

ქისტების რიგებში მებრძოლ ბახას გამოაფხიზლებს ის მომენტი, როდესაც მისი თემის დროშა მტერმა უნდა ჩაიგდოს. როცა იგი დაინახავს, რომ მისთვის უწმინდეს ნივთს უნდა შეეხოს მტრის ხელი, იგი უკვე ქისტების წინააღმდეგ აღმართავს მახვილს და ამით საკუთარ თავსაც განაჩენს გამოუტანს. ფშაველების მტრით გარშემორტყმული ბახა აშკარად გამიზნული დაღუპვისკენ გადადგამს ნაბიჯს. ამ ნაწარმოებში მკლავდებდა ის დიდი სხვაობა, რაც პირა-

²⁰ ვეჟა-ფშაველა, თხ., ტ. III, გვ. 220.

დულსა და სოციალური ფუნქციით გაპირობებულ შურისძიების გრძობებს შორისაა. პირადი შურისძიების გრძობამ შინაგანი ლოგიკით აქამდე მიიყვანა გმირი. ამბის განვითარებით მწერალი ამჟღავნებს პირადი შურისძიების ზნეობრივი თვალსაზრისით მიუღებელ ხასიათს. სწორედ აქ მკვეთრად ჩანს განსხვავება, ერთი მხრივ, ალუდა ქეთელაურსა და ჯოყოლას, ხოლო, მეორე მხრივ, ბახას შორის. პირველნი, თემისაგან ზურგშექცეულნი, მაინც მისი მოყვარულნი და დამცველნი რჩებიან. ამიტომაცაა, რომ ეს გმირები სულიერად მაღლდებიან. ხოლო პირად შურისძიების გრძობას აყოლილი პერსონაჟი მარცხდება მაშინაც კი, როდესაც მის ქცევას თავისთავად კეთილშობილი გრძობა — საყვარული წარმართავს.

М. Т. БЕЖИТАДЗЕ

К ПРИРОДЕ МОТИВОВ В ТВОРЧЕСТВЕ ВАЖА-ПШАВЕЛА

Резюме

Под понятием мотива подразумевается движущий стимул в виде образа, проблемы или другого момента, дающий начало соответствующему художественному содержанию. Таким образом, мотив всегда служит раскрытию проблемы и затем сюжета собственно художественными средствами.

В творчестве Важа-Пшавела патриотический мотив становится источником весьма различных и как бы не совпадающих в своем основном содержании событий и тем самым ставит интересную проблему понимания самой сущности патриотизма на различных ступенях общественно-исторического развития. Так, например, при общинно-родовом строе патриотизм совпадает с преданностью своей общине. В условиях же классового государства патриотизм обычно выражается в борьбе за лучшее будущее своей страны.

Не только патриотическое чувство носит различный характер в разных исторических условиях, но и содержание специфически психических процессов преобразуется соответственно этому. Так, например, чувство мстительности, его специфическое эмоциональное содержание, обусловленное патриотизмом, совершенно меняет свой характер и различно расценивается в пределах различных общественных формаций.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟა-ფშაველას კაბინეტი
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თ. შარაძენიმე

იური მიკაპილაძე

ქართულ-რუსული საზოგადოებრივ-კულტურული ურთიერთობის
ზოგიერთი საკითხი XIX საუკუნის მიორე ნახევრის ქართულ
პერიოდისაში

ქართველი ხალხის ცხოვრებაში 1866 წლის მარტში მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა — გ. წერეთლის რედაქტორობით გამოვიდა გაზეთ „დროების“ პირველი ნომერი. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, რ. ერისთავის, ა. ყაზბეგისა და სხვების ნაწარმოებებში გაზეთი ფართოდ აშუქებდა ქართველი მშრომელების მდგომარეობას. „დროება“ იბრძოდა საქართველოში მრეწველობის, ვაჭრობის, კულტურისა და განათლების განვითარებისათვის, იცავდა ქართულ ენას, ლიტერატურასა და კულტურას, გამოდიოდა საქართველოში და ამიერკავკასიაში მეფის მთავრობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ.

რუსი საზოგადოება თითქმის არ იცნობს კავკასიას, — ვკითხულობთ 1872 წლის ერთ-ერთ ნომერში. — აბა, საიდან უნდა ცოდნოდან, თუ იქაური გაზეთები თითქმის არაფერს სწერენ აქაურ პირობებზე. მათი აზრით, ადგილობრივ ენებს არავითარი მნიშვნელობა ამიერკავკასიაში არა აქვს. წარმოიდგინეთ სხვადასხვა სამართლებრივი, ადმინისტრატიული დაწესებულებები, სადაც ხმარებაშია მხოლოდ და მხოლოდ რუსული ენა. აი, თუ თქვენ ამას ნათლად წარმოიდგენთ, იმწამსვე მიხვდებით, თუ რა მდგომარეობაში შეიძლება იყოს ხალხი, რომელსაც ძირითადად არ ესმის რუსული ენა. გაზეთი აკრიტიკებდა ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოების კოლონიურ პოლიტიკას, ფართოდ აშუქებდა „პარიის კომუნის“ მოღვაწეობას. „დროება“ გვერდს ვერ აუვლიდა 1877—1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის ამბებს და სისტემატურად ქვეყნდებოდა წერილები, სტატიები, ცნობები ბრძოლების ირგვლივ. 1878 წელს № 173 გაზეთი ბეჭდავს რ. ერისთავის წერილს — „ნაცვლად ნეკროლოგისა“. წერილი ეძღვნება ქართველი ქალის ანა დავითის ასულ ჭავჭავაძის საგმირო და საქველმოქმედო საქმეს. ანა ჭავჭავაძე 1877—1878 წლებში მოხალისედ წავიდა ფრონტის ხაზზე, საველე ლაზარეთში. რუსი ჯარისკაცებისა და ოფიცრების გადარჩენისათვის ბრძოლას შეაღია ანამ თავისი სიცოცხლე. იგი საველე ლაზარეთში გარდაიცვალა 1878 წლის აპრილში. ანა ჭავჭავაძე გამოჩენილი ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის ღვიძლი და, ცნობილი მხედარმთავრის, გენერალ-ლეიტენანტ ნიკო ჭავჭავაძის მეუღლე, დაიბადა კახეთში, ქისტაურში. ანა ჭავჭავაძის თავდადება რუსეთ-თურქეთის ფრონტზე, რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიას ამშვენებს, როგორც მისი ერთი ბრწყინვალე ფურცელი.

უნდა აღვნიშნოთ გაზეთ „დროების“ კიდევ ერთი წვლილი რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ასახვის საქმეში. 1882 წელს

რუსულ ენაზე გამოვიდა ნ. ა. ვოლკონსკის მიერ შედგენილი წიგნი „ისტორია ქართველ ქვეთის დრუჟინისა“, რომელიც „დროების“ რედაქციამ ივანე მაჩაბლის ხელმძღვანელობით 1884 წელს გადმოთარგმნა ქართულ ენაზე და ცალკე წიგნად გამოცა. წიგნის ცალკეული თავები გაზეთის ფურცლებზე დაიბეჭდა იმავე წელს. ეს არის კაპიტალური ნაშრომი, რომლის მოცულობა 500 გვერდს აღემატება და დაწვრილებით აღწერს საქართველოს პირველი ქვეითი ლეგიონის, შემდეგში დრუჟინის მიერ გავლილ საბრძოლო ცხოვრების გზას მისი დაარსებიდან, ე. ი. 1831 წლის ივნისიდან, 1881 წლამდე. წიგნს გარკვეული ისტორიული მნიშვნელობა აქვს. მასში დაწვრილებითაა მოთხრობილი იმ დიდი წვლილის შესახებ, რომელიც მიუძღვის ქართველ ხალხს, ერთმორწმუნე რუსებთან ერთად, საერთო მტრების აღაგმავაში. ქართველი დრუჟინის 50 წლის ცხოვრების ეს მატრიანე რუს-ქართველთა საბრძოლო თანამეგობრობის ასახვის ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია.

1881—1883 წლებში ქუთაისში დიმიტრი დადიანის რედაქტორობით გამოდიოდა პროგრესული მიმართულების ყოველკვირეული გაზეთი „შრომა“, რომლის გარშემო თავს იყრიდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი მოღვაწეები. მიუხედავად ხანმოკლე არსებობისა, „შრომაში“ თვალსაჩინო კვალი გავლენა ჩვენი ერის ცხოვრებაში. იგი ეპოქის მაგისტრის ნიჭიერი გამომხატველი იყო, გვერდს უშეშენებდა სამაჟულო ყურნალისტების დედაბოძებს და ამიტომ მრავალმხრივ იმასახურებს ყურადღებას.

1881—1882 წწ. „შრომა“ გაცილებით მეტი საცენზურო თავისუფლებით სარგებლობდა, ვიდრე „დროება“, „იმედი“, „ივერია“. ცნობილია, რომ 1883 წელს ცენზორმა ისარღოვმა აკრძალა ი. ჰეკუაძის „ბაზალეთის ტბა“, როგორც მთავრობის საწინააღმდეგო ტენდენციების შემცველი ნაწარმოები. ვფიქრობთ, 1882 წლის 22 სექტემბრის „შრომაში“ დასტავებული ლექსი „საომარი“ პუბლიცისტურად, „მთელის ხმით“ გამოხატავს ანტიცარისტულ მოსახრებებს:

„თუ რამ გვაქვს — ჩვენად არ ითქმის, თუ რამ გვყავს
 არ ღირს ყოლადა!

ჩვენსავე წალოტში გვტყავებენ, ართუ გვიცნობენ ტოლადა
 კაცი ვართ! თავისუფლება ოღონდაც რომ ღირს ბრძოლადა,
 ვინც მტერსა ზურგი უჩვენოს, დედა შვერთოს ცოლადა!“

ეს „პოეტური პროკლამაცია“, მოწოდება ამბოხებისაკენ.

ამავე წლებში, 1881 წლის იანვრიდან 1883 წლის მაისამდე, მ. გურგენიძის რედაქტორობით თბილისში გამოდიოდა ჟურნალი „იმედი“, რომლის პუბლიცისტები დიდ ყურადღებას აქცევდნენ გლეხობის საკითხს. „იმედი“ კარგად ხედავდა რევოლუციის შემდგომ პერიოდში გლეხობის მთელ უუფლებობას. ყმის ბედი ბატონის სურვილზე იყო დამოკიდებული. „იმედის“ მთელი ყურადღება სოციალიზმისაკენ იყო მიმართული. ის ისეთი საზოგადოებრივი წყობილების მომხრედ გამოდის, რომელიც „შექმნის ახალ ხანას იმ ისტორიული კანონის განხორციელებისათვის, რომელიც თხოულობს გაუქმებას და მოსპობას მონებისა და პროლეტარიატისას, იმ კანონისას, რომელიც ვაჰკავებს გზას სიმართლისა და ნამდვილი თავისუფლების სუფევისაკენ („იმედი“, 1881, № VII—VIII, გვ. 174).

1885 წელს დაარსდა პირველი ქართული თეატრალური გაზეთი „თეატრი“, რომლის სათავეში იდგნენ გამოჩენილი თეატრალური მოღვაწენი: ვასო აბაშიძე, ვ. შ ა ც ე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1982, № 4

ვალერიან გუნია, ალექსანდრე ნებიერიძე. ვაზეთი ბეჭდავდა რეცენზიებს ქართულ, რუსულ, სომხურ სპექტაკლებზე. ნაყოფიერ ვავლენას ვაზეთზე ახდენდა იმდროინდელი რუსული თეატრალური პრესა. „თეატრი“ იყო თავის დროის მოწინავე ორგანო, რომელიც იბრძოდა არეალისტური ხელოვნების განვითარებაზე, გამოხატავდა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ იდეებს. აღსანიშნავია, რომ პირველად ქართულ პრესაში ამ ვაზეთმა დაბეჭდა კ. მარქსის „კაპიტალის“ რუსული გამოცემის მეორე ტომის რეცენზია, რომელშიც მოკლედ გაშუქებული იყო მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლის მოძღვრების მნიშვნელობა.

„თეატრი“ ხშირად ბეჭდავდა მასალებს რუსეთის ცხოვრებიდან — რუსული სცენის სიახლეებზე. მკითხველებს რეგულარულად მიუთითებდა დროულად გამოეწერათ 1885 წლის ა. ვატუტის ვაზეთი, ჟურნალი „სამყარო“.

„თეატრის“ მეათე ნომერში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „თეატრი და მუსიკა“ რომელშიც ნათქვამი იყო იმის შესახებ, რომ ქართულმა დასმა რუსულიდან გადათარგმნა და მასურებელს უჩვენა კომედია „ხანმოკლე სიყვარული“ («Временная любовь»), მეჩვიდმეტე ნომერში კი იუწყებოდა, რომ ა. რუბინშტეინის მუსიკაზე დაიდგა ფანტასტიკური ოპერა „ღემონი“.

ვაზეთმა მეცხრამეტე ნომერში დაბეჭდა ცნობა იმის შესახებ, რომ ნ. ვ. გოგოლის უკვდავი კომედიის „რევიზორის“ 50 წელთან დაკავშირებით ქართულად პირველად დაიდგა სცენები სპექტაკლიდან. ამ წარმოდგენაზე მონაწილეობა მიუღია აკაკისაც, რომელმაც წაიკითხა თავისი ბრწყინვალე ლექსი გოგოლის პატრისაცემად ვაზეთის 23 ნომერში გამოქვეყნებულია დიდი ნეკროლოგი პორტრეტით გამოჩენილი რუსი მწერლის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკის გარდაცვალების გამო.

როდესაც ვ. ი. ლენინი პრესის საზოგადოებრივ როლს ახასიათებდა, აღნიშნავდა, რომ „პოლიტიკური ვაზეთი ერთ-ერთი ძირითადი პირობაა თანამედროვე საზოგადოების ყოველი კლასის მონაწილეობისა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში...“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 228—229).

ამისთანა პოლიტიკურ ვაზეთად იქცა „ივერია“, 1886 წლის № 14, იგი იუწყებოდა, რომ 1878 წელს პრივისლიანის მხარეში აღმოჩენილი იქნა პირველი მეცადინეობა სოციალ-სარევოლუციო მოძღვრების გავრცელებისა მუშათა შორის. საზოგადოებას, „პროლეტარიატად“ წოდებულს, აზრად ჰქონია დაამხოს ეხლანდელი სახელმწიფო, საზოგადოებური და ეკონომიკური წყობა რუსეთისა და ამის შესასრულებლად სიტყვით და კალმით ხელი მიუყვია პროპაგანდისტების, გაუმართავს საიდუმლო სტამბა, დაუბეჭდავს ვაზეთი „პროლეტარიატი...“

ორასი კაცი „გამოძიებაში ჩაყარდა“, ამთგან 29 კაცი, სხვაზედ უფრო მეტი დამნაშავენი, სამხედრო სასამართლოს გადასცეს. ყველაზე უფრო დაუცხრომელ ხელმძღვანელად, — აღნიშნავდა „ივერია“, — ყოფილა აზნაური სტანილაჟ კუნიცი (დედა ჰყავდა ქართველი)¹, რომელიც «Народная воля»-ს დღევანდელი იყო. საზღვარგარეთ მას დაუფუძნებია სარევოლუციო ვაზეთი „Walka Klas“. კუნიცი შეპყრობილ იქმნა ვარშავაში მომრიგებელ-მოსამართლედ ნამყოფი ბარდოვსკის სახლში. ამ სახლში იყრიებოდნენ თურმე ბოროტმოქმედნი, ამ სახლში უმაღლავთ სარევოლუციო ქონება და თავიანთი თავიცაო... საშინელი ბედი ეწვიათ რევოლუციის პირველ მერცხლებს.

¹ დიდი საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 24, გვ. 58.

ს. კუნიცი, რუსი რევოლუციონერი პ. ბარდოვსკი, პოლონელი მუშები მ. ოსოვსკი და ი. პეტრუსინსკი სიკვდილით დაისაჯნენ ვარშავის ციხედელში.

სისხლი, რომელიც დაიღვარა თავისუფლებისათვის, უკვალოდ არ დაკარგულა. გავიდა კიდევ სამი ათეული წელი და რუსეთში პირველად მსოფლიოში, ამრიალდა რევოლუციის აღისფერი დროშა.

1899 წელს მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის დაბადებიდან 100 წელი. ეს დიდი თარიღი განსაკუთრებული სიყვარულით აღინიშნა „ივერიის“ ფურცლებზე. 26 მაისის ნომერში პირველ გვერდზე, მოთავსებულია ა. პუშკინის პორტრეტი, დაბეჭდილია მოწინავე სტატია ამ დღესასწაულთან დაკავშირებით. განა მარტო თბილისში, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში—ქუთაისში, ღუშეთში, აღინიშნა ეს დღე. იუბილესთან დაკავშირებით გამოვიდა ა. პუშკინის ლექსები ქართულ ენაზე (თარგმანი გრ. ყიფშიძის).

ა. პუშკინი და ა. გრიბოედოვი, როგორც ცნობილია, დიდი მეგობრები იყვნენ. ისინი მეგობრობდნენ დეკაბრისტებთანაც. 1826 წელს ამ საბაბით გრიბოედოვი დააპატიმრეს კიდევ, მაგრამ სათანადო საბუთის უქონლობის გამო მალე გაანთავისუფლეს.

1894 წლის 13 იანვარს „ივერია“ ბეჭდავს საინტერესო ინფორმაციას: «Русский Архив»-ში დაბეჭდილია ნ. ნ. მურავიოვ-ყარსკის წერილები რუსეთის შესანიშნავი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვის ცხოვრების შესახებ. აი, ორიოდ საყურადღებო ადგილი ამ წერილებიდან: „როდესაც გრიბოედოვი პეტერბურგში წავიდა, სწერს წერილების ავტორი, გატაცებული იყო ერთის აზრით და შეადგინა კიდევ პროექტი, რომ საქართველოს მართვა-გამგეობის წესი შეიცვალოს, ეს ქვეყანა და მისი მრეწველობა ისევ უნდა ჰმართონ, როგორც აღმოსავლეთის ინდოეთი, ცალკე კომიტეტს უნდა ჰქონდეს მინდობილი. თვით ჯარის მთავარსარდალი და ჯარი ამ კომიტეტის ბრძანებას უნდა ექვემდებარებოდნენ. გრიბოედოვს თვითონ უნდოდა კომიტეტის დირექტორობა, მთავარმართებელს — კი წევრად ჰნიშნავდა. უფლება უნდა ჰქონოდა კომიტეტს მეზობელ ერთთვის ბრძოლა გამოეცხადებინა, ციხე-სიმაგრე იეგო და განსაკუთრებული სადიპლომატო მიწერ-მოწერა გაემართა დიდ სახელმწიფოებთან. გრიბოედოვი სცილობდა ამ აზრის განსახორციელებლად სხვებიც მიემხრო. ბევრჯერ ეცადა ჩემთან დაახლოვებას, მაგრამ მე ყოველთვის უარს ვიყავი, როდესაც ახალქალაქში მოვიდა, ნინო ჭავჭავაძის ასულზე და ნინოშვილის შემდეგ (ამ ცოლ-ქმარობით დიდად ნასიამოვნები იყო, ამითაც აპირებდა ხელი შეეწყო თავისი აზრის განსახორციელებისათვის, თვითონ საქართველოს მცხოვრებლად გარდაქცევას იყო მოწადინებული. ამ ქორწინებას ჰმფარველობდა გრიბოედოვის დიდი მწყალობელი პრასკოვია ნიკოლოზის ასული), თავისი პროექტის შესახებ პასკევიჩსაც ჩამოუგდო ლაპარაკი და სულ იმას ვაიძახოდა, რომ ოსმალთ ციხე-სიმაგრე ბათუმი უნდა წავართვათ შავს ზღვასთან, რათგან ვაკრობის გასაძლიერებლად კარგი ადგილიაო. ამბობენ, რომ ცოტა არ იყოს პასკევიჩიც დაჰყვა, რათა ამითი იმედი მიეცა, ადვილად დაეუახლოვდები დედოფალს სოფიოს, რომელიც მაშინ გურიის ბატონი იყო და დიდი გავლენა ჰქონდა ხალხში ამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და წარჩინებულს მმართველს გურიისას. რუსეთს მაგდენად არა სწყალობდა დედოფალი სოფიო, ბოლოს დროს თავის მცირეწლოვანს ვაჟიშვილით ტრაპიზუნდში გაიქცა და ამის გამო იმის გვარეულობას ჩამო-

ერთვა უფლება მეფობისა გურიაში, რომლის მმართველადც მგონია რუსი კომენდანტი დაინიშნა. ნამდვილად არ ვიცოდი ეს გარემოება, მაგრამ ა. გრიბოედოვის პროექტი, რომლითაც პასკევიჩის უფლებას ბოლო ეღებოდა, რასაკვირველია არაფერად მოსწონდა ამ უკანასკნელს და ამიტომ ყურადღება არავინ მიაქცია“.

დიდი რუსი მწერალი ივანე ტურგენევი XIX საუკუნის 40-იან წლებში, როგორც ცნობილია, მეგობრობდა ბესარიონ ბელისკისთან და ალექსანდრე გერცენთან, მაგრამ რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგ გამოდიოდა. ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა დაახასიათა იგი ლიბერალად, მაგრამ თავყვანს სცემდა მის ნიჭს, რომელმაც ბევრი გააკეთა რუსული სალიტერატურო ენის გამდიდრებისათვის. აი, რას სწერდა „ივერია“ 1893 წელს (№ 238):

„რუსეთის შესანიშნავი მწერალი ივანე სერგის ძე ტურგენევი დიდხანს სცხოვრობდა საფრანგეთის ქალაქ ბუჟივალში და იქვე გარდაიცვალა. ამას წინად ბუჟივალის თვითმართველობამ მარმარილოს ფიცარი მიაკრა სახსოვრად იმ სახლს, სადაც შესანიშნავი მწერალი სცხოვრობდა და გარდაიცვალა. ფიცარს ასეთი წარწერა აქვს: „ივანე სერგის ძის ტურგენევის სახსოვრად, რომელიც ამ სახლში რამდენსამე წლიწინად სცხოვრობდა“. ბუჟივალში დიდის ამბით გაღიზიანდეს ამ ფიცრის მიკვრა. ამის გამო პარიზის გაზეთ „Figaro“-ში დაბეჭდილია საფრანგეთის გამოჩენილია მწერალთა დოდესი და ზოლას აზრი ტურგენევის შესახებ. მოგეყავს ეს აზრი შემოკლებით, უფრო ის ადგილები, სადაც ეს მწერლები იმის სამწერლო მნიშვნელობასა და ავტორობას შეეხებიან. დოდეს უთქვამს: „რამდენსამე წლის განმავლობაში ტურგენევი ჩემი საყვარელი მწერალი იყო, იმის ნაწერებს აღტაცებაში მოგყავდი და ხალისიანად ვკითხულობდი და გადავიკითხავდი ხოლმე რამდენჯერმე. მას შემდეგ გული შემეცვალა, მაგრამ აზრი კი არ შემეცვლია“.

ზოლას აზრით, „ტურგენევი დიდის ჭკუა-გონების კაცი იყო, განათლებული, გატაცებით მოყვარული მუსიკისა, ცოტა დინჯი და ყოყმანა... ჯერ კიდევ მაქვს მერჩენილი მისი წერილი, რომელშიაც აღტაცებით აღწერს ცაცხვის ჭალას. ამ ჭალაში ყმაწვილობისას ეთამაშნა, და ცაცხვის ჭალის აღწერას დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი წერილში. ეხლა არაფერი სათქმელია, რათვან რუსები ჩვენი მეგობრები არიან, მაგრამ მართალი კი უნდა მოვახსენოთ, რომ ტურგენევი რუსეთში თავისუფლად ვერა ჰსუნთქავდა და ყოველთვის სიამოვნებით ბრუნდებოდა საფრანგეთში“.

ამავე წელს (9. X) „ივერიაში“ დაბეჭდილია ცნობა იმის შესახებ, რომ „პარიზის ბულვარზე იყიდება პატარა წიგნები, რომლებშიაც მოთავსებულია „რუსულ-ფრანგული ფრაზები, ოლენდორფის მეთოდზედ შედგენილი. ეს წიგნაკები ძლიერ იყიდება თურმე. პარიელები ზეპირად სწავლობდნენ რუსულ ფრაზებს... რესტორნებში რუსულ ლაპარაკში ვარჯიშობენ. ერთმანეთს სალამს რუსულად აძლევენ. თეატრებში უკრავენ რუსეთის საერო საგალობელს, რომელსაც ფრანგები აღტაცებულის ტაშის ცემით ისმენენ“.

გაზეთ „ივერიაში“ 1897 წელს (№ 163) ნათქვამია: „პირველ წიგნად რუსულ ენის სასწავლებლად ქართველთათვის აღიარებულია ბ-ნ ი. გოგებაშვილის «Русское слово», პირველი ნაწილი, და განსაკრძობად მისივე «Русское слово», მეორე ნაწილი. ამ წიგნთა ღირსების შესახებ აი რასა სწერს რედაქცია სამეცნიერო ჟურნალისა «Филологическая библиотека» (რეცენზენტი — დოქტორი ადოლფ ლიბერმანი): იშვიათად შეგვხვდებით რუსულ ენის

შესასწავლად სხვადასხვა სახელმძღვანელოს შორის ესეთ საუცხოო, მშვენიერად და მართლა ნიჭიერად შედგენილს სახელმძღვანელოს, როგორც არის «Русское слово» — ი. გოგებაშვილისა“.

Ю. Ш. МЕРКВИЛАДZE

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ГРУЗИНСКО-РУССКИХ
ОБЩЕСТВЕННО-КУЛЬТУРНЫХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ
В ГРУЗИНСКОЙ ПЕРИОДИКЕ ВТОРОЙ ПОЛОВИНЫ XIX ВЕКА

Резюме

В настоящей статье рассмотрены некоторые вопросы грузинско-русских общественно-культурных взаимоотношений в грузинской периодике второй половины XIX века — материалы, напечатанные в газетах «Дроеба», «Шрома», журналах «Имеди», «Театри» и т. д. Интересные сведения содержит информация, перепечатанная «Иверией» из «Русского архива» в январе 1894 г. о жизни замечательного русского писателя А. С. Грибоедова. Чавчавадзевская «Иверия» публикует также материал из жизни И. С. Тургенева.

შრომის წითელი დროშის ორდენისანი საქართველოს სსრ პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართული და რუსული ენების კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

წელი მახარამი

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ მწიგნობრულ-ლიტერატურული წყაროების შესახებ

სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის „სიბრძნე სიცრუის“ მწიგნობრულ-ლიტერატურული წყაროების დაძვება მრავალმხრივი ინტერესის შემცველია. ჯერ ერთი, ინტერესის შემცველია თვით საბას შემოქმედებითი გზისა და მეთოდის განსაზღვრისათვის და, მეორეც, იმ წყაროთა ისტორიისათვის, რომლებმაც გამოიხატა პოეტიკური ამ დიდი მწიგნობრისა და მთავრის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია „სიბრძნე სიცრუისა“ და „სიბრძნე ბალაგარის“ შორის არსებული კომპოზიციური და ზოგიერთი დეტალის შინაარსობრივი მსგავსების შესახებ¹. საერთო პასუხები შეინიშნება „გვეფხისტყაოსანთანა“². დაძვნილია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა პარალელები ქართულ ეპოსში, ქართულ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში³. მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მეიგავე ქართული ხალხური ზღაპრების დიდებული იმპროვიზატორია, ხალხური სიბრძნის ბრწყინვალე გადამმუშავებელი⁴. ზოგიერთის აზრით, იგავ-არაკების უმრავლესობა ეკუთვნის სულხანს, ორიგინალურია, ხოლო ერთი რიგი კი აგებულია ხალხურ მთარულ მონათესავე სიუჟეტებზე. ამასთან მეცნიერები არ გამოირიცხავენ არაკთა კრებულის სიხლოვესა და მსგავსებას აღმოსავლური ლიტერატურის ამავე ყანრის ცნობილ კრებულებთან: „პანჩატანტასთან“, „ქილილა და დამანასთან“, „თიმსარიანსა“ და „ათას ერთ ლამესთან“ და სხვ.

¹ კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1969, გვ. 380.

² ალ. ბარამიძე, „სიბრძნე სიცრუისა“: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 40; რ. ბარამიძე, სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული ენის ზოგიერთი თვისებებების შესახებ: საიუბილეო კრებული, გვ. 55—60; გ. ლეონიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისი, 1949, გვ. 47.

³ ელ. ვირსალაძე, რჩეული ზღაპრები, I, თბილისი, 1949, შესავალი წერილი; მ. ჩიქოვანი, რჩეული ზღაპრები, II, თბილისი, 1953, შესავალი წერილი; ქ. სიხარულიძე, „სიბრძნე სიცრუის“ რამდენიმე არაკის პარალელი ქართულ ეპოსში: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული: თბილისი, 1959; მისივე, სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე სიცრუის ხალხურ წყაროებსა ზოგიერთი საკითხი: საიუბილეო კრებული, გვ. 215—234; ალ. ლომიძე, სულხან-საბა ორბელიანის ორი იგავის ფოლკლორული წყაროები, „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1958, № 2, გვ. 54—58; შ. თინათინი, სიბრძნე სიცრუის ზოგიერთი არაკი სვანურ ზეპირსიტყვიერებაში, საიუბილეო კრებული, გვ. 203—213.

⁴ გ. ლეონიძე, გამოკვლევა გამოცემისათვის: სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა, თბილისი, 1957. ალ. ბარამიძე, წინასიტყვიერება გამოცემისათვის: *Сулхан-Саба Орбелиანი, Омудрости лжи*, М., 1951, გვ. 8; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბილისი, 1952, გვ. 351; ლ. მენაბდე, სულხან-საბა ორბელიანი, მონოგრაფია, თბილისი, 1953, გვ. 101—103; ე. ლორთქიფანიძე, სულხან-საბა ორბელიანი დამისი სიბრძნე სიცრუისა, თბილისი, 1960, გვ. 14 და სხვ.



კ. ქველიძე საბას არაკებისათვის უამრავ პარალელს ძებნის აღმოსავლური მწერლობიდან და საბოლოოდ მაინც ასკვნის: „არც ერთი მათგანი საბას მოგონილი ან უცხო კრებულიდან უცვლელად ამოღებული არ უნდა იყოს, ისინი ამოღებულია მართლაც ხალხის წიაღიდან“⁵.

ამჭერად ჩვენ გვინდა ყურადღება შევაჩეროთ არა გავლენაზე რაიმე თვალსაზრისით, არამედ ლიტერატურულ წყაროებზე. ეს საკითხი თუმცა მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის, მაგრამ არსებობს რამდენიმე საყურადღებო ნაშრომი, რომლებიც ცხადყოფენ პრობლემის აქტუალობას⁶.

ა. გაწერელია საბას არაკისათვის „სადაფი და კირჩხიბი“ წყაროდ ასახელებს ბასილი დიდის „ექქუსთა დღეთას“ VII ჰომილიას, რომელსაც საბა გიორგი მთაწმიდლის თარგმანში ვაეცნობოდა⁷. ილ. აბულაძე საბა ორბელიანის იგავისათვის „ძალღები და მგლები“ პარალელს პოულობს ვრცელ „ბალავარიანში“. მსგავსება შინაარსობრივია და არა ტექსტოლოგიური. ამიტომ, ილია აბულაძის აზრით, საბა მას იცნობს ან ზეპირი გზით, ან რომელიმე შუალობითი წყაროთი. ამგვარივე წარმომავლისად მიიჩნევს მეორე იგავსაც — „მგელი, თხა და თივა“. ამ არაკის შესაბამის ტექსტს მკვლევარმა მიაგნო სომხურ წყაროში, რომელსაც „სახმარი სიტყვები“ ეწოდება⁸. აღ. გვახარია კი საბას არაკს „უბედური დიდვაჟარი“ სრულ ანალოგიას უძებნის „ბახთიარ ნამეს“ ასეთივე სათაურის მქონე ერთ სპარსულ არაკთან. იგი ცხადყოფს, რომ საბა მისდევს არა სპარსულ დედანს, არამედ მე-18 საუკუნის დასაწყისში შესრულებულ ქართულ თარგმანს. მკვლევარი ასკვნის: „საბა უდაოდ სარგებლობდა მწიგნობრული წყაროებით. ამდენად ეს ვარაუდი თავისუფლად დასაშვებია სხვა არაკების მიმართ, რომელთაც აშკარად აქვთ უცხოური წარმომავლის ნიშნები... მაგრამ რომელთა უშუალო წყარო ჯერ დადგენილი არ არის“⁹. აღნიშნული მსჯელობის სისწორეს, ვფიქრობთ, ქვემოთ მოყვანილი ფაქტებიც დადასტურებენ.

ბერძნულ-ქართულ ფილოლოგიაში კარგადაა ცნობილი იოანე მოსხის „ლიმონარი“, ნოველათა კრებული, რომელიც შეიცავს „სულისმარგებელ“ ამბებს წმინდა მამათა ცხოვრებებიდან. იგი დაიწერა ბერძნულად VI—VII სს-ში და ითარგმნა მრავალ ენაზე, მათ შორის არაბულსა და ქართულზეც. „ლიმონარი“, რომელსაც ქართულად „სამოთხეც“ ეწოდება, მეტად პოპულარული საკითხავი წიგნი იყო მთელი შუა საუკუნეების მანძილზე.

ქართული „ლიმონარის“ შემკველ ორ ხელნაწერს (X და XIII სს.) შემოუნახავს ერთი პატარა თხრობა, რომელიც ილია აბულაძის გამოცემაში (X ს-ის

⁵ კ. ქველიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბილისი, 1962, გვ. 318—320.

⁶ ზ. ავალიშვილი, Die Weisheit der Lüge, geschprochen von Sulchan-Saba Orbeliani. Berlin—Wilmersdorf, 1933; Сулхан-Саба Орбелиани и его «Мудрость лжи» редакция, предисловие и комментарии С. Иорданишвили, Тбилиси, 1939; გ. ქველიძე, ს. ს. ორბელიანი, თბილისი, 1945; ა. ვაწერელია, ლეონარდო და ვინჩი და სულხან-საბა ორბელიანი (ერთი იგავ-არაკის გენეზისის გამო), „მნათობი“, 1947, № 1, 2. აღ. გვახარია, „სიბრძნე-სიცრუის“ ერთი არაკის შესახებ, ოსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, № 7, 1955; ილ. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნე სიცრუის მწიგნობრულ-ლიტერატურული კრიტიკის შესახებ, სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული.

⁷ ა. ვაწერელია, დასახ. შრ., გვ. 268.

⁸ ილ. აბულაძე, დასახ. შრ., გვ. 7—10.

⁹ აღ. გვახარია, დასახ. შრ., გვ. 119—124.

ათონური ნუსხის მიხედვით) თხზულების ძირითადი ტექსტის I დამატების თხრობათა შორისაა მოთავსებული და რომელიც საბას არაკის — „ფილოსოფოსნი“ — უშუალო წყარო უნდა იყოს.

მოვიყვანთ ტექსტებს პარალელურად:
 ლიმონარი, დამატება I, § 2.

თქვა რუქამ არაკი:

„მოვიდეს ოდესმე ფილოსოფოსნი ბერისა ვისამე, და ვითარცა ყვეს ლოცვაჲ, დასხდეს. ხოლო ბერმან არარაჲ მიუგო მათ სიტყუაჲ და არცა ზე აღიხილა თუალნი. და იგინი ევედრებოდეს მას და პრქუეს: აბბა, გუარქუ ჩუენ სიტყუაჲ. ხოლო იგი ღუმნა და თხზვიდა სირასა. და კუალსმე პრქუეს მას: მოვედით შენდა, რაათა გუესმეს შენგან სიტყუაჲ, რომელი სარგებელ ვიყოთ. მაშინდა პრქუა ბერმან: თქუენ წარაგეთ მონაგები თქუენი, რაათა ისწავოთ სიტყუაჲ; ხოლო მე დაუტევე ყოველი სოფელი, რაათა ვისწაო ღუმილი. და მათ, ვითარცა ესმა ესე, დაუკრდა და წარვიდეს აღშენებულნი“¹⁰.

„ერთი დიდი ფილოსოფოსი იყო ყოვლითა სიბრძნით შემკული. დაუტევა სოფელი და გან- შორებულად უღაბნოდ წავიდა. მუნ დადგა და მარტო ილოცედა. სხვანი ექსნი ფილოსოფოსნი იყვნენ დია ცოდნის მცოდენნი და მოყვარულნი. სიტყუასა რასმე ზედა შესცილდენ, ვერა რომელი დაესვენათ. წავიდნენ მის გან- შორებულისა ნახვად. ჰკითხეს, და მან დიდხანს ხმა არ ვასცა. მერმე კიდევ ჰკითხეს და მან ეგრე უთხრა: — თქვენ ყოველი თქვენი მონაგები ბევრის საუბრისა სწავლისათვის წაგიგიათ და მე ჩემი მონაგები და ეს სოფელი ამაზე დავეტევე, რომ დადუმებოთ ვიყო და არ ვიუბნა. მეტი არარა უთხრა, და სირცხვილენი წამოვიდენ უპასუხონი“¹¹.

ნაამბობთა ურთიერთმიმართება არავითარ ეპქეს არ იწვევს. ტექსტობრივი სხვაობანი კი ნათელყოფენ, რომ საბა ნოველის ერთგვარ პერიფრაზირებას ახდენს, მისთვის ცნობილ სიუჟეტს საკუთარ პლანში იმეორებს, თუმცა საკმაო სიახლოვითაც.

„ლიმონარის“ აღნიშნულ თხრობას მინისეული ბერძნული პარალელიც ეძებნება, რამდენადმე ვანსხვავებული რედაქციისა. ეს არის 156-ე თავი, რომელიც ლათინურ პარალელურ თარგმანში დასათარგმნელია შემდეგნაირად «*Responsio cuiusdam senis ad duos philosophos*», ანუ „პასუხი ვინმე ბერისა ორი ფილოსოფოსისადმი“:

Δύο φιλόσοφοι παρέβηλον γέροντι, και ἐπερώτησαν αὐτὸν εἰπεῖν αὐτοῖς λόγον ὠφέλειαι. Ὁ δὲ γέρων ἐσιώπα. Πάλιν οἱ φιλόσοφοι εἶπον· οὐδὲν ἤμιν ἀποκρίνῃ, Πάτερ; Τότε ὁ γέρων λέγει· αὐτοῖς· Ὅτι· μὲν φιλοσόγοι ἐστὲ οἷσα, ὅτι· δὲ οὐκ ἀληθεῖς φιλόσοφοι μαρτυρῶ. Μέγρις οὐ ποτε μανθάνετε λαλεῖν, οἱ δὲ! τὸ λαλεῖν οὐκ εἰδότες; Γενέσθῃ σὺν ἡμῶν φιλοσοφίας ἔργον τὸ ἀεὶ μελετᾶν τὸν θάνατον, και τῆ σιωπῆ, και ἴσχυρα ἐπιτοῦς ψυλάττετε¹²

ორი ფილოსოფოსი მივიდა ბერთან და სთხოვა, რომ ეთქვა მათთვის სიტყვა რამ სარგებელისა. ბერი კი ღუმდა. კვლავ ჰკადრეს ფილოსოფოსთა: არას ვგაპასუხო, მამო? მაშინ ბერი ეუბნება მათ: ეხედავ, რომ სიტყვის მოყვარულნი ხართ, მაგრამ ქუშობარტ ფილოსოფოსთა ვერ გწამებთ. როდემდის უნდა სწავლობდეთ ლაპარაკს, მუდამ ლაპარაკი ხომ არ მცოდნეთ ახასიათებთ? ამაღ იყოს საგანი თქვენი ფილოსოფიისა მუდმივ სიცილილზე ზრუნვა და ღუმილითა და სიმშვიდით დაიმარხეთ (დაიცავით) თავი თქვენი.

¹⁰ იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვეცივითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, X—XIII საუკ. ხელნაწერების მიხედვით, თბილისი, 1960, გვ. 86.

¹¹ სტოხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, გამოსაქმად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბილისი, 1959, გვ. 80—81.

¹² Migne, PG 87, III, p. 3024 D — 3025 A.

ქართულ ფილოლოგიაში „ლიმონარის“ ძველი ქართული ტექსტის გარეშე, როგორც ცნობილია, სხვადასხვა მოსაზრება იყო გამოთქმული. მეცნიერთა ერთი ნაწილი მას ერთისა და იმავე ავტორის მიერ ბერძნულის პარალელურად შექმნილ ორიგინალურ ქართულ თხზულებად მიიჩნევდა,¹³ სხვანი კი თვლიდნენ, რომ ქართული თარგმანი ბერძნული „ლიმონარის“ არაბული ვერსიიდან მომდინარეობს¹⁴.

არაბული „ალ-ბუსთანის“ (ანუ „სამოთხის“) და მისი ახალი ქართული თარგმანის გამოცემის შემდეგ საბოლოოდ გაირკვა ქართული „ლიმონარის“ მასთან მიმართების საკითხი. თუმცა ისინი შედგენილობის მიხედვით მთლიანად არ ემთხვევიან ერთმანეთს, მაგრამ მთარგმნელისა და გამომცემლის რ. გვარამიას დასკვნით, „ლიმონარის“ ძველ ქართულ თარგმანში მართლაც იძებნება არაბულიდან მომდინარეობის უტყუარი კვალი¹⁵. „ალ-ბუსთანის“ ამ რედაქციაში განხილული ნოველა არ დაიძებნა, მაგრამ ჩვენს ინტერესს ამ ძეგლისადმი ამჯერად განსაზღვრულია იმით, რომ არაბულ ვატიკანურ ხელნაწერს (მის მიხედვითაა შესრულებული ახალი ქართული თარგმანი, X ს.) შემოუნახავს ერთი თხრობა, რომელიც არ მოიპოვება არც მინსკის ბერძნულ ტექსტში, არც ქართული „ლიმონარის“ ძირითად ნაწილში და არც მის ე. წ. დამატებებში და რომელიც წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის არაქის „ქვის მთელის“ ბევრად უფრო ვრცელ, მაგრამ სრულიად იდენტური შინაარსის მქონე ვარიანტს¹⁶.

რ. გვარამია ამ ნოველის ბერძნულ დედნად ასახელებს „Révue de l'Orient Chrétien“-ში ლ. ვლუნიეს მიერ ბერლინის ხელნაწერის Cod. Philipp. 1624-ის მიხედვით გამოქვეყნებული პატრიქის ერთ-ერთ თხრობას¹⁷.

პატრიტიკულ-აპოფთეგმატური ხასიათის ძეგლები მრავლად იქმნებოდა ბერძნულსა თუ სხვა საქრისტიანო ქვეყნების ხალხთა ენებზე. დგებოდა ამ ძეგლთა გამაერთიანებელი ხელნაწერი კრებულები, ზოგჯერ თხზულებათა ავტორების ჩვენებითა და სრული ტექსტების დაცვით, ზოგჯერ კი თემატური, ამოკრებითი ხასიათისა. ამ შემთხვევაში ცალკეული ნოველა უმთავრესად კარგავდა ავტორს. მაგრამ ერთი ავტორისად ცნობილი ტექსტიც ხშირად არ არის მთლიანად ორიგინალური. ასეთია „ლიმონარიც“. მასში იძებნება არაავტორიკული თხრობები, თხრობები სხვა პატრიტიკული კრებულებიდან. ერთი სიტყვით, ამგვარი ხასიათის ნაწარმოებები დროთა განმავლობაში იცვლებოდა, იცვლებოდა რედაქციულად, შედგენილობის მიხედვით, თხრობათა რაოდენობისა და არქიტექტონიკის თვალსაზრისით. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ბერძნული „ლიმონარი“, არაბული „ალ-ბუსთანი“ და ქართული „სამოთხე“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში მთლიანად არ ემთხვევიან ერთმანეთს. მაგრამ ისმის კითხვა — რით უნდა ესარგებლა საბას, უცხოური წყაროთი (ბერძნული ან არაბულით), თუ რომელიმე სხვა ქართული ძეგლით?¹⁸

¹³ Ш. Н у ц у б и д з е, К происхождению греческого романа Варлаам и Иоасаф, Тбилиси, 1956, გვ. 94—142; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1963, გვ. 238—247.

¹⁴ იო ა ნ ე მ ო ს ხ ი, ლიმონარი, ილია აბულაძის გამოკლევა, გვ. 012—019.

¹⁵ ალ-ბუსთანი. X სის სინური ხელნაწერის მიხედვით არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკლევით გამოცხადდა რ უ ს უ დ ა ნ გ ვ ა რ ა მ ი ა მ, თბილისი, 1965, გვ. 40—53.

¹⁶ იქვე, გვ. 113.

¹⁷ იქვე, სქ. 56, გვ. 33.

¹⁸ ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე იმთავითვე მიუთითებდა, რომ „სულხანს შეეძლო ესარგებლა მწიგნობრული წყაროებითაც, მაგრამ ქართულ ენაზე არსებული წყაროებითი“. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბილისი, 1940, გვ. 272.

„მამათა ცხორებანი“ და საზოგადოდ აპოფთეგმატური კრებულების სველი ქართული თარგმანები არც ისე მცირე მოგვეპოვება და, საბა რომ კარგად იცნობდა ამ კრებულებს, მისი ლექსიკონიდანაც ჩანს. საკვიროდ ჩავთვალეთ გადაგვესინჯა „მამათა ცხორებანის“ ის ხელნაწერი, რომელსაც, როგორც დადგენილია, საბა იყენებდა ლექსიკონის წყაროდ — A—1105 (XI ს.)¹⁹. ვარაუდი საესეებით გამართლდა. ხელნაწერის 309r—314v გვერდებზე მოთხრობილია „ევლოგი ქეითხუროს“ სწორედ საბას არაკში გადმოცემული თავგადასავალი²⁰. „მამათა ცხორებანის“ აღნიშნული თხრობა მცირეოდენი ცვლილებებით მისდევს არაბული „ალ-ბუსთანის“ შესაბამის ტექსტს, მაგრამ გარკვეულად ბერძნული დედნიდან მომდინარეობს (მაგალითისათვის, სახელი „ევლოგი|ევლოგოს“).

აქ მრავალი პრობლემა დაისმის და, უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ დგება საკითხი „ლიმონარის“ შედგენილობის, მასში შემავალ თხრობათა ორიგინალობის შესახებ და ამ თვალსაზრისით ბევრი რამ, შესაძლოა, ქართული თარგმნილი პატრისტიკული კრებულების შესწავლამ გაარკვიოს; ჩვენთვის კი ნათელყო ის ფაქტი, რომ სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულის ლიტერატურულ წყაროთა ძიებამ ჩვენი ინტერესი უნდა წარმართოს შუა საუკუნეების პატერიკებისა და აპოფთეგმური კრებულებისკენაც. ეს თხზულებები შეიცავდა ამბებს ადამიანთა მანკიერი, დასაგმობი თვისებების შესახებ თუ, პირიქით, განმადიდებელი, ამამალებელი, „სულის მარგებელი“ ხასიათის თხრობებს. ტიპობრივად ისინი ძალზედ ახლოს დგანან არაკის თხრობა-შეგონების სტილთან. ხშირად ასეც კი იწყება ნოველა: „თქუა ვინმე მამათაგანმან იგავი ესე სიმდაბლისა...“²¹.

ილია აბულაძე საგანგებოდ მიუთითებდა სომხური „მამათა ცხოვრების“ გავლენაზე სომხურ ორიგინალურ მწერლობაზე და წერდა: „რა გავლენა მოახდინა „მამათა ცხოვრების“ თხრობებმა ქართულ ორიგინალურ შემოქმედებაზე — არ ვიცით, რადგან ამ მხრივ ეს ძველი არავის გაუხდია შესწავლის საგნად. რომ უკვალოდ მას არც ჩვენში უნდა ჩაველო, თვით „ფეფხისტყაოსნის“ ავტორისთვისაც კი, ამას ზოგიერთი მსგავსებაც მოწმობს“²².

თხრობა „ევლოგი ქეითხუროს“ შესახებ წმინდა დანიელის ციკლისაა. შინაარსი ჩვენი ხელნაწერის მიხედვით მოკლედ ასეთია: მამა დანიელი მოწაფის თანხლებით მიდის თებადას. ერთ დაბას რომ მიაღწიეს, ბერმა მოსვენება ინება. მოწაფე სთხოვდა დანიელს განეგრძოთ გზა, ან სადმე ეკლესიაში მისულეყენენ, რომ მთხოვნელებივით არ მსხდარიყვნენ შუა სოფელში. დანიელმა არ უსმინა და საღამომდე იქ დაჰყევს. საღამოს მოვიდა ვინმე მოხუცებული ერისკაცი, სპეტაკი თმით. როგორც კი იხილა დანიელი, თავყანი სცა მას და ორივენი სახლში წაიყვანა. ფეხი დააბანინა, უმასპინძლა და, რაც პურისჭამის შემდეგ დარჩათ,

¹⁹ ამ ხელნაწერს გამოსაცემად აზნაღებს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა დვალისი. ჩვენ ვისარგებლეთ მის მიერ გადმოწერილი ტექსტით.

²⁰ ამ კრებულს ბევრი საერთო აღმოაჩნდა არაბულ „ალ-ბუსთანთან“. საკმარისია დავასახელოთ რ. გვარამიას გამოცემის № 66 თხრობაც, რომელიც მთელი სიზუსტით მეორდება ხელნაწერის 158 v გვერდზე და ეწოდება „თხრობაჲ საშინელი“.

²¹ ლიმონარი, დამატება I, გვ. 90.

²² ი. აბულაძე, ქართულის კვალი ძველი სომხური მწერლობის ერთ ძველში (სომხური პატერიკის წყაროს საკითხისათვის), ლიტერატურული ძიებანი, II, თბილისი, 1944, გვ. 29—30.

ყველაფერი ძალღებს გადაუყარა, რადგანაც ასეთი წესი ჰქონდა — არ დაიტოვებდა მეორე დღისათვის.

დღით დაემშვიდობებენ ერთმანეთს და ბერი მოწაფითურთ გზას გაუღდა. მოწაფე დიდად დანიტყრება მოხუცის ვინაობით, მაგრამ დანიელს ვერაფერი ათქმევინა. მოწაფე თავისას არ იშლიდა, მუხლმოდრეკით ევედრებოდა ეამბნა მისთვის ყოველივე. როდესაც დათქმულ ადგილს მიაღწიეს, დანიელმა მკაცრად უსაყვედურა მოწაფეს ესოდენი დაუინებისათვის და მოჰყვა მოხუცის ამბავს იმის შესაგონებლადაც, რომ არ უნდა იყოს ასე „ქედფიცხელ“ და წინ არ უნდა აღუდგეს ერთხელ ნათქვამს.

„მას უკუე ბერსა ჰრქვან ევლოგი და არს იგი ჰელოვნებით ქვით ხუროთა და მოიგებს დღით ჰელ-საქმრითა მით თუსითა კერატისა ერთისა დრამასა და ვიდრე მწუხრადმდე არაარამსა გემოსა იხილავს ჰამადისასა და მიმწუხრი მივალს დაბასა თუსსა და როდენნიცა პოვნეს უცხონი წარიყვანებს მათ სახლად თუსა და ზრდის მათ და ნეშტსა მას ნამუსრევესა განართუამს ძალთა... (309r—309v)“, — ასე იწყებს თხრობას ბერი. შემდეგ ვრცლად არის მოთხრობილი, თუ ორმოცი წლის წინ, როდესაც პირველად იხილა „სათნოებამა კაცისამ მის“, როგორ შეევედრა დანიელი ღმერთს, „რამათა მისცეს ევლოგის უმეტესი წარსაგებელი რამათა აქუნდეს და უმრავლესთა ქველისმოქმედ ექმნებოდის (309r). ღმერთს არ სურს — „კეთილად არს ესრეთ, ვითარ არა აწო“ (310r), — ეუბნება დანიელს, მაგრამ დანიელი არ ეშვება, კვლავ უმეორებს თხოვნას. მაშინ ღმერთი თავმდებობას თხოულობს ევლოგის სულისათვის. დანიელი უდგება თავმდებად ქვის მთლელს. ღმერთი გაამდიდრებს მას, მაგრამ განდიდებული ევლოგი მაშინვე ივიწყებს თავის კეთილ საქმეს: გადაიხევეწება თავისი სოფლიდან მალულად, სიმდიდრით დატვირთული, მიაღწევს კონსტანტინოპოლს და ფულით მოისყიდის დიდებულთა და მეფეს, „რამათა შექმნან იგი ეპარხოსად“. დანიელი შეიტყობს ყოველივეს და შეშფოთებული მიემგზავრება კონსტანტინოპოლს — ეგების შეასმინოს ევლოგის კეთილი სიტყვა, მაგრამ ვერას გახდება, რადგანაც არავინ მიუშვებს მასთან. ოთხი კვირის განმავლობაში ყოველდღე ცდილობდა დანიელი დალაპარაკებოდა ევლოგის, მაგრამ ყოველთვის ცემით ისტუმრებდნენ. შეძრწუნებული დანიელი ევედრება უფალს, იხსნას იგი ევლოგის თავმდებობისაგან. ქრისტე მრისხანე სახით ეცხადება დანიელს ძილში და უმკაცრესი სასჯელით სჯის მას: „უბრძანა ორთა ვიეთმე წინაშე მღვთომელთა თუსთა და დამკედეს მე ზე შეკრული უკულმართ ჰელითა მგუემდეს მე და მეტყოდეს ნუ უმეტეს ძალისა შენისა თავს მდებ ექმნები ვისცა და ნუ წინა აღუდგები განგებათა ღმერთისათა...“ (312r), — ჰყვება დანიელი. ეს უკანასკნელი სიტყვები გამოხატავს მთელ დედაზრს ამ ნოველისას.

მრავალი ტანჯვის შემდგომ ქრისტე შეიწყნარებს დანიელს. იგი თავისუფლდება ევლოგის თავმდებობისაგან. ევლოგი კი კარგავს მთელ ქონებას და ახალი იმპერატორისაგან დევნილი სიკვდილს ძლივს გადაურჩება. იგი ბრუნდება თავის სოფელში. დანიელი და ქვის მთლელი კვლავ ზედებიან ერთმანეთს და დანიელი უამბობს მას, თუ რა განსაცდელში ჩაივლო თავი მისი თავმდებობით.

ეს ამბავი აღიწერა „სადიდებელად ღმრთისა“, „თუ ვითარ ყოველი ადვილ არს მის წინაშე და თუ ვითარ მეყსა შინა აღამაღლა ევლოგი კაცთმოყუარებით და თუ ვითარ წამსა შინა დაამდაბლა მოწყალებით“ (314r).

საბას არაკი „უნაღვლოთა მიძებნილი“ მეფის არაკების ციკლშია ჩართული. ქვის მთლელი ერთი იმათგანია, რომელიც თავისი დარდისა და გაჭირვების ამბავს ჰყვება. ამიტომ ამბავი პირველი პირითაა გადმოცემული და სახელიც ქვის მთლელისა არსადაა ნახსენები. არაკის ძირითადი მორალი კი შემდეგ სიტყვებშია გადმოცემული: „თ უ რ ე ყ ო ვ ე ლ ი კ ა ც ი ს ი დ ი დ ე ს და პ ა ტ ი ე ს ვ ე რ შ ე ი ფ ე რ ე ბ ს, ი ს ე ე ს ი გ ლ ა ხ ა კ ე უ ჯ ო ბ ს ო“.

მოვიყვანო მთელ ტექსტს:

„მე ქვის მთლელი ვიყავი და ყოველთა დღეთა თითოს ასპანურს მომცემდენ ხელფასად. მით სასმელ-საჭმელს ვიყიდდი და მის ქალაქის გლახათ ვაწვევდი, მეცა ვჭამი. ხვალისად არა შევიწახი რა. ეგრევე დღე ყოველ ვიყავი. მოვიდა ერთი ღვთის კაცი, მეწვია, ჩემი ცხოვრება და მუშაობა ნახა, ევედრა ღმერთსა. ერთი შენი მონა რად გლახაკად გყავსო, ესეც განამდიდრეო!

ანგელოზმან სთქვა მას კაცსა:

— ჩვენ მაგ კაცის ბუნება ვიცით. სიმდიდრე თუცა მივეციო, ვერ თავს იღებს.

იგი ღვთისა კაცი თავდები თურე შეიქმნა. მე არც ერთი ვიცოდი ჩემისა სიმდიდრისათვის და კეთილმოქმედებისათვის.

დღესა ერთსა კლდესა ვკვეთდი. ხერელი გამოჩნდა. გამოვკვეთე. ვნახე განძი აუარებელი. ოქრო ფრიალი. იღუმალ გავზიდე. სხვას ქვეყანას წაველ. ესრეთ დიდი კაცი შევიქმენ, რომე მას თემის მეფის თავი ვაზირობა მომცეს. ასი კაცი ოქროს არგანოსანი კარსა ზედა მიდგა. აღარც გლახაკი მომაგონდა და აღარც ღმერთი. ესრეთ სიხარბეს გავყევ. უთხრა ანგელოზმან თავსმდებსა ჩემსა. გამოგზავნა ჩემთან. მოვიდა კართა ზედა ჩემთა. ენება ხილვა ჩემი და შეგონება. ვინ მოუშვებდა მას ჩემთან? დიდად გვემეს და განაძეს. რქვა ანგელოზმან თავსმდებსა ჩემსა:

— რას იტყვი შენის თავსმდებობისასა?

უთხრა მან: რა ვყო, ჩემი ბრალია და, რაც გენებოს, მიყავითო!

ანგელოზმან ეგრე უთხრა: თუცა შენ არ გეწყინება, თავისაც წერაქვს ვაძებნინებთო: კაცი იგი უარესსა იქმსო. თურე ყოველი კაცი სიმდიდრეს და პატრეს ვერ შეიფერებს, ისეც სიგლახაკე უჯობსო.

აღარც იმას დავსჯერდი. ვინებე მეფის მოკვლა და ჩემი გამეფება. შეიტყო მეფემან. სხვა ყოველი კაცი ჩემი დახოცა. მე გარდმოვეხვეწე. ჩემი წერაქვის დაჭერებას ვეცადე. შიშით ველარც მუნ დავდეგ, აქ მოველ, აწ თუ უნაღვლო ვიყო, შენ გასინჯე!²³

მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ მონათხრობს შორის მსგავსება მხოლოდ შინაარსობრივია და „მამათა ცხოვრების“ ტექსტი თითქმის ათჯერ აღემატება არაკის მოცულობას, ვთვლით, რომ საბას წყარო რომელიდაც შუამავალს სრულებითაც არ გულისხმობს. აქ და სხვა შემთხვევებშიც სავესებით კარგად გამოიკვეთა საბას შემოქმედებითი მეთოდის ერთი საინტერესო მხარე — როდესაც საბა სიუჟეტს სესხულობს ზემოთ დასახელებული კრებულებიდან, იგი სასულიერო შინაარსის თხრობებს ამუშავებს თავისი ჩანაფიქრის შესაბამისად, ამარტივებს, ამოკლებს და აძლევს მას საერო და უფრო განზოგადებულ ხასიათს. ერთი სიტყვით, თავისად აქცევს მას. ამიტომაც არის, რომ რამდენი წყაროც არ უნდა დაიძებნოს იგავ-არაკთა კრებულისათვის, ის მიანც დიდი შედეგის

²³ ს უ ლ ხ ა ნ - ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, I, თბილისი, 1959, გვ. 37—38.



ორიგინალურ ქმნილებად დარჩება და კრებულის ლიტერატურულ ღირებულებას უმცირეს ჩრდილსაც ვერ მიაყენებს. პირიქით, უფრო მეტ ნათელს მოჰფენს მისი ავტორის დიდ განსწავლულობას და აზროვნების სიღრმეს.

Н. А. МАХАРАДЗЕ

К ВОПРОСУ КНИЖНО-ЛИТЕРАТУРНЫХ ИСТОЧНИКОВ
«МУДРОСТИ ЛЖИ» С.-С. ОРБЕЛИАНИ

Резюме

В статье показано, что литературным источником басни «Философы» является засвидетельствованное в древнегрузинском переводе «Лимонария» Иоанна Мосха повествование (рук. Аф.-9, изд. Ил. Абуладзе, допол. 1, § 2), греческое соответствие которого (PG 87, III, нов. 156) редакционно отличается от обоих.

Также выявлено, что источником басни «Каменотес» мог служить совершенно идентичный по содержанию, но намного обширнее по объему рассказ из древнегрузинского Патерика в рукописи А-1105 Института рукописей АН ГССР (переведенный с греческого языка, с. 309г—314v). Рассказ данного Патерика полностью повторяется в арабском «Ал-Бустане» (новелла № 65 по изд. Р. В. Гварамия), но не находит своего соответствия ни в греческом тексте «Лимонария», ни в древнегрузинском переводе этого памятника.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

გულნარა კალანდარიშვილი

ასპეტივის პრობლემა ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“

ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ ანალიზს თავიდანვე მიმართულა მისცა მასში პოზიტიური აზრის ძიებამ. ასეთი მეთოდის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა კიტა აბაშიძის ეტიუდმა, რომლის პოლემიკური პათოსი გაღვივებული იყო საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ „განდეგილის“ დაწუნებით. უფრო კი იმ კრიტიკოსთა შეხედულებებით, რომლებმაც ილია ჭავჭავაძეს ბრალი დასდეს „ცხოვრებითის კითხვების“ უგულვებელყოფაში, „სა-აქაოზედ პესიმისტური შეხედულებების გამოხატვაში“, ჩვენი ერის იდეალებისათვის შეუფერებელი აზრების პოპულარიზაციასა და ანტიმოქალაქობრივ ესთეტიკაში. ერთ-ერთი ასეთი კრიტიკოსთაგანი წერდა პოემის შესახებ: „ჩვენ დროს არ შეეფერება, რომ პოეტმა, მერე იმისთანამ, როგორც ილ. ჭავჭავაძეა, თავის ქნარი რომელიმე განდეგილი ბერის უსაგნოთ და უმიზნოთ ცხოვრების დასამღერად მომართოს. ჯერ ერთია, რომ ჩვენი ხალხის იდეალს სრულებით არ ეთანხმება ამ სოფლიდან სამუდამოდ გაცლა და მარტო ლოცვაში სიცოცხლის გატარება... ბ. ილ. ჭავჭავაძის „განდეგილი“ შეიძლება იყოს ბერძნებისა, ასურელებისა, რუსებისა და ქართველებისა კი არ არის... განა ბ. ჭავჭავაძისთანა პოეტს ეპატიება ხალხის მისაყუჩებელი და „ზარმაცთა ყურის დასატკებობ“ ხმებს დაჰმღერდეს მაშინ, როდესაც დაუდგრომელი შრომა და მდღგარი ბრძოლა არსებობისათვის არის საჭირო“¹. თუმცა მსგავსი მოსაზრებების პარალელურად საქები სიტყვებაც გაისმა „განდეგილის“ მისამართით, მაგრამ მაინც პოემის საფუძვლიანი შეფასება და ილია ჭავჭავაძის მოქალაქობრივი პოზიციის რეაბილიტაცია ითავა კიტა აბაშიძემ და ამ მხრივ მისი ეტიუდის ისტორიული ღირებულება უთუოდ ძალიან დიდია. „განდეგილის“ საშუალებით კიტა აბაშიძემ საბოლოოდ გაარკვია რეალიზმის მიმართულებისათვის ილია ჭავჭავაძის პოეზიის მიკუთვნების საკითხი და პოემა რეალისტური ლიტერატურის შედევრად აღიარა: „თუ თავდაპირველად ილ. ჭავჭავაძის პოეზიას კიდევ აჩნია რომანტიული სკოლის გავლენა, სამაგიეროდ და ბოლოს სრულიად განთავისუფლდა ამ გავლენისაგან და შექმნა შედევრი რეალური დაწარმოებისა ქართულ ლიტერატურაში — „განდეგილი“. მან დაასრულა ევოლუტცია რომანტიზმისა და შექმნა მამამთავრად რეალური პოეზიისა ჩვენში და ერთ საუკეთესო მის წარმომადგენლად“². კიტა აბაშიძემ პოემის დედააზრის ასხნა დაუქვემდებარა ორ კითხვას და მათზე პასუხის ფორმით ააგო თავისი ეტიუდი. ეს კითხვებია: რა უნდოდა ეთქვა ილია ჭავჭავაძეს? რას შეგვაგონებს ის? „რა უნდოდა ეთქვა „განდეგილში“ პოეტს, — წერს კ. აბაშიძე, — თუ არა ის, რომ ყოველი კაცი, რომელიც გაურბის ცხოვრებას, ცხოვრებისგანვე იქნება დასჯილი ისე, როგორც დაისჯა განდეგილი. ვერავითარი სენაკი და უდაბნო, ვერავითარი ცდა — „დღე და ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით სულისთვის ხორცის წამება“, „ვერც ლოცვის ცრემლი“, რომელიც არ შემწყდარა, „ვითა დღესა მას

გლოვისასა“, ვერ დასძლევს ბუნების მოთხოვნილებას, ვერ გააქარწყლებს სას-
ტიკს კანონს ბუნებისას. მართალია, კაცს თავისი ენერჯითა და ნების ძლიე-
რებით შეუძლია სასტიკი ბრძოლა გაუწიოს ამ მოთხოვნილებას, შებოჭოს
და შეასუსტოს იგი, მაგრამ მთლად ერთიანად მისი მოსპობა კი შეუძლებე-
ლია“³. „განდეკილში“ ის გვიჩვენა ილ. ჭავჭავაძემ, თუ როგორ არ უნდა მო-
იქცეს კაცი, რომ ტყუილ-უბრალოდ არ გაუაროს მისმა ამ ქვეყნიურმა ცხოვ-
რებამ“⁴. როგორც კ. აბაშიძის დასახელებული ნაშრომიდან ჩანს, ავტორმა
ილია ჭავჭავაძის პოემის მთავარ პრობლემად დასახა ბრძოლა ცხოვრებასა და
მის უარყოფას — ასკეტიზმს შორის, მაგრამ პრობლემის შედარებით მცირე
მასშტაბი გაზარდა და „განდეკილი“ საზოგადოდ განდეგილობისა და ცხოვ-
რების უარყოფელი ფილოსოფიის საწინააღმდეგო თხზულებად გამოაცხადა⁵.

კ. აბაშიძის შემდეგ „განდეკილზე“ ბევრი დაიწერა. „ეტიუდების“ ავტორის
მაღალი კულტურითა და გზნებით დაწერილობა ნაშრომმა პოემის თითქმის ყვე-
ლა მკვლევარზე მოახდინა გავლენა, ყოველ შემთხვევაში მისი მეთოდი ყვე-
ლამ მიიღო. ზემოხსენებული კითხვებიც არ მოსცილებია პოემას. როგორც
ჩანს, ისე ძლიერი აღმოჩნდა „განდეკილის“ მიზანდასახულების ამოცნობისა და
ზუსტად ფორმულირების სურვილი, რომ ამან საგრძნობლად მოაღწია პოემის
მხატვრული სტრუქტურის მთლიანობაში აღქმა და „განდეკილის“ ანალიზი
დიდაქტიკისა და ალევგორიის პრინციპებით შეზღუდა. როგორც ცნობილია,
ნვადასხვა დროს პოემაში დაინახეს „ვაი-ვაგლახიანი ცხოვრების, დაუდევარი
არსებობისა“ და „მყუდრო ნეტარების დაპირისპირება“⁶, მყინვარისა და
თერგის ალევგორია⁷, „სულის სიმტკიცის, ძალის ენერჯის, ნებისყოფის აღზ-
რდისაკენ“ მოწოდება⁸. ასეთ მოსაზრებებს თავისი საფუძველი აქვს. ყველა
ქვეყნობრივად ღირებული მხატვრული ქმნილება მრავალ ასპექტში განხილვას
უნდა უძლებდეს. ამ მხრივ არც ილიას „განდეკილია“ გამონაკლისი. მაგრამ
ილიას პოემის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი მთავარი გმირი
ასკეტია, ადამიანი, მოქმედი არა ორდინარულ გარემოში, იდეის კაცი, რომლის
ქცევისა და განცდების ვაგება შესაძლებელია მხოლოდ იმ იდეოლოგიის გა-
თვალისწინებით, რომელთანაც ეს პიროვნება განუყოფელ კავშირშია. ამ შემ-
თხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, გვევლინება თუ არა ის იდეოლოგიის დამ-
ცველად ან პირიქით, უარყოფელად, მთავარია, რომ მისი სულიერი ცხოვრე-
ბა დეტერმინირებულია ასკეტური იდეოლოგიით და მისი შინაგანი კონფლიქ-
ტების არსიც ამ დონეზე უნდა იყოს წარმოდგენილი. ილიას ზომ თეოლოგიუ-
რი ტრაქტატი ან პუბლიცისტური წერილი არ დაუწერია ასკეტიზმის პრობლე-
მაზე, სადაც ის ლოგიკური მსჯელობით დაასაბუთებდა თავის შეხედულებებს,
მან დაწერა მხატვრული თხზულება. მაშასადამე, ჩვენ სრული უფლება გვაქვს
ვეძიოთ მასში ფსიქოლოგიური სიმართლე, ბუნებრიობა, ე. წ. „გრძნობების
ლოგიკა“, „შეთანხმებაც, შთავონებაც, სისაფეც“ და ბევრი სხვა ისეთი კომ-
პონენტი, რომლებიც უნდა ჰქონდეს საუკეთესო ნიმუშს მწერლობისა და, თუ
აღმოჩნდება, რომ ილიას გმირი არ შეესაბამება პოემაში ნაჩვენებ ვითარებას,
მაშინ მოგვიხდება თქმა, რომ ილია ჭავჭავაძემ, დიდმა რეალისტმა მწერალმა,
თავი ვერ გაართვა შემოქმედების ამოცანას, მან გამოთქვა საზოგადოებისთვის
სასარგებლო აზრი, გამოთქვა შთამბეჭდავად, ლამაზად, ცალკეულ პასაჟებში
ძიაღწია ფსიქოლოგიურ დამაჯერებლობას, ბევრ რამეს მისწვდა ინტუიციით,
მაგრამ აქტი შემოქმედებისა მის თხზულებაში მაღალ დონეზე არ აღსრულებ-
ბულა, რადგან, როგორც ცნობილია, ეპიკური ნაწარმოები დიდი ლიტერა-

ტურის კუთვნილება მხოლოდ მკვევრემეტყველების, მნიშვნელოვანი იდეების
 ან კარგად დამუშავებული დეტალების საფუძველზე არ ხდება. ყველა ხსენებ-
 ბულ ღირსებასთან ერთად მასში პარმონიულ შეთანხმებას განაპირობებს ლი-
 ტერატურული ხასიათი — გაცოცხლებული და მოტივირებული ბუნებასა და
 საზოგადოებაში მოქმედი კანონების თანახმად. „სწორედ იმაში მდგომარეობს
 დახვეწილი, ეკონომიური ხელოვნება მწერლისა, — წერს ერთი ფსიქოლო-
 გი, — რომ ის თავის გმირს აშკარად და ამომწურავად არ ამოახსენებებს მო-
 ტივირების ყველა საიდუმლოს. ამით მწერალი კვებავს ჩვენს წარმოდგენას,
 ვეაძიებებს შევავსოთ ის, რაც უკმარისად მიგვაჩნია, აშორებს ჩვენს გონებას
 კრიტიკულ აზრს და აღვიპირავს გმირთან გაიგივების გრძნობას. სხვაგვარად
 მოიქცეოდა დილენტანტი—ყველა მისთვის მნიშვნელოვან სათქმელს ის გამო-
 თქვამდა შეუფარავად და ამის შედეგად მიიღებდა ჩვენი თავისუფალი და შეუ-
 ბორკავი, რაიმე ჩაღრმავების ილუზიას მოკლებული აზრის სიცივეს“⁹. ასეთი
 ეკონომიური მოტივაცია არის ილია ჭავჭავაძის „განდეგილი“ — მისი სრულ-
 ლი შეცნობისთვის კი ასკეტოზმის იდეების ცოდნა საჭირო, რადგან თანდა-
 ყოლილი ხასიათი პოემაში ამ იდეების ფონზე განვითარებული. ასკეტოზმის
 იდეოლოგიიდან გამომდინარე კი ვაკვირდება ავსხნათ გმირის ტრაგედია მასში
 ბუნებრივი ინსტიქტის ამოქმედებით, როგორც ამას ე. აბაშიძე ვეთავაზობს.
 ძალზე მცირე საბუთია განდეგილის სიკვდილისათვის მასში ხორციელი მის-
 წარაფების ხანმოკლე აღზევება და მით უმეტეს სულ არ არის საბუთი ასკეტური
 იდეალის ტრატატური დამარცხების განსახიერებისათვის, თუ მაინცდამაინც
 ასეთ განზრახვას ილია ჭავჭავაძეს მივაწერთ. ასკეტოზმის ქრისტიანული დოქ-
 ტრინა ამ თვალსაზრისით პოემის სიუჟეტთან ისეთ წინააღმდეგობას არ ქნის,
 რომ ამან განაპირობოს პერსონაჟის ტრაგედია. ტრაგიკულ წინააღმდეგობრი-
 ბას მხოლოდ მაშინ ექნებოდა ადგილი, ქრისტიანულ ასკეტოზმს აბსოლუტუ-
 რად რომ გამოერიცხა ადამიანის ბუნების ცოდვილიანობა, უარყო ცოდვისა
 და სინანულის კორელაცია და დაუშვებლად მიეჩნია ასკეტური ცხოვრების
 დროს სქესობრივი სურვილის ან რომელიმე სხვა ცოდვილი ფიქრის ხანმოკლე
 გაელვებაც კი. მაგრამ, როგორც ცნობილია, ქრისტიანული მოძღვრების საფუ-
 ძველი ბიოლოგიური ბუნების უარყოფა კი არ არის, არამედ მასზე სულიერი
 ამაღლება. ასკეტური იდეოლოგია, რა თქმა უნდა, არ უგულვებელყოფს ქრის-
 ტიანული მორალიზმის ძირითად პრინციპს — განუწყვეტელ ზნეობრივ ბრძო-
 ლას შინაგან ადამიანში და არ აღიარებს, რომ სულიერი ცხოვრების რომე-
 ლიმე ეტაპზე ბრძოლა წყდება და მუდმივი სიფხიზლის ადგილს რაღაც გან-
 საკუთრებული რელიგიური პროსტრაცია იკავებს. ასეთი თვისდარწმუნება და
 ამპარტავნობა შეუთავსებელია ასკეტურ ხასიათთან. ეს ჩანს კიდევაც ილიას
 პოემაში: მწიბრი გაიგებს თუ არა „რაღაც კაცის ხმას“, შემკრთალი ჰკითხავს—
 „ვინ ხარ? კაცი თუ მავნე, აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან? და მალე დამშვიდ-
 დება: „რა დედა-ღვთისამ სენავს შეუშვა და არ შერისხა იგი მოსული, გულში
 თქვა მწიბრმა: ძეა კაცისა და არა მავნე, ბოროტი სული“. ასეთი რეაქცია საე-
 სებით გასაგებია განდეგილისაგან, რომელიც ელის ცოდვის საფრთხეს, იცის,
 რომ „ცოდვა მსგავს არს ღელვისა, რომელი მოიწიის ჩვენ ზედა სასტიკად
 და კუალად სხვასა მოგუცნის მუნთქუესვე“ (ბასილი კესარიელი). ამიტომაც
 ის მუდამ საომარ მდგომარეობაშია და „ჩაქვ იგი სარწმუნოებისა და სიყუა-
 რულისა და ჩაფხუტი იგი სასიებისა და ცხოვრებისა“ (1 თესალონ. 5,8); „ფაბრი
 სარწმუნოებისა“ (ეფეს. 6,16) და საჭურველი არა ხორციელი (2 კორინთ. 10,4)

მომარჯვებული აქვს. ხოლო შესაძლებელი დროებითი მარცხის შემთხვევაში მის სულს განწმენდს სინანული, გულწრფელი ლოცვა და სასოება. ასკეტს, ისევე როგორც ყველა ქრისტიანს, შეუძლია გაიმეოროს პავლე მოციქულის სიტყვები: „ესე უწყით, რამეთუ მსჯეული სულიერ არს, ხოლო მე კორციელ ვარ და განფრდილ ცოდუასა შინა. რამეთუ რომელსა იგი ვიქმ, არა ვიცი, რამეთუ არა რომელი იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი იგი მძულს, მას ვპყოფ. ხოლო უკეთუ, რომელი იგი მე არა მნებავს და მას ვპყოფ, არღარა მე ვიქმ მას, არამედ რომელი იგი დამკვდრებულ არს ჩემთანა ცოდუა. ვპაპოვომა მსჯეული, რომელსა უნდეს ჩემდა ყოფად კეთილისა, რამეთუ მე ბოროტი წინამძღს. რამეთუ თანა მნებავს მე მსჯელსა ღმრთისასა შინაგანით მით კაცითა“ (რომ. თავი 7).

როგორც ვხედავთ, ქრისტიანული მოძღვრება სულიერი ზეალსვლის ურთულეს პროცესს ბუნების დამორგუწველი იმპერატივის მექანიზმს არ უქვემდებარებს და ასეთი ზეალსვლის დასაბუთებას „შინაგანი ადამიანის“ სურვილების დიფერენციალიაში, ქვეყნა და ამაღლებული მისწრაფებების ზნეობრივ განცნობიერებაში ეძებს. ე. წ. ასკეტურმა ბელეტრისტიკამ ცთუნების ეპიზოდები ძრავლად იცის ერთ-ერთ მთავანს, თქმულებას წმ. მარტინიანის შესახებ კ. აბაშიძე იმოწმებს. როგორც თქმულებიდან ვხედავთ, მარტინიანი მთლიანად დაჰყვება ვენებს და, როდესაც მეორე დღით გამოერკვევა, ნიშნად უღრმესი სინანულისა თავს დაისჯის — კოცონზე ფეხებს დაიხრტავს, შემდეგ გადაიკარგება საღდაც უდაბნო კუნძულზე და კვლავ ასკეტურ ცხოვრებას განაგრძობს. ილია ჭავჭავაძის გმირიც, რომელიც აკრძალული სურვილის რეალიზაციას არც კი ახდენს, დიდი აფორიაქების შემდეგ დამშვიდდება, მაგრამ სულ მალე მის არსებაში თავს იჩენს საბედისწერო ბზარი და გმირი იღუპება. როგორც ჩანს, პიროვნებაში ამოქმედდნენ რაღაც სხვა ძალები, რომელთა შეუთავსებლობამ გამოიწვია კატასტროფა, თორემ ამ შემთხვევაში ასკეტს ხომ თავისი იდეალის გამარჯვება უნდა ეზეიმა. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მისთვის, „გულ-მწყლული ფილოსოფოსისათვის“, როგორც მას კ. აბაშიძე უწოდებს, ცხოვრებიდან წასვლის ერთადერთი მიზეზი ადამიანში ხორციელი სურვილების არსებობა ვახდა, მთელი თავისი ასკეტური ცხოვრება მთ დათრგუნვას შეაღია და, რაკი ეს ბოლომდე ვერ შეძლო, შეძრწუნებისაგან მოკვდა. პოემის მე-3 თავში, სადაც მწირის მიერ წარმოდგენილი ცხოვრების სურათია დაზატული, სრულიადაც არ ჩანს, რომ განდეგილმა შაინცდამაინც ხორციელი ტყბობის წარმართული კულტი შეიზიზღა, მის წინააღმდეგ აღდგა და, როდესაც თვითონ მასში, მიუხედავად „დღე და ღამ ლოცვისა“, „ჯერ არცნობის სიტყობებამ“ იჩინა თავი და „რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული“, — ეს ვერ აიტანა. ანგარიში უნდა გაეწიოს იმასაც, თუ რა თანამიმდევრობით არის ნაჩვენები პოემაში გმირის სულიერი მოძრაობა. ვიდრე ინსტინქტი მთლად ძალაში შევიდოდა, ხომ უფრო ადრე იყო დიალოგი მწყემსს ქალსა და განდეგელს შორის და თუ ამჯერადაც ღრმად არ ჩაეწვდებოთ მოტივაციას, ძნელი წარმოსადგენი ვახდება ქრისტიანი ასკეტი, რომელმაც ჩიკლა უდიდესი ძალის ბუნებრივი მოთხოვნილება — თავის მსგავსთა შორის ცხოვრებისა, მიზნად დაისახა მოეროდა საკუთარ თავს და უეტრად ისე დაიბნა მწყემსის უბრალო შეკითხვაზე, რომ უნებლიეთ წამოიძახა: „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა ესეთი მერგო მე... უბედურსა“. რომ ხსნა ყველგან არის და ასკეტისში ხსნის ერთ-ერთი გზაა, ეს მან, ქრის-

ტიანულ მოძღვრებაში გარკვეულმა კაცმა, ადრეც იცოდა, რაღა შუაშია „მეტე დური“, რა გრძნობამ უკარნახა მას ეს სიტყვა?! ასეთი მომენტები აუხსნელი რჩება კ. აბაშიძის ნაშრომში. უხერხულობა თავიდან აცილებულია იმით, რომ კონკრეტული მოვლენა — ასკეტიზმი, წარმოდგენილია ყოველგვარი განდეგილობის ზოგად სახედ, ხოლო მწირის მარცხი კი ასკეტიზმის კანონზომიერ და გარდაუვალ დამარცხებად.

ა. ბაქრაძემ, პირველმა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, საჭიროდ სცნო ვრცელი მსჯელობა ქრისტიანულ დოგმატებზე „განდეგილის“ ანალიზის დროს და ნაშრომში «ილიას „განდეგილი“»¹⁰ ილიას პოემის ახალი გააზრება სცადა. ნაშრომში ბევრი საგულისხმო აზრი და საინტერესო მიგნებაა, თუმცა ქრისტიანულ მოძღვრებაში სულისა და ხორცის ცნებების მცდარმა გაგებამ ავტორს ხელი შეუშალა სწორად წარმოედგინა განდეგილობის არსი, ამასთან დაკავშირებით კი პოემის გმირის ხასიათი და ის ფაქტიურად ასკეტური რეჟიმის ნორმების აღწერას ვერ გასცდა. „თავისუფალი ნებით ადამიანი იმიტომ ირჩევდა განდეგილობას, — წერს ა. ბაქრაძე, — რომ ტანჯვის გზით (სიმბოლურად ქრისტეს გზის გამოერებით) დაეგმო ხორცი (=ბოროტება) და სულოთი (=სიკეთით) ამაღლებული მიმსგავსებოდა უზენაესს. ეს არის განდეგილობის არსი“. «„განდეგილში“ ილიას გამოყენებული აქვს ცოდვით-დაცემის კლასიკური სიუჟეტი, მაგრამ ამჯერად დაეცმა გამოწვეულია რწმენის დაღატოებით. ამდენად „განდეგილი“ რწმენის ტრაგედიაა. რწმენის დაღატი კი შედეგია ადამიანის გაორებისა და ნებისყოფის სისუსტისა». „ხორცის მხვეალი მწყემსი ქალი“ ხიბლავს განდეგილს თავის სილამაზით. ა. ბაქრაძის აზრით, მისი შორეული წინაპარი ბიბლიური ევაა: „ედუენების პირველ ამბავშიც ევა მშვენიერია. ასეა სიტყვაკაზმული მწერლობის სხვა ნიმუშებშიც, სადაც ცოდვითდაცემის სიუჟეტი გამოყენებული“. ეს ალეგორიული პოემა, ა. ბაქრაძის შეხედულებით, მეტად მნიშვნელოვან მოწოდებას შეიცავს: „ყოველმა კაცმა ხორცი უნდა მისცეს სულისათვის. მაშინ გახდება შესაძლებელი ერის გათავისუფლება. განდეგილსაც ეს გზა უნდა გაეგო. ჯერ საკუთარი სულის ხსნისათვის უნდა ებრძოლა და მერე მიეცემოდა საშუალება მამულზეც ებრუნა. მაგრამ პიროვნების სულის ხსნა არ არის იოლი საქმე. ამისთვის ჯვარცმულის რწმენა, ნებისყოფა და ენერგია უნდა ჰქონდეს კაცს. მისი სულის სიმტკიცისა და ძალის პატრონი უნდა იყოს. სხვანაირად არაფერი გამოვა. რაკი განდეგილს ეს თვისებები არ აღმოაჩნდა, დაიღუპა კიდევ. ეს სიკვდილი სულის სიმტკიცის, ძალის, ენერგიის, ნებისყოფის აღზრდისაკენ მოუწოდებს მკითხველს“.

როგორც ვხედავთ, ქრისტიანულ მოძღვრებაში არასებელი ანტაგონიზმით, ქრისტიანული ვოლუნტარიზმის მაქსიმალიზაციით აგებს ა. ბაქრაძე ალეგორიულ მოდელს, რომელშიაც ერთიანად უნდა მოაქციოს როგორც მთელი ქრისტიანული ასკეტიზმი, ისე პოემა „განდეგილის“ უაღრესად დრამატული სიუჟეტი. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ქრისტიანობა მონისტურია რელიგიაა. ის აღიარებს მატერიის სრულ დამოკიდებულებას ღმერთისაგან, მიიჩნევს მას სულის (ღმერთის) შემოქმედების ნაყოფად. ქრისტიანობაში არ არის და არც შეიძლება იყოს მატერიისა და სულის ანტაგონიზმი. ამას მოწმობს ქრისტიანული თეოლოგია, ეთიკა, ნელოგენება, პირველი ქრისტიანული წიგნები და საერთოდ ყველაფერი, რასაც კი კავშირი აქვს ქრისტიანულ მოძღვრებასთან. ბოროტება არ არის მატერიის იმანენტური თვისება და ბორო-

ტებას არც აქვს სუბსტანციური არსებობა. „არაფერს არ შეიძლება ჰქონდეს არსებობა, რაც არ არსებობს არსში... რაც არ არის არსში, ის არ არსებობს საერთოდ“, — წერს გრიგოლ ნოსელი. „ყოველი დაბადებული ღმრთისა კეთილ-არს, — ვკითხულობთ პავლესთან, — და არა რამ არს განსაგებელი, მაღლობით მიღებული“ (I ტიმ. 4, 4). ყოველი არსებული თავისთავად კეთილია, თუ ის შეესაბამება შემოქმედის აზრსა და ნებას. პირველქმნილი ცოდვის შედეგად შეილახა ადამიანის ბუნება — სულიც და ხორციც. ეს იყო პირველი ამხედრება ღვთაებრივი ნების წინააღმდეგ, რისი სტიმული ხორციელი სურვილი კი არა, თავისუფალი ნება და ამპარტავნება იყო. ევას „სილამაზე“ აქ არაფერ შუაშია. სატანამ პირველ ადამიანებში გააღვივა ავტონომიისა და ღმერთთან გათანაბრების სურვილი. ღვთისმეტყველებაში ბევრი დაწერილა ადამ და ევას თავისუფალი ნების შესახებ, რომელსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიცემული სამუდამო მიმართულება და ამდენად ის განსხვავდებოდა ჩვენი წარმოდგენებისაგან თავისუფალი ნებაზე. „ადამიანის ყველა ძალისა და უნარის მსგავსად, — წერს ულრიცი, — თავისუფალი გადაწყვეტილების უნარიც, უნარი სურვილების, მიდრეკილებების შეზღუდვისა, მათი განსჯისა და მათ შორის არჩევანის გაკეთებისა, მიიღწევა მხოლოდ თანდათანობით, მუდმივი და დაუბრკოლებელი შილღაწეობით, განუწყვეტელი ვარჯიშით“¹¹. ასეთი რამ კი სამოთხის ვითარებაში ჯერ კიდევ შეუძლებელი იყო. ეს უნდა მოჰყოლოდა სულიერი განვითარების ხანგრძლივ პროცესს, სარწმუნოებას. როგორც ეხედვით, „ცოდვითდაცემის კლასიკური სიუჟეტის“ მოდერნიზაცია და მისი ნებაყოფლობითი მორგება რომელიმე მხატვრულ თხზულებაზე სრულიად დაუშვებელია მაშინ, როდესაც ქრისტიანულ მოძღვრებაზე სერიოზული და დასაბუთებული ლაპარაკია საჭირო. არ შეიძლება აგრეთვე ხორცის გმობის, სოფლის მოძაგების თემას ქრისტიანული დოქტრინების სისტემაში განმსაზღვრელი მნიშვნელობა მივანიჭოთ. ეს თემა მეტად თავისებურად გამოიყურება რელიგიაში, რომელიც ცოდვად სულისა და ხორცის დისპარმონიას თვლის და არა ხორცს თავისთავად. სწორედ ჰარმონიის აღდგენის, ფიზიკურ მისწრაფებებში ზომიერების დაცვისკენ მოგვიწოდებს ა. ბაქრაძის მიერ დამოწმებული პავლეს ეპისტოლე, სადაც ხორცის თვისებები — სიძვანი, მრუშებანი, ბილწებანი, მთვრალობანი და სხვაა გაიციხული, ხოლო სულისა — სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა და სხვ. — განდიდებული. ამავე დროს პავლესვე ეკუთვნის სიტყვები „არა უწყითა, რამეთუ ვორცნი ეგე თქუწნნი ტაძარნი თქუწნ შორის სულისა წმიდისანი არიან, რომელ ეგე ვაქუს ღმრთისაგან“ (I კორინთ. 6, 19), ასევე იოანეს სიტყვები: „ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცაღა რამ არს სოფლისა ამის“ (I იოანე 2, 15) — ვერ გააბათილებს ძირითად იდეას, რომელსაც მთელი ქრისტიანული რელიგია ემყარება: „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდ შობილი მოჰსცა მას, რათა ყოველსა, რომელსა პრწმენეს იგი, არა წარჰსწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“ (იოანე, 3,16). მოციქულთა ეპისტოლეებში, სადაც ერთი შეხედვით თითქოს მართლაც არის ურთიერთგამომრიცხავი სიყვარული და მოძაგება სოფლისა, დაკვირვებული კითხვისას მაინც შევიცნობთ, რომ ეს სხვა არა არის რა, თუ არა სურვილი — დაიცვას ადამიანი მანკიერი ნების უაზრო მოქმედებისგან, დაუოკებელი გრძნობების ლეღვისაგან, რადგან ნეტარი ავგუსტინეს ნათქვამისა არ იყოს, „ყოველი მოუწესრიგებელი სული თავის თავში ატარებს სასჯელს“. და თუ ქრისტიანობა მოუწოდებს

მორწმუნეებს არ დაემონონ ყოველდღიურ წვრილმან საზრუნავს, არ მოექცნენ ხელსაყრელი ვითარების სამარცხვინო ტყვეობაში, ამაშიც ჩანს მისი უღონო რწმენა აღმიახსნადმი, რწმენა, რომ თავისუფალი ნება ბევრად უფრო მაღალი კატეგორიაა, ვიდრე მოვლენათა მარტივი, ბიოლოგიური შინაარსი. „ქრისტე არსად არ გმობს ხორცს, — წერს იოანე ოქროპირი, — ის ყოველთვის ბრალს სდებს გაუკუღმართებულ ნებას, როდესაც ამბობს, რომ უკეთუ თუალი შენი მარჯუმცნე გაკთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან — გულისხმობს, რომ არა მხოლოდ თვალი სცოდავს, არამედ ვინება და გული“¹². რელიგიის ასეთ მომენტებს აუცილებლად სწორი გააზრება უნდა, მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქრისტიანული კულტურის ისტორიისთვისაც, წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლმხედველობრივი კონფლიქტი შეიძლება დავინახოთ იქ, სადაც მას სინამდვილეში ივსავს.

სულის ხსნაც არ არის პრივილეგია მხოლოდ მათი, ვინც ხორცის უკიდურესი გვემა შეძლო. ქრისტეს, ამ თავისებური და „ერთადერთი ხელდასხმულის“, დიდი მიზანი კარგად არის ჩამოყალიბებული პოეტურ ნათქვამში: იესოს სულს კოშმარიეთი აწვალებდა აზრი, რომ გარეშე მდგომთაგან ბევრი იყო, ვისაც გზა ვერ ეპოვნა. უფსკრული ხელდასხმულთა და ხალხს შორის უნდა შემტკრებელიყო. ამიერიდან სასუფეველი ღვთისა აღარ უნდა ყოფილიყო „გარეგნულ მოქმედებებზე“ დამოკიდებული: სასუფეველი არ არის არც აქ, არც იქ — „ის ჩვენშია“. იესოსთვის მთავარი იყო არა ის, თუ რამდენად ღრმად შეაღწევდა ვინმე სულის საუფლოში, არამედ ის, რომ ყველას ერწმუნა ასეთი საუფლო არსებობა. მას უნდა ეთქვა: მე არ მინდა, რომ ხსნა მცირე რჩეულთა ხედრი იყოს. მე მინდა, რომ მთელმა ხალხმა მიიღოს მასში მონაწილეობა¹³. ამასაც უთუოდ ანგარიში უნდა გაეწიოს, მით უმეტეს თუ გაევიზიარებთ ა. ბაქრაძის აზრს — „ილიას შემოქმედებაში ქრისტიანობა მიჩნეულია პიროვნებისა და ერის მხსნელ მოძღვრებად“. სრულიად სამართლიანად წერს ა. ბაქრაძე, რომ სიკეთისა და მადლის სამსახური ქრისტიანობის უპირველესი მცნებააო. ეს, რა თქმა უნდა, ჰუმანიზმია. ჰუმანიზმის განვითარებას რთული პერიპეტები აქვს, მაგრამ რელიგიაში, რომელშიც ჰეგელის სიტყვით — შემოაბრუნა მსოფლიო ისტორია¹⁴, შეიქმნა პიროვნული კულტურის სპეციფიკური ფორმები, რომელთა წვდომა მარტო „ენერგიითა და ნებისყოფით“ შეუძლებელია. სწორედ ამ თვალსაზრისით არის საინტერესო ასკეტიზმის ფენომენი ქრისტიანობაში.

მართლაც, ვინ იყვნენ ეს ასკეტები, რომლებმაც მოისურვეს რაღაც განსაკუთრებულის ჩადენა საიმისოდ, რათა დამსგავსებოდნენ ყველა ქრისტიანის იდეალს — იესო ქრისტეს?! იმდენად ხომ არ გადააჭარბეს კეთილმორწმუნეობაში, რომ რელიგიის უმაღლეს აზრსაც კი დასცილდნენ, რადგან მათი ცხოვრების შესაბამისი წესი ბიბლიაშიც კი არ მოიძებნება. საერთოდ, ქრისტეს მიერ მონაზვნობა არც არის კანონიზებული. ამას აღიარებს თვით პავლე მოციქულიც, მონაზვნობის დიდი პატივისმცემელი: „ხოლო ქალწულთათვის ბრძანება უფლისა მიერ არა მაქუს, ხოლო ვაზრახებ, ვითარცა შეწყალებული უფლისა მიერ, სარწმუნო-ყოფილ“ (I კორინთ. 7,25). ეს კითხვა კარგა ხანია თან სდევს ასკეტიზმის პრობლემას. როგორც ჩანს, ის თანაბრად აინტერესებდა იმათ, ვისაც რელიგიური ცხოვრების ერთადერთ ფორმად ასკეტიზმი მიაჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ქრისტეს ცხოვრება საამისო მაგალითს არ იძლეოდა, და იმათაც, ვინც საზარებისავე საფუძველზე

უარყოფდა ასკეტიზმს. როგორც ცნობილია, ისტორიის მანძილზე ასკეტიზმს არაერთხელ მიუღია მხინჯი სახე, ფანატიზმში გადაზრდილა. ისტორიულ ღვთისმეტყველებაში ასეთი ფორმა შესაბამისად არის კვალიფიცირებული. ითვლება, რომ ესენი არიან ცრუასკეტები, რომ მათზე იმოქმედა ხორცის ბოროტებად გამოცხადების ერეტიკულმა იდეამ, მათი სულიერი მდგომარეობა ასკეტიზმის არსს არ გამოხატავს და ისინი მხედველობაში არც მიიღებიან¹⁵. ეს ღვთისმეტყველების პასუხია, მაგრამ კითხვას აღძრავს კულტურისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიაც, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ საუკუნეთა განმავლობაში განყენებულთა სავანეებიდან კაცობრიობას ესმოდა „გრძნობათა მგზნებარე და ნაზი მოძრაობა. იქ ნახა სტუმართმოყვარე თავშესაფარი ხელოვნებამ, პოეზიამ, მეცნიერებამ. ცივილიზაციის საწყისები ბერ-მონაზვნობის ცხოვრების ფურცლებია. მიაღწია ბერ-მონაზვნობამ ყოველივე ამას თავისი იდეალების უარყოფით, თუ სწორედ იდეალებმა შეუქმნეს მას ნიადაგი ასეთი მოღვაწეობისათვის? — წერს პარნაკი. ის მონაზვნობაა ჭეშმარიტი, რომელიც ჭკრეტს სოფელს, ვითარცა ღვთის ტაძარს და მღუშინარ ბუნებაშიც აღიქვამს ღვთაებრივ სულს, თუ ჭეშმარიტი მონაზვნობაა ის, რომელიც ამტკიცებს, რომ ქვეყანა ბუნებითა და ისტორიით ემშავის კერძია? ორივე პასუხი გვესმის სავანეებიდან, რომელია სწორი და რომელს ერგება ისტორიული გამართლება“¹⁶.

როგორც ხედავთ, ასკეტიზმი მოითხოვს ფსიქოლოგიურ ახსნასაც და სრულიად სამართლიანად. მართლა ძნელი დასაჯერებელია, რომ საკუთარ თავზე მოძალადე ადამიანებმა, პირქუშმა და მშრალმა განდგომილებმა ამ ზომამდე გამოამყლანეს შემოქმედებითი ენერჯია და ამდენი კეთილი და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება შეძლეს. ასკეტური ცხოვრების წესის პოლემიკური ისტორია, საუკუნეობრივი კამათი სხვადასხვა ტიპის ბერ-მონაზვნობის თეორეტიკოსთა შორის მოწმობს, რომ ჭეშმარიტი ასკეტიზმი აღიარებული იყო როგორც განსაკუთრებული უნარი, მოწოდება, ხედრი საამისოდ განწყობილი ადამიანებისა, რომ ის იყო უანგარო და უსაზღვრო სიყვარული ღვთისა და რომ მხოლოდ მოვალეობით არ განისაზღვრებოდა. ეფრემ ასურის სიტყვით რომ ვთქვათ: „მონაზონ არცინ იქმნების მოპარსვითა თმათათა და შეცვალებითა სამოსლისათა, არამედ სურვილითა საღმრთოთათა და მოქალაქობითა სათნოთათა, რამეთუ ამათ მიერ გამოჩნდების სიწმიდე სულისა“. ასკეტური ხასიათისადმი ინტერესი გამოთქვა ილია ჭავჭავაძემ წერილში „აკაკი და ვეფხისტყაოსანი“, სადაც ის ამტკიცებს თანდაყოლილი ხასიათის არსებობას და უბრწყინვალესი ქართველოლოგიური ანალოზის საფუძველზე გვიჩვენებს გენიალურ ქმნილებაში შექმნილი ლიტერატურული ხასიათის მიმართებას ბუნების კანონებთან. ასეთ კონტექსტში მას მაგალითად მოჰყავს სვიმონ მესვეტის ასკეტური ცხოვრება: „სვიმონ მესვეტე სვეტზედ ავიდა და იქ მიეცა ვაზრწნილებას სულის საოხად, და ნუთუ ეს სიზარმაცით მოუთხიდა და ქვეყანას იმიტომ მოერიდა, რომ ქვეყანა ხელ-ფეხის მოძრაობას, გარჯას და მუშაობას პოთხულობდა და სვეტზედ კი უძრავად შეეძლო დებულიყო. ამისთანა ამბავს სხვა მიზეზი აქვს, რომელიც თავს იმაღავს ადამიანის მრავალფერს ბუნებაში და, რამოდენად ეს ფარულნი მიზეზნი შორს არიან უბრალო სიკვდილის შვილთა თვალათვის, იმოდენად მათი პოვნა და მიგნება ხედურია მარტო იმისთანა კაცებისა, როგორიც რუსთაველია და სხვანი“. პოემა „განდეგილში“ ილია ჭავჭავა-

ქემ ადამიანის მრავალფერო ბუნების კადევე ერთი მზარე გვიჩვენა, ძალზე ღრმად გაგებული ქრისტიანული მოძღვრებისა და ასკეტური იდეალის ფონზე.

ს. ცაიშვილის ცნობით, ილია ჭავჭავაძეს პოემის დედანშივე შეუცვლია პირველი ორი სათაური — „მეუღდაბნოე“ და „ბეთლემი“ — მანამდე უცნობი, ძველქართული განდგომილის საფუძველზე აღმოცენებული სიტყვით განდგვილი¹⁷.

იქნებ ამით ილიამ თავის გმირს ჩამოაშორა შუასაუკუნეების მეუღდაბნოებისა და განდგომილების შარავანდედი, არც ბეთლემით ისურვა დაესათაურებინა განდგვილის მარტოსულობის ტრავედია. პოემაში წმინდანებისაგან გამოცალკეების მოტივი არის, ის იგრძნობა დამამთავრებელ სტროფებში:

და იქ, სად წმინდანთ უღედობით
 ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
 იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
 მსხვერპლი ქებისა და ღალატების,—
 აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
 მარტო ქარილა დადის და ქშუის,
 და გამომფრთხალი ჭეჭაქუხილით
 მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის.

პოემის პირველმა რეცენზენტებმა შენიშნეს განდგვილის იშვიათი პესიმიზმი. მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ „განდგვილი ილიას პესიმიზმის ხატებაა“¹⁸. რატომღაც პერსონაჟის პესიმიზმი მიეწერებოდა პოემის ავტორს, ხოლო მწირის მიერ განცდილი ცხოვრება — ილიას თანამედროვე საქართველოს. ეს ტენდენცია ახლაც იჩენს თავს. მაგ., ა. ბაქრაძის დასახელებულ ნაშრომში აღდგენილია მარჯობი უორდროპის ადრე გამოთქმული მოსაზრება — პოემა საქართველოს ცხოვრების სიმბოლური ასახვააო — და გამდიდრებულია ა. ბაქრაძის მიერ ილიას შემოქმედებიდან შერჩეული მაგალითებით, რაც სრულიად არ არის დამარწმუნებელი. მწირის სასოწარკვეთას არაფერი აქვს საერთო ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი ხასიათის გულსტიკვილთან და კრიტიკულ განწყობილებასთან, რომლის გამოხატვას მის შემოქმედებაში ქრისტესა და მისი მოციქულების უმაჟფრესი მხილება თუ შეედრება. მხილების ფსიქოლოგიური საფუძველი ყოველთვის კეთილშობილი აღმოვითება, მოწოდება და იმედია. მწირის მიერ წარმოსახული ცხოვრების სურათში კი „განწირულების წყლული“ და ცივი რაციონალიზმი ჩანს. ერთია, საზოგადოებას ბრალი დასდო მაღალი ზნეობრივი ნორმების შელახვაში, თვისებებში, რომელსაც ა. ბაქრაძე ჩამოთვლის („მტრობაში, შულღში, თვალთმაქცობაში, გულგრილობაში, უღარდებლობაში, უზრუნველობაში, ორპირობაში, სიცრუეში“), და მეორეა, ქვეყანა ტოტალურად „ბოროტების სამეფოდ“ გამოაცხადო და ყოველგვარი საფუძველი გამოაცალო ქრისტიანული მცნებების რეალიზაციის შესაძლებლობას ამ ქვეყნად. ვერაფერს მსგავსს მწირი ვერ ნახავდა მოძღვრებაში, რომელიც, მართალია, სავსეა უსჯულოების გმობით, მაგრამ არსად არ არღვევს ცოდვისა და მადლის თანაფარდობას — „რამეთუ მსჯული შორის შემოვიდა, რათა განმრავლდეს ცოდუა და სადა იგი განმრავლდა ცოდუა, მუნ უფროასად გარდაემატა მადლი“ რომ. 5,20). პოემაში დახასიათებული ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არ პერსონაჟის — მწირის აზრი მის შესახებ. ეს არის ქვეყანა მწირისთვის და არა ქვეყანა თავის არსში. ამასთანავე, ქვეყანა, რომელიც პირადი გამოცდილების შედეგად არის წარმოდგენილი მწირის მიერ, ამიტომ მას

ახლავს არა მხოლოდ აზრის სიცივე, არამედ გულისტკივილიც. ეს გასაგებია, მწირი ხომ მორწმუნეა, ყოველ შემთხვევაში რელიგიის აღმსარებელი, ის თვითონ უნდა იყოს შეწუხებული, რომ რელიგიის ძირითადი პრინციპი — „ვიყუარებოდეთ ურთიერთს, რამეთუ სიყუარული ღმრთისაგან არს და ყოველსა, რომელსა უყუარდეს, ღმრთისაგან შობილ-არს და იცის ღმერთი“ (I იოანე, 4, 7) — გარემოში ვერ ხორციელდება მის მიერ. როგორც ჩანს, მწირის სულში ისე შეიპარა ცოდვა, რომ მან ყრმის უზაკველი ხელშეუხებლობა დაკარგა და ამ შეგონების სიბრძნეს ვეღარ მისწვდა — „ნუ ყრმა-აქმნებით გონებითა, არამედ ბოროტისათჳს ყრმა-იყუწნით, ხოლო გონებითა სრულ-იყუწნით“ (I კორინთ. 14, 20). ესა ქრისტიანულ განსხვავებით, განდეგილმა შეიზიზღა არა მხოლოდ ცოდვის იდეა, არამედ ცოდვილი ადამიანები და განშორდა ქვეყანას,

სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა ყცსა სდევნის დღე-ღამე,
ვითა მხარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყენა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც მძა მხარობს სისხლსა შიისა,
სად ცილი ზაკვა ძუღლიადა ჰხადის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლინი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტუარფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცლუნებაა.

სავსებით მართებულია ა. ბაქრაძის დასკვნა: „განდეგილი“ რწმენის ტრაგედიაა. მაგრამ პოემაში ნაჩვენებია არა რწმენის ღალატი, გამოწვეული ნებისყოფის სისუსტით, არამედ შინაგანი შეუთავსებლობა ქრისტიანულ რელიგიასთან, რომელიც პოემის პირველსავე თავებში იჩენს თავს. „განდეგილში“ გასაოცარი ოსტატობით არის შექმნილი გმირის განცდების ფსიქოლოგიური ნახატი და მით უფრო გასაოცარი და დიდი ვახდება ის ჩვენთვის, როდესაც დავრწმუნდებით, რომ მისი არც ერთი ნიუანსი არ არის „უადგლო“ და ნებაყოფლობითი, მოვლენების კანონზომიერების გარეთ დარჩენილი, რომ აქ მიღწეულია უმაღლესი რეალიზმი, უიშვიათესი მიგნება ადამიანის ფარული და ძნელად შესაცნობი სულის მოძრაობისა და სასოწარკვეთის იმ დიდი ტრაგედიისა, რომელიც ქრისტიანული რელიგიის ღრმა და შემოქმედებითი ცოდნის მეოხებით განასახიერა ილია ჭავჭავაძემ.

ერთ უძველეს ნომოკანონში ასკეტი მწერალი წერს ასკეტიზმზე: „სადვით წერილი გვასწავლის, რომ ღმერთს უყვარდა ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ცხოვრობდნენ საზოგადოებაში, იყვნენ მდიდრები, ჰყავდათ მრავალრიცხოვანი შთამომავლობა(აბრაამი, იოსები და სხვ.). საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ ეშმაკის ერთ-ერთი ხრიკია შთაავგონოს ადამიანს აზრი, რომ მან უნდა უარყოს ქვეყანა, შედგეს ბერად, დამკვიდრდეს უდაბნოში, ვითომ სხვაგვარად ხსნა შეუძლებელია. მრავალნი, დაიმედებულნი, რომ შემდგომ აღიკვეცებიან ბერად, ეძლევიან ცოდვას და ამის შედეგად იღუპებიან“¹⁹. როგორც ვხედავთ, ასკეტი მწერალი გმობს ბერად შედგომის თავგანწირულ, მაგრამ მექანიკურ, მოუშაბადებელ გადაწყვეტილებას და საეჭვოდ მიიჩნევს ასეთ შემთხვევებში

ჰემმარიტი ასევეის განხორციელებას. როგორც ჩანს, საამისოდ მზად უნდა იყოს გული — გული მართალი, პატიოსანი, კეთილი, მლოცველი, უტყუარი, უამარტაენო, მტკიცე, წრფელი, უბრალო, ჰემმარიტი და უსაყვედური. ეს მორწმუნე, ე. წ. „წარმოშობილი“ გულის თვისებებია საღვთო წერილის მიხედვით. მაგრამ არის ურწმუნო — „წარმოუშობელი“ გულიც — გამძვინვარებული, ამაყი, მოუნანიებელი, უიმედო. ბუნებრივია, რომ სარწმუნოება მორწმუნე გულს უკავშირებს ქრისტეს სჯულის გამარჯვებას: „საყუარენო! უკეთუ გული ჩუენი არა გუგმობდეს ჩუენ, განცხადებულეზა გუაქუს ღმრთისა მიმართ“ (I იოანე, 3, 21), — ვკითხულობთ იოანეს ეპისტოლეში. ადამიანები, რომლებმაც სრულად შეითვისეს მოძღვრება, იყენენ ისინი, ვინც „გულითა კეთილითა და სახიერთა“ ისმინა სიტყვა, „შეიკრძალიან და ნაყოფი გამოილიან მოთმინებითა“ (ლუკა, 8, 15). ალბათ, ილიას ასევე არ ჰქონდა მორწმუნე გული, რაკი ამ უნდო გულში ექვემა და შიშმა მოიკიდა ფეხი. ლიტერატურულ კრიტიკაში არაერთხელ აღუნიშნავთ ექვისა და შიშის არსებობა მწიარში. ეს აშკარაა ნაწარმოებიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, ახსნა უნდა, თუ რა რიგისაა ამგვარი გრძნობა და რა შეიძლებოდა მას მოპყოლოდა გმირის ცხოვრებაში. ქრისტიანისთვის მღვიძარება, სიფრთხილე აუცილებელი ვანცდაა — ჰქვეყანა ღმერთსა და სატანას შორის კოსმიური ომის ასპარეზად არის წარმოდგენილი, ადამიანიც მიღრეკილია ცოდვისაკენ და, რა თქმა უნდა, მართლმორწმუნე ქრისტიანი ყოველთვის ფხიზლად უნდა იყოს. ამასთანავე მან უნდა იცოდეს, თუ რას ებრძვის — „რამეთუ არა არს ბრძოლა ჩუენი სისხლთა მიმართ და ჯორცთა, არამედ... სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა: ქუტუე“ (ეფეს. 6, 12). მაშასადამე, ბრძოლა წარმოებს ეშმაკთან და მის წინაშე შიში დამარცხების საწინდაია: „ნუ გეშინინ, — გამუღმებით უნდა ესმოდეს მორწმუნეს, — რამეთუ შენ თანა ვარ, ნუ შესტეები, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი, რომელმან ვანგაძლიერე შენ და შეგეწიე შენ და მოგიკრძალე შენ მარჯვენითა მართლითა ჩემითა“ (ისაია, 41, 10). მაგრამ ვანდევილმა ამ ჰქვეყანაში ვერ დაძლია შიში, ვერც ექვი, ცოცხალ ადამიანებში მან ყოველთვის ეშმაკის სახე დაინახა, შემორჩა მხოლოდ ადამიანობის იდეალი და შემდეგ უკვე ვარჯხნის გაქეულება, გულმხურვალედ შექვედრა ღმერთს — წარღვნივანგან ეხსნა ჰქვეყანა, რომლის ფარული სიყვარული სამუდამო ტკივილად ჰქრჩა მის გულში. მაგრამ ეს არ იყო სრული სიყვარული, რადგან სატანის შიშმა მწიარში ყოველისმომცველი ძალა შეიძინა — ის გავრცელდა ჰქვეყანაზე და, როგორც შემდეგ დავინახავთ, ღმერთზედაც, ხოლო „შიში არა არს სიყუარულსა თანა, არამედ სრულმან სიყუარულმან გარე ვანსდევინს შიში, რამეთუ შიშსა ტანჯვად აქუს, ხოლო მოშიში იგი არა სრულ არს სიყუარულსა ზედა“ (I იოანე, 4, 18). შიშით და ექვით შეპყრობილი მიდის ვანდევილი ჰქვეყნიდან ღმერთთან, სარწმუნოებაში ცნობილი გზისთვის გვერდის ავლით, საყუთარი გზით. იქნებ ეს გმირი მართლაც უაყოფეს ცოდვას და არა მადლს, როგორც ამის შესახებ წერს ა. ბაქრაძე? რა თქმა უნდა, მაგრამ ცოდვა და მადლი ქრისტიანობაში აბსტრაქტული ცნებები არ არის, ის მხოლოდ იდეათა სამყაროში არ მოიძიება, ის განხორციელდება აქ, ამ ცხოვრებაში, ადამიანის სულში, მის მრავალგვარ მოქმედებაში, მაშინაც კი, როდესაც ადამიანი თავისი არსებობის ფორმად საყოველთაოდ დაღვენილ წესებს არ ირჩევს. მისგან მიმართება ერთადერთი სავალი გზა აბსოლუტური სულისკენ — „ხოლო რომელსა

ჰსატულდეს ძმა თვისი, იგი ბნელსა შინა არს და ბნელსა შინა ვალს და არა იცის, ვიდრე ვალს, რამეთუ ბნელმან დაუბრმნა თვალნი მისნი“ (I იოანე, 2, 11).

მწირის ასკეტური ცხოვრების დახატვა ასეთი სიზუსტით შეეძლო მხოლოდ იმ მწერალს, ვინც ასკეტიზმის ისტორიაში კარგად იყო გარკვეული. მწირის გარეგნობა იმდენად ტიპურია, რომ სამართლიანად აგონებს ს. ცაიშვილს გრიგოლ ხანძთელის დოკუმენტური ცნობებით შექმნილ პორტრეტს (ს. ცაიშვილი, დასახ. წერილი). ცხოვრების წესი ძუნწად და შეუღლომლადაა დეტალიზებული. აქ არის ექსტაზი, რომელსაც არც ერთი მიწიერი აზრი არ უშლის, სასწაული — ნიშანი ღვთის წყალობისა. კიევის სასულიერო აკადემიის შრომებში (1872 წ., ტ. I, გვ. 328) დაბეჭდილია ცნობა, რომ ზოგიერთ ბერს — ისიხიასტს — ეცხადებოდა ღვთაებრივი ნათელი და რომ სახარებით განმტკიცებული ბერ-მონაზვნობის მომხრენი უარყოფითად ეკიდებოდნენ უკიდურესი მისტიციზმის ასეთ გამოვლინებას. უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზი აშკარაა. ბევრი თეორეტიკოსის აზრით, ქრისტიანობა არ იწყნარებს მიწიერი ადამიანისთვის რაიმე „ანაზღაურებას“, თუნდაც ძალიან სპირიტუალური ხასიათისა²⁰. ღვთის ნებას არ ეძლევა თვალით საპყვრეტი იერი. მორწმუნემ საკუთარსავე თავში უნდა იგრძნოს, რომ „წამება მისი ღმერთს შეუწირავს, ვედრება მისი ღმერთს უსმენია“. სინათლის სხივი პოემაში ჩაფიქრებულია როგორც მწირის გრანდიოზული ეპქის გამაქარწყლებელი ილუზია — „თავის სიწმინდეს ყოველდღე თურმე ამ სასწაულით შეიმოწმებდა“. ილუზია განწირულის, სასწაული — ნიშანი ღვთის წყალობისა. კიევის სასულიერო აკადემიის უეცარი. მწყემსმა ქალმა მწირის სენაკში მოიტანა გულუბრყვილო და წრფელი, ხალხის მიერ გულით და ნდობით მიღებული რელიგია, გამოტარებული საუკუნეებში. მწყემსი ლაპარაკობს უბრალოდ, მაგრამ მისი სიტყვები რელიგიური შინაარსისაა, სათნო აღზრდის ნაყოფია. ის ამბობს: ღმერთზე — „მამ რისთვის მორთო ასე ლამაზად წუთისოფელი, ნუთუ მისთვის, რომ ადამიანმა შეაჩვენოს და აიღოს ხელი?“, მოყვასის სიყვარულზე — „განა ქვეყანაა შენ არცინა გყავს ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“, სულის ხსნაზე — „მამ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავეწყვებით, ველარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“ — მწირმა იცის ეს ყველაფერი. იცის, რომ ღმერთმა მართლა ლამაზად მორთო ქვეყანა — უმაღლესი სილამაზე მომდინარეობს მისგან, ამისთვის მას ერთადერთ მხატვარს უწოდებდნენ, იცის აგრეთვე, რომ „მოყვასის წმინდა სიყვარული“ აკავშირებს ადამიანებს; იცის, რომ არც ერთი მართლმორწმუნე არ წაწყმდება, ყოველი სინანულის შემწყნარებელი ღმერთი არავის დატოვებს ხსნის გარეშე. იქნებ რომელიმე თეოლოგიურ კამათში მწირის ეცადა, დაესაბუთებინა ქვეყნის დაგმობის აუცილებლობა, მაგრამ ამ სადად გამოთქმულმა ჰეშმარიტებამ გაუღვიძა ძველი გულისტყვილი მასში საშინელი დეჰქვების გამო. როგორც პოემიდან ვიცით, ცნობიერების ზედაპირზე ამოტივტივდება სიტყვა „უბედური“, რომელიც მანამდე სადღაც, სიღრმეში იყო მიჩქმალული. შემდეგ კი, როცა ხორცმაც გაახსენა თავი და მწირმა ეს ცდუნება ასკეტის უცნაური ნებისყოფით დასძლია, მან მაინც იგრძნო ღვთისგან დაშორება და ბედნიერების ილუზიურობა. პოემის ბოლო ორ თავში ვხედავთ როგორ მძაფრდება ექვი საკუთარი თავის მიმართ, შიში ღმერთის წინაშე, როგორ ელის მწირი თავის მსაჯულს — სინათლის სხივს — და როგორ იმსხვრევა მისი ერთადერთი ილუზია. რაც შეეხება ყოველივე ამის მხატვრულ ფორმას და ექსპრესიას, ის მთელი პოემის კონტექსტშია სრულყოფილად საგრძნობი.

ახეთი

მწირი დასაჯა როგორც ხუთი ქალწული სახარების ცნობილ ივავში. მათ დამემს ძლიერი და მტანჯველი ვნება, — წერს ოქროპირი, — დაიცვეს ქალწულება, მაგრამ მაინც დაისაჯნენ, რადგან ქალწულება გულმოწყალების გარეშე ისჯება, როგორც მრუშობა. მათ ჩაიდინეს დიდი გმირობა, მაგრამ დარჩნენ სასუფევლის გარეთ, არ ეყოთ ზეთი. ზეთი კი ამ ივავში ნიშნავს კაცთ-მოყვარობას²¹.

ლ. ვიგოტსკი ერთგან იმოწმებს მიულერ-ფრინფელსის სიტყვებს ტრაგიკული შთაბეჭდილებების შესახებ: „მოლიანობაში ტრაგიკული შთაბეჭდილება უდიდესია იმ აღმავლობათა შორის, რომლის უნარი შესწევს ადამიანის ბუნებას, რადგან უღრმესი ტკივილის სულიერი დაძლევის შემდეგ აღიძვრება შეუდარებელი გრძნობა ტრიუმფისა“. უკეთესად ილიას პოემით მოხდენილ შთაბეჭდილებას ალბათ ვერც დაახსიათებ.

ასექტიზმი სარწმუნოებრივი ცხოვრების ისეთი ფორმაა, რომელიც აღიარებს მხოლოდ სულიერ საწყისს, ხორციელს კი იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა არსებობის შენარჩუნებისათვის. განსხვავებით სხვა მართლმორწმუნე ქრისტიანისგან, ასექტი მაქსიმალურად ითავისუფლებს თავს მატერიალური მისწრაფებებისა და მიზნებისაგან, რათა სულის შეუზღუდველ ზეალსგან მეტი საშუალება მოუპოვოს. ასექტიზმის გამართლების ან უარყოფის საკითხი წარმოსადგენია მხოლოდ იმ სიბრტყეზე, რომელზედაც ის ახალ აღთქმაში დგას, სადაც შესაძლებლობისა და თავისუფალი არჩევანის ფარგლებში რჩება. ეს უკანასკნელი მომენტი განაპირობებს ასექტიზმის განსაკუთრებულ ადგილს ადამიანის სულიერი ცხოვრების ისტორიაში. როგორც ცნობილია, არსებობს ასექტიზმის სხვადასხვაგვარი შეფასება რელიგიის, მორალის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიის პოზიციებიდან. ასეთი შეფასების ძიების შესაძლებლობას ილიას პოემა არ ქმნის. „განდეგელში“ ნარევენბია ინდივიდუალური ხასიათი, ამასთანავე ისეთი, რომელიც ვერაფერს ვერ გვათქმევინებს ზოგადად ასექტიზმის საწინააღმდეგოდ. გამოუვალ ჩიხში მოვექცევით, თუ ვიტყვი, რომ „განდეგელის“ საშუალებით ილია მოგვიწოდებს დაერჩეთ ცხოვრებაში, ვიბრძოლოთ ბოროტების წინააღმდეგ და სხვა. განდეგელის ტრაგედია სწორედ ისაა, რომ მას ეს არ შეუძლია: ის უსასოო კაცია, ყველგან განდეგელია — ქვეყნადაც, მონასტერშიც, ამიტომ მისი ცხოვრება ამათმოქმედებაა და სხვა არაფერი. ის ისჯება მის მიერვე აღუსრულებელი ქრისტეს კანონით და ვარდება იმ ადამიანების მსგავს მდგომარეობაში, რომლებზედაც თქვა ქრისტემ: „რასათვის სიტყუანი ჩემნი არა იცნით? რამეთუ ვერ ძალგიძს სიტყუათა ჩემთა სმენად“ (იოანე, 8, 43). პოემის მხატვრული სტრუქტურა გამორიცხავს მასში პირდაპირი მოწოდების, დიდაქტიკის, შეგონების ძიებას. საამისოდ ის მეტისმეტად რთულია, ლიტერატურული ხასიათიც — მკვეთრად ინდივიდუალიზებული, წინააღმდეგობრივი, დისპარმონიული. სხვა საკითხია, რომ „განდეგელიდან“ გამომდინარეობს მრავალი, მეტად საჭირო აზრი ადამიანისათვის. ის აღძრავს ბევრ მნიშვნელოვან ასოციაციას, მაგალითად, გვაგონებს ილიას მიმართვის ალექსანდრე ეპისკოპოსისადმი — მარტო სასოებითანი კაცი ქმნის ამ წუთისოფელს ღვთის სადიდებელ ტაძრად და სამოთხედო. პოემა გვაფიქრებს, გვზრდის ისე, როგორც ყველა დიდი ძეგლი ხელოვნებისა, მაგრამ პოემა თავისი წყობით არ არის დიდაქტიურ-ალეგორიული. აგრეთვე არ არის არავითარი საფუძველი მასში მყინვარისა და თერგის მსგავსი ალეგორიული

სახეების ძიებისა. მყინვარი და თერგი „მგზავრის წერილებში“ უშუალოდ უკავშირდება რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის გავლენით გამომუშავებულ ილიას შეხედულებებს პოეზიისა და პოეტის დანიშნულებაზე. ამიტომ არის მყინვარი — გოეთე, თერგი — ბაირონი. ასეთი დაპირისპირება ცნობილია 40—60-იანი წლების რუსული კრიტიკული აზრისთვისაც და „მგზავრის წერილების“ წყაროც ეს არის²². რაც შეეხება ცხოვრების წესს, მისი ერთადერთი სახე ილიას არ დაუკანონებია. პირიქით, როგორც ცნობილია, მას აინტერესებდა „ადამიანის მრავალფეროვანი ბუნება“ და „წყვევა-კრულ-ვიანი საკითხავი“. „განდეგილის“ გმირებიც ბევრად უფრო საინტერესონი არიან, ვიდრე ეს შეიძლება გვაჩვენოს რომელიმე ალფორიულმა სქემამ. ისინი ზვდებიან ერთმანეთს ინდივიდუალური იდეის გამომხატველ, ცხოვრებასთან დამსგავსებულ, ბუნებრივ სიტუაციებში, რომელთა შექმნას მხატვრულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძის დარი ნიჭი და სიღრმე სპირდება.

ლიტერატურა

1. ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, თბ., 1957, გვ. 266—67, 276.
2. კ. აბაშიძე, ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 156.
3. იქვე, გვ. 161.
4. იქვე, გვ. 171.
5. იქვე, გვ. 169.
6. ე. კოტეტიშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1959, გვ. 344.
7. ს. ჩიქოვანი, რჩეული წერილები, თბ., 1963, გვ. 200.
8. ა. ბაქრაძე, ილიას „განდეგილი“, „ცისკარი“, 1972, № 11.
9. З. Фрейд, Некоторые типы характеров из психологической практики, წიგნში: Психоанализ и учение о характерах, Москва-Петроград, 1923, გვ. 172.
10. ა. ბაქრაძე, ილიას „განდეგილი“, „ცისკარი“, 1972, № 11.
11. ციტატა ამოღებულია ა. ვუსევის წიგნიდან: Нравственный идеал буддизма в его отношении к христианству, С.-Петербург, 1874, გვ. 172.
12. Иоанн Златоуст, Беседы на евангелиста Матфея, ч. I, М., 1839, გვ. 550.
13. Р. Штейнер, Мистерии древности и христианство, Москва, МСМХИ, გვ. 125—126.
14. Гегель, Лекции по истории философии, Ленинград, 1935, გვ. 81.
15. Православная богословская энциклопедия, «Аскетизм», т. II, Петроград, 1902.
16. А. Гарнак, Монашество — его идеалы и его история, С.-Петербург, 1908, გვ. 8—9.
17. ს. ცაიშვილი, ფილოლოგიური ეტიუდები, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1982, № 5.
18. ილია ჭავჭავაძე ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, გვ. 81.
19. Н. Суворов, К истории нравственного учения в восточной церкви, «Византийский Временник», 1903, т. X, გვ. 39.
20. Н. Суворов, დასახ. წერილი, გვ. 50.
21. Иоанн Златоуст, Беседы, ч. III, გვ. 343—44.
22. გ. კალანდარიშვილი, „მგზავრის წერილები“ ერთი ალგილის კანონტექსტისათვის, მაცნე, 1967, № 4.

Г. Н. КАЛАНДАРИШВИЛИ

ПРОБЛЕМА АСКЕТИЗМА В «ОТШЕЛЬНИКЕ» И. ЧАВЧАВАДЗЕ

Резюме

Идейно-художественный анализ поэмы И. Чавчавадзе «Отшельник» возможен только с учетом проблемы аскетизма в христианской религии. Ввиду того, что главный герой произведения аскет, а по требованиям реалистического искусства необходима психологическая убедительность, полнота и естественность характера, то мотивация поведения тесно связана с вопросами христианской этики. Автор статьи приходит к выводу, что в «Отшельнике» дан сложный, дисгармоничный характер, его внутренний конфликт с основами религии. Вопреки распространенному в грузинском литературоведении мнению, автор считает, что художественная структура «Отшельника» ничего общего не имеет с аллегорией или с прямым дидактизмом.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის კათედრა
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ

ინსტიტუტის ბაზიკაზე

ასურელი მოღვაწეების „ცხოვრებათა“ ე. წ. არქტივების
 ურთიერთმიმართებისათვის

✓ ძველი ქართული მწერლობის პრობლემათა კვლევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ე. წ. „ასურელ მამათა ცხოვრებებთან“ დაკავშირებული საკითხების შესწავლას. მარი ბროსედან დაწყებული დღემდე გამოქვეყნებულია მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია გამოთქმული ამ პრობლემის ცალკეული საკითხების შესახებ. დღეს, როდესაც ხელთა გვაქვს ამ მოღვაწეების ჩვენამდე მოღწეულ „ცხოვრებათა“ ყველა რედაქციის ტექსტის მეცნიერული პუბლიკაცია, რომელთა ნაკლებობა ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო აღრეულ ნაშრომებში არსებული ხარვეზებისა, აღნიშნული ჰაგიოგრაფიული ძეგლების ტექსტოლოგიური ფილოლოგიური საკითხების კვლევა უფრო მყარ ნიადაგზე შეიძლება დადგეს. ამჯერად ჩვენ შევეხებით „ასურელი მამების“ პრობლემის ერთ კონკრეტულ საკითხს: მათ „ცხოვრებათა“ უძველეს რედაქციებს, ე. წ. არქტივების რაობისა და ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს.

წინამდებარე წერილში დასმული ძირითადი დებულება ასეთია: იოვანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის „ცხოვრებათა“ მოკლე რედაქციები, ე. ი. არქტივები, და აბიბოს ნეკრესელის „წამების“ შედარებით ვრცელი რედაქცია ერთი მთლიანი ჰაგიოგრაფიული თხზულებაა, შექმნილი ერთი ავტორის მიერ. ამ დებულების დასამტკიცებლად შემდეგი არგუმენტები უნდა მოვიხმოთ:

1. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების ე. წ. არქტივის სათაური მიუთითებს, რომ ეს თხზულება შეიცავს არა მარტო იოვანეს ცხოვრებას, არამედ მისი მოწაფეების ცხოვრებებსაც: „ცხოვრება და მოქალაქობა წმ. მ. იოვანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა, რომელთა განანათლეს ქუეყანა ესე ჩრდილოეთისაი“¹. ხოლო იოვანეს უფრო გვიანდელი ორივე მეტაფრასული ცხოვრება, სათაურის მიხედვით, კონკრეტულად მხოლოდ იოვანეს მოღვაწეობის აღწერას ეთმობა: ორივე მეტაფრასული ცხოვრების სათაური თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს: „ცხოვრება წმ. მ. იოვანე ზედაზნელისა, რომელი... მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა“²... ასევე კონკრეტული სათაურები აქვთ შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის „ცხოვრებათა“ მეტაფრასულ რედაქციებს³ (აბიბოს ნეკრესელის „წამებას“ ქვემოთ შევეხებით).

¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი, 1964, გვ. 191 (ქვემოთ „ძეგლები“).

² ძეგლები, I, გვ. 191.

³ ძეგლები, III, გვ. 107, 170.

2. იოვანე ზედაზნელის „ცხოვრების“ არქეტაპის ბოლოს ნათქვამია: „ხოლო აწ ნეტარაა მოწაფეთა მისთათჳს ვიტყოდით“ და ერთი წინადადებით იოვანეს მოწაფის თათას მიერ ზედაზნის მთის ძირში მონასტრის აშენებაზეა საუბარი, ხოლო შემდეგ აღნიშნულია: „ხოლო სსუანი შემდგომად ამისა მოვიკსენნეთ და ღმერთსა ვადიდებდეთ, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნიით უკუნისამდე“⁴. ასე მითარღება იოვანე ზედაზნელის ცხოვრების არქეტაპის ტექსტი, მაგრამ ზემოთ ციტირებულ წინადადებაში მოცემული დაპირება „ხოლო სსუანი შემდგომად ამისა მოვიკსენნეთ“, ბუნებრივია, ვაგრძელებას გულისხმობს და, მართლაც, კომდევნო ტექსტი, რომლის ქვესათაურია „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთშემოს. მ. ჩ. შიოხის და ევაგრისი“, ისე იწყება, რომ წინა ტექსტთან მისი ორგანული კავშირი უეჭველია: „ხოლო ნეტარი ესე და ღმრთივ განბრძნობილი მამამ ჩუენი წმიდაჲ შიო მოვიდა წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა და დაემკვდრა დასავლით კერძო დედაქალაქსა მცხეთასა“⁵. იოვანე ზედაზნელისა და შიოს ცხოვრებათა არქეტაპები რომ ერთი მთლიანი თხზულებების ნაწილებია, ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა სამეცნიერო ლიტერატურაში. კ. კეკელიძემ ჭერ კიდევ 1925 წ. აღნიშნა ეს ფაქტი სტატიაში: „საკითხი სიორიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ“⁶. ასევე ორივე „ცხოვრება“ ერთ მთლიან თხზულებადაა გააზრებული ილ. აბულაძის მონოგრაფიაში „ასუარელ მოღვაწეთა ცხოვრების ძველი წიგნები“ (თბილისი, 1955) და ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების I ტომში (1964 წ.). დასახელებულ თხზულებათა ერთიანობის ერთ-ერთ მტკიცე არგუმენტად გამოდგება შემდეგი ფაქტი, რომელიც მკვლევართ ყურადღებიდან გამორჩენილია:

იოვანე ზედაზნელის ცხოვრების არქეტაპში არაფერია ნათქვამი იოვანეს გარდაცვალების შესახებ. თუკი ჩვენ ვიფიქრებთ, რომ იოვანე ზედაზნელის „ცხოვრება“ დასრულებული ჰაგიოგრაფიული თხზულებაა, ეს იქნებოდა ამ უნარის თხზულებისათვის უპრეცედენტო შემთხვევა: არ არსებობს ჰაგიოგრაფიული თხზულება არც ერთი ერის მწერლობაში, რომელშიც არ იყოს საგანგებოდ მოცემული მოწამის თუ წმინდანის აღსასრულის აღწერა. იოვანე ზედაზნელთან დაკავშირებით საკითხი ნათელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ კი მის ვაგრძელებად მივიჩნევთ შიო მღვიმელის ცხოვრების არქეტაპს, რომელშიც, ტექსტის ბოლო ნაწილში, მართლაც, დაწვრილებით არის საუბარი იოვანეს აღსასრულისა და დაკრძალვის ამბებთან დაკავშირებით. ეს ფაქტი უეჭველად მიუთითებს, რომ ეს ორი „ცხოვრება“ ერთი თხზულების შემადგენელი ნაწილებია.

3. იოვანე ზედაზნელის ცხოვრების არქეტაპის ავტორის დაპირება „ხოლო სსუანი შემდგომად ამისა მოვიკსენნეთ“-ო, მართო შიოს ცხოვრებით არ უნდა ამოიწურობოდეს. მართალია, შიოს ცხოვრების არქეტაპში საკმაოდ ვრცელადაა საუბარი ისე წილკნელის ცხოვრებისა და სასწაულების ეპიზოდებზე⁷; აგრეთვე ნახსენებია დავით გარეჯელიც⁸, სახელების აღნიშვნის გარეშე მოხსენებულნი არიან ალავერდის აღმაშენებელი⁹ (ე. ი. იოსებ ალავერდელი), „იულთის ქუა-

⁴ ძეგლები, I, გვ. 191.

⁵ იქვე.

⁶ უნივერსიტეტის მოამბე, VI, თბ., 1925.

⁷ ძეგლები, I, გვ. 221—224.

⁸ იქვე, გვ. 229.

⁹ იქვე.



ბის“ აღმაშენებელი¹⁰ (რომელშიც კ. კეკელიძე ზენონ იყალთოელს გულისხმობს „იყალთოს“ დაქარაგმებული ფორმიდან შეტდომით გადამწერის მიერ „იულთის“ ამოკითხვის შედეგად „უ“ და „ყ“ აღრევის საფუძველზე¹¹), ზენა სოფელს მონასტრის აღმაშენებელი¹² (ე. ი. ანტონ მარტომყოფელი), მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ავტორი მაინც გულისხმობდა იოვანე ზედაზნელის სხვა მოწაფეების ცხოვრებათა უფრო დაწვრილებით აღწერასაც. ეს რომ ასეა, ამის დასტური შიო მღვიმელის „ცხოვრების“ არქტივის ერთი დეტალითაც ჩანს. საქმე ისაა, რომ შიოს ცხოვრების არქტივი ასე მთავრდება: „ხოლო ნეტარმან ამან მამამან ჩუენმან შიო მღვმესა მას შინა პოვა ზეცისაჲ იგი მარგალიტი და მრავალნი სულნი შესწირნა ქრისტესა, რამეთუ ფრიად შეკრიბნა მონაზონნი და მადლითა მისითა აქამომდევსა საესე არიან ყოვლითა კეთილითა სულიერითა და კორციელითა, იშუებენ და იხარებენ სულითა და აღიღებენ მამასა და ძესა და სულსა წმიდასა აჲ და მარადის და უკუნიითი უკუნისამდე, ამენ“¹³.

როგორც ვხედავთ, შიო მღვიმელის „ცხოვრების არქტივი მთავრდება შიოს მიერ მღვიმეში „დაუყუდებით“ და არაფერია ნათქვამი მის გარდაცვალებაზე. თუ მივუბრუნდებით ჩვენ მიერ ზემოთ ხაზგასმულ ფაქტს, რომ წმინდანისა თუ მოწამის „აღსასრულის“ აღნიშვნა ჰაგიოგრაფიული თხზულების აუცილებელი დეტალია, მაშინ ნათელი იქნება, რომ ეს ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომლის პირველი ნაწილი იოვანე ზედაზნელის ცხოვრებას ეხებოდა, ხოლო მეორე — შიო მღვიმელის ცხოვრებას, არ არის დამთავრებული და გაგრძელებას მოითხოვს. გაგრძელება კი ნამდვილად სახეზეა და ეს არის დავით გარეჯელის ცხოვრების არქტივი: ჯერ ერთი, სათაური ამ ცხოვრებისა ზუსტად ისეთივეა, როგორც იოვანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის „ცხოვრებათა არქტივებისა“: „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმ. მ. მ. დავით გარეჯელისა“¹⁴ (შდრ. „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღირ. მ. მ. შიომისი და ევაგრესი“, ანდა „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ წმ. მ. მ. იოვანე ზედაძნელისა და მოწაფეთა მისთაჲ“). ეს დეტალი, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი არ არის, ასეთი სათაური სხვა ცხოვრებებსაც შეიძლება ჰქონდეთ (მაგ. სერაპიონ ზარზმელისას¹⁵), მაგრამ ტექსტის დასაწყისი დავით გარეჯელის ცხოვრების არქტივისა ექვს არ ტოვებს, რომ ეს თხზულება წინა ტექსტის გაგრძელებაა: „ხოლო ესე წმიდაჲ მამა, ჩუენი დავით წარვიდა ადგილითა უდაბნოთა და ურწყულთა სჯად თავისა თვისისა...“¹⁶. შეად. შიოს ცხოვრების დასაწყისს: „ხოლო ნეტარი ესე... მამა ჩუენი შიო მოვიდა... და დაემკდრა...“). ვერც ერთ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ჩვენ ვერ შევხვდებით ასეთ დასაწყისს. „ხოლოთი“ არ შეიძლება დაიწყოს ჰაგიოგრაფიული ჟანრის არც ერთი თხზულება. ასეთი დასაწყისი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ წინა ტექსტის გაგრძელებად ნაგულისხმევ ტექსტს, მას, ასე ვთქვათ, მხოლოდ ახალი აბზაცის, ან ახალი თავის დაწყების ფუნქცია შეიძლება დაეკისროს.

¹⁰ იქვე.

¹¹ ეტიუდები, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 24, შენიშვნა 1).

¹² ძეგლები, I, გვ. 229.

¹³ იქვე.

¹⁴ ძეგლები, I, გვ. 229.

¹⁵ იქვე, გვ. 319.

¹⁶ იქვე, გვ. 229.

სამეცნიერო ლიტერატურაში დავით გარეჯელის „ცხოვრების“ არქეტიპი იოვანე ზედაზნელისა და შიოს ცხოვრების არქეტიპებზე აღრინდელ ძეგლად (X ს. I ნახევარი) არის ჩათვლილი თითქოსდა არქაული სიტყვების ხმაარების საფუძველზე¹⁷ (მწყერ-მარჯილი, პარეხი, ფაჩარი, ისტურვიდეს, ბლუნვით და სხვ.). არა გვგონია, X ს. პირველი ნახევრისა და X ს. მეორე ნახევრის თხზულებათა გამოიყვანა მართოდენ აღნიშნული ლექსიკით შეიძლებოდეს. დავით გარეჯელის ცხოვრების არქეტიპის ზუსტად იმავე მანერით არის დაწერილი, როგორც იოვანე ზედაზნელისა და შიო მღვიმელის ცხოვრების არქეტიპები: ენობრივი მონაცემებით მათი გამოიყვანა შეუძლებელია. ვიმეორებთ, ისევე, როგორც შიოს ცხოვრება იოვანე ზედაზნელის ცხოვრების გაგრძელებაა და იწყება — „ხოლო“ ნეტარი ესე...“, ასევე დავით გარეჯელის ცხოვრებაც შიოს ცხოვრების გაგრძელებაა და იწყება — „ხოლო ესე წმიდაჲ...“ იოვანე ზედაზნელის ცხოვრების არქეტიპის ბოლოს ავტორისეული ფრაზა „ხოლო სსუანი შემდგომად ამისსა მოვიკენნეთ“ შიო მღვიმელის ცხოვრებასთან ერთად გულისხმობს დავით გარეჯელის ცხოვრების არქეტიპსაც.

4. მართალია, დავით გარეჯელის ცხოვრების არქეტიპი ჩვენ შიო მღვიმელის ცხოვრების არქეტიპის გაგრძელებად მიგვაჩნია, მაგრამ შიოს გარდაცვალების ეპიზოდი აქაც არ არის გადმოტანილი (ამის ახსნას ჩვენ ქვემოთ შევეცდებით). მიუხედავად ამისა, იოვანე ზედაზნელისა და მისი მოღვაწეობის შესახებ დაწერილ უძველეს ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში შემჩნეული ტენდენცია, რომ მოვლენები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იყოს დალაგებული, აქაც არ არის დარღვეული: შიოს გარდაცვალების შესახებ თხრობა აბიბოს ნეკრესელის „წამების“ შედარებით ვრცელი რედაქციის ბოლოს არის გადატანილი¹⁸. ამ ამბებთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ხსენებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: იოვანე ზედაზნელი გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც შიო მღვიმელი ორნოში, ე. ი. მღვიმეში, განმარტოვდა (შიომ ეს გადაწყვეტილება თავისი მოძღვრის — იოვანეს თანხმობით და კათალიკოსის ნებართვით მიიღო) და ამიტომ ეს ეპიზოდებიც ძეგლში ამ თანამიმდევრობით არის წარმოდგენილი. დავით გარეჯელის გარდაცვალება ავტორის რწმენით წინ უსწრებდა, ალბათ, აბიბოს ნეკრესელისა და შიოს აღსასრულს. ამიტომ არის, რომ აბიბოსის „წამება“ აგრძელებს იოვანე ზედაზნელის მოწაფეთა შესახებ თხრობას დავითის გარდაცვალების ფაქტის აღნიშვნის შემდეგ. „წამების“ მიხედვით, როდესაც აბიბოს ნეკრესელი მარზპანთან მიჰყავდათ, მან ითხოვა, ზღად შეეცლო შიო მღვიმელთან და მისგან კურთხევა მიეღო¹⁹. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორის ღრმა რწმენით შიო მღვიმელი მოესწრო აბიბოსის სიკვდილით დასჯას. სწორედ ზემოაღნიშნული თხრობის ქრონოლოგიური პრინციპის დაცვის საფუძველზე აღმოჩნდა შიოს გარდაცვალების ეპიზოდი აბიბოს ნეკრესელის „წამების“ ვრცელი რედაქციის ბოლოს, აბიბოსის სიკვდილით დასჯის აღწერისა და იოვანეს მოწაფეების შესახებ მოკლე თხრობის შემდეგ.

ზემოთქმულის საფუძველზე ნათელია ჩვენი აზრი, რომ იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების შესახებ დაწერილი თხზულება ორიგინალური კომ-

¹⁷ ე. ვაჯელ იძიე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 142.

¹⁸ ძეგლები, I, გვ. 248.

¹⁹ ძეგლები, I, გვ. 243.

პოზიციური ძეგლია და თხრობის ქრონოლოგიური პრინციპის დაცვით აერთიანებს ოთხი ისეთი მოღვაწის „ცხოვრებებს“, რომელთა ღვაწლი განსაკუთრებით გამოირჩეოდა: იოვანე ზედაზნელი, შიო მღვიმელი, დავით გარეჯელი და აბიბოს ნეკრესელი (ეს უკანასკნელი ერთადერთი მოწამეა ასურელ მამათაგან). როდესაც ეს თხზულება იწერებოდა (X ს. მეორე ნახევრის მოღვაწის არსენ კათალიკოსის მიერ (955—980 წწ.), როგორც ამას სარწმუნოდ მიუთითებს კ. კეკელიძე), ამ მოღვაწეთა მიერ დაარსებული სამონასტრო კერები განსაკუთრებული პოპულარობით და ავტორიტეტით სარგებლობდნენ.

უნდა დავახსოვოთ ერთი საკითხი: რატომ მაინცდამაინც აბიბოს ნეკრესელის „წამების“ ვრცელი რედაქცია უნდა იყოს იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების „ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილი და არა უფრო ძველი „წამების“ მოკლე რედაქცია, რომლის საფუძველზეა შექმნილი აბიბოსის „წამების“ ვრცელი ვარიანტი?

აბიბოს ნეკრესელის ვრცელი „წამების“ ეპილოგი ვრცელი „წამების“ ავტორისეული დანამატია და მოკლე „წამებაში“ არა გვაქვს, მაგრამ ეს ხომ ავტორის გარკვეულ მიზანს ემსახურება: სწორედ ამ ეპილოგში აღწერა მან შიო მღვიმელის გარდაცვალება და დაკრძალვა, რაც მის მიერ დაწერილი თხზულების „ცხოვრება და მოქალაქობა იოვანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთაჲს“ სათანადო ადგილას — შიო მღვიმელის ცხოვრების ბოლოს მან არ აღნიშნა, რომ არ დაერღვია თხრობის, ამბებისა და მოვლენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის პრინციპი. ამ ეპილოგში ავტორი თითქმის თავიდანვე იმეორებს შიო მღვიმელის „ცხოვრების“ ბოლო ნაწილს, რომელიც იოვანე ზედაზნელის ზოგიერთი მოწაფის საქმიანობას ეხება და უმატებს მას შიოს გარდაცვალებისა, დასაფლავებისა და მისი დღესასწაულის დაწესების ფაქტებს. ერთი სიტყვით, აბიბოს ნეკრესელის ვრცელი „წამების“ ეპილოგით ავტორმა ერთ მთლიან თხზულებად შეკრა იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრება.

3. მაინც რა არგუმენტები გვაქვს ჩვენ იმისათვის, რომ აბიბოს ნეკრესელის ვრცელი „წამება“ X ს. ძეგლად მივიჩნიოთ (როგორც ამას ილ. აბულაძე ფიქტობდა²⁰) და „ცხოვრება და მოქალაქობა იოვანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთაჲს“ შემადგენელ ნაწილად გამოვაცხადოთ.

პირველი არგუმენტის შესახებ ჩვენ გავკრიტიკებთ შემოთავაზებულ საუბარს: შიო მღვიმელის „ცხოვრების“ არქტივში არაფერია ნათქვამი შიოს გარდაცვალების შესახებ, ამდენად ეს ცხოვრება დაუმთავრებელია და აუცილებლად გავგრძელებას გულისხმობს, რადგან შიოს გარდაცვალებაზე აბიბოს ნეკრესელის ვრცელი „წამების“ ბოლოს არის საუბარი, ამდენად შიოს „ცხოვრება“ და აბიბოს ნეკრესელის „წამების“ ვრცელი რედაქცია ერთი მთლიანი თხზულების ნაწილებად არის ნაგულისხმევი.

მეორე საბუთი და, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი — აბიბოს ნეკრესელის ვრცელი „წამების“ დასაწყისია: „ხოლო ჭერ-არს, რამთა მცირედ შუვა შემოვიღოთ ქსენებაჲ წმიდისა და უბიწოასა მღუდელთ-მოდურისა და მოწამისაჲ...“²¹.

ჯერ ერთი, ჩვენ შემოთავაზებულ ვერსიასთან, რომ „ხოლოთი“ პავიოგრაფიული ძეგლის დაწყება წარმოუდგენელია, თუკი ის წინა ტექსტის გავრძელებას არ

²⁰ ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ძველი წიგნები, თბილისი, 1955, გვ. XXXI.

²¹ ძეგლები, I, გვ. 240.

გულისხმობს. მეორეც, ზუსტად ასეთი დასაწყისი აქვთ შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის „ცხოვრებათა“ არქეტიპებსაც. ეს გარემოება არ შეიძლება შემთხვევითი იყოს. ეს ფაქტი ამ თხზულებათა ერთიანობაზე მიუთითებს. ფრაზა: „ხოლო ჯერ არს, რაათა მცირედ შუვა შემოვიღოთ კსენებაა“... თითქმის იმეორებს შიო მღვიმელის ცხოვრების არქეტიპში ჩართულ ისე წილკნელის შესახებ თხრობის დასაწყისს: „ხოლო ჯერ-არს, რაათა მოვიგსენოთ ერთი მოწაფეთაგანი წმიდასა იოვანესთაჲ, სახელით ისე“²². ეს ფაქტიც რამდენადმე მიუთითებს ამ თხზულებათა ერთსა და იმავე ავტორზე. ამასთანავე, ფრაზაში „ხოლო ჯერ-არს, რაათა მცირედ შუვა შემოვიღოთ კსენებაა“ სიტყვა „შუვა“ იოვანე ზედაზნელის მოწაფეთა შესახებ თხრობაში აბიბოს ნეკრესელის „კსენების“ ჩართვას გულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ზედმეტი გამოდის. ეს ფაქტიც ჩვენი დებულების სასარგებლოდ მეტყველებს.

ერთი სიტყვით, აბიბოს ნეკრესელის „წამების“ რედაქციების შესახებ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, როდესაც იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების შესახებ არსენ კათალიკოსმა გადაწყვიტა თხზულების დაწერა. მანამდე არსებობდა უფრო ადრინდელი ავტორის მიერ შექმნილი აბიბოს ნეკრესელის „წამების“ მოკლე თხზულება. არც არის საკვირველი, რომ აბიბოს ნეკრესელის შესახებ, როგორც მოწამე ეპისკოპოსზე, ჰაგიოგრაფიული თხზულება ყველაზე ადრე შექმნილიყო. არსენ კათალიკოსმა თავის თხზულებაში ჩართო აბიბოს ნეკრესელის „წამების“ ადრინდელი რედაქციის საფუძველზე შექმნილი და წყაროსთან შედარებით გავრცობილი ტექსტი და მას ბოლოში ეპილოგი დაურთო. ჩვენამდე მოღწეული აბიბოს ნეკრესელის წამების ვრცელი რედაქციის სათაურით, რომელიც გვიანდელი ჩანს, იმ ტრადიციის ნაყოფი უნდა იყოს, რომელიც იოვანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების „ცხოვრებას“ არსენ კათალიკოსს აკუთვნებდა, თუმცა არსენის ტიტულატურისათვის „დიდის“ დამატება მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, როდესაც ეს თხზულება დამოუკიდებელ თხზულებად აღიქვეს და ძირითად თხზულებას მოაცილეს ისევე, როგორც დავით გარეჯელის „ცხოვრების“ არქეტები და შიო მღვიმელის ცხოვრების არქეტები (იხ. H—1336, სადაც მხოლოდ შიოს და დავითის მოკლე ცხოვრებებია შეტანილი იოვანე ზედაზნელის ცხოვრების გარეშე).

1. ამრიგად, ასურელ მოღვაწეთა ჩვენამდე მოღწეულ ჰაგიოგრაფიული ძეგლებიდან უძველესია აბიბოს ნეკრესელის „წამების“ მოკლე რედაქცია (ალბათ, IX ს.).

2. არსენ კათალიკოსმა X ს. მეორე ნახევარში დაწერა ჰაგიოგრაფიული თხზულება „ცხოვრება და მოქალაქობაჲ წმ. მ. ჩ. იოვანე ზედაზნელისაჲ და მოწაფეთა მისთაჲ“, რომელიც აერთიანებდა იოვანე ზედაზნელის, შიო მღვიმელის, დავით გარეჯელის „ცხოვრებებს“ და აბიბოს ნეკრესელის „წამებას“. თხზულების ბოლო ნაწილი მან აბიბოს ნეკრესელის ძველი წამების საფუძველზე შეადგინა და დაუმატა მას ეპილოგი.

3. ასურელ მამათა შესახებ შექმნილი დანარჩენი ძეგლები დასახელებული თხზულების საფუძველზე თითოეული მოღვაწის შესახებ ცალ-ცალკე დაწერილი გვიანდელი მეტაფრასული და სვინაქსარული ხასიათის თხზულებებია. V

წინამდებარე წერილში დასმულ საკითხს მხოლოდ წინასწარი განცხადების მიზანი აქვს. ამ საკითხზე საბოლოო პასუხის გაცემა რამდენიმე ისეთ პრობ-

²² იქვე, გვ. 221.

ლემას უკავშირდება, რომელთა ვრცლად განხილვის საშუალება ამჯერად არ გვქონდა და მომავლისათვის გვაქვს განზრახული. ასეთებია:

1. ასურელ მოღვაწეების „ცხოვრებათა“ არქეტიპების ავტორის საკითხი.
2. არქეტიპების მიმართება იოვანე ზედაზნელის ცხოვრების ანასეული „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ რედაქციასთან.
3. აბიბოს ნეკრესელის „წამების“ მოკლე და ვრცელი რედაქციების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.
4. აბიბოს ნეკრესელის „წამების“ ვრცელი რედაქციის მეტაფრასულობის საკითხი.
5. არქეტიპების ენისა და სტრლის საკითხი.
6. ასურელ მოღვაწეების „ცხოვრებათა“ არქეტიპების მიმართება შესაბამის მეტაფრასულ რედაქციებთან.
7. ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების მეტაფრასული რედაქციების წარმოშობის საფუძველი და სხვა.

Е. П. ГАБИДЗАШВИЛИ

О ВЗАИМОСВЯЗИ АРХЕТИПОВ ЖИТИЙ СИРИЙСКИХ СПОДВИЖНИКОВ

Резюме

Среди исследуемых древнегрузинской литературы проблем одним из важных является вопрос т. н. сирийских сподвижников, с именами которых связывается зачинание монашеской жизни в Грузии.

В научной литературе краткие редакции жития, т. е. архетипы названных сирийских отцов, признаны сочинениями разных времен и разных авторов.

В статье на основе текстуальных данных указанных сочинений высказано предположение, что архетипы Иоанна Зедазнели, Шно Мгвимели, Давида Гареджели и сравнительно пространный редакция мученичества Абибоса Некресели является составными частями одного цельного агиографического сочинения, именуемого «Житие и деятельность Иоанна Зедазнели и его учеников».

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ავალიძის სახელობის ზენაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ე. მეტრეველმა

კ მ თ ი მ ა ნ ბ ი ზ ა რ ა ვ ი ლ ი

 ბ რ ი გ ო ლ ნ ა ზ ი ა ნ ზ ე ლ ის მ რ თ ი ჰ ი მ ნ ის ძ მ ე ლ ი ჰ ა რ თ უ ლ ი
 თ ა რ გ მ ა ნ ის ი ნ ტ ა რ კ რ მ ტ ა ც ი ი ს ა თ მ ის

ბიზანტიური პოეზიის მხატვრული სამყაროს შექმნისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო როგორც აღმოსავლური, ისე ანტიკური პოეზია და მათი ლიტერატურული ფორმები. ბიზანტიური კულტურა წარმოიშვა ელინისტურის წიაღში და განვითარდა ანტიკურ მემკვიდრეობასთან წინააღმდეგობრივ კონტაქტში. ქრისტიანული იდეოლოგიის საფუძველზე გადამუშავდა ანტიკური მხატვრული ხერხები და ქანრები (ჰიმნი, ეპიტაფია, ვნომები, პოემები). ადრებიზანტიური ლიტერატურა არასოდეს ყოფილა მხოლოდ აღმოსავლური, იგი იყო დასავლურ-აღმოსავლურის ესთეტიკური სინთეზი¹. შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო ის, რომ სასულიერო პოეზიის პირველი შემქმნელნი იყვნენ სირიელები ან ელინიზებული აღმოსავლელები (ეფრემ ასური, გრიგოლ ნაზიანზელი, რომანოზი). საგულისხმოა, რომ ბიზანტიური კულტურის სწორედ აღმოსავლურ, კაპადოკიურ ცენტრში ქრისტიანობის პირველ თეორეტიკოსთა (ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნაზიანზელი, გრიგოლ ნოსელი) მოღვაწეობის ხანაში (IV ს.) საბოლოოდ გაფორმდა ქრისტიანობის თეორიული საფუძვლები. ამავე პერიოდში (ანტიკურობიდან ბიზანტიურზე გარდამავალ პერიოდში) ერთ-ერთი პირველი ქრისტიანი პოეტის, გრიგოლ ნაზიანზელის, კლასიკური მეტრული საზომით გამართულ პოეტურ ნაწარმოებებში დამკვიდრდა ის ახალი ტიპის ლირიკული მიმართება და ქრისტიანული მსოფლმეგობრება, რაც ასე ნიშანდობლივი გახდა შემდგომდროინდელი ლიტურგიკული პოეზიისათვის.

გრიგოლ ნაზიანზელის პოეზია სამოძღვრო-მოთხრობითი ხასიათისაა. მას ძიეკუთვნება ავტობიოგრაფიული პოემები, ჰიმნები, დოგმატიკურ-მორალური და ლირიკული ლექსები, გამართული ანტიკური მეტრული საზომებით (დაქტილური ჰეგზამეტრით, იამბური ტრიმეტრით, ელეგიური დისტიქით და სხვ.). ორი საპირისპირო ხასიათის კულტურის თანაარსებობის დროს, წინააღმდეგობრივ და განვითარებად გარდამავალ ხანაში პოეტი, თუნდაც ქრისტიანი, ლიტერატურულად ძველ წარმართ პოეტთა მემკვიდრეა. ანტიკურ ლიტერატურულ ტრადიციებზე აღზრდილი გრიგოლ ნაზიანზელიც იყენებს ანტიკურ ლექსთწყობას, ქანრს, ლექსიკას (იონიური დიალექტი), სტილისტურ ხერხებს, სახეებს. მაგრამ ახლებური შინაარსით². მიუხედავად ამისა, გრიგოლ ნაზიანზელის ჰიმნები ლიტურგიკაში არ იხმარებოდა სწორედ პოეტური სამკაულის (საზომის) გამო, როგორც წარმართული კულტურისათვის დამახასიათებელი და გალობისათვის შეუფერებელი³. როგორც ფიქრობენ, ნაზიანზელი შეგნებულად ეწინააღმდეგებოდა ყოველივე აღმოსავლურს ანტიკური ფორმით⁴, მაგრამ ქრისტიანობის ობიექტური შედეგი იყო აღმოსავლური ლიტერატურული გამოცდილების შეთვისება, რაც გამოიხატა მოგვიანებით ბერძნულენოვანი პოე-

ზიის შინაარსსა და ფორმაშიც (რიტმული პოეზიის კრიტერიუმების ჩასახვა და განვითარება ძველი ფორმის წიაღში), ხოლო ვაცილებით უფრო ადრე დაიწყო გამოვლენა ამ პოეზიის შინაარსში, სადაც მოულოდნელად წარმოჩნდა ანტი-კურობისათვის უცნობი ახალი აღმოსავლური (ბიბლიური) დამოკიდებულება ადამიანის ასახვისადმი. გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიისათვისაც ნიშანდობლივია სწორედ ეს, ბიზანტიური ლიტერატურისათვის უფრო სპეციფიკური სახეები: ჩვენება-ხილვანი, ნათლის გამოცხადება, „ადამიანის წარმოჩენა თავისი დიდებითა და დაცემით“⁵ და სხვ. ყოველივე ზემოთქმული შეიძლება ცხადვყოთ ნაზიანზელის ერთი ტიპური ჰიმნის მაგალითზე, რომლის ძველი ქართული თარგმანიც დაცულია.

გრიგოლ ნაზიანზელის პოეტური მემკვიდრეობიდან ქართულად ორჯერაა თარგმნილი მორალური შინაარსის გნომური ლექსები ეფრემ მცირისა⁶ და ანონიმის მიერ „ასეული იამბიკოსა“ და „ოთხმუკლედის“ სახელწოდებით (ანუ „მუხლები იამბიკოსა სასწავლომსა წილ წარმართთაჲსა, რომლისაგან განაყენა ქრისტიანენი ივლიანე განდგომილმან“). ანონიმი ხელახლა თარგმნის მათ (ზედმიწვენით, სიტყუასიტყუით) ნიკიტა პაფლაღონიელის კომენტარების დართვით⁷. გარდა ამისა, ხელნაწერთა ინსტიტუტის XVIII—XIX სს. ნუსხურიითა და მხედრულით შესრულებულ ხელნაწერ კრებულებში მოთავსებულია უცნობი მთარგმნელის მიერ იამბიკურად თარგმნილი გრიგოლ ნაზიანზელის დღემდე გამოუქვეყნებელი ჰიმნები და ლოცვები. კ. კეკელიძე სხვადასხვა ცნობის მიხედვით ამ იამბიკოთა შესაძლებელ მთარგმნელებად ასახელებს პეტრე გელითელს, არსენ იყალთოელს და ნიკოლოზ კათალიკოსს⁸. იგი ვარაუდობს გრიგოლ ნაზიანზელის 24 იამბიკოს არსებობას, მაგრამ ხელნაწერებში იკითხება უფრო მეტი, ვიდრე აღწერილობებშია მოთავსებული; სადაც მხოლოდ ზედწარწერილ ლექსთა დასაწყისი ტაეპებია გადმოტანილი⁹.

✦ ერთ-ერთი ასეთი უსათაურო ჰიმნის („გეტრუვე, ქრისტე, შენ ჭეშმარიტებასა“...) შესაბამისი ბერძნული დედანი მოთავსებულია *Patrologia Graeca*-ში სათაურით: Πρὸς ἑσπέρην ἑσπέρια (ἑσπέρια) (მწუხრის დატირება), ხოლო ლათინური თარგმანით: *Precatio vespertina* (მწუხრის ლოცვა-ვედრება)¹⁰, რასაც არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან გრიგოლ ნაზიანზელის ამ ტიპის ჰიმნები ერთნაირი არიან კომპოზიციურად და შინაარსობრივად (იწყებიან დატირებით და მთავრდებიან ვედრებით) და ატარებენ როგორც დატირების (ἑσπέρια), ისე ლოცვა-ვედრების (Ἐσχῆ) სახელწოდებას¹¹. ამ ერთი ჰიმნის ანალოზით შეუძლებელია მთარგმნელის ვინაობისა და თარგმნის დროის დადგენა. ამისათვის საჭიროა მთელი ამ ციკლის ჰიმნთა შესწავლა და შეპირისპირება ბერძნულ დედანთან. ამკერად ჩვენს მიზანს წარმოადგენს ცხადვყოთ ამ ჰიმნის მეტრული, კომპოზიციური და იდეურ-მხატვრული თავისებურებანი, ხოლო, მეორე მხრივ,—თარგმანის ხასიათი.

ხელნაწერები: A: S—2568 (XVIII ს.), B: H—1737 (XVIII ს.), C: S—348 (XVIII—XIX ს.), D: S—379 (XIX ს.), E: S—3642 (1800 წ.), F: S—3731 (1809 წ.):

გეტრუვე, ქრისტე, შენ ჭეშმარიტებასა,
 წმიდა-ყოფელი შენდამი ამის დღისა,
 არა ყოვლითურთ სრულებით ნათლანნი
 ღამეზან ბნელმან შემიწყნარა, სიტყუით.

5. ნანდელ ვილოცე ესე და ვგოდებდიცა,
 არამედ საღმე არს შემოციტეს სლვანიცა,
 ბნელი მოვიდა, მოშურნე ცხორებისა.
 ნათულო ჩემო, ქრისტე, კუალად ჩენითა
 გამოშობრწყინე ნათელი საცნაური.

A: 56rv, B: 75v, C: 76 გვ., D: 128—129 გვ., E: 51v, F: 182v, 1. გეტრუე ქუ შენ კტეხსა
 A. გეტრუე შენ ქუ კტეხსა B. გეტრუე შენ ჰუმარტეხსა ქრისტე CD. გეტრუე ქუ შენ კტე-
 ხსა EF. 2. წმინდა-ყოფელი BCD. წა-ყოფელი E. წმიდა-ყოფელი AF. ამის დღისა A. ამის
 დღესა EF. 3. ნათლოანი EF. 4. ღამეან ბნელან შემოწრა EF. 5. ნანდიელ AB. ნანდელ F.
 ვგოდებდიცა BCDE. 6. საღმე BC. არ შემოციტეს D. არას შემოციტეს BC. სულანიცა B. სლვანიცა
 CDEF. 7. ცხორებისა A. ცხვრებისა B. ცხოვრებისა EF. ცხოვრებისა CD. 9. გამოშობრწყინელ
 CD.

„მწუხრის დატირება“ იამბური ტრიმეტრით შესრულებული ჰიმნია. გრი-
 გოლ ნაზიანზელის მსგავსი მცირე მოცულობის ჰიმნები ატარებენ დატირე-
 ბის თუ ლოცვა-ვედრების სახელწოდებას, მიმართულნი არიან ქრისტესადმი
 და გადმოსცემენ საკუთარი სულის იღუმალ ტკივილებს. ნაზიანზელი თითქოს
 თავისდაუნებურად ექვემდებარება ბიზანტიური მეტრიკის მოთხოვნილებებს,
 როცა ბიზანტიურისათვის უფრო შესაფერისი საზომით, იამბური ტრიმეტრით,
 ქმნის სწორედ ახალი ქრისტიანული სულისკვეთების გამომატველ ჰიმნებს,
 სადაც წინა პლანზე იწევს პიროვნების თავისებური ლირიკული მიმართება
 ღვთაებისადმი. იამბური ტრიმეტრი ხომ დაქტილურ ჰეგზამეტრთან შედარე-
 ბით უფრო მეტ შესაძლებლობას იძლეოდა სილაბური თვალსაზრისით გამო-
 საყენებლად, რადგან იგი ანტიკური პროსოდის წესების დაურღვევლადც
 შეიძლებოდა სილაბური გამოსულიყო (12-მარცვლიანი)¹². ბიზანტიური პოეზი-
 ისათვისაც IV საუკუნიდან უფრო ბუნებრივი გახდა იამბური, ხოლო გაუცხოვ-
 და დაქტილური საზომი. „რადგან პოეზიის ეს გვარი IV საუკუნიდან იხმარე-
 ბოდა ბერძნული ეკლესიის მამების მიერ, ამიტომაც ქართულ ეკლესიაშიც,
 იმავე ბერძნული ეკლესიის საუკეთესო ნაშეიერში, საეკლესიოდ იწოდება“¹³.

ბერძნული იამბური ტრიმეტრისაგან წარმოქმნილი ქართული იამბიკი
 (12-მარცვლიანი 5-ტაქეოვანი ლექსი) სასულიერო პოეზიაში (გალობანი, ზნეთ-
 სწავლეულებანი, ეპიტაფიები და სხვ.) იხმარებოდა¹⁴ და განსაკუთრებით XI—
 XIII სს. ქართული ფილოსოფიური პოეზიისათვის გახდა ტრადიციული კანონ-
 ნიშნული მეტრი მისთვის დამახასიათებელი აფორისტულობითა და ლაკონიზ-
 მით¹⁵. ბიზანტიურ და ქართულ იამბიკურ ლექსთა შესწავლისათვის მნიშვნე-
 ლოვანი უნდა იყოს გრიგოლ ნაზიანზელის იამბური ჰიმნებიც, რადგან ისინი
 უთუოდ დგანან ქრისტიანული იამბიკური პოეზიის განვითარების დასაწყისში.
 ამას მხარს უჭერს ქართულ ხელნაწერთა ტრადიციაც, სადაც გრიგოლ ღმრთის-
 მეტყველის იამბიკობთან ერთად მოთავსებულია იოანე სინელის, იოანე პეტ-
 რიწის, პეტრე გელათელის, იეზეკიელის, ეფრემ მცირის, არსენ იყალთოე-
 ლის და სხვათა ორიგინალური თუ ნათარგმნი იამბიკოები¹⁶. გრიგოლ ნაზიან-
 ზელის იამბიკურ ჰიმნებში შეიძლება თვალი მივადევნოთ ამ ყანრისა და მეტ-
 რის განვითარებას ანტიკურიდან ბიზანტიურ მწერლობამდე.

გრიგოლ ნაზიანზელის იამბიკური თარეები (დატირებები) გარკვეულად
 აგრძელებს ანტიკურ ტრადიციას. იამბი იყო საწესჩვეულებო ორგანსტული
 საზომი ექსტაზური დატირებისა და ამავე დროს დაცინვისა. თრენული ელე-
 მენტი უხვად იყო დითირამბში და აქედან ადრეულ ტრაგედიაშიც. ტრაგედიის

დილოვებსა და მონოლოვებში გამოყენებული იამბის რიტმი ნასესხები იყო დატირებებიდან¹⁷. ამიტომ იამბური საზომი დაციხვასთან ერთად თავდაპირველადვე შეიცავდა ტრაგიკულ ინტონაციას¹⁸. ვარდა ამისა, ძველბერძნული იამბიკური პოეზიაც პირადულ გრძობებსა და აზრებს გამოხატავდა, ხოლო იამბური მეტრი ყველა სხვა მეტრზე უფრო ბუნებრივი იყო ბერძნული სასაუბრო ენისათვის¹⁹. გრიგოლ ნაზიანზელის იამბური საზომით დაწერილ ჰიმნებშიც იგულისხმება ლირიკული მონოლოგი, რაც შინაგან დიალოგს უდრის, რადგან გულისხმობს უხილავ თანამოსაუბრეს, ღმერთს, რომლის არსებობაც ჰიმნში გამუდმებით იგრძნობა და რომლის მოწყალების იმედსაც ეს აღსარება და სინანულის გრძობა შეიცავს თავისთავად თაემ²⁰. შინაარსის მხრივ გრიგოლ ნაზიანზელის თრენებს ბიბლიური საფუძველიც გააჩნია: ფსალმუნური მოტივები და გოდებანი, სადაც ლირიკული გმირი სწორედ უხილავი თანამოსაუბრისადმი — ღმერთისადმი მიმართული. ამ მხრივ ისინი თვისებრივად ახალ საფეხურზე დგანან ანტიკურისაგან განსხვავებით, რადგან დატირება არა სხვა (გმირი თუ ღმერთი), არამედ საკუთარი სულიერი კვლევა და გარდაქმნა, რის გამოც ამ ჰიმნებისათვის არაიშვიათია ასეთი სათაურები: ტრილი საკუთარი სულის ტანჯვათა გამო, სიკვდილის ენებათა გამო, ავადმყოფობის გამო²¹ და კიდევ უამრავი სხვა მიზეზია გამონახული თავის დამდაბლებისა და დატირებისათვის. გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიაში პირველად ჩნდება ამგვარი საკუთარი სულისადმი მიმართული ჰიმნები²². როგორც აღნიშნავენ, ამ დატირებებში უფრო ვაჟკაცური და მნიშვნელოვანი ხდება ის არაანტიკური ცრემლი, რომელიც ასე სენტიმენტალური იყო გვიანანტიკურ რომანებში... აქ კი იგი ბოლოს და ბოლოს იღებს ყველაზე სერიოზულ შინაარსს და ამკვიდრებს ადამიანის ახალ სახეს²³.

„მწუხრის დატირება (ან ვედრება)“ შინაარსით ლირიკულ-პათეტიკურია, ფორმით — კლექტიკურ-ჰიმნური (იწყება ღვთისადმი მიმართვით და მთავრდება ვედრებით), მაგრამ ახასიათებს არა წრიულად შეკრული კომპოზიცია (ერთნაირი შინაარსის დასაწყის-დასასრული), არამედ ვახსნილი ფორმა — ფრაგმენტული დასაწყისი და დასასრული, რაც ჰიმნის შინაარსითაა გამოწვეული (წუხილი — ვედრება). ორი საწინააღმდეგო ემოციური ნაკადი, მღვდლვარება და სულიერი სიმშვიდე შეუმჩნეველად გადადის ერთმანეთში. ჰიმნი პირდაპირ იწყება საკუთარ სულიერ მდგომარეობაზე, ცოდვის შეგნებასა და წუხილზე საუბრით, მხოლოდ ტეჰის ბოლოს (და არა დასაწყისში) გვხვდება მიმართვა ღვთაებისადმი ცნობილი ეპითეტით „სიტყუა“ (Λῆψ): „გვეტრუვე შენ ჰემ-მარტებას, სიტყუა...“ ეს არის ფსალმუნთათვის დამახასიათებელი უშუალო მიმართვა ღვთაებისადმი საკუთარი სულის ტკივილზე საუბრის დაწყებით, „რაც ძველ აღთქმაში არ იყო სამარცხვინოდ მიჩნეული“²⁴ (შდრ. „მიწყალე მე, უფალო, რამეთუ უძლურ ვარ... და სული ჩემი შეძრწუნდა ფრიად“. ფს. 6, 3—4; 30, 2; 85, 1; 141, 3 და სხვ.). მსგავსადვე იწყება გრიგოლ ნაზიანზელის ამ ტიპის სხვა ჰიმნებიც: „რა მემართება, ღმერთო, რა მომდის?“ (რა უცნაურ გარდასახვას დავითმენ); ან „მე, მოვიდა, ქრისტე, კუალად ვეშაპი“²⁵ და სხვ. მისივე სიტყვის მიხედვით, ქრისტე იღებს მას მთლიანად მისი სისუსტითა და ნაკლოვანებებით²⁶. ეს მტანჯველი შინაგანი გაორება დამახასიათებელი იყო ადამიანის ახალი სახისათვის, რომელიც გრიგოლ ნაზიანზელის პოეზიაში გამოიკვეთა და განსხვავდებოდა მთლიანი და შეკრული ანტიკური წარმოდგენისაგან ადამიანზე²⁷.

ამას მოსდევს ცოდვის შესახებ საუბარი, რომელიც ძალზე ზოგადი სახე-
 ებითაა გადმოცემული, რითაც ხდება სწორედ ინდივიდუალური განცდის გან-
 ზოგადება. აქ არ ჩანს რაიმე კონკრეტული მოვლენა²⁸, ან ბიბლიურ ცოდვათა
 გახსენებით მისი გამოხატვა, ზოგადის ჩამოტანა პიროვნულამდე, როცა იუდას
 ცოდვა მიიღება, როგორც საკუთარი²⁹, ან პირველცოდვას მიესადაგება პოე-
 ტის მიმომე სულიერი მდგომარეობა³⁰ (ფსალმუნთა და საგალობელთა სათქმე-
 ლი ხომ საკუთარ სათქმელად აღიქმებოდა ადამიანთა მიერ³¹). ჰიმნოგრაფიაში
 ადამიანურ ცოდვათა ერთ-ერთი სახისმეტყველებითი (სიმბოლური) გამოხა-
 ტულებაა სულის სიბნელე თუ წყველიადმი დათქმა. შემდგომი ბიზანტიური
 ჰიმნოგრაფიისათვის კარგად ცნობილი დაპირისპირება ბნელისა და ნათლის
 სიმბოლოებისა, სულის დაბნელებისა (დაცემისა) და ნათლით განწმენდისა,
 გრიგოლ ნაზიანზელმა ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ქრისტიანულ პოე-
 ზიაში. მხოლოდ ეს იყო უფრო პიროვნული ლირიკა, სადაც ლირიკული გმირი
 თანხედებოდა ავტორს³² და მხოლოდ შემდეგ ხდებოდა სუბიექტური განცდის
 ზოგადადამიანურამდე ასვლა³³, რამდენადაც მისი პოეზიის ლირიზმის წყარო
 ბიბლიური თვალთახედვით დანახულ წინააღმდეგობასთან ერთად იყო გარდა-
 ძევალი ეპოქისათვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანიც, რომლის კვალს ატა-
 რებდა მთელი მისი სულიერი ცხოვრება: მარტოობის მღელვარე გამოსატულება,
 უთანხმოება როგორც მთელ სამყაროსთან (გარეგან მტრებთან), ისე საკუთარ
 თავთან (შინაგან მტერთან)³⁴. ჰიმნში ნაგულისხმევი ადამიანური ცოდვა იმაში
 მდგომარეობს, რომ ლირიკული გმირი ვერ აღმოჩნდა სრულად განსპეტაკებუ-
 ლი (განწმენდილი, გასხივოსნებული), რასაც „სიწმიდის მოკლება“ და „ქეშმა-
 რიტებათა შემცირება“ ეწოდება ფსალმუნში (11,2). ეს იმას ნიშნავს, რომ იგი
 თავისი არასრული სიწმიდით და შეგნებით („არა ყოვლითურთ სრულებით ნათ-
 ლოანი“) სრულად ვერ წვდება ქეშმარიტებას³⁵, რაც იწვევს მის ტრაგედიას
 და გოდება-დატრეებას. ეს არის უკვე ანტიკურობისათვის უცნობი წუხილი
 ღვთაებრივი სახის დაბნელებაზე (მოკლებაზე) ადამიანში, რაც ბიზანტიური
 რელიგიური ლირიკის თემად იქცევა, დაწყებული ყველაზე უფრო ანტიკუ-
 რიდან ქრისტიან პოეტებს შორის, გრიგოლ ნაზიანზელიდან³⁶.

გოდების ინტონაცია სულ უფრო და უფრო იზრდება, როცა ლირიკულ
 გმირს მიერ გაცხადდება, რომ თუმცა მხურვალედ ილოცა და იმედოვნებდა
 („ნანდვლ ვილოცე ეს და ვჭვადებდიცა“), მაინც შესაძლებელია მომავალი საფ-
 რთხის არსებობა (იგულისხმება შეცოდება), რადგან „ბნელი მოვდა, მოშურნე
 ცხობილისა“ (ხსინისა-თაჲვიცა; ბერძნულში. ვარიანტული წაკითხვით ἄφρα-ს—
 ბნელი დაჭრისა-მოშურნე ენაცვლება, რაც ერთი და იმავე მოვლენის—ბოროტების
 აღმნიშვნელია ნაზიანზელის პოეზიაში: შდრ. „შიში და ძრწოლა მომიხდა მე და
 დამფარა მე ბნელმან“ — ფს. 54,6). შესაძლებელი ცთობა ჰიმნში ბიბლიური
 სიმბოლური სახით — „ფერკთა ბრკუმი (დაბრკოლებით, წაეთენით) თუ შეძრ-
 წუნებით“ (ფს. 16, 5; 55, 14; 90, 12; 93, 18; 114, 8) არის გამოხატული („καταστα-
 ται αμαρτιας“): „არამედ სადმე არს შემიცოეს სლვანიცა“, რასაც ბიბლიაში სიმ-
 ბოლურადვე უპირისპირდება „ფერკთა სიწრფოებით დადგომა“, „ალავთა უფ-
 ლისათა დამტკიცება“ და „გზასა უბიწოსა“ სიარული (ფს. 17, 34; 25, 12; 16,
 5; 100, 2, 6; 39, 3; 36, 18; 85, 11; 22, 3; 24, 4; 118, 105)³⁷.

ერთადერთი, შედარებით რეალური პლანი ჰიმნში შემოდის მე-3 ტაპში,
 როცა „არა ყოვლითურთ სრულებით ნათლოანი“ (ე. ი. შეცთომილი) „ღამემან

ბნელმან შეიწყნარა“. თუმცა, ისიც არ არის მოკლებული სიმბოლურ მნიშვნელობას. ეს ლამე არის ლოცვა-ვედრების საუკეთესო დრო, როცა ხდება აღსარება ღვთის წინაშე, ცოდვთა მონანიება, თვითშემეცნება და ტაძრის ღვთაებრივ სიჩუმეში უზენაესისადმი გონითი აღმაფრენა. ეს ლამის წყვილია თითქოს უპირისპირდება მე-ნ ტაქტის წყვილს, როგორც რეალური — სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სიმბოლოს. საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ ვარიანტში „შემიწყნარა“-ს („με νίξ ἐξέτασι“ — მიმილო, დამიფარა) ნაცვლად იკითხება: „ლამემან ბნელმან შემიფარა“ (EF). როგორც ჩანს, გადამწერს ამ შემთხვევაში ასევე სიმბოლური მნიშვნელობით გაუზარებია, მე-3 ტაქტის ლამის სიბნელე, როგორც შეცთომილის სულიერი მდგომარეობის გამომხატველი, რომლისგან თავდაღწევასაც შესთხოვენ უზენაეს ჰიმნოგრაფები (შდრ. „ბნელი განაყენე სულთა ჩუენთაგან“; „რომელნი ბნელსა შინა ცოდვთა ვიდოდეს, ნათელი გამოუბრწყინე, მაცხოვარ...“)³⁸.

უკიდურესი დაძაბულობა უმალ იხსნება ვედრებით ნათლისადმი (ქრისტესადმი), რომლითაც სრულდება ჰიმნი და რაც ასე დამახასიათებელი გახდა შემდგომდროინდელი ლიტურგიკული პოეზიისათვის. ვედრება („გამომიბრწყინე ნათელი, ქრისტე, კვალად გამოჩინებულმა“)³⁹ თავის თავშივე შეიცავს ხსნისა და ნათლის საბოლოოდ დამკვიდრების იმედს, რამდენადაც, გრიგოლ ნაზიანზელისავე თქმით, ქრისტეა ადამიანთა ცოდვთაგან დამხსნელი და ბოროტების დამორღვეველი. იგი ჩვენშია, ხოლო ჩვენ — მასში⁴⁰. ეს „πῶς ἔχεται“ გულისხმობს იმას, რომ ამგვარი გამოცხადება, რომელიც დაცემული სულის მხსნელია, უცხო არ ყოფილა მისთვის ადრეც და კვლავაც მოველინება (რამეთუ ფსალმუნში ნათქვამია: „ნათელი გამოუბრწყინდა მართალსა და გულითა წრფელთა — სიხარული“⁴¹. 96, 11). ამით გამოხატულია თვით პიროვნების შინაგანი მდგომარეობა, მისი სწრაფვა ნათელი შეგნებით უმაღლესი ჰუმარითი ნათლისაკენ, ღვთაებრიობისაკენ, სულიერი განწმენდისაკენ, ხოლო დაცემული ადამიანის ხსნა, გრიგოლ ნაზიანზელისა და სხვა მამათა მიხედვით, დამოკიდებულია როგორც მისსავე თავისუფალ ნებაზე (შდრ. „საქმე გაქუს სულს: განწმედა გონებისა... (იქვე: ცხოვრებისა), ღმერთსა განიცდი და ღმრთის საიდუმლოთა“. გრიგოლ ნაზიანზელი; „განვიწმიდნეთ თავნი ჩუენნი, ძმანო, ყოვლისაგან ბილწებისა სულისა და ჯორცთაჲსა...“⁴¹), ისე ღვთაებრივ ძაღლსა და შეწყნარებაზე (შენი ვარ, ქრისტეო, მიხსენი (დამიფარე), როგორც შენ გსურდეს. გრიგოლ ნაზიანზელი; „ქრისტე, ...განგუწმიდენ ცოდვთაგან და საცთურისაგან, რამეთუ ნათელ ხარ შენ, რომელმან დაჰბადე ნათელი“⁴²). ეს არის პიროვნების ამალეობა, ხელახალი შექმნა ქრისტეს საშუალებით, ანუ ხელახალი სიცოცხლის მინიჭება ნათლის საშუალებით (რამეთუ ქრისტეა ყოველი კაცის განმანათლებელი⁴³). საოცრად ეხმაურება ყოველივე ზემოთქმულს შემდგომდროინდელი ლიტურგიკული პოეზიის შინა არსიც: „შენ (ქრისტე)... მყოფნი ბნელისანი ნათლად აღმოიყვანენ...“; „ნათელი შენი, უფალო, მოჰფინე ჩუენ ზედა, და მიკსნენ ბნელისაგან ჩუენ ცოდვილნი“ (კოზმა იერუსალიმელი), ან „რამსათუხ განმიშორებ პირისაგან შენისა, ნათელო წარუვალო, და დამფარა მე ბნელმან წყუდიადისამან განუნათლებელმან, არამედ მომხედენ და ნათელსა მცნებათა შენთასა წარჰპართე სლუაჲ ჩემი, გვედრები“ (იოანე დამასკელი)⁴⁴.

Как показано на схеме, в обобщенном виде глава имеет традиционное четырехчастное композиционное построение: она состоит из заголовка, зачина, основной части и концовки⁸. Основная часть разбивается на иерархически организованные структурные части — подглавы, подразделы, параграфы и т. п. — каждая, в свою очередь, состоит из четырех композиционных звеньев. Указанные структурные единицы основной части главы тесно между собой связаны. Обрамляют основную часть главы зачин и концовка, которые, однако, отличны от описанных выше зачинов и концовок. Это различие выражается в следующем: во-первых, увеличивается их объем, графически они всегда выделены в самостоятельный абзац. В одних учебниках зачин и концовка оформляются как отдельные абзацы, в других как самостоятельные параграфы; а в третьих — как самостоятельные композиционные звенья главы со своим названием: «введение» — Introduction, Introductory, General Remarks (Statements); «заключение» (или «резюме») — Conclusions, Summary. Усложняется по сравнению с первой ступенью связности смысловое наполнение и функция этих частей текста учебника. В зачине (или введении) автор останавливается на некоторых теоретических вопросах, затрагиваемых в главе, указывает на историческую последовательность событий. Этим он создает определенный фон, служащий целям более наглядного выделения рассматриваемого исторического события. Кроме того, если на первой ступени зачин в основном направлен проспективно, то на второй ступени зачин (или введение) чаще имеет двустороннюю направленность. С одной стороны, ретроспективные отсылки фиксируют внимание читателя на особенно важных фактах предшествующих событий, служащих отправными моментами для дальнейшего повествования, т. е. проецируют внимание на предшествующий текст. С другой стороны, проспективная направленность зачина (или введения) проецирует внимание читателя на последующий текст, на дальнейшее развертывание событий. Указанная двусторонняя направленность зачина (или введения) главы манифестируется эксплицитно языковыми средствами, наряду с имплицитными средствами передачи той или иной векторной направленности.

В качестве примера рассмотрим наиболее типичное введение, которое названо «Introduction» и предшествует главе «Supremacy of Papacy. Decline of its temporal power» [Myers (1901) с. 222]. «In a previous chapter we traced the gradual rise of Papacy, and stated the several theories respecting its relation to temporal rulers. It will be recalled that the «Papal party» maintained the absolute supremacy

⁸ Отметим, что на второй ступени связности описанные выше композиционные звенья рассказа-урока — зачин и концовка подвергаются значительным изменениям. О характере этих изменений говорится ниже.



of the spiritual over the temporal power.... In the present chapter we propose to tell how near the Papacy came to realizing this magnificent dream, and the long struggle between it and the secular rulers of Europe, resulting in a final triumph and emancipation of the temporal power».

В приведенном примере эксплицитно выражена ретроспективная направленность первой половины введения, что сигнализируется наличием адвербиального сочетания *In a previous chapter*, глаголами в прошедшем времени *stated, traced*, значением глагола *to recall* («It will be recalled»), что подразумевает уже упомянутые сведения и, наконец, наличием определенного артикля *the rise of Papacy, the several theories, the «Papal party»*. Также эксплицитно выражена проспективность второй половины введения, что реализуется такими сигналами проспекции, как: адвербиальные словосочетания *In the present chapter*, глаголы со значением будущего действия, например: *to propose to tell*.

Концовка (или заключение-резюме) главы, как и вышеописанная концовка на первой ступени связности, содержат в обобщенном виде самую важную информацию об описанном событии. Это — суммирование основных положений, изложенных в тексте, максимально сжатая общая информация о важнейших фактах главы. Поэтому заключение главы обычно имеет ретроспективный характер, что эксплицитно выражается с помощью «таких слов и выражений, как: *Thus; In closing this chapter; So; After; To rest upon the thought; In conclusion..., ...having... traced in brief..., In a period so briefly reviewed... As our previous studies have made it... We allude to the*.

Концовка (или заключение-резюме) на второй ступени связности в отличие от концовки (первая ступень связности), наряду с ретроспективным содержанием приобретает проспективную направленность, т. е. она дает краткую информацию о предмете повествования следующих глав, что обычно выражается такими словосочетаниями и адвербиальными конструкциями, как, например: *We shall now proceed to speak...; In the following chapter...; We shall say something of it..., We shall next rehearse...; which next draws our attention...*

Прониллюстрируем сказанное примерами: «*Thus the commercial spirit which dominated the cities contributed powerfully to that great intellectual movement, known as the Revival of Learning, a movement which next draws our attention*». [Myers (1895), c. 259].

«*Illustrations of these weaknesses, as well as of the strength of the Athenian Empire, will be afforded by the great struggle between Athens and Sparta known as the Peloponnesian War, the causes and chief incidents of which we shall next rehearse*». [Myers (1889), c. 134].

Анализ материала исследования показал, что чаще в текстах учебников для взрослых, т. е. на второй ступени связности, в зачинах и концовках или их разновидностях преобладает эксплицитно выраженная ретроспективно-проспективная направленность. ИмPLICITные сигналы той или иной векторной направленности, разумеется, присутствуют, но они редко являются единственными, чаще даются вмес-

те с эксплицитно выраженными сигналами. Двойкая направленность связи между композиционными звеньями главы (особенно ее вводных и заключительных звеньев) создает смысловую целостность текста учебника в целом. Это тот случай, когда «...замкнутость текста как целого зависит от внутренней смысловой спаянности отдельных его частей или единиц, являясь своего рода завершением его» [19, 56].

Таким образом, свособразный характер зачинов и концовок глав учебника на второй ступени связности выражается в том, что они служат не только для обрамления главы, т. е. создания ее внутренней связности и целостности, что повышает ее автосемантическую, но чаще выступают в роли интегрантов текста учебника в целом, т. к. их двусторонняя векторная направленность способствует сцеплению предыдущих и последующих глав с настоящей. Эксплицитно выраженная двусторонняя направленность этих композиционных звеньев особенно свойственна главам в учебниках XIX в., а в учебниках XX в. они, во-первых, так четко не отделены графически от основной части главы; во-вторых, в них та или иная векторная направленность чаще реализуется имплицитными средствами, как, например, в следующем зачине: «Wien Montcalm, Governor of French Canada, fell at the Battle of Quebec, he expressed concern for the fate of his people, and a hope that the British would treat them well. The military rule which followed the end of the war provided three governors, who, indeed, carried out Montcalm's wishes» [Bulwer, с. 58].

В данном примере связь с предшествующими главами осуществляется имплицитно через осмысление слов «The Battle of Quebec», которые автор только упоминает, не останавливаясь на подробностях, связанных с этим событием. Таким образом, он представляет читателю возможность вспомнить предшествующие главы, где рассказывалось про эту битву.

Принимая во внимание интегрирующие свойства указанных композиционных звеньев главы, можно сказать, что они в значительной мере способствуют объединению дробного текста учебника, и композиционная схема, хотя и имеет центробежный характер, именно им обеспечивает наличие высокой степени связности, целостности текста всего учебника. Это, в частности, достигается разными эксплицитными и имплицитными сигналами ретроспекции и проспекции в вводных и заключительных композиционных звеньях главы. В основе эксплицитных средств лежит определенная временная взаимосвязь описываемых событий, что выражается использованием ряда языковых средств: паречий, союзов; отдельных слов со значением ретроспективной и проспективной направленности: *foregoing, early, previous; now, present, next* и пр.; глаголами в прошедшем или будущем времени и т. п. Имплицитные связи выявляются в результате анализа лексико-семантических связей дистантно расположенных отрезков текста.

Как отмечалось выше, промежуточную ступень связности невозможно выделить так же отчетливо, как описанные две крайние ступени. Дело в том, что она скорее всего имеет расплывчатый харак-

тер и выступает в качестве переходного момента от наименьшей степени связности к крайне высокой. Специфика промежуточной ступени заключается в том, что здесь глава, с одной стороны, демонстрирует значительную степень независимости, самостоятельности, с другой стороны, ей, как части единого текста учебника, свойственно наличие определенных связей с предшествующими и последующими главами. Иными словами, на данной ступени особенно отчетливо проявляется двоякая сущность главы как структурной части текста учебника.

Исследование показало, что степень независимости глав на промежуточной ступени хотя и значительна, но проявляет тенденцию к уменьшению, убыванию в пользу увеличения степени связности между главами.

Эксплицитно данная степень связности выражена с помощью формальных средств логической связи: единая (сквозная) нумерация глав, определенная хронологическая последовательность описываемых событий. Имплицитно объединение глав осуществляется посредством смысловой связи — единство темы (история одной страны, один период). Языковые средства связи между главами, такие как, например, наречия, союзы, лексические и местоименные повторы и т. п. чаще встречаются в зачинах, даже в самых первых предложениях. Например,

1. «A gain the kingdom had come to a child...» [Craig-Knox, с. 19].

2. «While the English soldiers were fighting in France, great changes were taking place at home». [Chancellor, с. 128].

3. «We have already seen him with his father on the fields of Lewes and Evesham. We have now to trace his riper deeds of war». [Collier (1889) с. 76].

4. Chapter II (конец главы): «But I am not going to tell you much about them at present. I am going to give you an account of another great man who lived at this time. He was not a king, but a churchman and archbishop of Canterbury: his name was Thomas à Becket». Chapter 12 (начало главы).

«Thomas à Becket was the son of London merchant and a Saracen lady... [Bosworth, с. 43].

5. Chapter VIII (конец главы): «Meanwhile the Witan had now little choice but choose halfbrother Ethelred to be a king; and whether or not it be true that a crime was wrought to raise him to the throne, it is undoubtedly true that, if so, the crime brought its punishment with it, for that was an unhappy moment for the people when they chose for their king Ethelred the Unready».

Chapter IX (начало главы).

«Ethelred, whose title of Unready means not «unprepared», but «ill-advised», unlike most of the kings before him had a very long reign, being only ten years old when he succeeded». [Webb, с. 48].

В приведенных примерах с помощью формальных и лексических средств авторы учебников связывают две главы, акцентируя именно те события, которые необходимы читателю для правильного понимания дальнейшего изложения.

Подобные сигналы связи есть и в основной части главы, например: «He feared, just as his father had feared — defeated the Scots by force of numbers, returned to England, and had to go back and defeated them over again...» [Craig-Knox, с. 67].

В приведенном примере с помощью вставки автор стимулирует возникновение ассоциативных воспоминаний у читателя, что способствует лучшему осмыслению прочитанного. Довольно часто связь с предыдущими событиями выражена в основной части имплицитно и сразу не поддается раскрытию, как в следующем примере: Chapter 6 (основная часть главы) «At the end of Edward Third's reign the great English scholar John Wycliff, began to ask questions about all these things, and to argue that the favourite doctrines of the Roman church were all comparatively new, that they were not part of Christ's teaching, and could not be found in the Bible at all». Chapter 7 (основная часть главы).

«Wycliff had done little more than prepare the bed in which the seed was to be sown, the seed of knowledge and of the «Spirit which giveth life». [Fletcher and Kipling, с. 107, 113]. В данном примере сигналом связи является слово «Wycliff» — имя человека, о котором автор рассказывал в предыдущей главе, т. е. это прямой эксплицитный повтор лексической единицы. Кроме этого, автор использует и имплицитное средство связи, а именно с помощью развернутой метафоры напоминает читателю о том, что сделал Джон Уиклифф.

Итак, анализ материала исследования позволяет сделать вывод о том, что учебник, несмотря на свою внутривидовую дробность, является единым, целостным и интегрированным типом текста, поскольку между основными его структурными единицами, в частности, главами, существует определенная степень логической, причинно-следственной связи, которая варьирует в очень широком диапазоне — от относительной самостоятельности до значительной несамостоятельности — в зависимости от прагматической установки учебника.

Литература

1. И. Р. Гальперин, Текст как объект лингвистического исследования, М., 1981.
2. В. С. Чулкова, Многочленный стилистический прием как одно из средств интеграции текста. АКД, М., 1978.
3. И. Р. Гальперин, Интеграция и завершенность текста, Изв. АН СССР, ОЛЯ, т. 39, 1980, № 6.
4. Г. В. Лейбиц, Новые опыты о человеческом разуме, М., 1936.
5. И. Р. Гальперин, Грамматические категории текста (опыт обобщения), Изв. АН СССР, ОЛЯ, т. 36, 1977, № 6.

6. З. И. Хованская, Категория связности и смысловое развертывание коммуникации. В сб. науч. трудов МГПИИЯ им. М. Тореза «Лингвистические проблемы текста», Вып. 158, М., 1980.
7. В. Ю. Миронова, Лингвистическая характеристика речевого жанра научно-технического реферата. АКД М., 1975.
8. Е. А. Ножин, Логика рассуждения и логика изложения в организации текста (на материале ораторской речи), в кн.: «Смысловое восприятие речевого сообщения», М., 1976.
9. О. И. Москальская, Грамматика текста, М., 1991.
10. Л. А. Ноздрин, Композиция и грамматические средства связности художественного текста, АКД, М., 1980.
11. Платон, Федр, полное собрание сочинений в 15 томах, т. 5, Acadēmia, Петербург, 1922.
12. Н. М. Разинкина, Развитие языка английской научной литературы (лингвостилистическое исследование), М., 1978.
13. И. Р. Гальперин, Очерки по стилистике английского языка, М., 1958.
14. I. R. Galperin, Stylistics, M., 1978.
15. Н. Д. Левитов, Психология старшего школьника, М., 1955.
16. Дж. Брунер, Психология познания, М., 1976.
17. С. Griffith, General Introduction to psychology, London, 1924.
18. Northworthy and Whitley, The psychology of Childhood, London, 1929.
19. Кв. Кожевникова, Об аспектах связности в тексте как целом, в кн.: «Синтаксис текста», М., 1979.

Список использованных учебников

1. Craig-Knox, A School History of England, London, 1872.
2. W. F. Collier, School History of British Empire, London, 1889.
3. E. Thompson, History of England, London, 1897.
4. G. F. Bosworth, A History of the British Empire, London, 1908.
5. S. Fletcher and R. Kipling, A School History of England, London, 1911.
6. E. J. Webb, A History of England, London, 1936.
7. V. E. Chancellor, Medieval and Tudor Britain, Harmondsworth, 1976.
8. Ph. v. N. Myers, General History, Boston, 1889.
9. Ph. v. N. Myers, Outlines of Medieval and Modern History, Boston, 1896.
10. Ph. v. N. Myers, Rome: It's Rise and Fall, Boston, 1901.
11. P. Mc. G. Bulwer, Commonwealth History, London, 1967.

Кафедра стилистики английского языка Московского государственного педагогического института иностранных языков имени Мориса Тореза

Представил академик Академии наук Грузинской ССР Т. В. Гамкрлидзе

ენოვ კვაშალი

კონტენტ-ანალიზის და მასთან დაკავშირებული ზოგი ლინგვისტური საკითხის მიმოხილვა

კონტენტ-ანალიზი წარმოადგენს ტექსტის შინაარსის მეცნიერული ანალიზის მეთოდს, რომელიც გამოიყენება ჰუმანიტარული ცოდნის სხვადასხვა სფეროში [1]. ამ მეთოდის წარმოშობა დაკავშირებულია სოციოლოგიურ გამოკვლევებთან, თუმცა დღეს, სოციოლოგიური გამოკვლევების გვერდით, კონტენტ-ანალიზი გამოიყენება ფსიქოლოგიაში, ლინგვისტიკაში, ისტორიაში, კრიმინოლოგიაში, ფოლკლორისტიკაში და სხვ. — ყველგან, სადაც შესაძლებელია ისეთი საკვლევი ამოცანების დასმა, რომლებიც დაკავშირებულია ტექსტის შინაარსის უფრო ღრმა გაგებასთან, ადრესატ-მკითხველების მიერ მის აღქმასთან.

კონტენტ-ანალიზი სოციოლოგიურ ლიტერატურაში განმარტებულია როგორც ბწყარებს შორის კითხვის ხელოვნების მეცნიერული დასაბუთება, ქვეტექსტების კითხვის მეთოდი, ანუ მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა ტექსტებიდან ამოღებულ იქნეს ის ობიექტური ინფორმაცია, რაც უშუალოდ არ ძეგს ტექსტის ზედაპირზე.

„ამ მეთოდის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ გასაანალიზებელი დოკუმენტის ტექსტში გამოიყოფს უმთავრესი ცნებები, სტერეოტიპები, სტანდარტული ფრაზები და მიღებულ იქნეს ისინი ტექსტის ერთეულებად. შემდეგ ტექსტის აზრობრივი შინაარსი შეიძლება გაანალიზებულ იქნეს რაოდენობრივი შეპირისპირებით, ტექსტის სხვადასხვა ელემენტს ერთმანეთთან და ინფორმაციის საერთო მოცულობასთან შეფარდების გაანგარიშებით“ [2, გვ. 143].

სოციოლოგიაში კონტენტ-ანალიზი თავდაპირველად მხოლოდ პროპაგანდისტული ტექსტების შინაარსის შესასწავლად გამოიყენებოდა, შემდგომში კი გახდა ყველა ტიპის დოკუმენტების ტექსტების შინაარსის კვლევის მეთოდი (თუმცა პროპაგანდის ეფექტურობის ანალიზი ამ მეთოდის გამოყენების მნიშვნელოვან სფეროდ დარჩა).

დოკუმენტების კლასიფიკაცია კი სოციოლოგიაში შემდგენიარად ხდება:

- ა) ინფორმაციის ფიქსირების მიხედვით — ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტები, მაგნიტურ, ფოტო და კინოფირზე ჩანაწერები;
- ბ) დოკუმენტური წყაროს სტატუსის მიხედვით — ოფიციალური და არაოფიციალური დოკუმენტები;

გ) ინფორმაციის წყაროს მიხედვით — პირველადი და მეორადი დოკუმენტები. დოკუმენტების განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნის მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების (შემოკლებით მკს): გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის, კინოს და სხვა მრავალრიცხოვანი მასალები [3, გვ. 121—122].

განსაკუთრებულ ეფექტს კონტენტ-ანალიზი სწორედ მკს-ის მასალათა შინაარსის შესწავლაში იძლევა.

მასობრივი კომუნიკაციის პროცესი არის საზოგადოებაში გარკვეული ცოდნის, ღირებულებების, აღქმისა და მოქმედების ნორმების მასობრივი გავრცელების პროცესი, რომელიც ტექნიკური საშუალებებით და სპეციალური სოციალური ინსტიტუტებითაა გაშუალებული. ამ ცოდნის, ღირებულების, აღქმისა და მოქმედების ნორმების ერთობლიობა კი შეადგენს მკს-ით გადამცემული შეტყობინებების შინაარსს.

მიუხედავად იმისა, რომ მკს ჯერ ყოველმხრივად და სრულად არაა შესწავლილი, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მასობრივი კომუნიკაციის სტრუქტურის შემადგენელი ელემენტებია კომუნიკატორი, შეტყობინება (შინაარსი), გადაცემის არხი, აუდიტორია-რეციპიენტი, გადაცემის შედეგები (ეფექტი). კონტენტ-ანალიზის შესწავლის ობიექტი არის შეტყობინების ტექსტი ანუ კომუნიკაციის შინაარსი. ამ ობიექტის შესწავლის საფუძველზე ხდება სოციალური ფაქტის დადგენა (4, გვ. 160). ეს ფაქტი კი შეიძლება ეხებოდეს როგორც კომუნიკატორს, ასევე აუდიტორიასაც ან ორივეს ერთად.

თეთი მარქსმა, გადაწყვიტა რა პრესის გამოყენება პარიზის კომუნის პერიოდში სოციალური განვითარების ტენდენციების დასადგენად, კვლევის ობიექტად აირჩია მხოლოდ კომუნიკაციის შინაარსი. რადგან მას არ ჰქონდა საშუალება უშუალოდ დაკვირვებოდა მომხდარ ფაქტებს, სისტემატურად აკეთებდა ამონაწერებს პრესის თითქმის 30 ორგანოდან, ძირითადად ინგლისური და ფრანგული გაზეთებიდან. სამ თვეში მან გამოსცა ნაშრომი „სამოქალაქო ომი საფრანგეთში. მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის გენერალური საბჭოს მოწოდება“, რომელშიც აჩვენა, რომ, მიუხედავად პროპაგანდისტული ტენდენციურობისა, მასობრივი კომუნიკაციის მასალების შინაარსი გარკვეული აზრით მაინც ასახავს საზოგადოების რეალურ განვითარებას (5, გვ. 100—101).

ტერმინი კონტენტ-ანალიზი („content analysis“) პირველად ამერიკელი ჟურნალისტების მიერ იქნა გამოყენებული XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში, როდესაც მათ სცადეს გაზეთების მასალების ზუსტი თემატური ანალიზი, თუმცა კვლევის რაიმე მეთოდები მათ არ ჩამოუყალიბებიათ.

კონტენტ-ანალიზის, როგორც პროპაგანდისტული ტექსტების შინაარსის კვლევის მეთოდის, დამფუძნებლად ითვლება იელის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი პაროლდ ლასუელი. კვლევის მისეულ მეთოდს ეწოდა შინაარსის რაოდენობრივი ანალიზის მეთოდი, რომელიც გულისხმობს ტექსტების შინაარსის რაოდენობრივ ანალიზს, ტექსტში რაღაც რაოდენობრივად განსაზღვრებადი მახასიათებლების გაზომვას (6). ლასუელმა პირველმა დასვა საკითხი რაოდენობრივად განსაზღვრავი შინაარსის ერთეულის რაობის შესახებ. ასეთ ერთეულად მან მიიჩნია სიმბოლო (ფაქტობრივად ცალკეული სიტყვები და იშვიათად — წინადადებები) [7,8].

ლასუელის მეთოდის მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ, ერთი მხრივ, დაეფიქსირებინა პროპაგანდისტულ მასალებში სხვადასხვა სიმბოლოს გამოჩენის სიხშირე, სხვადასხვა სიმბოლოს სიხშირეთა თანაფარდობა და, მეორე მხრივ, აღმოეჩინა ამ თანაფარდობაში ცვლილებები დროს (სხვადასხვა პერიოდის მასალების შედარებით) და სივრცეში (პროპაგანდის სხვადასხვა წყაროს შედარებით). სიმბოლოთა სიხშირის დადგენის გარდა ლასუელი სიმბოლოებს გარკვეულ „კატეგორიებად“ აჯგუფებდა. მან გამოყო სტანდარტიზებული (მუდმივი) და «ad hoc» (მოცემული შემთხვევისათვის) კატეგორიები. «ad hoc»

კატეგორიები გამოიყოფა ყოველი ცალკეული კვლევისათვის. მაგ., ერთ-ერთ გარკვეულ კვლევაში შემდეგი კატეგორიები იქნა გამოყოფილი: ცალკეული პირები (რუხ-ველთა, ჩერჩილა), ჯგუფები (რუსები, ამერიკელები), ინსტიტუტები (კონგრესი, საბჭოები) და ა. შ. [9, გვ. 76—77].

სტანდარტიზებული კატეგორიებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია „მიმართების კატეგორია“, რომელიც ავლენს გასაანალიზებელი სიმბოლოსადმი მასალაში გამოხატულ დამოკიდებულებას. ძირითადად ფიქსირდება დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური დამოკიდებულება, თუმცა შესაძლებელია უფრო დეტალური კლასიფიკაციაც.

ლასუელის მეთოდი სიმბოლოთა ფიქსირება ხდება მათი სალექსიკონო მნიშვნელობის მიხედვით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკულად კოდირების სპეციალისტმა უნდა გადაწყვიტოს, რომელი ლექსიკური ფორმები გადმოსცემს ამა თუ იმ მნიშვნელობას და, ამდენად, პროცედურები დამოკიდებულია კოდირების სპეციალისტის საღ აზროვნებაზე [10, გვ. 226]. მართალია, კოდირების სპეციალისტი მექანიკურად არ გამოყოფს და ითვლის ამა თუ იმ ელემენტს, არამედ შემოქმედებითად იყენებს მათი ფიქსირების წესებს, მაგრამ საკმარისი არაა ლასუელის მითითება — იხეზმდვანელონ „სალექსიკონო მნიშვნელობით“, რადგან არსებობს მრავალი შემთხვევა, როდესაც სიტყვა იხმარება ისეთი მნიშვნელობით, რომელიც არაა დაფიქსირებული ლექსიკონში [11]. ცნობილია, რომ ერთი და იგივე აზრი შეიძლება გამოიხატოს განსხვავებული სიტყვებით და, მეორე მხრივ, ერთი და იგივე სიტყვით — სხვადასხვა აზრი. აქ ბევრი რამაა დამოკიდებული კონკრეტულ სიტუაციაზე, დროზე, ადგილზე, ავტორზე, აუდიტორიაზე. ცნობილია ცდა, როდესაც ამერიკელთა რამდენიმე ჯგუფს გააცნეს ტექსტობრივი მასალა. ერთ ნაწილს უთხრეს, რომ მასალის ავტორი ცნობილი ამერიკელი მეცნიერი იყო, მეორეს კი ტექსტი საბჭოთა გაზეთ „პრავდიდანააო“. ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს მითითებამ ძირეულად შეცვალა მოცემული ტექსტის შინაარსის გაცემა [12, გვ. 462] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შინაარსზე გავლენას ახდენს ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომლებიც სულ არაა გათვალისწინებული ისეთ აბსტრაქტულ ენობრივ ერთეულში, როგორიცაა ლასუელის სიმბოლო.

ლასუელის პროცედურების ძირითადი მიზანი იყო ფართო მასებზე პროპაგანდისტული მასალების შემოქმედების ეფექტურობის გამოვლენა. ლასუელი აპრიორულად ვარაუდობდა, რომ, რაც ხშირად მოქმედებს სიმბოლო აუდიტორიაზე, მით უფრო ეფექტურია ის. ამიტომ სიმბოლოთა სისწორის დაფიქსირებას ეკავა გაბატონებული მდგომარეობა. თუმცა მასობრივი პროპაგანდის აუდიტორიასთან კავშირის ხასიათი სულაც არაა დამოკიდებული მხოლოდ ისეთ ფორმალურ მომენტზე, როგორიცაა სისწორე. მასობრივი კომუნიკაციის სისტემა ჩართულია უფრო ფართო სისტემაში — საზოგადოებაში. ამიტომ მასობრივი კომუნიკაციის შინაარსის ანალიზი იმასაც უნდა ითვალისწინებდეს, რომ მკვლევარს უნდა გაეცნოს გარკვეული ხასიათის სოციალური კავშირების მქონე საზოგადოებაში.

ამას გარდა, ცნობილი გახდა, რომ ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფი და ამა თუ იმ ჯგუფის შიგნით სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვაგვარად რეაგირებს სიმბოლოთა გამოჩენის სისწორეზე. ცდამ აჩვენა, რომ ცალკეული ინდივიდებისა და ადამიანთა ჯგუფებისათვის არსებობს ზღვრები, რომელთა ზევითაც სისწორის გაზრდა არა ეფექტის, არამედ უკურეაქციის გამოწვევია [13, გვ. 51].

ამავე მოსაზრებას უჭერს მხარს ინფორმაციის თეორიის თვალსაზრისით, რომლის მიხედვითაც, უფრო მეტად სააღბათო ელემენტები (ე. ი. უფრო დიდი სიხშირის მქონე ელემენტები) ნაკლები ინფორმაციის მატარებელია, ხოლო ნაკლებ სააღბათო ელემენტები (ე. ი. უფრო ნაკლები სიხშირის მქონე ელემენტები) უფრო მეტი ინფორმაციისა.

თუ მივვარდებით ინფორმაციის რაოდენობის განმსაზღვრელ ფორმულას $X = -\lg_2 P$ (სადაც X ინფორმაციის რაოდენობაა, P შეტყობინების ალბათობა), ასევე ცხადი გახდება, რომ რაც მეტია ალბათობა P , მით ნაკლებია ინფორმაციის რაოდენობა X და პირუტყვ, რაც ნაკლებია ალბათობა P , მით მეტია ინფორმაციის რაოდენობა X . თუ დავუშვებთ, რომ ინფორმაციულობასა და ეფექტურობას შორის მჭიდრო კავშირია, ანუ, რაც უფრო ინფორმაციულია შეტყობინება, მით უფრო ეფექტურია ის, მაშინ ლასელის პროცედურების არასაკმარისობა შინაარსის შესასწავლად ნათელი გახდება.

ეს მოსაზრება დადასტურა 1952 წ. ლასუელისეული ტიპის შინაარსის ანალიზით ჩატარებულმა გამოკვლევამ სახელწოდებით „რადიო“, რომელიც მიზნად ისახავდა „ჩვენი დროის რეკლამების“ შესწავლას და მოიცავდა 1890—1950 წწ. პერიოდს [14, გვ. 715]. პროექტმა ფაქტობრივად მარცხი განიცადა და ეს აღიარეს კიდევ ამერიკელმა სოციოლოგებმა.

ლასუელის მიმდევარი ბ. ბერელსონი აღნიშნავდა ლასუელისეული მეთოდის კიდევ ერთ ნაკლს: პროცედურების გამოყენება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა არის მოცემულ თემასთან დაკავშირებული შინაარსის კატეგორიების გარკვეული სიხშირე. ისეთ მასალებზე კი, რომლებშიც არაა ასეთი სიხშირე, მოცემული პროცედურების გამოყენება შეუძლებელია [15, გვ. 20].

ლასუელისეული მეთოდის ნაკლოვანებების გამოსასწორებლად ამერიკელმა სოციოლოგებმა სხვა გზების ძიება დაიწყეს. ისინი ძირითადად 2 გზუფად გაიყვნენ. ერთმა ნაწილმა ლასუელის მეთოდის მოდერნიზაციის გზა აირჩია, მეორემ — არაენობრივი ფაქტორების ანალიზს მიჰყო ხელი.

პირველი ე. წ. რეპრეზენტატიული მიმართულების გზუფს ეკუთვნის ფსიქოლინგვისტიკები, რომლებმაც წამოაყენეს სიმბოლოთა დაკავშირების ანალიზის იდეა, რომელიც არკვევს არა იმას, თუ რა სიხშირით გვხვდება ესა თუ ის სიმბოლოსი ნაწილებში, არამედ იმას, თუ რა სიხშირით გვხვდება ესა თუ ის სიმბოლო სხვა სიმბოლოსთან კავშირში [10, გვ. 196]. ამ მიმართულების ერთ-ერთი წარმომადგენელია ფსიქოლინგვისტი ჩ. ოსგუდი, რომელიც თვლის, რომ კომუნიკატორის „ასოციაციურ სტრუქტურაზე“ (რა რასთან მიდის და რა რასთან ასოცირდება მის ცნობიერებაში) დასკვნის გაკეთება შესაძლებელია შეტყობინების შინაარსში სიმბოლოთა კავშირების საფუძველზე. გარდა იმისა, რომ ასეთი მიდგომა ძალზე დამაჯერებლადაა გაკრიტიკებული საბჭოთა ფსიქოლოგების მიერ, თვით ოსგუდის პროცედურა ტექნიკურად იმდენად რთულია, რომ პრაქტიკულად მისი ფართო მასშტაბებით გამოყენება შეუძლებელია.

რაც შეეხება მეორე, ე. წ. „ინსტრუმენტულ მიმართულებას“, მის ფუძემდებლად ითვლება ალექსანდრ ჯორჯი, რომელმაც ჩამოაყალიბა არაროდენობრივი ანალიზის მეთოდი [16]. ჯორჯი აღნიშნავდა, რომ პრობანდის ანალიზში, სპეციფიკური დასკვნების საფუძველს წარმოადგენს არა გარკვეული სიტყვების, თემების, სტერეოტიპების, ლოზუნგების გამოჩენის სიხშირე, არამედ ფაქტი, რომ ასეთი განცხადება საერთოდ გამოჩნდა (ან არ გამოჩნდა) შეტყობინებაში ან მის ნაწილში [17, გვ. 84].

ჯორჯმა გაამახვილა ყურადღება შინაარსი — პროპაგანდისტული — ხელმძღვანელი ორგანოები ჯაჭვის ელემენტთა ურთიერთდამოკიდებულებაზე. ამიტომ ანალიზისათვის გამოიყენა ექსტრალინგვისტური ფაქტორები, რომლებიც უკანასკნელი ორი ელემენტის მდგომარეობას ახასიათებს სოციალურ სისტემაში.

როცა სოციოლოგი იწყებს მუშაობას, — ამბობს ჯორჯი, — მან უნდა გამოარკვიოს ის პირობები, რომლებიც წინ უსწრებდა მასობრივი კომუნიკაციის არხებში ამ მასალის გამოჩენას. ამ მიზნით აუცილებელია „წინამავალი პირობების“ კატეგორიის გამოყოფა. მათ შორის პირველი ადგილი ეთმობა პროპაგანდისტულ დირექტივებს. რადგან პროპაგანდისტული კამპანიები მოითხოვს კოორდინაციას და ზუსტ ხელმძღვანელობას, ამიტომ პროპაგანდისტები (ეჟურნალისტები, ორატორები და ა. შ.) დებულბენ საერთო ამ კონკრეტული ხასიათის მითითებებს. ეს მითითებანი ეხება პროპაგანდისტულ მასალებში გარკვეული თემების ხაზგასმას ან იგნორირებას. შინაარსის ანალიზის სპეციალისტებმა მასალაზე დაყრდნობით უნდა მოახდინონ პროპაგანდისტული დირექტივების რეკონსტრუირება, შემდეგ გამოარკვიონ პროპაგანდისტული მიზნები, რისთვისაც უნდა ამოიკონონ კომუნიკატორის პროპაგანდისტული ტექნიკა.

ჯორჯმა შემოიტანა პროპაგანდისტული მასალების შინაარსის ანალიზის ორი კონკრეტული მეთოდი, რომლებსაც პირდაპირი და ირიბი მეთოდები ეწოდა [9, გვ. 84].

პირდაპირ მეთოდს ამკარად ეტყობა ლასუელისეული გავლენა, რადგან დასკვნები კომუნიკატორის განზრახვებზე კეთდება მის ქცევაში რალაც განმეორებადი ნორმების აღმოჩენას. ეს მეთოდი ითხოვს, რომ შინაარსის გარკვეული მახასიათებლები რეგულარულად ჩანდეს პროპაგანდისტულ მასალებში და რომ ეს მახასიათებლები დაკავშირებული იყოს „ელიტის“ ზრახვებთან, შეფასებასთან, მოლოდინთან. თუმცა პრაქტიკულად ძალიან ხშირად შეუძლებელია ასეთი პირდაპირი კავშირის დადგენა. ამასთან დაკავშირებით თვით ჯორჯს მოჰყავს მაგალითი. ნორვეგიაზე თავდასხმის წინ გერმანელთა პროპაგანდა აგრესიულ სწრაფებში ბრალს სდებდა ინგლისს, ჰოლანდიისა და საფრანგეთის დაპყრობის წინ ყურადღება გადატანილი იყო ბალკანებზე, სსრკ-ზე თავდასხმის წინ კი ყველანაირად შენიღბეს განზრახვა, პროპაგანდაში რაიმე ცვლილებების მეტყობა შეუძლებელი იყო. ყველა ამ შემთხვევაში პიტლერელები განზრახ ცვლიდნენ პროპაგანდის სტრატეგიას. კონტენტ-ანალიზის პირდაპირ მეთოდს არ ძალუძს ამ ცვლილებების გათვალისწინება. ამიტომ შემუშავდა ე. წ. „ირიბი მეთოდი“, რომლითაც შესაძლებელია პროპაგანდის სტრატეგიაში ცვლილებების აღმოჩენა და გათვალისწინება. ამ მეთოდს ხანდახან ბრწყინვალე შედეგებიც ჰქონდა. აი, ერთი მაგალითი: სტალინგრადათან დამარცხების შემდეგ გერმანელები შეუდგნენ უდიდესი საიდუმლოებით მოცული იარაღის (როგორც შემდგომ გამოიჩინა ეს იყო ფაუ-1 ტიპის „მფრინავი ბომბები“ და ფაუ-2 ტიპის რაკეტები) პროპაგანდას. მიუხედავად ძალიან ფართო რეკლამისა და ჩრდილო საფრანგეთში გამოჩენილი ბეტონის უცნაური ნაგებობებისა, რომლებიც ინგლისისკენ იყო მიმართული, ამერიკელი და ინგლისელი სამხედრო მოღვაწეები ვერაულოდებენ, რომ ლაპარაკები „საიდუმლო იარაღზე“ მხოლოდ ჰებელსის პროპაგანდისტული ხრიკი იყო. ამ მოსაზრებას ისიც აძლიერებდა, რომ ვერც ამერიკის და ვერც ინგლისის აგენტურამ ვერ შეძლო ამ საკითხთან დაკავშირებული რაიმე ცნობის მოპოვება. დახმარების გაწევა სრულიად მოუ-

ლოდნელად პროპაგანდისტული მასალების ანალიზის სპეციალისტებმა შეძლეს. 1943 წ. ნოემბერში მათ წარმოადგინეს მასობრივი პროპაგანდის მასალების ანალიზით მიღებული მონაცემები, რომელშიც ზოგადად იყო აღწერილი საიდუმლო იარაღი, მისი პირველი გამოყენების სავარაუდო ვადები. როგორც შემდგომში გამოირკვა, ანალიზი საოცრად ზუსტი აღმოჩნდა. ასე რომ, სოციოლოგებმა შეძლეს უფრო მეტი მონაცემების მიღება, უიღრე სპეციალურმა სადაზვერვო ორგანოებმა.

აშშ-ში ინტერესი კონტენტ-ანალიზისადმი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც შემუშავდა კონტენტ-ანალიზის პროგრამებისა და ლექსიკონების სისტემები ტექსტების ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებზე კოდირებისა და დამუშავებისათვის. ამ მიზნით ფართოდ გავრცელდა ე. წ. „საერთო ცნობარით“ შინაარსის ანალიზის მეთოდთა, რომლის პირველი ვარიანტები შეიმუშავეს ჰარვარდის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა ფ. სტონემმა და რ. ბელსმა 1961—1965 წწ. [18] და სისტემა „უნივერსალური ანალიზატორი“ [19], რომელიც წარმოადგენს ტექსტების ეგმ-ზე ანალიზის პროგრამების კომპლექსს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონტენტ-ანალიზი გაცდა მხოლოდ პროპაგანდისტული ტექსტების კვლევის სფეროს და გახდა მრავალსპექტრიანი. მისი გამოყენების ერთ-ერთ ძალზე საინტერესო ასპექტად შეიძლება მოვიყვანოთ ამ მეთოდის საშუალებით სხვადასხვა ავტორთა მიერ ერთსა და იმავე ტერმინში ჩადებული შინაარსის იდენტურობის დადგენის ცდები [20, გვ. 436—437, 21].

საბჭოთა სოციოლოგია იყენებს შინაარსის ანალიზის როგორც რაოდენობრივ, ასევე არარაოდენობრივ (თვისებრივ) მეთოდსაც. განვიხილოთ, როგორ წარმოგვიდგენენ კონტენტ-ანალიზს სხვადასხვა საბჭოთა ავტორები:

1. გ. ანდრეევა — მეთოდის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მკვლევარმა შეძლოს კომუნიკაციის პროცესში გადაცემული ტექსტის გააზრება. მაგრამ დოკუმენტების ტრადიციული გააზრებისას არსებული სუბიექტური მომენტების გამოსარიცხად აქ გამოიყენება განსაკუთრებული ტექნიკური ხერხები.

მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ დოკუმენტების ტექსტში გამოყოფილ იქნეს რაღაც საკვანძო ცნებები (ან სხვა აზრობრივი ერთეულები). გაძოთვლილ იქნეს ამ ერთეულთა ხმარების სიხშირე, ტექსტის სხვადასხვა ელემენტის თანაფარდობა ერთმანეთთან და აგრეთვე ინფორმაციის საერთო მოცულობასთან.

შესაძლებელია კონტენტ-ანალიზის ორგვარი გამოყენება. ერთ შემთხვევაში იგი გაგებულა როგორც ინფორმაციის შინაარსის ანალიზი, რომელიც მკს-ის გარდა სხვა არავითარ დოკუმენტებზე არ ვრცელდება. ასეთია, მაგალითად, გაზეთის შინაარსის რაოდენობრივი აღწერის ხერხი, რომელიც მოიცავს გარკვეული თემების პროპორციის განსაზღვრას, მასალათა გეოგრაფიის ასახვას, სხვადასხვა პირთა (პოლიტიკური მოღვაწეების, მეცნიერების, შრომის, ხელოვნების წარმომადგენლების) მოხსენიების სიხშირის განსაზღვრას, მკითხველთა მიერ რაღაც მასალების დადებითად ან უარყოფითად შეფასების ზომის დადგენას და ა. შ. ასე გაგებული კონტენტ-ანალიზით ადვილად შეიძლება გაზეთის ერთი ნომრის, ან გარკვეული პერიოდის ნომერთა კომპლექსის გაანალიზება, თუ მოვახდენთ მასალათა კლასიფიცირებას თემების (პოლიტიკა, ეკონომიკა, ხელოვნება), ან ფორმის (მოწინავე, ნარკვევი), ან ავტორის ტიპის (ცნობილი ჟურნალისტი, სპეციალური კორესპონდენტი და ა. შ.) მიხედვით.

მეორე შემთხვევაში კონტენტ-ანალიზი გამოიყენება სხვა ტიპის დოკუმენტების ან მასობრივი კომუნიკაციის ინფორმაციის შინაარსის მიმართაც, მაგრამ სხვა მასშტაბებით. იგულისხმება, ვთქვათ, ერთი სტატიის უფრო დაწვრილებით განხილვა, მასში ცალკეული ტერმინების ხმარების სიხშირის ან მსჯელობის ელემენტის თვალსაზრისით. კონტენტ-ანალიზის ამ ასპექტს ზოგჯერ ლინგვოსოციოლოგიურსაც უწოდებენ.

ორივე შემთხვევაში კონტენტ-ანალიზი გულისხმობს ტექსტში აზრობრივი ერთეულების გამოყოფას და სტატისტიკურ დამუშავებას, ანუ ტექსტში მათ იმ აზრის გამოხატვის ხარისხის, აზრის რაღაც გარკვეულ მხარეზე აქცენტის ხარისხის დადგენას. ამგვარად, ხორციელდება დოკუმენტების აზრობრივი შინაარსის გადაყვანა ციფრობრივ გამოსახულებებში, თუმცა ლინგვოსოციოლოგიური ანალიზის დროს ეს გადაყვანა ხორციელდება უფრო პატარა ერთეულების გამოყოფით.

კონტენტ-ანალიზის ტექნიკა მოიცავს შემდეგ მომენტებს:

ა) ანალიზის ერთეულების გამოყოფა — ანალიზის ერთეული აუცილებლად უნდა იყოს აზრობრივი. არაა აუცილებელი, რომ ის რეალიზებული იყოს ერთ სიტყვაში (ტერმინში). ეს ერთეული შეიძლება გამოჩნდეს სიტყვათმომდევრობაში, გარკვეულ მსჯელობაში, შეიძლება აშკარად არც კი ჩანდეს და დამალული იყოს ტექსტის რაღაც ნაწილში. რა კონკრეტული ენობრივი ფორმის ქვეშაც არ უნდა იყოს დამალული ანალიზის ერთეული, ანალიზისათვის არსებითია მისი მოქმედება.

აზრობრივ ერთეულად შეიძლება მივიღოთ რაიმე ობიექტი, ან ობიექტის რაიმე მახასიათებლები, თვისებები, რომლის შესახებაც არის გამონათქვამი ტექსტში.

ბ) ინდიკატორების დაძებნა ტექსტში — ერთი და იგივე აზრობრივი ერთეული სხვადასხვა სიტყვიერ ფორმებში შეიძლება იყოს გამოხატული. საჭიროა ტექსტში აზრობრივი ერთეულის გამოხატვის ყველა შესაძლო ფორმის დაძებნა. ტექსტში აუცილებლად აღმოჩნდება აზრობრივი ერთეულების ნიშნები, ანუ ინდიკატორები, რომლებიც შეიძლება იყოს მრავალფეროვანი: გარკვეული ტერმინები, საკუთარი სახელები, გეოგრაფიული ადგილების ან ისტორიული მოვლენების დასახელებები და სხვ.

გ) სტატისტიკური დამუშავება — გარკვეული ცნებების გამოყენების სიხშირის დათვლა (გამოყოფილი ინდიკატორების აღრიცხვის გათვალისწინებით), ან ინდიკატორთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის პროპორციის დადგენა [22, გვ. 80—91].

2. ვ. იაღოვი — კონტენტ-ანალიზი არის მასიური ტექსტობრივი (ან ფირზე ჩაწერილი) ინფორმაციის გადაყვანა რაოდენობრივ მაჩვენებლებში. კონტენტ-ანალიზის ძირითადი პროცედურები დაკავშირებულია თვისებრივი ინფორმაციის თვის ენაზე გადაყვანასთან. ამ მიზნით გამოყოფენ ორი ტიპის ერთეულებს: აზრობრივს, ანუ თვისებრივს, და რაოდენობრივს.

კონტენტ-ანალიზის ძირითად აზრობრივ ერთეულს წარმოადგენს სოციალური იდეა, გარკვეული სოციალურად მნიშვნელოვანი თემა. ის შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა სიმბოლოთი და კონკრეტული სიტუაციის მიხედვით მიიღოს ტექსტში სხვადასხვაგვარი ემპირიული ინდიკატორი.

თვლის ერთეულები შეიძლება ემთხვეოდეს და შეიძლება არც ემთხვეოდეს ანალიზის ერთეულებს. პირველ შემთხვევაში ხდება გამოყოფილი აზრობ-

რივი ერთეულის ხმარების სიხშირის განსაზღვრა სხვა კატეგორიებთან მიმართებით (მაგალითად, სიხშირე რაიმე იდეის „მხარდასაქცერად“ და მის „საწინააღმდეგოდ“). მეორე შემთხვევაში თვლის ერთეულად არჩევენ აზრობრივი ერთეულებით შევსებული ტექსტების ფიზიკურ განფენილობას ან ფართობს: სტრუქტურების, აბზაცების, კვადრატული მილიმეტრების, ნიშნების, სვეტების რიცხვს — ნაბეჭდ ტექსტში, ტრანსლაციის ხანგრძლივობას რადიოსა და ტელევიზიაში, ფირის მეტრავს მაგნიტოფონის ჩანაწერებში.

კონტენტ-ანალიზი შეიძლება იყოს ძალზე მრავალმხრივი, ამასთანავე ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ანალიზის რამდენიმე ერთეული და თვლის რამდენიმე ერთეული.

ამ მეთოდის გამოყენებით შეიძლება მასობრივი ინტერვიუების მონაცემების, ანკეტების ღია კითხვებზე პასუხების ანუ ნებისმიერი ერთგვაროვანი ტექსტების გაანალიზება [3, გვ. 125—134].

3. მ. ლაურისტინი — კონტენტ-ანალიზის თავისებურება (და ძირითადი სიმძნელები მის გამოყენებაში) გამომდინარეობს მისი უშუალო ობიექტის, ტექსტის თავისებურებებიდან, რომელიც ერთდროულად არის როგორც სოციალური, ასევე ლინგვისტური ფენომენი. სოციალური ფაქტები, რომელთა დასადგენადაც გამოიყენება კონტენტ-ანალიზი, გაშუალებულია ლინგვისტური ფაქტებით, ენობრივი გამოხატულებებით. კონტენტ-ანალიზის ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის საჭიროა ურთიერთკავშირის დასადგენი წესების ფიქსირება ორ პარალელურ კლასიფიკატორულ რიგს შორის: ერთ, არა-ტექსტობრივი სოციალური რეალობის მოვლენების ამსახველ რიგსა და მეორე, ცალკეული აზრობრივი ერთეულების შესაბამისი ტექსტის ლინგვისტური ფორმების რიგს შორის.

ამ ამოცანის გადაწყვეტა ყოველი კონკრეტული გამოკვლევისათვის განსაზღვრავს ანალიზის კატეგორიების სისტემას, ანალიზის ერთეულს, თვლის ერთეულს, ანუ ტექსტობრივი და არატექსტობრივი მოვლენების ურთიერთკავშირის რაოდენობრივ ზომას (ხსენების სიხშირე, სტრუქტურების რიცხვი და ა. შ.), კონტექსტობრივ ერთეულს, რომელიც მიუთითებს ტექსტის დაყოფის ხასიათზე, ანუ ტექსტის იმ ნაწილზე, რომლის საზღვრებშიც უნდა დაიძებნოს ანალიზის ერთეულის არსებობა ან არარსებობა (წინადადება, აბზაცი, სტატიი და ა. შ.), და კოდირების ინსტრუქციას, რომელიც მოიცავს ტექსტში ანალიზის ერთეულების პოვნის, ანალიზის კატეგორიებთან მათი მიკუთვნების და ციფრობრივი კოდით ამ მიკუთვნების ფიქსირების წესებს.

კონტენტ-ანალიზისთვის აუცილებელია კვლევის პროგრამის შედგენა (ანალიზის მიზნის და თეორიული კონტექსტის განსაზღვრა, ანალიზისა და თვლის ერთეულების შერჩევა), კოდირების ინსტრუქციის მომზადება, კოდირება (კატეგორიების შესაბამისი ანალიზის ერთეულის არსებობის დადგენა ტექსტის ყოველ კონტექსტობრივ ერთეულში) კოდირების შედეგების სტატისტიკური დამუშავება, ინტერპრეტაცია [23, გვ. 112—114].

მოყვანილი განხილვებიდან ჩანს, რომ ანალიზის თეორიული საკითხების ნაწილად ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. საბჭოთა სოციოლოგები კვლავ მუშაობენ განზომილების ერთეულის, ანალიზის კატეგორიების სისტემის, კონტექსტობრივი ერთეულის, კოდირების ინსტრუქციის და სხვა კარდინალური საკითხების გადასაწყვეტად [24, 25, 26].

კონტენტ-ანალიზის მონაცემები შეიძლება დაერთოს სხვადასხვა სოციალუ-

რი ჯგუფის წარმომადგენელთა მიერ გარკვეული ინფორმაციული ტექსტების აღქმის მონაცემებს და განსაზღვრულ იქნეს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის მიერ მეს-ით გადაცემული მასალების აღქმის ხარისხი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნიკატორსა და რეციპიენტს შეუძლიათ სრულიად განსხვავებული აზრი ჩადონ ერთსა და იმავე ცნებაში. ტექსტი, რომელიც კომუნიკატორის თვალსაზრისით სრულიად ნათელია, შეიძლება სრულიად უაზრო იყოს აუდიტორიის თვალთახედვით.

სწორედ ეს პრობლემა იქნა განხილული მოსკოვის კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევების ინსტიტუტის პროექტში „საზოგადოებრივი აზრი“. ამ გამოკვლევაში შესწავლილ იქნა მეს-ის მასალები და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების დოკუმენტები და სხვა სოციოლოგიურ მეთოდებთან ერთად გამოყენებული იყო კონტენტ-ანალიზიც [27,28].

იმ ობიექტური მონაცემების გარდა, რომლის მიღებაც შეუძლია აუდიტორიას გაზეთის, რადიოს და ტელევიზიის მასალებიდან, შესწავლილ იქნა აგრეთვე ინფორმაციის მიმართ აუდიტორიის ტიპოლოგიზაციისა და აუდიტორიისათვის გათვალისწინებული ტექსტობრივი მასალების ტიპოლოგიზაციის საფუძვლები.

მეს-ის ფუნქციონირების ეფექტურობის შესასწავლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინფორმირებას და ინფორმირებულობას; როგორც ამ პროცესის დადებითი შედეგის შესწავლას.

ინფორმირების პროცესი, ანუ ცნობილი ელემენტების (ნიშნების, სიმბოლოების) გავრთიანებას ახალ კომბინატორულ რიგებში (სხვა სიტყვებით, ცნობილის უცნობად გადაქცევას), ახლავს ინფორმაციის მიღების პროცესი, ენობრივი ფორმების რეალურ და წარმოსახვით ობიექტებთან შესაბამისობაში მოყვანა (სხვა სიტყვებით, უცნობის ცნობილად გადაქცევა). თუ ეს ორი პროცესი თანხედება დროში, გვექნება „ინფორმირებულობის ეფექტი“. სხვა შემთხვევაში გვექნება ტექსტის „სხვადასხვა წაკითხვა“, ანუ საინფორმაციო ტექსტობრივი მასალების არაადეკვატური ინტერპრეტაცია [29, გვ. 130].

აღამიანთა მიმართება ტექსტების სახით მოცემული ინფორმაციის მიმართ სხვადასხვაგვარია. ინფორმაციის მიღებასა და გაგებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ ის, თუ რომელი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელია რეციპიენტი, არამედ მისი „შემეცნების ტიპიც“. გამოკვლევის ხელმძღვანელის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორ ბ. გრუშინის მიერ წამოყენებულ იქნა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ რეციპიენტთა „შემეცნების ტიპი“ შეიძლება გახდეს არანაკლებ მნიშვნელოვანი საფუძველი აუდიტორიის ტიპოლოგიზაციისათვის; ამასთანავე, ამ ნიშნით გამოყოფილი ჯგუფების ზღვრები ხშირად არც დაემთხვევა ტრადიციულად გამოყოფილ სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების ზღვრებს.

„შემეცნების ტიპის“ განსასაზღვრავად კი ყველაზე არსებითია ფაქტორი, რომელსაც ინფორმაციის მიმღების „ენობრივ ცნობიერებას“ უწოდებენ. ყველა აღამიანს აქვს „ენობრივი ცნობიერება“, ანუ ცნობიერების დონე, რომელზეც ზატები, წარმოდგენები, აზრობრივი სტრუქტურები ლებულობს ენობრივ გაფორმებას. ტექსტის აღქმისას მნიშვნელობა აქვს აღამიანის „ენობრივი ცნობიერების“ ორგანიზაციის ტიპს, ანუ იმას, თუ რამდენადაა ის მომზადებული ენობრივი შეტყობინების ადეკვატური აღქმისა და ინტერპრეტაციისათვის.

„ენობრივი ცნობიერება“ შეიძლება აღიწეროს რეციპიენტის თეზაურუსით და წარმოადგენს ფილტრს, რომელშიც გადის მთელი მისაღები ენობრივი

ინფორმაცია. რეციპიენტი „საკუთარ ენაში“ ატარებს ტექსტების შინაარსს და ცვლის მას.

თეზაურუსი ფორმირდება ინდივიდის კომუნიკაციური გარემოთი. მასში არის რაღაც ამ ენაზე ყველა მოლაპარაკისათვის საერთო (ენობრივი ელემენტების გარკვეული სიმრავლე და ენობრივი გამონათქვამების კონსტრუირების ნორმები) და რაღაც უფრო დიფერენცირებული (ენობრივი ქვესისტემები, ანუ, როგორც კიდე უწოდებენ, „ფუნქციური ენები“: მეცნიერების ენა, ხელოვნების ენა, იდეოლოგიის ენა და ა. შ.).

ენობრივი დიფერენციაციის პროცესი სოციალური დიფერენციაციის პროცესის ახალგაივსება, მაგრამ არ ემთხვევა მას. ეს იმას ნიშნავს, რომ გარკვეული პროფესიის ან სპეციალობის ადამიანის თეზაურუსი გაცილებით ფართოა, ვიდრე ამ პროფესიის ან სპეციალობის აუცილებლობა ითხოვს. ადამიანთა საზოგადოებაში ურთიერთობებისათვის აუცილებელია, მაგრამ არაა საკმარისი მხოლოდ ამ პროფესიონალურ-სპეციალური თეზაურუსით ოპერირება. გამოდის, რომ ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკენი შეიძლება დაიყოს არა მარტო სოციალურ-პროფესიონალურ, განათლების და სხვა ჯგუფებად, არამედ ენობრივ, ანუ სემიოტურ, ჯგუფებად, რომელთა გამოყოფის საფუძველს მათი თეზაურუსი და ამ თეზაურუსით ოპერირების უნარი წარმოადგენს.

ასე რომ, სემიოტური ჯგუფები უწოდეს ადამიანთა ჯგუფებს, რომელთაც აქვთ შედარებით საერთო თეზაურუსი და სამეტყველო შესაძლებლობების გარკვეული კომპლექსი (ანუ ასე თუ ისე ოპერირების უნარი).

რეციპიენტის სემიოტური დონე მით უფრო მაღალია, რაც ნაკლებია სხვაობა აზრობრივი და ენობრივი კატეგორიებით მის ოპერირების უნარში. რაც მაღალია სემიოტური დონე, მით მეტი სამეტყველო შესაძლებლობები აქვს რეციპიენტს და, შესაბამისად, უფრო მეტი საშუალება აქვს ტექსტის აღქვას და აღსაქმელად. (სამეტყველო შესაძლებლობების ესა თუ ის დონე არსებითად აზრობრივი და ენობრივი კატეგორიებით ოპერირების უნარში სხვაობის მაჩვენებელია).

გამოდის, რომ აღქმის პროცესი გაშუალებულია რეციპიენტის სემიოტური მომზადების დონით, ანუ სემიოტური დონით, რაც აუდიტორიის ტიპოლოგიზაციის საფუძველად შეიძლება იქნეს მიღებული, ე. ი. კონკრეტული საკომუნიკაციო ტექსტის აღქმისას უნდა მოხდეს რეციპიენტთა დიფერენციაცია სემიოტურ ჯგუფებად.

რეციპიენტების მიკუთვნება სხვადასხვა სემიოტური ჯგუფისადმი ნიშნავს, რომ ისინი ნებისმიერ საკომუნიკაციო მასალას კითხულობენ სხვადასხვანაირად. სემიოტური ჯგუფების გამოყოფით, ერთი მხრივ, ფიქსირდება ერთი ენის ფარგლებში ენობრივი მასალის სხვადასხვა წაკითხვა, როგორც ნორმალური მოვლენა, და, მეორე მხრივ, ვლინდება ამ ფაქტის არსებობის ერთ-ერთი მიზეზი.

სემიოტური ჯგუფები შეიძლება განხილულ იქნეს როგორც აბსოლუტურები მხოლოდ ანალიზისათვის აღებული მასობრივი კომუნიკაციის საშუალების ენის (ექსპერიმენტის შემთხვევაში გაზეთის ენის) მიმართ.

საინფორმაციო ტექსტების ტიპოლოგიზაციის საფუძველს კი ტექსტის ინფორმაციულობა წარმოადგენს. ეს უკანასკნელი არ განისაზღვრება ტექსტის სიგრძით და ლექსიკური მრავალფეროვნებით. ის იზომება არა იმ ინფორმაციის საერთო რაოდენობით, რომელსაც შეიცავს ტექსტი, არამედ მისი იმ რაოდენობით, რომელიც რეციპიენტის კუთვნილება გახდა (ანუ გარდაიქმნა თვისებად).

ე. ი. შეტყობინების ტექსტი იმდენადაა ინფორმატული, რამდენადაცაა მიღწეული მკითხველის მიერ ტექსტის აზრის ადეკვატური ვაგება.

ექსპერიმენტში ტექსტის ინფორმატულობა ფასდებოდა როგორც აბსოლუტური, ასევე ფარდობითი მაჩვენებლებითაც. აბსოლუტურ მაჩვენებლად მიღებული იყო ტექსტის „ინფორმატულობის კოეფიციენტი“, რომელიც გამოითვლება სპეციალური მეთოდით [30, გვ. 116—122]. ფარდობით მაჩვენებლად კი — რეციპიენთა მიერ ტექსტის მიზნის, ავტორის ძირითადი კომუნიკაციური განზრახვის ადეკვატური ინტერპრეტაციის ზომა. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია როგორც ტექსტის ინტერპრეტატორის სემიოტურ დონეზე, ასევე თვით ტექსტის პრაგმატულად რელევანტური პარამეტრების რიგზე, რომელიც ექსპერიმენტით შეიძლება იქნეს გამოვლენილი.

გამოკვლევის ფარგლებში ასეთ პარამეტრებად გამოყოფილ იქნა ენობრივი შტამპებისა და კლიშეების საკითხი [31, გვ. 171—172].

ენაში არსებობს ისეთი სიტყვათმომდევრობები, რომლებიც ხმარების სიხშირის გამო იფრთხილება, ცვდება, ფუძე ბგეობად იქცევა და ნულოვანი ინფორმაციის მატარებელი ხდება. ასეთი გამონათქვამები აღარ იწვევს საჭირო ასოციაციებს. ასეთ ფორმებს ენაში კლიშეებს და შტამპებს უწოდებენ. გამოკვლევისათვის ეს ორი ტერმინი ასე გამოიყენეს:

კლიშე უწოდეს ნებისმიერ შუა ენობრივ ფორმულას, რომელიც რეგულარულად ჩანს განმეორებად სამეტყველო სიტუაციებში. კლიშეს არსებობა ენაში სრულიად ნორმალურია, აუცილებელია და აქვს ინფორმაციული დატვირთვა.

შტამპი უწოდეს კლიშეს, რომელმაც ამა თუ იმ მიზეზით ინტერპრეტატორისთვის დაკარგა პირვანდელი ანუ ტექსტობრივი დატვირთვა, გახდა უფუნქციო, უაზრო, ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით დისფუნქციური. ასეთ კლიშეებს „შემეცნების შტამპსაც“ უწოდებენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტექსტის აღქმა გაშუალებულია ტექსტის ინტერპრეტატორის „ენობრივი შემეცნებით“, უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ რაღაც ენობრივი სიტყვათმომდევრობა კლიშე აღმოჩნდება ერთი ტიპის რეციპიენტებისთვის და შტამპი მეორეთათვის.

ამ საკითხებთან დაკავშირებული ჰიპოთეზა ვარაუდობდა, რომ კლიშეებიანი ენობრივი ინფორმაცია გაშუალებულია არა მარტო რეციპიენთა სემიოტური ჩგუფით, არამედ შტამპების შემეცნების იმ ჩგუფითაც, რომელსაც რეციპიენტი ეკუთვნის და, გარდა ამისა, საკომუნიკაციო მასალებში კლიშეთა სიმრავლე ტექსტის ინფორმატულობას არ ამცირებს. ეს უკანასკნელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა კლიშეები „დაშტამპულია“ რეციპიენტის შემეცნებაში. შესაბამისად, შტამპის გამოყოფის კრიტერიუმში არის არა ტექსტში მისი გამოჩენის სიხშირე, არამედ მისი „დაშტამპულობა“, ნულოვანი მნიშვნელობა რეციპიენტის ენობრივ ცნობიერებაში.

გამოკვლევისათვის შემოისაზღვრენ „პრესა-მკითხველი“ მიმართების ჩარჩოებით და ამდენად, მთელი კვლევა ჩატარდა გაზეთის ენის მასალებზე.

ექსპერიმენტისთვის შეირჩა და გამოკითხულ იქნა 300 ადამიანი. სულ შერჩევაში წარმოდგენილი იყო ხუთი სოციალურ-პროფესიონალური ჩგუფი (მუშეუბი, საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი, ინტელიგენცია, რომელიც არაა დაკავებული წარმოებაში, დაწესებულებებისა და საწარმოების თანამშრომლები, მომსახურების სფეროს თანამშრომლები), ჩგუფები სქესის, ასაკისა (სამი ჩგუფი) და განათლების (ოთხი ჩგუფი) მიხედვით.

მთელი პროცედურები დაიყო სამ კომპლექსად: 1. რეციპიენტთა სემიოტური დონის დასადგენი ტესტები; 2. ტექსტობრივი მასალის ინფორმატულობის გამოსავლენი ტესტები; 3. რეციპიენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების, მათი ინტერესების და სხვ. შესახებ მონაცემების მისაღები პროცედურები.

სემიოტური დონის დასადგენ ტესტებში გამოყენებული იყო: ა) სიხშირის პრინციპით შერჩეული გაზეთის საერთო ლექსიკონი; ბ) ტექსტი-ეტალონი და ძისი ლექსიკონი; გ) სემანტიკური დიფერენციალის მეთოდი.

სიხშირის პრინციპით შერჩეულ გაზეთის საერთო ლექსიკონთან დაკავშირებული პროცედურების მიზანი იყო: იმის შეფასება, თუ როგორ იცნობენ ცდისპირები გაზეთის საერთო ლექსიკონს, შესაბამისად, რამდენად ადეკვატურად ხდება მათ მიერ ლექსიკონის ინტერპრეტაცია, რეციპიენტთა მიერ ერთი და იმავე სიტყვით ოპერირების შესაძლებლობებზე დაკვირვება და მათი სამეტყველო შესაძლებლობების შეფასება, გამოკითხულთა განაწილება პირველად (წინასწარ) ჯგუფებში.

ლექსიკონისათვის ლექსიკა შეირჩა ი. ყუკოვის და ვ. მაყეისკის 50 საერთაშორისო მიმოხილვიდან, რომლებიც გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“ 1965—1967 წწ. ამ ენის იმიტომ მიმართეს, რომ პრესისთვის ძალიან დამახასიათებელია და ამასთანავე სინკრეტულია (ბევრი ფენა), მოიცავს მრავალფეროვან საერთაოლიტერატურულ ლექსიკას, აგრეთვე მთელ რიგ სპეციფიკურ ფუქციურ ქვესისტემებს (პოლიტიკურს, იდეოლოგიურს, სამეცნიეროს, საწარმოო-ტექნიკურს და სხვ.).

ლექსიკის შესარჩევად გამოყენებულ იქნა სიტყვათა ხმარების სიხშირის გამოსათვლელი სტატისტიკური მეთოდი შემდეგი შეზღუდვით: გათვალისწინებული იყო არა ტექსტის ყველა სიტყვა, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც ყველაზე რთული ჩანდა. ასეთებად პირველ რიგში აიღეს აბსტრაქტული ცნებების გამომხატველი სიტყვები.

50 სტატის ბაზაზე შედგა 130 სიტყვის სია, რომელთაგან თითოეულის სიხშირე იყო არანაკლებ ათისა. შემდეგ 30-კაციანმა ექსპერტთა ჯგუფმა, ლინგვისტების, ჟურნალისტებისა და სოციოლოგების შემადგენლობით, ეს სია დაიყვანა 50 საექსპერიმენტო სიტყვაზე.

მთელი ეს ლექსიკა 5 ბარათზე განლაგეს სირთულის მზარდი ხარისხის მიხედვით. პირველსა და მეორეზე — ყველაზე ხშირად ხმარებული პოლიტიკური ტერმინები, მესამეზე, მეოთხესა და მეხუთეზე — საერთაოლიტერატურული, სამეცნიერო, ტექნიკური და სხვ. ლექსიკა.

ლექსიკონში გამოიყო სამეტყველო შესაძლებლობების სამი დონე: სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა, მისი სინონიმის მოძებნა და სიტყვათმომდევრობაში მისი გამოყენება.

ექსპერიმენტის დროს ლექსიკონს მაქსიმალური სიზუსტით ავსებდა ექსპერიმენტატორი, ცდისპირი კი ზეპირად იძლეოდა პასუხებს. თუ ცდისპირს უჭირდა სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა, მაშინ ამ სიტყვას აძლევენ კონტექსტში. თუ ასეთ შემთხვევაშიც ვერ იძლეოდა ცდისპირი პასუხს, მაშინ ექსპერიმენტატორი ეკითხებოდა მას — კარგია თუ ცუდი, რასაც ეს სიტყვა ნიშნავს — და მიღებულ პასუხს წერდა განსაზღვრების ადგილას.

ცდისპირის მიკუთვნება ამა თუ იმ სემიოტური ჯგუფისადმი განპირობებულია არა მარტო რაიმე ენობრივი სისტემის ელემენტების ცოდნით, არამედ

ამ ელემენტებით ოპერირების უნარიითაც. ექსპერიმენტში ამ უნარის დამადასტურებლად ითვლებოდა ცდისპირის მიერ ტექსტის ადეკვატური ინტერპრეტაცია.

საკირო იყო საკმაოდ რთული საეტალონო ტექსტის შერჩევა (რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლებოდა დაშვება, რომ მკითხველი დაძლევდა ყველა სხვა ტექსტს ამავე ენობრივ სისტემაში). ერთ-ერთი გაზეთიდან ამოღებულ იქნა სტატია და ავტორისა და მკვლევართა ერთობლივი ძალებით დაყვანილ იქნა სასურველ ნორმაზე (32, გვ. 50—53).

ნებისმიერ ტექსტში არის რაღაც მთავარი, მეორეხარისხოვანი, მესამეხარისხოვანი და ა. შ. აზრები. „მთავარი აზრი“ შეიძლება უშუალოდ სიტყვებით არც იყოს ფორმულირებული ტექსტში, მაგრამ ის ყოველთვის მაინც არსებობს რაღაც მოტივაციის სახით და, ბუნებრივია, ნებისმიერ პირობებში შესაძლებელია მისი სიტყვიერი ფორმულირება. ტექსტის აზრის ვაგების განმსაზღვრელი ტესტებიდან ექსპერიმენტში გამოყენებულ იქნა შინაარსის წერილობით გადმოცემის მეთოდი და, შედეგების მეტი დამარწმუნებლობისათვის, დამატებითი ზეპირი კონტროლიც.

აძლევენ რა ცდისპირს ტექსტ-ეტალონს, სთხოვდნენ ბოლომდე წაეკითხა და გაეგო, რისი თქმა სურდა ავტორს პირველ რიგში, რაში მდგომარეობდა ტექსტის ძირითადი აზრი. ტექსტის წაკითხვის შემდეგ ცდისპირს აძლევენ სუფთა ფურცელს და სთხოვდნენ დაეწერა ტექსტის ძირითადი აზრი, იდეა და ყველაფერი ისიც, რაც გაიგო შინაარსიდან. ნაწერი მიჰქონდა ექსპერიმენტატორს. შემდეგ ცდისპირს სთხოვდნენ ტექსტ-ეტალონში ხაზი გაესვა უცნობი ან ნაკლებად გასაგები სიტყვებისათვის. შემდეგ ექსპერიმენტატორი აკონტროლებდა ცდისპირის მიერ ტექსტის ლექსიკონის ცოდნას და ისევ ეკითხებოდა მას, თუ რა იყო ტექსტის ძირითადი იდეა, რისი თქმა სურდა ავტორს. ცდისპირი ზეპირად იძლეოდა პასუხებს, ექსპერიმენტატორი კი იწერდა დღიურის სპეციალურ სექტში.

საბოლოოდ მიღებულ იქნა ერთისა და იმავე ტექსტის 300 წერილობითი შინაარსი და ამდენივე ზეპირი გამონათქვამი ტექსტის ძირითადი იდეის შესახებ.

სემანტიკური დიფერენციალის მეთოდი არის ანტონიმური ზედსართავების წყვილებით შექმნილი ორპოლუსიანი და შეიღდანაყოფიანი სკალებით მნიშვნელობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდექსირების მეთოდი [33, 34]. ამ მეთოდით ტესტირება გამოყენებულ იქნა რეციპიენტთა მიერ სიტყვის მნიშვნელობის შეფასებაში „ერთსულოვნების“ შესამოწმებლად. სავარაუდოდ იყო, რომ ერთ სემიოტურ ჯგუფში გაერთიანებული რეციპიენტები სენანტიკური დიფერენციალის სკალაზეც რაღაც ერთსულოვნებას გამოავლენდნენ.

ამ ტესტისთვის შეირჩა 16 სიტყვა. თითოეული სიტყვისათვის გამოიყო ოთხო ბარათი. (ყოველი სიტყვისათვის გამოყოფილი იყო 12 სკალაანი სისტემა). ექსპერიმენტატორი ჯერ არკვევდა, რომელი სიტყვები იყო უცნობი ცდისპირისთვის, ასეთ სიტყვებზე ექსპერიმენტი არ ტარდებოდა. ამის შემდეგ იგი უხსნიდა ცდისპირს, რომ მისი შეგარძნებების მიხედვით, ანუ იმის მიხედვით, თუ როგორ „ელფერს იღებს“ მის ცნობიერებაში ესა თუ ის სიტყვა, მოეთავსებინა ის შეთავაზებული სკალების ამა თუ იმ წერტილზე. ცდისპირი ჯერ აესვებდა სპონტორლო („სასწავლო“) ბარათს სიტყვისათვის „დამიანი“. ამ ბარათის შევსე-

ბისას ექსპერიმენტატორი კიდევ ერთხელ უხსნიდა ცდისპირს ბარათის შექმნის წესებს. როცა ექსპერიმენტატორი რწმუნდებოდა, რომ ცდისპირმა გაიგო ანოცნა, აძლევდა უფლებას, შეეცხო დანარჩენი ბარათები. თუ ექსპერიმენტატორი შენიშნავდა, რომ რაიმე სიტყვისთვის რომელიმე სკალაზე ცდისპირს უპირდა აღგლის მოძებნა, უფლებას აძლევდა, ეს სკალა გამოეტოვებინა.

ტექსტობრივი მასალის ინფორმაციულობის გამოსავლენ ტესტებში გამოყენებული იყო: ა) გაზეთის მასალის სათაურები, ბ) მეორე ტექსტი.

რადგან მკითხველთა ძირითადი მასა გაზეთის შინაარსს პირველად მასალათა სათაურებით ეცნობა და ხშირად მხოლოდ სათაურების მიხედვით მსჯელობს მასალების „საინტერესოებასა“ და „არასაინტერესოებაზე“, გამოკვლევის ავტორებმა გადაწყვიტეს იმ გაზეთის მასალათა სათაურების შემოწმება ინფორმაციულობის თვალსაზრისით, საიდანაც იყო ამოღებული მეორე ექსპერიმენტო ტექსტი.

ტექსტ-ეტალონთან შესადარებლად არჩეულ იქნა მეორე ტექსტი, ძნარით, თემით, ძირითადი იდეით და სიდიდით (უფრო სწორად, სიგრძით, რომელსაც მასში შემავალი სიტყვების რაოდენობით ითვლიდნენ) პირველი ტექსტის (ეტალონის) ანალოგიური, მაგრამ ნაკლებად რთული და ფორმით უფრო სტანდარტული. ეს ტექსტი გაზეთიდან უცვლელად იყო ამოღებული. შედეგების შესადარებლად მეორე ტექსტი განსხვავებული უნდა ყოფილიყო ტექსტ-ეტალონისაგან ყველა იმ პარამეტრით, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ამ ტექსტების ერთმანეთთან შედარება. ასეთი შედარების მიზანი იყო ინფორმაციულობისათვის არსებითი ნიშნების გამოვლენა, რომლებიც როგორც ტექსტის შინაარსობრივ-აზრობრივი სტრუქტურისთვის, ასევე ენობრივი თავისებურებებისათვის შეიძლება ყოფილიყო დამახასიათებელი.

რეციპიენტთა სემიოტური ჯგუფების გამოსაყოფ და ტექსტობრივი მასალის ინფორმაციულობის გამოსავლენ ტესტებს შორის შუალედური მდგომარეობა ეკავა მიმართული ასოციაციების მეთოდს. იგი განსაზღვრული იყო, ერთი მხრივ, კლიშეების გაცნობიერების ხარისხის მიხედვით შექმნილი ჯგუფების გამოსავლენად, რათა ამ ნიშნით გამოყოფილი ჯგუფების შემადგენლობა შეედარებინათ სემიოტური ჯგუფების შემადგენლობასთან, და, მეორე მხრივ, ძალზე ხშირად ხმარებული სიტყვათმომდევრობების ინფორმაციულობის შესაფასებლად, ანუ საგაზეთო კლიშეებიდან უფუნქციოების, ანუ შტამების, ამოსარჩევად.

კვლევის ერთ-ერთი პიპოთეზა ვარაუდობდა, რომ კლიშირებული სიტყვათმომდევრობების მიმართ რეციპიენტები დაიყოფოდნენ სულ ცოტა სამ ჯგუფად: 1. რეციპიენტები, რომელთათვისაც შეთავაზებული კლიშეების უმრავლესობა არაა შტამი; 2. რეციპიენტები, რომელთათვისაც შეთავაზებული კლიშეები გაცნობიერებულია, ე. ი. დაძლეული შტამებია; 3. რეციპიენტები, რომელთათვისაც შეთავაზებული კლიშეების უმრავლესობა შტამებია;

ექსპერიმენტისთვის შერჩეულ იქნა 50 ძალზე შაბლონური სიტყვათმომდევრობა, როგორებიცაა: трудовая вахта, вносить вклад, путевка в жизнь, бурные аплодисменты, волна протеста და ა. შ.

ცდისპირებს ეძლეოდათ ყველა შერჩეული სიტყვათმომდევრობის ბასისური სიტყვა ისე დასმული კითხვით, რომ სიტყვა-ასოციაციად მოეცათ ყველა განსაზღვრება ან დამატება, რაც კი მოაგონდებოდათ. მაგალითად: вахта (какая?), вносить (что?) путевка (куда?) аплодисменты (какие?).

თუ ცდისპირი პასუხად იძლეოდა მხოლოდ შაბლონში მოცემულ ეტალონს, მაშინ მისთვის სიტყვათმომდევრობა შტამში იყო.

თუ ცდისპირი პასუხად შაბლონში მოცემული ეტალონის გარდა იძლეოდა სხვა სიტყვათმომდევრობებსაც, მაშინ სიტყვათმომდევრობა ცდისპირისათვის დაძლეული შტამში იყო.

თუ ცდისპირი პასუხად არ იძლეოდა შაბლონში მოცემულ ვარიანტს, მაშინ სიტყვათმომდევრობა არ იყო მისთვის შტამში.

ნათელია, რომ კლიშე რომელიც შტამად იქცა რეციპიენტთა ერთი ჯგუფისათვის, შეიძლება კლიშედ დარჩეს რეციპიენტთა მეორე ჯგუფისათვის. ე. ი. კონკრეტულ სიტყვათმომდევრობაზე დასკვნა, რომ ის კლიშეა ან შტამში, შეუძლებელია. ზოგმა რეციპიენტმა ის შეიძლება აღიქვას როგორც კლიშე, ზოგმა როგორც შტამში.

ნავარაუდევია იყო, რომ სიტყვათმომდევრობების კლიშეებად თუ შტამებად აღქმის მიხედვით გამოყოფილი ჯგუფები, როგორც წესი, არ დაემთხვეოდა ტრადიციულ სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებს.

რეციპიენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების, მათი ინტერესების და სხვ. შესახებ მონაცემების მისაღები პროცედურები იყო: ა) ანკეტური გამოკითხვა; ბ) ტესტი „ნომინალიები“.

ანკეტა შედგებოდა ორი ნაწილისაგან. პირველი ნაწილი რეციპიენტთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლების, მათი განათლების ხასიათისა და ხარისხის შესახებ რიგი დამატებითი მონაცემების მისაღები კითხვების ერთობლიობას წარმოადგენდა; მეორე კი — გაზეთის კითხვის პროცესთან დამოკიდებულების და გაზეთის მასალების კითხვის ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხების, გაზეთის მასალების ფორმით დაკმაყოფილების ხარისხის, წასაკითხად მასალათა შერჩევის კრიტერიუმების გამოსავლენი კითხვების ერთობლიობას.

ტესტი „ნომინალიები“ დამატებით ცნობებს იძლეოდა რეციპიენტთა ინტერესების სფეროს შესახებ.

მოცემულ სტატიაში ექსპერიმენტის ყველა შედეგის აღწერას არ შეეუბნებოდა (დაწერილებით ამის შესახებ იხ. 32, გვ. 64—70 და 35, გვ. 56—61) აღენიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ექსპერიმენტის შედეგად გამოყოფილ იქნა ტექსტის არაადეკვატური აღქმის სამი შემთხვევა, რომლებსაც იწვევს: 1. ტექსტის ენობრივი საშუალებების შეუსაბამობა მკითხველის „ენობრივ რესურსებთან“: ა) უცნობი საკუთარი სახელები (პერსონალიები, გეოგრაფიული სახელწოდებები და სხვ.); ბ) ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც სწორად არ ესმით; გ) ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომლებსაც მოცემულ კონკრეტულ ტექსტში იმისგან განსხვავებული ელფერი აქვს მიღებული, რაც წარსულის გამოცდილებით აქვს მიღებული მკითხველს; დ) არაინფორმატული საგაზეთო სათაურები; ე) შტამად ქცეული სტერეოტიპული სამეტყველო ფორმულები; 2. ტექსტის ავტორის დაბალი ჟურნალისტური დონე, მის მიერ საკუთარი აზრის ტექსტში ადეკვატურად გადმოცემის უუნარობა; 3. რეციპიენტის ცნობიერების სემიოტიკური ორგანიზაციის თავისებურებები.

ექსპერიმენტის შედეგად ცდისპირთა მთელი მასივი დაიყო 7 სემიოტიკურ ჯგუფად, რომელთა ზღვრები არ დაემთხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფების ზღვრებს. ექსპერიმენტისთვის აღებული აუდიტორიის შემთხვევაში

კომუნიკატორი, რომელიც ვარაუდობდა, რომ მის შეტყობინებას ადეკვატურ-
 ად აღიქვამდნენ, ცდებოდა თითქმის 7-ჯერ ათი შემოხვევადან.

ის გზა, რომელსაც მიმართეს აღწერილ ექსპერიმენტში მკვლევრებმა, არის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მკს-ის ენისა და აუდიტორია-რეციპი-
 ენტის ენობრივი შესაძლებლობების ურთიერთმიმართების შესასწავლად. ეს
 პრობლემა, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება სემიოტური ჯგუფების, კლიშეები-
 სა და შტამპების საეიოხებით. ამასთანავე, ექსპერიმენტში გამოყენებული
 კონკრეტული მეთოდების (სემანტიკური დიფერენციალი, მიმართული ასო-
 ციაციების) გარდა სხვა მეთოდებიც შეიძლება იქნეს მიგნებული.

ასე რომ, პრობლემის საბოლოოდ გადასაწყვეტად საჭიროა ლინგვისტებ-
 ის, სოციოლოგების, ფსიქოლოგების, მათემატიკოსების, ინფორმაციის თე-
 ორიის სპეციალისტების შემდგომი ერთობლივი მუშაობა.

სავარაუდოა, რომ კონტენტ-ანალიზის პრობლემებზე მომუშავე სპეცი-
 ალისტებს შემდგომ დახმარებას ვაუწყებს ნაშრომები ტექსტის ლინგვისტიკა-
 ში, რომელიც, ორიენტირებულია რა კომუნიკაციაზე, სულ უფრო უახლოვ-
 დება კონტენტ-ანალიზს [36, გვ. 22—23].

შენიშვნები და დამოწმებანი

1. სხვადასხვა გამოკვლევაში მეთოდის სახელწოდება ჯერჯერობთ სხვადასხვაა: Анализ содержания. Контентный анализ, ინგლ. Content analysis, გერმ. Inhaltanalyse, პოლონ. analiza treści.
2. ა. ზღარცაძის ლოვი, სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგია და პროცედურა, თბილისი, 1975.
3. В. А. Ядов, Социологическое исследование. М., 1972.
4. В. В. Косолапов, Фактическое знание как основание теории социального процесса, «Социальные исследования», вып. 5, М., 1970.
5. В. С. Коробейников, Анализ содержания массовой коммуникации (по материалам американской социологии), «Вопросы философии», 1969, № 4.
6. H. D. Lasswell, Analysing the Content of Mass Communication: A Brief Introduction, N. Y., 1942.
7. H. Lasswell, D. Lerner and I. de Sola Pool, The comparative Study of Symbols Stanford, 1952.
8. H. D. Lasswell and A. Kaplan, Power and Society, New Haven, 1950.
9. В. С. Коробейников, Анализ содержания материалов пропаганды, «Проблемы социальной психологии и пропаганда», М., 1971.
10. Trends in Content Analysis, Urbana, 1959.
11. თეთი ლექსიკონებით მუშაობაც დაკავშირებულია დიდ სიმკვლეებთან. მაგ., ჩ. ოსტული მი-
 უთითებს, რომ ებსტერის საუნაივერსიტეტო ლექსიკონში დადიქსირებულია სიტყვა «takes»-ის
 69 მნიშვნელობა.
12. H. Steinberg (ed), Mass Media and Communication, N. Y., 1966.
13. Д. В. Ермоленко, Пропаганда и семантика, «Проблемы социальной психологии и пропаганда», М., 1971.
14. D. Lerner, I. Pool, H. Lasswell, Comparative Analysis of political Idologies, «Public Quaterly», Princeton, Winter. 1951—1952.

15. B. Berelson, Content Analysis in Communication Research, Glencoe, Ill., 1952.
16. A. George, Quantitative and Qualitative Approaches to Content Analysis, In: I. de Sola Pool (ed), Trends in Content Analysis, Urbana, Ill., 1959.
17. A. George, Propaganda Analysis, Evanston, 1959.
18. Stone Ph: I., Demphy, D. C., Smith M. S., Ogilvie, D. M., The General Inquirer: A Computer Approach to Content Analysis, Massachusetts, The M. I. T. Press, London, 1966.
19. General Inquirer, N. Y., 1966.
20. Research methods in the Behavioral Sciences, ed by L. Festinger and P. Katz, N. Y., 1953.
21. В. Вершловский, Л. Лесохина, В. Кобзарь и Ю. Соловьев, Понятийный словарь как метод изучения доходчивости словесной пропаганды, «Философские науки», 1967, № 2.
22. Г. М. Андреева, Лекции по методике конкретных социальных исследований, М., 1972.
23. М. Лауристия, Применение контент-анализа для изучения направленности содержания газеты, «Труды по социологии», II, Тарту, 1972.
24. Проблемы контент-анализа в социологии, Новосибирск, 1970.
25. Методологические и методические проблемы контент-анализа (тезисы докладов рабочего совещания социологов), вып. I, II, М.-Л., 1973.
26. Л. Н. Федотова, Анализ содержания—социологический способ изучения печати, радио и телевидения, «Вестник МГУ», серия журналистики, 1969, № 4.
27. «47 пятниц. Функционирование общественного мнения в условиях города и деятельность государственных и общественных институтов (программы и документы исследования)», вып. I, «Информационный бюллетень ИКСИ АН СССР», М., 1969, № 10/(25).
28. «47 пятниц (вып. 5). Контентный анализ: методика и организация», Информационный бюллетень ИКСИ АН СССР, М., 1969, № 15(30).
29. Т. М. Дридзе, Семиотический уровень как существенная характеристика реципиента в процессе информирования, «Семиотика средств массовой коммуникации», М., 1973.
30. Т. М. Дридзе, Опыт экспериментального подхода к изучению проблемы информативности публицистического текста, «Психологические и психолингвистические проблемы владения и овладения языком», М., 1969.
31. Т. М. Дридзе, Ассоциативный эксперимент в конкретном социологическом исследовании, «Семантическая структура слова», М., 1971.
32. Т. М. Дридзе, Язык информации и язык реципиента как факторы информирования, «Речевое воздействие, Проблемы прикладной психолингвистики», М., 1972.
33. Ch. Osgood, The Nature and Measurement of Meaning, „Psychological Bulletin“ vol. 49, 1952.
34. Ch. Osgood, G. Suci, P. Tannenbaum, The measurement of meaning, Urbana, 1957.
35. Т. М. Дридзе, Лингвосоциологические аспекты массовой информации, «Социологические исследования», 1975, № 4.
36. Новое в зарубежной лингвистике, вып. VIII, лингвистика текста, М., 1978.

Н. Г. КВАШАЛИ

ОБЗОР КОНТЕНТ-АНАЛИЗА И НЕКОТОРЫХ СВЯЗАННЫХ С НИМ ЛИНГВИСТИЧЕСКИХ ВОПРОСОВ

Резюме

Контент-анализ представляет собой метод научного анализа текстов, который применяется в разных областях гуманитарного знания.

Контент-анализ — это перевод массовой текстовой информации в количественные показатели. Главная идея его заключается в выделении в тексте анализируемого документа важнейших понятий, стереотипов, стандартных фраз, которые принимаются за единицы текста. Затем содержание текста анализируется количественным сопоставлением разных элементов текста друг с другом и с общим объемом информации.

Исследование текстов методом контент-анализа ставит и лингвистические вопросы.

В проведенном исследовании изучалась проблема сопоставления языка, которым оперирует средство массовой коммуникации, с языковыми возможностями адресата сообщения. Поиски новых путей решения этой проблемы представляют перспективную область исследования.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად.
გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტის ზოგადი ფონეტიკისა და აღმოსავლურ
ენათა ტიპოლოგიის ლაბორატორია
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსმა თ. გამყრელიძემ

სულთან გუმაშვილი

დ- პრეფიქსის ხმარების ზოგიერთი თავისებურება ჩაჩხურ-ინგუშურ ენათა შინ- კატეგორიის სახელეგებო

ენობილია, რომ ჩაჩხურ-ინგუშურ ენებში არსებითი სახელები (სუბსტანტივები) დაჭგუფებულია გრამატიკული კლასების მიხედვით. თითოეულ კლასს თავისი მორფოლოგიური ნიშანი აქვს. მხოლოდითის მაჩვენებელთა მიხედვით გრამატიკული კლასი ოთხია: I კლ. ვ-, II კლ. ა-, III კლ. ბ-, IV კლ. დ-. მრავლობით რიცხვში იხმარება მხოლოდ სამი პრეფიქსი: ა-, ბ-, დ-, პირველი გრამატიკული კლასის ნიშანი ვ- მრავლობითში არ გვხვდება.

პირველ კლასში, ვ- კლასში, შედის მამაკაცთა აღმნიშვნელი სახელები, მეორე კლასში, ა- კლასში, — როგორც — ქალთა აღმნიშვნელი სახელები, ისე ნივთის კატეგორიის სახელთა დიდი რაოდენობა. ეს სახელები სხვაობას იძლევა მრავლობით რიცხვში: ქალთა სახელებს ისევე, როგორც მამაკაცთა აღმნიშვნელ სახელებს, მოუღიბებ კლას-ნიშანი, ნივთის კატეგორიის სახელები კი ინარჩუნებს ა- ნიშანს.

მესამე, ბ- კლასში, და მეოთხე, დ- კლასში, გაერთიანებულია ნივთის კატეგორიის სახელთა დანარჩენი ნაწილი.

პ. უსლარიდან მოყოლებული მკვლევრები ვარაუდობდნენ, რომ ჩაჩხურ-ინგუშურ ენებში ქალთა აღმნიშვნელი სახელები ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე ნაწილდება მხოლოდითში ა- კლასში, ხოლო მრავლობითში კი ბ- კლასში ([1], გვ. 9—10; [3], გვ. 14—15; [4], გვ. 371—372). მაგალითად.

ჩაჩხური		ინგუშური	
მხოლ. რ.	მრავლ. რ.	მხოლ. რ.	მრავლ. რ.
აიშა ა-უ	აიჟარ ბ-უ	აიშა ა-ა	აიჟარ ბ-ა—და არის
ნანა ა-უ	ნანჟო ბ-უ	ნანა ა-ა	ნანჟო ბ-ა—დედა არის
ქაქაქო ა-უ	ქაქაქო ბ-უ	ქაქაქო ა-ა	ქაქაქო ბ-ა—ქერივი არის,
			ქმარს ვაცილებული ქალი არის
ნუს ა-უ	ნესარ ბ-უ	ნუს ა-ა	ნესარ ბ-ა—რძალი არის
აქხარც ა-უ	აქხარცა ბ-უ	აქხარც ა-ა	აქხარცა ბ-ა—სატრფო არის
სთაქ ა-უ	სთაქ ბ-უ	საქსაგ ა-ა	ისთი ბ-ა—ცოლი არის
ჭულა ა-უ	ჭულარ ბ-უ	არა აქვს	— ცოლი არის, დედაკაცი არის...

ჩაჩხურ-ინგუშურ ენათა ლექსიკონებსა თუ ცალკეულ შრომებში წარმოდგენილი მასალის შესწავლის შედეგად დადასტურდა რამდენიმე შემთხვევა, სადაც ქალთა სახელები როგორც მხოლოდითში, ისე მრავლობითში ა-კლასს განეკუთვნება. ამრიგად, გვაქვს როგორც ა—ბ, ისე ა—ა ჯგუფი. ასე, მაგალითად, ზ. მალსაგვის „ინგუშური გრამატიკის“ ბოლოს დართულ ლექსიკონში მხოლ. რ. აიშა, მრავლ. რ. აიჟარი „და“ ([3], გვ. 166); მხოლ. რ. აი, მრავლ. მეჭაპარი „ქალიშვილი“ ([3], გვ. 166); მხოლ. რ. ნანა, მრავლ. რ. ნანჟო

([3], გვ. 168); მხოლ. რ. ენგირ, მრავლ. რ. ენგირამ „მრავალ-ცოლიანობის დროს თითოეული ცოლი ერთმანეთისთვის“ ([3], გვ. 147) სახელები ორივე რიცხვში **ა**- კლასში ნაწილდება. ეს მაშინ, როცა გრამატიკულ კლასებზე მსჯელობისას ქალთა აღმნიშვნელ სახელებს მხოლოდობითში **ა**-, მრავლობითში კი **ბ**-კლასს განუკუთვნებს.

აღსანიშნავია, რომ ორივე რიცხვში **ა**- კლასშია განაწილებული 1962 წელს გამოხუთულ „ინგუშურ-ჩაჩნურ-რუსულ ლექსიკონსა“ და „ჩაჩნურ-ინგუშურ-რუსულ ლექსიკონში“ აღნიშნული სახელებიდან ჩაჩნ. მხოლ. რ. ემგარ, მრავლ. რ. ემგარამ; ინგ. მხოლ. რ. ენგარ, მრავლ. რ. ენგარამ „მრავალცოლიანობის დროს თითოეული ცოლი ერთმანეთისთვის“ ([5], გვ. 198; [6], გვ. 183) და ჩაჩნ., ინგ. მხოლ. რ. იო, მრავლ. რ. მეხქარი „ქალიშვილი“ ([5], გვ. 87; [6], გვ. 81). გარდა ამ სახელებისა, შეგვხვდა ჩაჩნ., ინგ. მხოლ. რ. აწზარგ, მრავლ. რ. აწზარგამ „სატრფო“ ([5], გვ. 71; [6], გვ. 75).

ა. მაციევს, რომელიც ამ ლექსიკონების თანაგებორია, 1961 წელს გამოცემულ „ჩაჩნურ-რუსულ ლექსიკონში“ ქალის აღმნიშვნელი ყველა სახელი მხოლოდობითში **ა**-, მრავლობითში **ბ**-კლას-ნიშნებით აქვს მოცემული.

განხილული შემთხვევები, ცხადია, ვერ მიიჩნევა კორექტურულ შეცდომებად. ისინი გვიჩვენებენ, რომ ეს სახელები ნაწილდებიან როგორც **ა**—**ბ**, ისე **ა**—**ა** ჯგუფებში, ე. ი. საქმე გვაქვს ისეთ ვითარებასთან, როცა კლას-ნიშანი ითავსებს გრამატიკულ კლასთან ერთად მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ფუნქციასაც.

როგორც აღვნიშნეთ, **ა**- პრეფიქსი საზიარო აქვს ქალთა სახელებს ნივთის კატეგორიის სახელთა ერთ ნაწილთან. მაგრამ ეს არ გამოხატავს ამოსავალ ვითარებას. იგი შედეგია იმ ცვლილებებისა, რაც ამ სახელთა გრამატიკულ კლასებად დაყოფაში მოხდა. **ა**- კლას-ნიშანი ივარაუდება, რომ მოდის რ—დ-სავან ([7], გვ. 377; [8], გვ. 96—97; 107—113; [9], გვ. 42—46).

ქალთა აღმნიშვნელი სახელები ისტორიულად ნივთთა დ-კლასში ერთიანდებოდა ([8], გვ. 112). ამას ადასტურებს დალესტნის ჯგუფის ენათა ვითარებაც. მაგალითად, ლაკურში ქალთა სახელები დ-პრეფიქსსაც დაირთავს და **ბ**-პრეფიქსსაც: ნინუ დ-ური „დედა არის“ ([2], გვ. 9), წიქური დ-ური „პატარძალი არის“ ([2], გვ. 10). ამათ გვერდით არსებობს დუმ **ბ**-ური „ქალიშვილი არის“ ([2], გვ. 10), ს'უ **ბ**-ური „და არის“ ([2], გვ. 10).

აღსანიშნავია, რომ დ-უმ „ქალიშვილი“ შეიცავს გაქვევებულ დ-კლას-ნიშანს. მისი შესატყვისები (დარგულში, ლეზგიურში, თაბასარანულში, ალუღურში, ბუღდუხურსა და სხვ.) დალესტნის ჯგუფის ზოგ ენაში გაქვევებული რ. (—დ-) ნიშნით გვხვდება, ზოგში კი (ხუნძურში, ანდიურში, ბოთლიხურში, ბაგვალალურში, ჭამალალურში...) **ა**- (—რ.—დ-) ნიშნით. იგივე ნიშანია გამოყენებული ნახურ ენებშიც. ამასთან, ამ ენებში ქალთა სახელი ნუსქულ „პატარძალი“ დ-კლასში შედის.

აქ ჩანს ანარეკლი იმ ვითარებისა, როცა ნივთის მეორე კლასი, დ-კლასი გაითიშა ორ კლასად — დ- და **ა**-კლასებად (დ—რ—**ა**). მაგრამ ქალთა სახელებს ჯერ კიდევ არა ჰქონდათ საკუთარი რიცხვის გამოხატვის მორფოლოგიურ-სინტაქსური ძალა მოპოვებული. ქალთა სახელები განვითარების ამ დონეზე რიცხვის მიმართ ჯერ კიდევ ნეიტრალური იყო. ცხადია, მათი რიცხვი უფრო ადრე უნდა ასახულიყო, ვიდრე ნივთის **ა**-კლასის სახელებისა, რადგან, რო-

გორც წესი, კლასოვანი უღვლილები მქონე ენებში ნივთის კატეგორიის სახელების სიმრავლის ასახვა ნაკლებად მოსალოდნელია. ეს პრინციპი დაცულია პიროვანი უღვლილების მქონე ენებშიც, მაგალითად, ქართულში.

ყოველივე აღნიშნულიდან ჩანს, რომ ვინ- კატეგორიის ქალთა სახელები ჩაინურ-ინგუშურ ენებში მორფოლოგიურად ნივთის ა- კლასის ტოლი ოდენობაა. მაგრამ „ამჟამად ა- კლასი (ვ- კლასთან ერთად) ... გაგებული ვეაქვს, როგორც სქესის მიხედვით გარჩეული ჯგუფი ადამიანისა. ეს არის ახლებურად გააზრება (რეინტერპრეტაცია) ძველი ვითარებისა. ეს ძველი ვითარება ცხადყოფს, რომ „ქალი“ მოქცეული იყო ნივთის კლასის სახელებში მეტწილად დ- კლასის სახელებში, და დ- ნიშნის ფონეტიკური ვარიანტი ა თან მოჰყვა ქალს, როცა მეორე გრამატიკულ კლასად იქნა გააზრებული ([8], გვ. 111).

ლიტერატურა

1. П. К. Услар, Этнография Кавказа. «Языкзнание», II. Чеческий язык, Тифлис, 1888.
2. П. К. Услар, Этнография Кавказа. «Языкзнание», IV. Лакский язык, Тифлис, 1890.
3. З. К. Мальсагов, Ингушская грамматика, Владикавказ, 1925.
4. Ю. Д. Дешериев, Сравнительно-историческая грамматика нахских языков и проблемы происхождения и исторического развития горских кавказских народов, Грозный, 1963.
5. И. А. Оздоев, А. Г. Мациев, З. Д. Джамалханов, Ингушско-чеченско-русский словарь, Грозный, 1962.
6. А. Г. Мациев, И. А. Оздоев, З. Д. Джамалханов, Чеченско-ингушско-русский словарь, Грозный, 1962.
7. არნ. ჩიქობავა, მეორე ურმატიკული კლასის („მდებლობითი სქესის“) გენეზისისათვის მისი კავკასიურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 4, 1942.
8. არნ. ჩიქობავა, იზეროულ-კავკასიური ენაშენეტიკების შესავალი, თბილისი, 1979.
9. ნ. ანდლუღაძე, კლასოვანი და პიროვანი უღვლილების ისტორიის ზოგი საკითხი იზეროულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, 1962.

С. Э. ГУМАШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ССБЕННСТИ УПСТРЕЛЕНИЯ ПРЕФИКСА J В ИМЕНАХ, СЕЗНАЧАКШИХ ЖЕНШИН В ВАЙНАХСКИХ ЯЗЫКАХ

Резюме

В вайнахских языках (чечен., инг.) обычно имена, обозначающие женщин, относятся к классу j в единственном числе, к классу b — во множественном. Однако изучение материалов отдельных словарей и монографий гскагало, что некоторые имена, обозначающие женщин как в единственном числе, так и во множественном, относятся к классу j. Например: jiša (jışari) «сестра», jo (mexkari) «девушка», paŋa (paŋioj) «мать» и т.д.

Отмеченные случаи показывают, что имена, обозначающие женщин, на определенном этапе развития вайнахских языков входили в группу j—j.

ი. გოგებაშვილის სახელობის თვღვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ცნობები და შენიშვნები

ვლადიმერ აბრამიშვილი

ვაჟა-ფშაველას თიანთური უცნობი პუბლიკაციები

მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა ვაჟა-ფშაველამ. მისი ზოგიერთი წერილი და ნაწარმოები ჯერ კიდევ უცნობ ფსევდონიმებს არის ამოფარებული.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი ყველა ფსევდონიმის გამოძიება-დადგენას და მის ნაწარმოებთა მთლიანად გამოვლინებას.

ქართულ გაზეთებში მივაგენით ვაჟა-ფშაველას რამდენიმე წერილს. ისინი სხვადასხვა ფსევდონიმითაა გამოქვეყნებული და არ არის ცნობილი, რომ ეს წერილები ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის.

ჩვენი ყურადღება მიიქცია 1888 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№ 74) ერთ-ერთმა საინტერესო კორესპონდენციამ „თიანეთი“. წერილს ხელს აწერს „მეთვალყურე“. დავინტერესდით ამ ფსევდონიმით, რადგანაც პირად მასალებში მქონდა ჩანაწერი „მეთვალყურის“ შესახებ.

1965 წელს თიანეთის მკვიდრმა, დამასახურებულმა პედაგოგმა, აწ განსვენებულმა ვასილ ისიდორეს ძე ჯიბლაძემ მიაშო, რომ ვაჟა-ფშაველას თავისი რჩეული ნაწერების ტომეულები თიანეთში საჩუქრად უბოძებია ახლობელი მეგობრებისათვის — სასამართლო კანცელარიის მოხელე მიხეილ ძებნიაურისათვის, მასწავლებელ მიხეილ შამანაურისათვის და ვ. ჯიბლაძის სიმამრის გრიგოლ ჭინჭველაძისათვის. ვ. ჯიბლაძის თქმით, ყველა ეს წიგნი გაფორმებული ყოფილა მდიდრულად და ჰქონია ავტოგრაფი. მას ახსოვდა მხოლოდ გრიგოლ ჭინჭველაძისათვის მიერთმეულ წიგნზე ოქროსფერი ასოებით ვაჟასული წარწერა: „თიანეთის წმინდა გიორგის ეკლესიის შტატის მღვდელს, დიდათ განათლებულ გრიგოლ ჭინჭველაძეს! მაზრის მეტეალყურე ლუკა რაზიკოვისაგან“.

თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ყოფილ დირექტორთან ი. ბეჟანიშვილთან ერთად დავიწყე ამ წიგნების ძებნა, მაგრამ ვერ მივაგენი.

მ. შამანაური თიანეთიდან დიდი ხნის წინათ საცხოვრებლად სხვაგან გადასახლებულა, მ. ძებნიაურს გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრე არ დარჩენია და წიგნები ნათესაებს წაუღიათ. მოუწესრიგებელი იყო გ. გოჯიაშვილის არქივიც, სადაც გრ. ჭინჭველაძის წიგნები გვეგულებოდა.

ამის შემდეგ საჭიროდ ვცანით გამოგვეკვია, ჰქონდა თუ არა ვაჟა-ფშაველას ისეთი ახლო ურთიერთობა მ. ძებნიაურთან, მ. შამანაურთან და გრ. ჭინჭველაძესთან, რომ მათთვის თავისი წიგნები ეჩუქებინა.

ძმების ნიკოლოზ და მიხეილ შამანაურების ვაჟა-ფშაველასთან ახლო ურთიერთობის შესახებ საკმაოდ არის ცნობები სოლომონ ყუბანეიშვილის წიგნში „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ და ვაჟას თხზულებათა ათტომეულში.

თიანეთის ეკლესიის მღვდელს გრ. ჭინჭველაძეს ამ ძირითად სამასხურისაგან მოუწყვეტლად უმუშავია ფშაველესურეთის სკოლების ინსპექტორად და შე-

მოვლისას თიანეთში ისე არ დაბრუნდებოდა, ჩარგალში რომ არ სტუმრებოდა ვაჟას. მ. ძეგნიაურის ნათესავებიც ადასტურებენ, რომ მას ახლო მეგობრობა ჰქონდა ვაჟასთან.

ჩვენ გვინტერესებდა გავვერკვია: რაიმე კავშირი ხომ არ არის „ივერიაში“ (№ 74) დაბეჭდილი კორესპონდენციის „თიანეთის“ ავტორ „მეთვალყურესა“ და ვაჟა-ფშაველას „მაზრის მეთვალყურეს“ შორის. ავტორი „მეთვალყურე“ წერილში 80-იანი წლების თიანეთს დასცინის, რომ მასში ყოველი სიკეთე, რაც კი ადრე არსებულა, ჩამკვდარა და მოსპობილა; ეხება ახალგაზრდობის ერთ ნაწილს (მოსამართლეებსა და ადვოკატებს), რომელსაც ცხოვრების სახსრად ხალხის ძარცვა ჰქონდა ვახდილი; ამხელს „ხალხის ყლაპია მწერებს“; აქებს და ადიდებს თიანეთის სკოლის მასწავლებელს.

ამ წერილმა ააღელვა თიანელი ინტელიგენცია. ყველას სურდა გავგო, ვინ იყო მისი ავტორი. ბოლოს ეკვი სკოლის მასწავლებელ დავით თაბუნიძეზე მიიტანეს და სრულიად უსაფუძვლოდ უსაყვედურებდნენ, მაგრამ მან შეძლო თავის გამართლება და ვახუთ ივერიას ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე არ ვარ ავტორი თიანეთიდან გამოგზავნილი წერილისა, რომელიც დაბეჭდილი იყო ივერიის 74-ე ნომერში და ამით თავიდან ამაცილოთ თიანელების საყვედური. თიანეთის სკოლის მასწავლებელი დ. თაბუნიძე“.

რედაქციამ მისი თხოვნა დააკმაყოფილა. დ. თაბუნიძე არ შეიძლებოდა ზემოთ აღნიშნული წერილის ავტორი ყოფილიყო, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს კორესპონდენცია მისი ქება-დიდებათ მთავრდებოდა და, მეორეც, ავტორი „მეთვალყურე“ იუმორისტული ხასიათის ამ წერილს ძველი (1880 წ.) და ახალი (1888 წ.) თიანეთის შედარებით იწყებს. ჩანს, მან დაწერილებით იცოდა ძველი და ახალი თიანეთის შინაური საჭირბოროტო საკითხები. დ. თაბუნიძე წინამძღვრიანთაჲრის სკოლიდან თიანეთში სამუშაოდ გადავიდა მხოლოდ 1886 წელს.

წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ავტორი თიანეთის გულშემატყვიარია. ამ დროისათვის ნიკო ურბნელი უკვე თბილისშია. დავით ხიზანაშვილი კი სასამართლოს კანცელარიაში მუშაობდა და, რადგან წერილი სასამართლო დაწესებულების მოხელეთა ხრიკების მხილებით იწყება, მისი ავტორობაც არ არის მოსალოდნელი. თიანეთის სამაზრო სამმართველოსა და სხვა ჩინოვნიკ მოხელეთაგან იმ დროისათვის არავინ იყო ისეთი, რომ ასეთი მაღალმხატვრული იუმორისტული წერილი დაეწერა და ისიც თავის თავზე. ამდენად, ჯერ ვაჟა-ფშაველაზე მიდგა.

მართლაც, წერილის გაცნობისთანავე მკითხველს შთაბეჭდილება რჩება, რომ „ივერიაში“ (1888 წ., № 74) დაბეჭდილი ეს წერილი ვაჟა-ფშაველას აზრებს გამოხატავს, „მეთვალყურე“ კი მისი საყვარელი ფსევდონიმი. შინაარსი, წერის მანერა, სტილი, თემა, მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული, მკვეთრი იუმორი — ვაჟა-ფშაველას სხვა წერილებს მოგვაგონებს.

ყველასათვის ცნობილია, რომ თიანეთისა და მისი მაზრის შესახებ იმდენი კორესპონდენცია არავის დაუწერია, რამდენიც ვაჟას.

„მეთვალყურის“ ფსევდონიმით დაბეჭდილ წერილში ყურადღებას იპყრობს ვაჟასათვის დამახასიათებელი ფრაზების ხმარება, მაგალითად, „პატრიოტ-აბლოკატი“. ამ ტერმინს იგი ორჯერ იხსენიებს 1890 წლის ივერიაში „იქა-

ურის“ ფსევდონიმით დაბეჭდილ კორესპონდენციაში „წერილი ფშავის ხევი-
დამ“: „...ზმირად ჰხედავ სასამართლოში, რომ ტყიდამ გამოვარდნილი ფშავე-
ლი ტყუუის და აბლოკატურ ხრიკებსა ხმარობს, ცდილობს თავი გაი-
ნართლოს, ზმირად მოუდის ტყუილი მოწმეები და მტყუანი მართლდება.

ვინ ასწავლის ამას ამისთანა ხრიკებს? თვით სასამართლოს მსახურნი: ზო-
გი ადვოკატ-აბლოკატები, ზოგი წვრილმანი ჩინოვნიკ პისრები“.

სიტყვას „აბლოკატური“ ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონში ალ. ჭინჭარა-
ული ასე განმარტავს: აბლიგაციის დამახასიათებელი, გაიძვერული.

ვაჟა-ფშაველას მსგავსი კორესპონდენცია აქვს გამოქვეყნებული 1886
წელს № 145 „ივერიაში“ სახელწოდებით „სოფელი თიანეთი“. თუ მათ შინა-
არისა და ფრაზებს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ ვაჟა-ფშაველასი უნდა
იყოს 1888 წლის № 74 „ივერიის“ წერილიც, რომელშიც ზმირად არის ჩარ-
თული მისთვის ჩვეული სიტყვები: „კენი“, „ბეჩავი“, „გურქები“, „სულის
ამოხუთვა“, „ხალხის ყლაპია მწერები“. როგორც ყოველთვის, აქაც აქებს და
კეთილად იხსენიებს ლ. ჯანდიერსა და თავის სემინარიელ მეგობარს დავით
თაბუნძის.

წერილი „თიანეთი“ მთავრდება სკოლის მასწავლებელ დ. თაბუნძის ქება-
დიდებათ. მან მომაკვდავ სკოლას სული შთაბერა და გამოაცოცხლა. ვაჟა-ფშა-
ველას უფლება არ ჰქონდა დ. თაბუნძის კეთილი საქმიანობა არ შეენიშნა და
არ გამოხმაურებოდა.

ალ. გარსევანიშვილის ცნობით, დ. თაბუნძე 1881—1883 წლებში გორ-
ში სწავლობდა და მოწაფეთა „დრამწრის“ აქტიური მონაწილე ყოფილა. ვა-
ჟაც ხომ ამ დროს გორის საოსტატო სემინარიაში იმყოფებოდა და შეძლების-
დაგვარად ეხმარებოდა წრის წევრებს მუშაობაში.

1882 წელს ვაჟამ გორის საოსტატო სემინარია დაამთავრა და მასწავლებ-
ლად თიანეთის მაზრის სოფ. ამტნისხევში გაგზავნეს. დ. თაბუნძე კი მასწავ-
ლებლად გაუგზავნიათ წინამძღვრიანთკარის სკოლაში. 1886 წელს დ. თაბუნ-
ძე სამუშაოდ თიანეთში გადასულა.

ამის შესახებ გაზ. „ივერიის“ ახალ ამბებში ეკითხულობთ: „თიანეთის
სკოლის საქმე კარგათ მიდის. ახლად გამწესებული მასწავლებელი დ. თაბუ-
ნძე, რომელიც წინად სოფელ წინამძღვრიანთ სკოლის მასწავლებელი იყო,
გულმოდგინებით ეკიდება თავის საქმეს და ცოტახნის განმავლობაში საზოგა-
დოების მადლობა დაიმსახურა“.

მართლაც, არ შეიძლებოდა სემინარიელი მეგობრის დ. თაბუნძის ჩამო-
სვლას თიანეთში ვაჟა-ფშაველა არ გამოხმაურებოდა, განსაკუთრებით კი მაშინ,
როდესაც სკოლისადმი დიდი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინა.

ამდენად 1880—1890-იან წლებში თიანეთის მაზრის შესახებ დაწერილი
წერილების, ფელეტონების, კორესპონდენციების შესწავლამ იმ დასკვნამდე
მიგიყვანა, რომ 1888 წლის № 74 „ივერიაში“ „მეთვალყურის“ ფსევ-
დონიმით დაბეჭდილი წერილი „თიანეთი“ ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის.

ვაჟა-ფშაველას კუთვნილებად მივიჩნიეთ აგრეთვე 1900 წელს გაზ. „ივე-
რიაში“ დაბეჭდილი კორესპონდენცია „ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთის ვითარე-
ბის შესახებ“. ამ წერილს ხელს აწერს „ფშაველი მწყემსი“. იგი ეძ-
ღვნება კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადო-
ების საბჭოს საქმიანობას. ავტორი წერს: „...ფშაველებმა განვიზრახეთ სკოლის
დაარსება, მაგრამ ჩვენის შეუძლებლობის გამო ნახევარი ხარჯი მძლივს ვიკის-

რეთ სკოლისა და მისი შენობის აგებისათვის; დანარჩენში კაცკასიის მადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება უნდა დავეხმარებოდა. დავეხმარა კიდევ, როგორც ვიცით, მაგრამ მაგარი ის არის, რომ ჩვენ ფშაველბმა, როცა ვაჩანეთ დაეადგინეთ, სასკოლო აღფელ სოფელი ჩარგალი დაეასახელეთ, ესლა გავივეთ სკოლა მალაროსკარში არსდებოა“.

ამ წერილში „ფშაველი მწყემსი“ მოითხოვს, სკოლა ჩარგალში აშენდეს, რადგან სხვა სოფლებთან შედარებით ჩარგალს ფშავის მხარეში ყველასათვის მოსახერხებელი მდებარეობა აქვსო, და მოჰყავს ამის დამადასტურებელი საბუთები.

ისმება კითხვა: ვინ არის „ფშაველი მწყემსი“ და ვის შეეძლო ცხრასიან წლებში ჩარგალში სკოლის გახსნისათვის შეეწუხებინა თავი?

ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის ერთ-ერთმა შემდგენელმა თამარ მაჰავარიანმა ერთხელ პირადი საუბრის დროს გვითხრა „ფშაველი მწყემსი“ ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმი უნდა იყოსო. ქალბატონ თამარს ეს მოსაზრება ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიის მეხუთე ტომის პირველი ნაკვეთის წინასიტყვაობაშიც კი შეუტანია. იგი წერს: „გაზეთ „იერიის“ ბიბლიოგრაფიაზე მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიქცია 1900 წლის 26 იანვრის ნომერში დაბეჭდილმა წერილმა: „ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთის ვითარების შესახებ“ (იხ. 4730). ამ წერილს ხელს აწერს „ფშაველი მწყემსი“. შინაარსმა, სტილმა, განსაკუთრებით დასათაურებამ გვაფქრებინა, რომ ეს ფსევდონიმი ვაჟა-ფშაველასი უნდა იყოს...“

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ფსევდონიმთა ცნობილი მცოდნის თ. მაჰავარიანის ასეთი ვარაუდი უდავოდ ანგარიშგასაწევია, მაგრამ მაინც მოითხოვს დასუსტებას. ფშავ-ხევსურეთს იმ დროისათვის მრავალი გულშემატკივარი ჰყავდა, თუნდაც ვაჟა-ფშაველას ძმების სახით, რომელთაგან ზოგი ჟურნალ-გაზეთებში ხშირად ბეჭდავდა წერილებს.

ვაჟა-ფშაველას მშობლები 1890 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გარდაიცვალნენ. დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ ძმებმა მამისეული ქონება გაიყვეს და დაიქსაქსნენ.

უფროსი ძმა გიორგი თიანეთში მსახურობდა ვეჟილად და იქვე ცხოვრობდა. ნიკო (ზაჩანა) ხევსურეთში მასწავლებლობდა და აფხუშოში ცხოვრობდა. თედო ქართლში, სოფელ ხელთუბანში მასწავლებლობდა და იქვე დამკვიდრდა. სანდრო თბილისში ცხოვრობდა და ფოსტის მოხელედ მუშაობდა. დედ-მამის ბინაზე ჩარგალში მხოლოდ ლუკა დარჩენილა¹.

მარტო ის გარემოება, რომ ძმებს შორის ჩარგალში საცხოვრებლად მხოლოდ ლუკა დარჩენილა, ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ წერილი „ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთის ვითარების შესახებ“ მისი ნამოღვაწარია და ფსევდონიმი „ფშაველი მწყემსი“ მას უნდა ეკუთვნოდეს. ვაჟა-ფშაველას რამდენიმე სხვა კორესპონდენცია მსგავსი სათაურებით აქვს გამოქვეყნებული, ასეთებია: „ცოტა რამ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგისა“, „ცოტა რამ გლეხთა ყოფა-ცხოვრებაზე ფშავეში“, „ფშავ-ხევსურეთის ავ-კარგი“ და სხვა მრავალი.

ზემოთ აღნიშნული კორესპონდენცია „ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთის ვითარების შესახებ“ რომ ნამდვილად ვაჟა-ფშაველასია, ამის ერთ-ერთ დამადასტურებელ საბუთს გვაძლევს თვით ავტორი კორესპონდენციაში „მთის ვითარება“,

¹ ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბილისი, 1961, გვ. 273.

რომელიც „ფშაველა ვეფხვიადის“ ხელწერით დაიბეჭდა ვაზ. „ამირანში“ 1908 წელს. ამ წერილიდან ჩანს, რომ ვაჟას სურვილს — სკოლა ჩარგალში აშენებულყო — ფრთები ესხმება და იგი მადლიერი გრძნობით წერს: „...როგორც ვაჟივეთ მთავრობას განუზრახავს მაღაროსკარის სკოლა გადაიტანოს სოფელ ჩარგალში (ფშავეში), რადგან იქ მოიპოვება სამრეწლო თავისუფალი შენობა, რაიც ფრიად მოსაწონი აზრია, რადგან ს. ჩარგალი მცხოვრებლებით უფრო მრავალფეროვანია სხვა სოფლებზე და ამასთან უჭირავს შუა გული ფშავისა, სადაც ყოველი მხრიდან შეუძლიან ყველას მოიყვანოს ბავშვი სასწავლებლად“².

მიუხედავად იმისა, რომ მწერლისათვის ფშავი და ხევსურეთი განუყოფელი ნაწილი იყო და იგი ამ მხარის ყველაზე მგრძნობიარე ჭირისუფალს წარმოადგენდა, სხვა სოფლებთან შედარებით პრიორიტეტს მაინც თავის მშობლიურ ჩარგალს ანიჭებდა. მას სურდა მოსწრებოდა ამ მხარეში გზებს, სკოლებს, სამკითხველოებს, საავადმყოფოებს და მკითხველს უზიარებდა თავის აზრებს ამის თაობაზე. აი, თუნდაც, მისივე აღრინდელი კორესპონდენცია „წერილი ფშავის ხევიდან“, რომელიც „იქაურის“ ხელმოწერით 1890 წელს ვაზ. „ივერიაში“ დაიბეჭდა. მისი ავტორი მოითხოვს მთიულეთის ნაცვლად რკინიგზა გაყვანილ იქნეს ფშავის ხევეზე. „...თიანეთიდან მოწერილი ამბავი, ვითომ გუდამაყარზე აპირებენ რკინიგზის გაყვანას და მერე ხევსურეთთან შეაერთებენო, არ უნდა იყოს მართალი, რადგან ის გზა სრულიად არ ვარგა და მოუხერხებელიც იქნება იმაზე გზის გაყვანა... თუ მართალია, რომ იწყინებმა უნდა დაიარონ და დაათვალიერონ საუკეთესო მოსახერხებელი ადგილები რკინის გზისათვისო, იმედია ფშავის ხევს დაამჯობინებენ გზის გასაკეთებლად“³.

წერილში, „ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთის ავ-კარგის შესახებ“, გვაქვს ავტორისათვის დამახასიათებელი ასეთი გამოთქმები: „მაგრამ მაგარი ის არის, რომ“ ამ ფრაზას „მაგრამ მაგარი ის არის, რომ“ წერილებში ვაჟა-ფშაველა ხშირად ხმარობს, მაგალითად: „ფშავის ხევიდან“, „თიანეთურ ფელეტონებში“, „ლაშარის ჭვარის დღეობა, ანუ ლაშარობაში“ და სხვ.

ამდენად წერილის შინაარსი, აზრების დამთხვევა ვაჟა-ფშაველას სხვა წერილებთან, მითითებულ წლებში ვაზეთ „ივერიაში“ აქტიური მონაწილეობა და სხვა გარემოებანი ნათეს ხდის, რომ წერილი „ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთის ვითარების შესახებ“, რომელიც „ფშაველი მწყემსის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა 1900 წელს № 19 „ივერიაში“, ვაჟა-ფშაველასია.

ოქტომბრის რევოლუციამდელ ჟურნალ-გაზეთებში „მოკეთის“ ფსევდონიმით მრავალი პუბლიკაცია დაიბეჭდა. ისინი უმეტესად გამოგზავნილია მესხეთ-ჯავახეთის, გორის, დღუშეთის, თელავისა და სხვა მაზრების პროვინციებიდან. მათ ავტორთა ნაწილის ვინაობა დადგენილია. მაგალითად, „მოკეთ“ ფსევდონიმად უხმარიათ ჭარბთველ საზოგადო მოღვაწეებს იოსებ იმედაშვილს და კონსტანტინე გვარამაძეს.

ამავე ფსევდონიმით გამოქვეყნებულია წერილი „თიანეთი“ ვაზ. „ისარში“ 1907 წლის 17 იანვარს. ავტორი ამ წერილში 1907 წლის ამბებს თიანელ სოციალ-დემოკრატების საქმიანობას ეხება.

² ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, თბილისი, 1964, გვ. 55.

³ იქვე, გვ. 71.

„მოკეთის“ წერილი „თიანეთი“ შინაარსითა და ენით საგრძობლად განსხვავდება ი. იმედაშვილისა და კ. გვარამაძის წერილებისაგან, ამიტომ ვერც ერთ მათგანს გამოსაკვლევი წერილის ავტორად ვერ მივიჩნევთ.

შინაარსის მიხედვით, ავტორი „მოკეთე“ თიანეთის გულშემატყვიარი და მახლობელია. მისი ეინაობის დადგენისას ვარაუდი ჩვენ ვაჟა-ფშაველაზე შევაჩერეთ და აი, რატომ.

1907 წლის 13 იანვარს თიანეთში წვირილ მემამულეთა წინასაარჩევნო კრება გაიმართა. ამ კრებაზე ფედერალისტებმა დეპუტატობის კანდიდატად ვაჟა-ფშაველა წააყენეს, მაგრამ საკმაო ხმების მიუღებლობის გამო მისი კანდიდატურა არ დამტკიცდა. ხმის მიცემის ნაცვლად სოციალ-დემოკრატებმა კრებაზე ვაჟა-ფშაველას შეურაცხყოფა მიაყენეს, ამის შემდეგ მდგომარეობა უფრო გაუარესდა თიანელ წითელ რაზმელთა შორის.

კრების მეოთხე დღეს, ე. ი. 1907 წლის 17 იანვარს, ვაზ. „ისარში“ „მოკეთის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ზემოთ მითითებული იუმორისტული წერილი „თიანეთი“, რომელშიაც გაკრიტიკებული იყო სოციალ-დემოკრატების მოქმედება. ეს წერილი ვაჟა-ფშაველას უნდა დაეწერა, რადგან მოწინააღმდეგე მხარემ კრებაზე იგი უმოწყალოდ გააშავეს. ცნობილია, რომ მწერალი რაიმე უკანონო საქციელს არავის აპატიებდა და, თუკი ვინმე მის წინააღმდეგ გაილაშქრებდა, იგი უმალ პრესის საშუალებით გამოეხმაურებოდა და საკადრისს მიუზღავედა. ასე იყო ამჟამადაც.

არც სოციალ-დემოკრატები დარჩენილან ვალში. „მოკეთის“ წერილის („თიანეთი“) გამოსვლის მეორე დღესვე განაწყენებულებმა 1907 წლის ვაზ. „საყვირის“ მე-3 ნომერში საპასუხო წერილი დაბეჭდეს. მათაც წერილს „თიანეთი“ უწოდეს და მასში აღწერეს თიანეთის წვირილმემამულეთა წინასაარჩევნო კრების (13 იანვრის) შედეგები, გააკრიტიკეს ფედერალისტები და სასტიკად გაილაშქრეს ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ.

ამ ორი წერილის გამოსვლის მიზეზი და შინაარსი პირდაპირ კავშირშია წინასაარჩევნო კრებაზე მწერლისა და მისი კანდიდატურის წინააღმდეგ გამლაშქრებელ პირთა დამოკიდებულებასთან. ამდენად თიანელი „მოკეთეს“ ვინაობა სხვაგან აღარ უნდა ვეძიოთ.

ვაჟა დიდი სამწერლო საქმიანობის პარალელურად რევოლუციურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. იგი სემინარიაში მოწაფეობის დროსვე ჩაება ხალხოსნურ მოძრაობაში და დიდი ხნის განმავლობაში არ შეუწყვეტია მასთან კავშირი.

გარდა ნიკო ტლამაძისა, რომელთანაც ურთიერთობას პროფ. ს. ყუბანეიშვილი აგვიწერს, 1905 წლის ამბების პერიოდში მწერალთან ახლო ურთიერთობა ჰქონდათ წითელრაზმელებს — სოფ. ბოდავის მღვდლის შვილს ა. ჩხეიძეს და სოფ. ჭობორტში მცხოვრებ ჩოკანაშვილს, რომელნიც ერწოსა და მაღაროსკარის საზოგადოებებში აგიტაციებს ეწეოდნენ.

ჩვენ მიერ მიგნებული წერილებიდან ირკვევა, რომ ვაჟა-ფშაველა 1907 წელს პოლიტიკური საქმიანობით ფედერალისტების მიზიდვარი იყო და მათივე იდეებს უჭერდა მხარს. ამ დროს კი ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის ხშირად იმართებოდა გაუთავებელი დავა. ზემოთ აღნიშნული წერილებიც (იხ. ვაზ. „ისარი“ და „საყვირი“) ასეთ ფაქტებზე მეტყველებენ.

„მოკეთე“ რომ ვაჟას ფსევდონიმაა, ამას მწერლისთვის დამახასიათებელი გამოთქმებიც ნათლად ადასტურებს.

წერილში ისეთი საყურადღებო ადგილებია, რასაც საკითხის გადაწყვეტი-სათვის გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. მაგალითად, „მოკეთეს“ წე-რილში მოჰყავს სოციალ-დემოკრატების „ქადაგება“: „ჩვენი პარტია ძველია, ვინ იცის, რა დროიდან მომდინარეობსო, ფედერალისტები მხოლოდ დღეს გა-მოჩნდნენ, წინათ მაგათი ხსენება არ იყოო“. „მოკეთეს“ ამის შესახებ იქვე აღ-ნიშნავს: „პარტიის სიბერე-სიძველე უძღურებას ნიშნავს და სიკეთედ არ ჩაი-თვლება“; თანაც ასეთ მაგალითს უპირისპირებს: „ჩვენი სოფლის პირას ერთი დიდი ლოდი ძეგს, ვინ იცის რამდენი ხანია, მაგრამ იმას არავისათვის არა ურ-გია რა“.

„მოკეთეს“ ამ უმომბაო, უსარგებლო ლოდს სოციალ-დემოკრატების პარ-ტისა აღარებს. ისმება კითხვა, რომელ ლოდზეა ლაპარაკი? სად გდია იგი? ჩვენი აზრით, ეს ის ლოდია, რომელთანაც ვაჟა-ფშაველა ხშირად მიდიოდა და წერდა მის შესახებ. აი, რას ვკითხულობთ ვაჟას სხვა წერილში („ფიქრები, მოგონება და ოცნება“): „...ერთმა ქვამ, დიდმა ლოდმა, გამოჭირა საქმე. ჭალა-ში გდია, სწორედ გზის თავში. რაც გავჩნდი, მას აქეთ სულ ერთ ადგილას არის წამოყუნთებული... ზედ ხავსი მწვანედ გადაკვრია... ველარაფერმა დაძრა ის მუდრეგი იმ ადგილიდან... ველარ მოვითმინე და მივედი ამ ქვასთან ახლოს. ვუტკირე... წარბს არ იხრია, ბრაზმორეულმა ჯოხი დავუშინე; ადგე, შე მუდ-რეგო, თუ გძინავს, გაიღვიძე, თუ გლოცავს, დაიძინე, აბა რას უგდებარ ეგრე ოხრად და ტიალად? რას ჰგავს შენი ყოფნა?...“

ზემოთ აღნიშნულ წერილებში ხსენებულ იმ ერთსა და იმავე ლოდზეა ლაპარაკი, რომელიც ქამთა ვითარებას ჩვენამდე შემოუნახავს და დღესაც ფერმუტცვლელად დევს ჩარგლის მახლობლად ჭალაში. ვაჟა ამ ლოდს წამ სხვა წერილებშიც იხსენიებს. ამდენად ზემოთ აღნიშნული წერილების ავტორიც ერთი და იგივე პირი უნდა იყოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ „მოკეთეს“ სოციალ-დემოკრატების გაკრიტიკები-სას ერთ ადგილას წერს: „გაუწყრეს წმინდა კოპალე, ლაშარის ჯვარი, ჭიჭახის ჯვარი ვინც სოციალ-დემოკრატები ფედერალისტებზე გაცვალოსო“. მწერალი მსგავს ფრაზეოლოგიას ხმარობს თავის დრამატულ ნაწარმოებში „სცენა მთა-ში“: „დაგწყიოს გუდანის ჯვარამე, ხახმატის ჯვარამე, ჭიჭახის ჯვარამე“. „მო-კეთის“ მიერ ზემოთ აღნიშნული წმინდა კოპალე და ლაშარის ჯვარი ფშაველ-თა, ხოლო ჭიჭახის ჯვარი ზევსურთა მთავარი სალოცავებია.

ცხადია, ვაჟა-ფშაველა უყურადღებოდ არ დატოვებდა შეურაცხყოფას, რომელიც წინა საარჩევნო კრების მოწინააღმდეგეებმა გაზეთ „საყვირი“ და ბეჭდელი წერილით მიაყენეს.

და აი, 1907 წლის 14 თებერვალს „ეკალ-ძმარას“ ფსევდონიმით გა-ზეთ „ისარში“ დაიბეჭდა ვრცელი წერილი „გაზეთი „საყვირი“ და თიანური არჩევნები“.

„ეკალ-ძმარა“ ამ წერილში კვლავ უბრუნდება ადრინდელ საკითხს და უფ-რო ვრცლად ეხება თიანელ წვილ მემამულეთა 13 იანვრის კრებისა და 27 იანვრის სამაზრო არჩევნების შედეგებს, დაწვრილებით აცნობს მკითხველს სოციალ-დემოკრატების ხრიკებს და არჩევნებში ზედმეტი ხმების მიღების მი-ზეზებს.

აღსანიშნავია, რომ „ეკალ-ძმარას“ წერილიც, „მოკეთის“ წერილის მსგავ-სად, დიდი მხატვრული გემოვნებით არის დაწერილი. ენა ცოცხალია, სხარტი და სადა. ამჟამად ეტყობა ვაჟასეულობა. ეს წერილი „მოკეთის“ წერილის „თი-

ანეთის“ გაგრძელება უნდა იყოს. მათი შინაარსისა და სტილის შესწავლის შედეგად შესაძლებლობა მოგვეცა, გაბედულად გვეთქვა, რომ მათი დამწერი ერთი და იგივე პიროვნებაა. ორივე წერილის თემასა და ფრაზეოლოგიას აშკარად ეტყობა ვაჟასეულობა.

„მოკეთეს“ და „ეკალ-ძმარას“ წერილები, გარდა იმისა, რომ საინტერესო ცნობებს შეიცავს თიანეთის სამაზრო არჩევნების შესახებ, საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ისინი ვაჟას პოლიტიკური მიმართულებისა და თიანეთში მოქმედი ორი პარტიის სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების ურთიერთ დამოკიდებულების ნათელ სურათს იძლევიან.

1890 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 215) „დროებით თიანეთის“ ფსევდონიმით გამოქვეყნდა ვრცელი კორესპონდენცია „ხმა პროვინციიდან“. ეს წერილი იუმორისტულია და ეხება დაბა თიანეთის საკვირბოროტო საკითხებს. ავტორი მისში ეხება — ჯარის საზაფხულო ბანაკის გამართვას, ჯარის მიერ მახლობელი მამულების ხელში ჩაგდებას, ვლევებისათვის სახნავ-სათესი ადგილების მოსპობას, ლუქმაპურის საშოვრად ადგილობრივი ხალხის სხვაგან წასვლას, საჭონლის დაავადებას, მასწავლებლის მიერ სკოლის მიტოვებას და პურის მცხოვრად დადგომას, ახალგაზრდობის უსაქმურობას, ლოთობასა და სასტუმროში არსებულ ანტისანიტარიულ მდგომარეობას.

ამ წერილის გამოქვეყნებას მაზრის ინტელიგენციაში დიდი აყალ-მაყალი მოჰყვა. ყველას სურდა გაეგო ვინ იყო ავტორი, მაგრამ იგი დღემდე უცნობი დარჩა.

ქართული განვითების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიაში „დროებით თიანეთი“ ფსევდონიმად არის ნაჩვენები და ავტორის ვინაობა ამოუხსნელია.

ვის უნდა ეკუთვნოდეს ფსევდონიმი, „დროებით თიანეთი“? გასული საუკუნის 90-იან წლებში თიანეთისათვის ყველაზე მეტად ვის შესტყობდა გული? თიანელბზე ვის შეეძლო ამ დროს დაეწერა ასეთი მალალმხატვრული გემოვნებით იუმორისტული საგაზეთო წერილი? ყველა ამ კითხვას მხოლოდ ერთი პასუხი უნდა გაეცეს: უპირველესად ვაჟა-ფშაველას. ამიტომაც საკვლევი წერილის ავტორად იგი მივიჩნით.

პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ ვაჟა-ფშაველა სამუდამოდ დამკვიდრდა დედამამისეულ ნაფეძარში — სოფელ ჩარვალში. ამდენად მაზრის ცენტრში — თიანეთში ხშირად დაიარებოდა. მთელი თიანეთის მაზრა მისი მუდმივი ყურადღების ცენტრში იყო. აქ შექმნა ფელეტონებისა და კორესპონდენციების საუცხოო ციკლი. აქედან აწვდიდა საზოგადოებას სულიერსა და გონებრივ საზრდოს. ზემოთ აღნიშნული წერილიც ამ პერიოდს ეკუთვნის.

ვინც კი „დროებით თიანეთის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილს წაიკითხავს, შეამჩნევს, რომ იგი ვაჟა-ფშაველას აზრისა და გონების ნაყოფია. ვაჟასათვის დამახასიათებელი წერის ინდივიდუალური მანერა, სტილი, მწერლის სხვა წერილებთან ამ კორესპონდენციის აზრებისა და ფრაზების პირდაპირი დამთხვევა უდავოს ხდის, რომ „დროებით თიანეთი“ ვაჟა-ფშაველაა.

„დროებით თიანეთი“ კორესპონდენციაში „ხმა პროვინციიდან“ თავისი ვინაობის მისანიშნებლად ერთ ამბავს ასეთნაირად გადმოგვცემს: „მეფურნეობის სარფამ მადა გაუღვიძა... თიანურ მასწავლებელსაც. ამან აღარ იკმარა თიანელ ყრმათათვის გონების საზრდოს მიწოდება და ახლა კუქის საზრდოს მზადება-მიწოდებას მიჰყო ხელი, მაგრამ კოჭი აღჩუს ვერ დაუჯდა... როგორცა

გაქურდეს ეს ფურნე, მოიპარეს 80 მანეთი ფული და მასწავლებლის საათი... ქურდი იმისავე ფურნეში მოსამსახურე ბიჭი აღმოჩნდა“.

ეს ამბავი ვაჟა-ფშაველას უცვლელად აღწერილი აქვს „იქაურის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში „დაბა თიანეთი“ (იხ. ტ. X, გვ. 61), რომელიც „დროებით თიანეთის“ წერილის გამოსვლიდან ერთი კვირის შემდეგ დაიბეჭდა. ამ წერილშივეა სხვა მსგავსი აზრებიც, რომლებიც მოწმობს, რომ ისინი ერთისა და იმავე ავტორის გულისა და ტვინის ნაშუქია.

ჩვენი აზრით, ანგარიშგასაწვეია „დროებით თიანეთის“ წერილის („ხმა პროვინციიდან“) ფინალი, რომელიც ვაჟასათვის დამახასიათებელი ტონით ბოლოვდება: „...მაგრამ ყველა ზემოთ ნათქვამი კი უფრო საყურადღებოა იმათთვის, ვისაც ძვირად უღირს ერის ზნეობრივი სისპეტაკე და სიფხიზლე, მაგრამ ვის შესტკივა თიანეთებისათვის გული და ან ვის რად ესაქიროება მათი ზნეობის დაცვა?!“

„დროებით თიანეთი“ რომ ვაჟას ფსევდონიმა, ამ აზრთან გვაახლოებს სხვა გარემოებაც.

„დროებით თიანეთის“ ხელმოწერით გაზ. „სახალხო ფურცელში“ (1915 წ., № 234) დაბეჭდილია კორესპონდენცია „ილდაკნის გმირები“. მასში მოთხრობილია ვაჟა-ფშაველას ახლო მეგობრის რევაზ გოჯიაშვილის ამბავი. ამ წერილში საკმაოდ არის ისეთი საკითხები, ფრაზები და ტერმინები, რომლებიც მწერლის სხვა პუბლიკაციებს ახასიათებს.

ვაჟა-ფშაველას აზრით, ძნელი არ არის ნიჭიერი მწერლის ნაწარმოების ცნობა თუნდაც იგი ხელმოუწერილი იყოს. იგი წერს: „...მწერალს, უპირველესად ყოვლისა, საკუთარი „ენა“ უნდა ჰქონდეს... ენაში იმალება მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი რამ წაგვიტოხავთ წინათ, შემდეგ ხელმოუწერილიც რომ შეგხვდეთ, ადვილად იცნობთ, ვის კალამსაც ეკუთვნის“ (ტ. IX, გვ. 294).

ფსევდონიმებზე მუშაობისას მრავალი გარემოება შევისწავლეთ და გავანალიზეთ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ ამოხსნილად მიგვაჩნია ვაჟა-ფშაველას რამდენიმე ფსევდონიმი: „მეთვალყურე“, „ფშაველი მწყემსი“, „მოკეთე“, „ეკალ-ძმარა“, „დროებით თიანეთი“.

ჩვენ გვწამს, რომ მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას თიანური პუბლიკაციების ბრწყინვალე ნიმუშები დაუბრუნდება. ესენია: „თიანეთი“ (გაზ. „ივერია“, 1888, № 74), „ცოტა რამ ფშავ-ხევსურეთის ვითარების შესახებ“ („ივერია“, 1900, № 19), „თიანეთი“ („ისარი“, 1907, № 10), „გაზეთი „საყვირი“ და თიანური არჩევნები“ („ისარი“, 1907, 14 თებერვალი), „ხმა პროვინციიდან“ („ივერია“, 1890, № 214), „ილდაკნის გმირები“ („სახალხო ფურცელი“, 1915, № 234).

გარდა აღნიშნულისა, ქართულ ჟურნალ-გაზეთების გაცრეცილ ფურცლებზე მივაკვლიეთ ვაჟა-ფშაველას ხელმოწერილ დაბეჭდილ წერილებს, რომლებიც მის თხზულებათა სრული კრებულის ათტომეულში შესული არ არის. ესენია: „დაგვიანებული პასუხი ბ. რედაქტორი“ („სახალხო ფურცელი“, 1914, № 132), „პროვინციის ცხოვრება“ (გაზ. „ისარი“, 1908, № 45), „დებეშა თიან-“



ნეთიდან იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების გამო“, „დეპეშა დუშეთიდან“⁴ წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის 30 წლის იუბილეს გამო“ („სახალხო გაზეთი“, 1913, № 1014)⁴.

⁴ ჩვენი აზრით, ვაჟა-ფშაველას ეკუთვნის აგრეთვე: 1. 1903 წლის № 71 „ივერიაში“ „ნ ა რ ბ ა რ ი ს“ ფსევდონიმით დაბეჭდილი კორესპონდენცია „წერილი რედაქციის მიმართ“; 2. 1909 წლის № 210, 218 გაზეთ „დროებაში“ „მ გ ზ ა ე რ ი ს“ ფსევდონიმით დაბეჭდილი წერილები, სათაურით „მთათა შორის (თიანეთი დუშეთი და დუშეთი თიანეთი)“; 3. 1914 წლის № 161 გაზეთ „სახალხო ფურცელში“ „მთიული წყალობას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „დუშეთის რამე-რუმე. მათ შესახებ გამოკვლევას ცალკე გამოქვეყნებთ.

В. И. АБРАМИШВИЛИ

О ТИАНЕТСКИХ НЕИЗВЕСТНЫХ ПУБЛИКАЦИЯХ ВАЖА-ПШАВЕЛА

Резюме

В предлагаемом труде представлены несколько неизвестных псевдонимов Важа-Пшавела и приведены статьи, подписанные этими псевдонимами. Так, например, под псевдонимом «Метвалкуре» (Наблюдатель) опубликована статья «Тианети» (газ. «Иверия», 1888, № 74), под «Пшавели мцкемси» (Пшавский пастух) — «Кое-что о Пшав-Хевсурети» (газ. «Иверия», 1900, № 19), под «Мокете» (Благодетель) — ст. «Тианети» («Исари», 1907, № 10), под «Экал-дзмара» (Колючка-уксус) — ст. «Газета «Гудок» и выборы в Тианети» («Исари», 1907, 14 февраля), под «Дрозбит тианели» (Временный тианетец) — две статьи: «Голос из провинции» (газ. «Иверия», 1890, № 214) и «Герои Илдакани» (газ. «Сахалхо пурцели», 1915, № 234), под «Мгзаври» (Путешественник) — две статьи под одним заголовком «Между горами» (с подзаголовками «Тианети Душети» и «Душети Тианети») — (газ. «Дрозба», 1909, №№ 210, 218), под «Начобнари» (Бывший чабан) — ст. «Письмо в редакцию» (газ. «Иверия», 1903, № 71), под «Мтиули Цкалоба» (Горец Цкалоба) — ст. «Душетское кое-что» («Сахалхо пурцели», 1914, № 161).

Кроме вышеизложенного, в труде приводятся статьи, подписанные просто «Важа-Пшавела», не вошедшие в его полное собрание сочинений: «Запоздалый ответ» («Сахалхо пурцели», 1914, № 132); «Провинциальная жизнь» («Исари», 1908, № 45).

Выявленные псевдонимы Важа-Пшавела дополняют имеющийся список его псевдонимов, а приведенные его публикации помогут заполнить существенные пробелы в изучении наследия Важа-Пшавела.

¹ წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა

ილია ტაბაღა

 ესპანელი ავტორი საქართველოში ავგუსტინელ მისიონერთა
 მოღვაწეობის შესახებ

1978 წელს ესპანეთის ქალაქ ვალიადოლიდში კარლოს ალონსო ესპანურ ენაზე გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით: „ავგუსტინელი მისიონერები საქართველოში (XVII საუკუნე)“¹.

წიგნის წინასიტყვაობის ავტორი ხულიან ვარსია სენტერო, რომელიც მაღალ შეფასებას აძლევს წიგნს და მისი ავტორის მოღვაწეობას, აღნიშნავს, რომ კარლოს ალონსო დეტალურად განიხილავს ავგუსტინელ მისიონერთა მოღვაწეობას 1628—1639 წწ. კავკასიის ერთ ქვეყანაში — საქართველოში.

კარლოს ალონსოს წიგნი დაწერილია მდიდარი საარქივო, დღემდე გამოუქვეყნებელი მასალების საფუძველზე, რაც მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ცნობილმა ქართველოლოგმა ბელგიელმა მეცნიერმა პროფესორმა მიშელ ვან ესბროკმა ამ წიგნს მაღალი შეფასება მისცა. მან მოუთითა იმაზე, რომ „დასავლეთ ევროპელი მკითხველი საერთოდ ნაკლებად იცნობს საქართველოს“ და ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულად დიდია კარლოს ალონსოს წიგნის მნიშვნელობა².

ცნობილია, რომ ავგუსტინელ მისიონერთა მოღვაწეობის ძირითადი ადგილი იყო გოა (ინდოეთი). აქ შეიქმნა „აღმოსავლეთ ინდოეთის ავგუსტინელ-

¹ Carlos Alonso O. S. A., Misioneros Agustinos en Georgia (Siglo XVII), «Estudios de Historia Agustiniana», Ed. Estudio Agustiniano, Valladolid, 1978, 143 გვ. და ვ. სახელებზე კარლოს ალონსოს სხვა ზოგიერთ ნაშრომსაც, რომელნიც ამავე საკითხებს ეხებიან: OSA (Archivio Generale degli Agostiniani). Los mandeos y las misiones catolicas en la primera mitad del siglo XVII, «Orientalia Christiana Analecta», 179, Roma, 1967; Angel Maria Cittadini, O. P., Arzobispo de Naxiwan, Studia Ephemeridis «Agustinianum», 6. Roma, 1970. Stato delle missioni agostiniane nelle Indie Orientali secondo una relazione inedita del 1640, «Analecta Augustiniana», 1962, № 25, გვ. 291—325; Documentacion inédita para una biografia de Fr. Alejo de Meneses, O. S. A., Arzobispo de Goa (1595—1612), «Analecta Augustiniana», 1964, № 37, გვ. 263—333; Misiones de la Orden de S. Agustin en Georgia (1628—1639), «Analecta Augustiniana», 1965, № 28, გვ. 219—280; El. P. José del Rosario, OSA., y la Mision Agustiniana de Persia, «Analecta Augustiniana», 1966, № 29, გვ. 272—315; Nueva documentacion inédita sobre las misiones agustinianas en la India y Persia, «Analecta Augustiniana», 1970, № 33, გვ. 309—393; Miscellanea Missionaria Agustiniana (sec. XVII), «Analecta Augustiniana», 1971, № 34, გვ. 239—294; El convento agustiniano de Ispahan durante el periodo 1621—1671, «Analecta Augustiniana», 1973, გვ. 247—308 და სხვა.

² Michel van Esbroeck S. J., Carlos Alonso O. S. A., Misioneros Agustinos en Georgia (Siglo XVII), Valladolid, 1978, 143, გვ. «Orientalia Christiana Periodica», vol. XLVI/1980, Roma, გვ. 226—227.

თა კონგრეგაცია“. მისი ერთ-ერთი განშტოება იყო საქართველოს — ავგუსტინელთა გორის მისიონი.

კარლოს ალონსოს დასახელებული წიგნი შედგება შესავლისაგან, რომელსაც მოსდევს: გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის დასახელება, რვა თავი, დასკვნა, ქეთევან დედოფლის წამების შესახებ ერთი დოკუმენტი და სახელთა საძიებელი.

წყაროებისა და ლიტერატურის სიაში დასახელებულია მადრიდის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება, ვატიკანის არქივი, წმ. კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდეს“ არქივი, ფეხშიშველ კარმელიტთა მთავარი არქივი, ავგუსტინელ მისიონერთა მთავარი არქივი და სხვ.³

კარლოს ალონსო თავისი წიგნის პირველ თავში ეხება გოაში „ავგუსტინელ მისიონერთა აღმოსავლეთ ინდოეთის“ კონგრეგაციის დაარსებას. სწორედ აქედან დაიწყო ავგუსტინელ მისიონერთა მოღვაწეობა კავკასიაში, კერძოდ საქართველოში, სადაც ისინი პირველად მოვიდნენ 1628 წელს და გორში ავგუსტინელთა მისიონი დააარსეს⁴. ამის შესახებ, შენიშნავს კარლოს ალონსო, საინტერესო მასალებია მოცემული მისიონერთა წერილებში, რომლებიც რომის არქივებში ინახება⁵.

ავგუსტინელ მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში ემთხვევა აღმოსავლეთ საქართველოში თეიმურაზ I-ის მეფობის პერიოდს. კ. ალონსო მიუთითებს, რომ მეფე თეიმურაზ I ცნობილი იყო, როგორც პოეტი⁶.

შემდეგ კ. ალონსო განიხილავს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მდგომარეობას უძველესი დროიდან XVII საუკუნის დასაწყისამდე⁷ და აღნიშნავს, რომ უძველეს დროში საქართველო მოიცავდა კოლხეთსა და იბერიას. კოლხეთში ახ. წ. III საუკუნეში ჩამოყალიბდა ლაზიკის სახელმწიფო, სადაც ცხოვრობდნენ „ლაზის“ ანუ „ლევის“ ტომები. ამასთანავე, ქართულ ოფიციალურ ისტორიულ ლიტერატურაში ჩნდება სახელწოდება ეგრისი. შემდგომში ამ მხარეს ეწოდა დასავლეთ საქართველო, რომელიც მოიცავს აუხაზეთს, სვანეთს, სამეგრელოს, გურიას და იმერეთს⁸.

აღმოსავლეთ საქართველო მოიცავდა კახეთსა და ქართლს, ეს არის ისტორიული იბერია (ბერძნულ-რომაული წარმოშობის სახელწოდება).

ახ. წ. IV საუკუნეში საქართველოს სამეფო სტაბილური ხდება. ამ საუკუნის პირველ ნახევარში საქართველო ქრისტიანობას ღებულობს. V—VI სს. მიმდინარეობს ბრძოლა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის საქართველოზე გავლენის მოსაპოვებლად.

³ კარლოს ალონსო, რომელსაც ჩვენ 1980 წელს რომში შევხვდით, აქამადაც ნაყოფიერად ვანაგრძობს მუშაობას რომის არქივებში აღმოსავლეთში მისიონერების მოღვაწეობასთან დაკავშირებულ მასალებზე.

⁴ Th. de Herrera. Alphabetum Augustinianum. vol. I, Madrid, 1643, გვ. 324; C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 11; Archivio Generale degli Agostiniani (Roma), Serie Aa, vols. 41, 42.

⁵ Carlos Alonso, Misiones de la Orden de San Agustin en Georgia (1628—1639), «Analecta Augustiniana», 1965, № 28, გვ. 219—280.

⁶ C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 13.

⁷ იქვე, გვ. 13—26.

⁸ იქვე, გვ. 14.

შემდეგ ავტორი ეხება საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლას, რომელსაც ქართველი მეფეები ეწეოდნენ. წიგნში მოხსენიებულია ბაგრატ II, დავით IV, დავით V და სხვ. აქვე მოცემულია საქართველოს მეფეთა გენეალოგია XVII საუკუნის პირველ ნახევრამდე⁹.

კარლოს ალონსო კვლავ უბრუნდება საქართველოში ქრისტიანობის მიღების საკითხს და განიხილავს ქართულ ქრისტიანულ ლიტერატურას. შემდეგ ეხება ქართველი ხალხის ბრძოლას ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის, კერძოდ, სპარსელ და თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ. ლაპარაკია სიმონ I-ის (1558—1600) ბრძოლაზე სპარსელ და თურქ მოძალადეთა წინააღმდეგ, საქართველოში სპარსეთის შაჰების ლაშქრობაზე, კერძოდ შაჰ აბას I-ის, (1587—1629) შემოსევებზე, რომლებიც საქართველოსათვის გამანადგურებელი იყო.

ავტორი განიხილავს სპარსეთ-თურქეთის ომებს და ამ ომებისადმი საქართველოს დამოკიდებულებას, მათში მონაწილეობას და მათს შედეგებს საქართველოსათვის.

ამ დროს შაჰის კარზე უამრავ ელჩებს შეხვდებოდათ, ჩამოსულებს სხვადასხვა ქვეყნიებიდან, მათ შორის საქართველოდანაც. მაგალითად, 1602 წლის 4 ოქტომბერს შაჰის კარზე იყო საქართველოს ელჩი. აქვე იყვნენ ესპანეთისა და პორტუგალიის ელჩებიც.

ეხება რა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ისა (1574—1602) და ქართლის მეფის გიორგი X-ის (1599—1605) სპარსეთის შაჰთან დამოკიდებულებას, კ. ალონსო მიუთითებს, რომ შაჰის ლაშქრობის დროს ეს მეფეები მას თავიანთი ჯარის ნაწილებით ახლდნენო.

კ. ალონსო აღნიშნავს, რომ კახეთის მეფე ალექსანდრე II შაჰ აბასის საველე ბანაკში ყოფილა მამინ, როდესაც 1604 წლის ოქტომბერში ესპანეთის მეფის ელჩი ლუის პერეირა დე ლაჩერდა შაჰ აბასთან მივიდა. ელჩს ახლდნენ ავგუსტინელი მისიონერები: მელშორ დე ლოს ანეელესი და გილერმო დე სანტო აგოსტინო.

აქ ავგუსტინელ მისიონერებს საუბარი ჰქონიათ კახეთის მეფე ალექსანდრესთან, კახეთის კათალიკოსთან, სამცხეს ათაბაგ მანუჩართან და სხვა ქართველებთან. ალექსანდრეს, კათალიკოსს და მანუჩარს ავგუსტინელი მისიონერები თავიანთ მხარეებში მიუპატიჟებიათ.

შემდეგ კ. ალონსო ეხება კახეთის მეფე ალექსანდრეს მეფობის უკანასკნელ პერიოდს, საკუთარი შვილის — კონსტანტინეს მიერ მის მოკვლას. შენიშნავს, რომ შაჰ აბასის (რომელიც დაკავშირებულიყო ამ მკვლელობასთან) გეგმა ვერ განხორციელდაო. კახეთის მოსახლეობამ კონსტანტინე მეფედ არ მიიღო.

1606 წელს კახეთში თეიმურაზ I გამეფდა. პირველ ხანებში თეიმურაზი და დედამისი — ქეთევან დედოფალი ერთად მართავდნენ ქვეყანას. ამ დროს მცირეწლოვანი ლუარსაბი ქართლის მეფე გახდა.

1611 წელს შაჰ აბას I-მა მოსკოვის დიდ მთავართან ელჩი გაგზავნა. ამ ელჩს ახლდა მისიონერი ზუან თადეო და სანტო ელისეო. მათ საქართველოზე გაიარეს და თან ჰქონდათ შაჰ აბასის სარეკომენდაციო წერილი მეფე თეიმურაზთან, რათა მას მშვიდობიანად გაეტარებინა ისინი თავის სამფლობელოს

⁹ C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 15—16.

ტერიტორიაზე. ამ დროს ხუან თადეო დე სანტო ელისეო გაცნობია საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას და ამის შესახებ რომში „პროპაგანდა ფიდელსათვის“ წერილი გაუგზავნია¹⁰.

შაპ აბას I უკმაყოფილო იყო კახეთისა და ქართლის მეფეების პოლიტიკით. მას არ აწყობდა მათ შორის კარგი ურთიერთობა. შაპი ეძებდა მომენტს მათ მიმართ, შურისძიებისათვის. შაპმა გადაწყვიტა თურქეთთან საომარი მოქმედება განეხილათ (მათ შორის არსებული ზავი დაარღვია). შაპს ამ გზით უნდოდა აღმოსავლეთ საქართველო შემოემტკიცებინა. 1613 წლის 17 ნოემბერს შაპ აბასი თავისი დიდძალი ლაშქრით საქართველოსაკენ დაიძრა.

როგორც კი ყარაბახს მიაღწია, შაპ აბასმა თეიმურაზ მეფეს შეუთვალა მისთვის მძევლები გამოეგზავნა. თეიმურაზმა დიდი ხნის ყოყმანისა და ახლობლების რჩევის შემდეგ, შაპთან გაგზავნა დედაამისი — ქეთევან დედოფალი, თავისი ორი ვაჟი — ლევანი და ალექსანდრე და წარჩინებული პირები (ქალი და კაცი, რომლებიც დედოფალს ახლდნენ).

1614 წლის მარტში შაპ აბასმა კახეთი დაიპყრო და გაანადგურა. თეიმურაზმა ქართლს შეაფარა თავი — ლუარსაბთან მივიდა. როდესაც შაპმა ქართლს შეუტია, თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთში გიორგი მეფესთან გადავიდნენ, „რომელიც კონსტანტინოპოლის გავლენის ქვეშ იყო“¹¹.

შაპ აბასმა იმერეთის მეფე გიორგის მოსთხოვა ქართლისა და კახეთის მეფეების გადაცემა, მაგრამ იმერეთის მეფემ შაპს თავზოიანი უპასუხა. კახეთში მმართველობა შაპმა რენეგატ ისახანს გადასცა. ქეთევან დედოფალი და თეიმურაზის ვაჟები სპარსეთში გაგზავნა. მას ისინი ჯერ ისპაანში ჰყავდა, ხოლო შემდეგ — შირაზში გადაასახლა.

შაპ აბასი ამჯერად სპარსეთში დაბრუნდა, თან წაიყვანა ათეულ ათასობით ქართველი, რომლებიც კახეთის მიწიდან აყარა. შემდეგ კვლავ გაილაშქრა საქართველოზე. კარლოს ალონსო აქვე ეხება „რენეგატი მოურავ ბეგის“ (გიორგი სააკაძის) მოღვაწეობას საქართველოში¹². კ. ალონსო მიუთითებს, რომ შაპ აბასმა ლუარსაბ მეფე მოტყუებით იოლად ჩაიგდო ხელში და ბოლო მოუღო მას, ხოლო თეიმურაზი უფრო ეშმაკი აღმოჩნდა.

„ავგუსტინელ მისიონერებსა და ქართველებს შორის პირველი კონტაქტები, — წერს კ. ალონსო, — იწყება 1604 წლის ოქტომბრიდან. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ სპარსეთის ჩრდილოეთ რაიონში, შაპ აბას I-ის საველე ბანაკში, იქ ესპანეთის მეფის ელჩის ლუის პერიერა დე ლაჩერდას მისვლის დროს“. ამ უკანასკნელს, როგორც უკვე ითქვა, ავგუსტინელი მისიონერები ახლდნენ¹³. ამ დროს ქართველებთან ავგუსტინელი მისიონერების საუბრების შინაარსი გადმოცემულია მისიონერ მელშორ დე ლოს ანეელესის მიერ რომში გაგზავნილ წერილებში¹⁴. ავგუსტინელ მისიონერებს ქართველებთან საუ-

¹⁰ C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 22; Florencio del Nino Jesus, En Persia, Pamplona, 1930, გვ. 71—80; A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the XVIIIth and XVIIIth centuries, London, 1939, vol. I, გვ. 194—197; vol. II, გვ. 921.

¹¹ C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 24.

¹² C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 26.

¹³ Roberto Gulbenkian, L'Ambassade en Perse de Luis Pereira de Lacerda et des Pères de l'Ordre de Saint-Augustine, Melchior dos Anjos et Guilherme de Santo Agostinho, 1604—1605, Lisboa 1972, გვ. 81—94; C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 27.

¹⁴ M. Tamarati, L'Eglise Georgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, გვ. 267; C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 27.

ბარი ჰქონდათ ქრისტიანულ, ორთოდოქსალურ სარწმუნოებაზე, ქართულ ეკლესიასა და რომაულ ეკლესიაში არსებულ წესებზე და სხვ.

მისიონერ მელშორ დე ლოს ანეელეს სურვილი გამოუთქვამს ყოფილიყო პირველი ავგუსტინელი მისიონერი, რომელიც საქართველოში წავიდოდა. მას გადაუწყვეტია გაჰყოლოდა ალექსანდრე მეფეს, რომელიც ამ დროს კახეთში ბრუნდებოდა. მაგრამ ესპანეთის ელჩმა ლუის პერერიამ და ლაჩერდამ მას ნება არ დართო¹⁵.

1605 წლის იანვარში, — წერს კ. ალონსო, — ალექსანდრე დაბრუნდა თავის ქვეყანაში — კახეთში, ხოლო 8 მარტს იგი შევიდა თავის სატახტო ქალაქ გრემში. 5 დღის შემდეგ — 13 მარტს იგი „საკუთარმა შვილმა კონსტანტინემ მოჰკლა, ალბათ, შაჰის მიერ წაქეზებულმა“¹⁶.

ესპანეთის ელჩი, სპარსეთში თავისი მისიის დამთავრების შემდეგ, სპარსეთიდან გაემგზავრა. მას თან ახლდნენ ავგუსტინელი მისიონერები. ელჩი ჯერ ორმუხში ჩავიდა, სადაც დარჩა 1605 წლის 10 ნოემბრამდე, ხოლო შემდეგ თავის ქვეყანაში დაბრუნდა. გილერმო დე სანტო ავგუსტინო 1608 წლამდე ორმუხის მონასტერში დარჩა. მელშორ დე ლოს ანეელესი გოას მთავარ მონასტერში გაემგზავრა. მას თან ახლდა სპარსეთის შაჰის ელჩი, რომელიც გოას გავლით ესპანეთში მიემგზავრებოდა.

გოაში ჩასვლისთანავე მელშორ დე ლოს ანეელესმა, ამ ქალაქის არქივისკომისს, ავგუსტინელ მისიონერთა მეთაურს ალეხო დე მენესესს მოახსენა ქართველებთან საუბრის შესახებ და აუხსნა საქართველოში ავგუსტინელთა მისიონის დაარსების პირობები და შესაძლებლობა.

ამ საკითხზე თავისი აზრი ალეხო დე მენესესმა 1605 წლის 13 თებერვალს რომის პაპს პავლე V-ს შეატყობინა, ხოლო პორტუგალიაში დაბრუნების შემდეგ (1609 წლის დეკემბერი) კი წერილები გამოაქვეყნა¹⁷.

1608 წელს ესპანეთის მეფე ფილიპე III-ის განკარგულებით მელშორ დე ლოს ანეელესი კვლავ გაემგზავრა გოადან სპარსეთში. მას ახლაც ახლდა ზემოხსენებული სპარსელი ელჩი, რომელმაც მადრიდში მეფე ფილიპე III-ის სასახლის კარი მოინახულა და თავის სამშობლოში ბრუნდებოდა. ისინი ორმუხში ჩავიდნენ. მათ აქ გილერმო დე სანტო ავგუსტინო შეუერთდა და ისინი სპარსეთში გაემგზავრნენ.

არქივისკომისს ალეხო დე მენესესს თვითონ უნდოდა საქართველოში ჩასვლა. ამის შესახებ მან კიდევ შეუთვალა მელშორ დე ლოს ანეელესის საშუალებით ქართველთა პატრიარქს. ალეხო დე მენესესის ამ საქმით დაინტერესებაზე მიუთითებს 1608 წლის 5 თებერვალს ისპაანიდან პაპი პავლე V-ს სახელზე გაგზავნილი ერთ-ერთი წერილი¹⁸.

1614 წლის ერთ-ერთ წერილში, რომელიც შედგენილია მელშორ დე ლოს ანეელესის მიერ, ნათქვამია, რომ ქართველი „პატრიარქი და ყველა ქართველი ეპისკოპოსი მაღალ შეფასებას აძლევენ არქივისკომისს მენესესის სურვილს“. ეს წერილი 1614 წლის იანვარში მადრიდში გამოქვეყნდა. მელშორ დე ლოს

¹⁵ C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 29.

¹⁶ იქვე.

¹⁷ C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 29; მისივე, «Analecta Augustiniana», 1970, № 33.

¹⁸ «Analecta Augustiniana», 1961, № 24, გვ. 194.

ანეელეს ქართველები გოაში მიუპატიებია, რათა იქიდან პორტუგალიაში გამგზავრებულიყვნენ¹⁹.

მელშორ დე ლოს ანეელესი წერს, რომ შაჰ აბას I მისიონერებს სიძნელებებს არ უქმნიდა წასულიყვნენ და ენახათ საქართველო, მაგრამ იგი საქართველოში ავგუსტინელ მისიონერთა მისიონის შექმნის წინააღმდეგი ყოფილა. მას ეწინააღმდეგებოდა: ავგუსტინელ მისიონერებთან კონტაქტის შემდეგ ქართველებს უარი არ ეთქვათ ყოველწლიურად ვაეებისა და გოგონების ხარკის სახით გაგზავნაზე შაჰთან. კარლოს ალონსო წერს, რომ ამ ქართველ ბიჭებს გამაჰმადიანების შემდეგ შაჰი ჯარში რიცხავდა. საქართველოდან ამ გზით სპარსეთში ჩაყვანილი ბევრი ჯარისკაცია შაჰის არმიაში. ზოგიერთი მათგანი სპარსეთში დიდ თანამდებობასაც აღწევდა.

1613 წლის 13 ივლისს ისპაანიდან პაპი პავლე V-ის სახელზე ავგუსტინელ მისიონერების მიერ გაგზავნილ წერილში ისინი მადლობას მოახსენებენ პაპს იმ წერილისათვის, რომელიც მას შაჰ აბასისათვის მიუწერია მისიონერებისადმი მფარველობის აღმოჩენის შესახებ. პაპის ამ წერილში ქართველებზეც ყოფილა ლაპარაკი: ქართველებს კარგად მიუღიათ მისიონერები და, ეს უკანასკნელნი დიდ იმედებს ამყარებენ ქართველებზე²⁰.

უფრო გვიან, 1626 წლის 15 ნოემბერს, სპარსეთში ავგუსტინელ მისიონერთა უფროსი კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდეს“ სახელზე გაგზავნილ წერილში ურჩევდა მათ ავგუსტინელი მისიონერები გაეგზავნათ საქართველოში.

ამ დროს ავგუსტინელ მისიონერებს კონტაქტი დაუმყარებიათ სამცხეს ათაბაგ მანუჩარ I-თან, როცა ეს უკანასკნელი სპარსეთში ყოფილა. „მანუჩარ I, — წერს კარლოს ალონსო, — მესხეთის თუ სამცხის მთავარი (1582—1614), ქაიხოსრო II-ისა და დედოფალ დედისიმედის ვაჟიშვილი იყო. ეს უკანასკნელი XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში გვევლინება როგორც ზემოხსენებული ტერიტორიის რეგენტი. მანუჩარ I სხენებულ სამთავროს მართავდა როგორც სამცხეს მე-17 ათაბაგი.

1582 წელს მანუჩარმა ცოლად შეირთო ქართლის მეფის სიმონ I-ის ქალიშვილი. 1584 წელს სამცხე თურქებმა დაიპყრეს და მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყვედ წაიყვანეს, ხოლო ტერიტორია სტამბულს დაუქვემდებარეს. 1588 წელს ათაბაგმა თავისი სიმამრის — ქართლის მეფე სიმონ I-ის დახმარებით, თურქების ბატონობას თავი დააღწია²¹.

1608 წლის შობის დღეს შაჰ აბას I თავის კარისკაცებთან ერთად ავგუსტინელ მისიონერთა მონასტერში მივიდა. „შაჰს თან ახლდა საქართველოს ერთ-ერთი პროვინციის მმართველი მანუჩარი“. აქ, კარლოს ალონსო ჰყვება გოჭების ისტორიას: შაჰმა ჰკითხა მისიონერებს, ისინი აღნიშნავდნენ შობის დღესასწაულს სპარსეთში ისევე, როგორც თავიანთ სამშობლოში — პორტუგალიაში? მათ უპასუხეს, რომ პორტუგალიაში შობის დღეს აუცილებლად

¹⁹ Archivo Agustiniiano. 45. გვ. 264—268; C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 30.

²⁰ «Analecta Augustiniana», 1965, № 28; გვ. 222—234; C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 32.

²¹ L. L. Bellan, Chah Abbas I: sa vie, son histoire, Paris, 1932, გვ. 156, 162, 167—168; C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 33.

გოჭს კლავენო, აქ კი გოჭები არ იშოვებოა. ამაზე შაჰმა უბასუხა, რომ ისინი ცდებიან: „ისპაანში არიან გოჭები“, რომ ისინი ჰყავს მას... საქართველოდან გამოგზავნილი. შაჰმა გასცა განკარგულება მათთვის გოჭები მიეცათ და სხვ.²²

1613 წლის 31 ივლისს ავგუსტინელი მისიონერები პაპი პავლე V-ს წერდნენ, რომ საქართველოში ყველა პირობა არსებობდა მისიონერების მუშაობისათვის. ასეთი შინაარსისა, მაგალითად, გილერმო დე სანტო ავგუსტინოს წერილი, რომელიც მან ისპაანიდან რომში გაგზავნა²³.

მელშორ დე ლოს ანეელესი და ხუან დე სანტო ხოზე მადრიდში გაემგზავრნენ. უკან დაბრუნებისას მელშორ დე ლოს ანეელესმა ესპანეთის მეფეს გამოართვა შაჰისადმი ვადასაცემად სარეკომენდაციო წერილი. აქ ლაპარაკი იყო ავგუსტინელ მისიონერთა მფარველობაზე, რომლებიც სპარსეთის შაჰის გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მოღვაწეობდნენ ან მომავალში (ყერძოდ, საქართველოში) იმუშაებდნენ.

ამ დროს მადრიდში სპარსეთში წასასვლელად ემზადებოდა ელჩობა გარსია დე სილვა ფიგეროას მეთაურობით.

როგორც უკვე ითქვა, 1613 წლიდან შაჰ აბას I-ს სპარსეთში ტყვედ ჰყავდა კახეთის დედოფალი ქეთევანი — თეიმურაზის დედა, თეიმურაზის ორი ვაჟიშვილი — ალექსანდრე და ლევანი. საქართველოში მეორე ლაშქრობის დროს — 1616 წლის დასაწყისში შაჰმა მოტყუებით ლუარსაბ მეფე ასტრბადში მიიწვია და იქ დააკავა. შემდეგ „უშიშროების“ საბაბით შირაზში გადაიყვანა და გულაბ-ყალას ციხეში ჩასვა. 1622 წელს შაჰის ბრძანებით ქართლის მეფე ლუარსაბი იქ მოკლეს²⁴.

შირაზში იმყოფებოდა ქეთევან დედოფალიც. 1617 წლის ნოემბერში ქეთევანს იქ შეხვდა ესპანეთის ელჩი დონ გარსია დე სილვა ფიგეროა. ეს ელჩი მეორედაც (1618 წლის 5 აპრილს) შეხვდა ქეთევან დედოფალს²⁵. ესპანეთის მეფის ელჩი ამ შეხვედრების შესახებ მოგვითხრობს თავის მემუარებში²⁶.

1623 წლის აგვისტოში ავგუსტინელ მისიონერთა პატარა კერა შეიქმნა შირაზში. იგი დააარსეს მანუელ დე ლა მადრე დე დიოსმა და აბროზიო დე ლოს ანეელესმა. ეს უკანასკნელი 1618 წელს ჩავიდა სპარსეთში.

როცა 1622 წელს ავგუსტინელმა მისიონერებმა ორმუხში ადგილები დაკარგეს, ისინი ისპაანში გადავიდნენ, იქიდან კი იმავე წლის სექტემბერში მანუელ დე ლა მადრე დე დიოსი და ხუან თადეო დე სანტო ელისეო, ისპანიდან მიდიან. ამბროზიო დე ლოს ანეელესი შირაზში წავიდა.

ქეთევან დედოფლის ტყვეობა 1613—1624 წწ. გრძელდებოდა. უკანასკნელ პერიოდში მასთან იყო ამბროზიო დე ლოს ანეელესი. იგი ქეთევან დედოფალთან და მის თანმხლებ პირებთან საუბრობდა საქართველოში ავგუსტინელ მი-

²² A. Gouvea, *Relaçam das grandes guerras e grandes victorias...*, Lisboa, 1611, გვ. 501—502; R. Gulbenkian, *L'Ambassade en Perse...* გვ. 56; იხ. ასევე, ი. ტაბაღუა, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1, გვ. 7.

²³ „Analecta Augustiniana, 1965, № 28; გვ. 222; C. Alonso, *Misioneros*, გვ. 35.

²⁴ L. L. Bellan, *Chah Abbas I*, გვ. 225; C. Alonso, *Misioneros Agustinos*, გვ. 41.

²⁵ C. Alonso, *Misioneros Agustinos*, გვ. 42.

²⁶ *L'Ambassade de D. Garcias de Silva Figueroa*, Paris, 1767, გვ. 133—134.

სიონერთა მისიონის დაარსებაზე. ეს უკანასკნელი ამის შესახებ ინფორმაციას რომში „პროპაგანდა ფიდეს“ აწვდიდა²⁷.

1624 წლის 22 სექტემბერს, სხვა ცნობით — 25 სექტემბერს (საქართველოში ეკლესია აღნიშნავს წამების დღეს 16 სექტემბერს²⁸), შირაზში შაჰის ბრძანებით წამებით მოკლეს ქეთევან დედოფალი. ეს წამება დეტალურად აქვს აღწერილი ამბროზიო დე ლოს ანჯელესს²⁹.

1626 წლიდან ერთდაგვარი შერიგება ხდება შაჰ აბასს I-სა და თეიმურაზ მეფეს შორის. შაჰ აბასმა ნება დართო მეფეს დედამისის ნეშთის ნაწილები წამოეღო შირაზიდან.

1627 წლის თებერვალში ამბროზიო დე ლოს ანჯელესი ისპაანშია. მანუელ დე ლა მადრე დე დიოსი ისპაანიდან წერილს აგზავნის რომში პიეტრო დე ლა ვალესთან, სადაც აღწერილია ქეთევან დედოფლის წამება შირაზში. აქვე ლაპარაკია ავგუსტინელთა მისიონის დაარსებაზე საქართველოში.

ამ დროისათვის „პროპაგანდა ფიდეს“ უკვე ჰქონდა მისაღები საქართველოს შესახებ, რომლებიც შეადგინეს პიეტრო დელა ვალემ და გრეგორიო ორსინიმ. მათ წერილებში ლაპარაკი იყო საქართველოში მისიონერების გაგზავნის აუცილებლობაზე³⁰.

1628 წლის 13 თებერვალს გადაწყდა ავგუსტინელ მისიონერთა გაგზავნა სპარსეთიდან საქართველოში. ამბროზიო დე ლოს ანჯელესი ჰერმანო პედრო დე ლოს სანტოსთან ერთად ისპაანიდან შირაზში წავიდა, საიდანაც საქართველოში უნდა წაეღოთ ქეთევან დედოფლის ნეშთის ნაწილები. ისინი ერევნისა და ვანჯის (სადაც გუბერნატორი იყო ქართული წარმოშობის დაუდ ხანი) გავლით საქართველოში წავიდნენ. 1628 წლის მისში ისინი საქართველოში ჩავიდნენ, ქეთევან დედოფლის ნეშთის ნაწილები ჩააბარეს თეიმურაზ მეფეს³¹.

მისიონერები წერენ, რომ თეიმურაზი განათლებული კაცი იყო, ის შაჰის კარზე გაიზარდა. „შესანიშნავად ლაპარაკობდა სპარსულად“³². იგი ამ ენაზე ესაუბრებოდა მისიონერებს. საუბრის დროს, ცხადია, მას მოუყუევს ქეთევან დედოფლის წამების ამბები.

ავგუსტინელ მისიონერებს თეიმურაზმა მისცა ცალკე სახლი. ამ სახლში მათ მოაწყვეს ალტარი, სადაც მოათავსეს ქეთევან დედოფლის ნეშთის ნაწილები. მისიონერები შეხვდნენ პატრიარქსაც. ისინი მიიპატიჟა დედოფალმაც.

²⁷ M. Tamarati, L'Eglise géorgienne..., გვ. 484—485; «Analecta Augustiniana», 1965, № 28, გვ. 269—275; C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 43.

²⁸ M. Tarchnichvili, Geschichte der kirchischen georgischen Literature, Città del Vaticano, 1955, გვ. 267.

²⁹ C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 44; Breve relação das christiandades que os religiosos de nosso Padre Sancto Augustino têm a sua conta nas partes do Oriente..., Lisboa, 1630, Cap. I; R. Gulbenkian, L'Ambassade de Luis Pereira de Lacerda..., გვ. 11.

³⁰ C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 52; «Analecta Augustiniana», 1965, № 28, გვ. 237—240.

³¹ R. Gulbenkian, L'Ambassade en Perse de Luis Pereira..., გვ. II, Cartes et Illustration; C. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 56; ი. ტაბაღლაძე, ახალი ცნობები ქეთევან დედოფლის წამების შესახებ, „მაცნე“, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 1, სურათები.

³² «...hablaba perfectamente el idioma persa».

თეიმურაზმა მათ შესთავაზა თვითონ აერჩიათ საცხოვრებელი ადგილი ქართლში. მათ გორი აირჩიეს.

პირველი დღიდანვე ამ მისიონერების მიზანი იყო ქართული ეკლესიის გაერთიანება რომის ეკლესიასთან. ისინი ამ საკითხზე ესაუბრებოდნენ თეიმურაზს და პატრიარქ ზაქარიას. ზაქარია ამ დროს ხანში შესული ყოფილა. მისიონერები წერენ, რომ პატრიარქი ზაქარია იყო მეტად თავაზიანი, მრავალ ქვეყანაში ნამყოფი და საქართველოში მისიონერების ჩამოსვლის მომხრე. ამბროზიო დე ლოს ანჯელესმა მას შესთავაზა პედრო დე ლოს სანტოს თანხლებით რომში გამგზავრება, რაც დიდი პატივი იქნებოდა პაპისათვის, მაგრამ ამ ასაკში ასეთი დიდი მგზავრობის განხორციელება კათალიკოს ზაქარიას არ შეეძლო.

1628 წლის 29 ივლისს მისიონერი პერმანო პედრო დე ლოს სანკტო სპარსეთის გავლით ინდოეთში — გოაში გაემგზავრა. გორიდან მან გაიარა მცხეთაში, კათალიკოს ზაქარიას რეზიდენციაში, ხოლო იქიდან — ერევანში. ამბროზიო დე ლოს ანჯელესი გორში დარჩა.

იმავე წლის 1 დეკემბერს, ისპანისა და შირაზის გავლით პედრო დე ლოს სანკტო გოაში ჩავიდა. მას მიჰქონდა თეიმურაზისა და ზაქარიას წერილები³³.

1628 წლის 14 დეკემბერს ქართლში ჩამოვიდნენ თეათინელი მისიონერები დონ პიეტრო ავიტაბილეს მეთაურობით. გორში ისინი შეხვდნენ ამბროზიო დე ლოს ანჯელესს.

სპარსელთა შემოსევები ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ მისიონერებს. ამ დროს ამბროზიო დე ლოს ანჯელესი ისპანში გაემგზავრა. ამის შემდეგ იგი ერთხელ კიდევ დაბრუნდა გორში, მაგრამ არა დიდი ხნით. 1641 წელს იგი რომში გაემგზავრა და ამით შეწყდა ავგუსტინელ მისიონერთა მოღვაწეობა საქართველოში.

И. М. ТАБАГУА.

ИСПАНСКИЙ АВТОР О ДЕЯТЕЛЬНОСТИ МИССИОНЕРОВ АВГУСТИНЦЕВ В ГРУЗИИ

Резюме

В испанском городе Вальядолиди Карлос Алонсо на испанском языке опубликовал книгу «Миссионеры августинцы в Грузии (XVII в.)». В книге рассказывается о них, а также о деятельности других католических миссионеров, об истории Грузии указанного периода. Книга написана на основании богатейших архивных материалов, найденных автором в архивах Испании и Италии.

Карлос Алонсо и ныне продолжает плодотворную работу в указанных архивах. Он автор также многих интересных статей о Грузии.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილება
 წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა.

³³ С. Alonso, Misioneros Agustinos, გვ. 61.

კონტეკსტუალური და ბიბლიოგრაფიული

ზვიად გამსახურდია

ვეფხისტყაოსნის სტივენსონისაშუალო თარგმანი

ჩვენი ანოტირების მიზანია ვეფხისტყაოსნის სტივენსონისეული თარგმანის ანალიზი — ჩამდენადაა შენარჩუნებული თარგმანებში პოემის სტილი, აზრობრივი შინაარსი, ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია და ტროპული მეტყველების სპეციფიკა, როგორც თარგმანის სტივენსონი რუსთველისეულ აფორიზმებს.

32-ე სტროფში („იყო არაბეთს როსტევან...“) როსტევან მეფის დახასიათებისას გამოტოვებულია სიტყვა „მდაბალი“. სიანს, სტივენსონმა ეს ვერ შეუთავსა მის მეორე ეპითეტს „მალალს“ და ვერ წარმოიდგინა, რომ მეფე შეიძლებოდა ყოფილიყო „მალალიც“ და „მდაბალიც“ ერთდროულად. მ. უორდროპი ინარჩუნებს ამ ეპითეტს და თარგმანის როგორც modest-მართალია, არაბეთის და საერთოდ აღმოსავლეთის დესპოტ მეფეებს (სულთანებს, ხალიფებს, შაჰებს) არ შეეფერებოდა ეს ეპითეტი, ვინაიდან მათში „სიმდაბლე“ ყველაზე ნაკლებად იყო, მაგრამ როსტევანი ხომ მხოლოდ პირობითადაა არაბი, ისევე როგორც სხვა გმირები, იგი ტიპური ქართველი მეფეა, სახელდობრ, მისი პროტოტიპია გიორგი III. დიახ, ჩვენი მეფეები „მალალიც“ იყვნენ და ამავე დროს „მდაბალიც“ არაბი ხალიფებისაგან განსხვავებით, ამიტომ საჭიროა შენარჩუნება ამ ეპითეტისა (modest, humble).

33-ე სტროფში თინათინზე ნათქვამია: „ბრძენი ხაშს მისად საქებრად და ენა ბევრად ასული“, რასაც სტივენსონი შემდეგნაირად თარგმნის: „ღრმა გონების კაცმა უნდა მოჰქიდოს ხელი მის ქებას და მილიარდის მსგავსმა ენამ“ (like a myriad). აქ აჯობებდა მეტი სიზუსტე: კაცი შესაძლოა ღრმა გონების იყოს და არ იყოს ბრძენი; ასე რომ, უნდა ხმარებულიყო სიტყვა wise, ხოლო მილიარდის მსგავს ენას აჯობებდა უბრალოდ „მკერამეტყველი“ (eloquent), როგორც ამას ვხვდებით მ. უორდროპთან, ვინაიდან „ბევრად ასული“ იმდენად სპეციფიკურ-ქართული გამოთქმაა, რომ მისი გადაღება სხვა ენაზე შეუძლებელია.

49-ე სტროფში შეცვლილია ერთი ნიუანსი. კერძოდ, რუსთველისეული აფორიზმი „უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების ვინ ების“ თარგმნილია შემდეგნაირად: „ის ვინც უხვია, თავისუფალ (free) კაცს დააბამს“. „თავისუფალსა“ და „ახსნილს“ შორის კი დიდი განსხვავებაა. სხვათა შორის ეს შეცდომა გაპარვია მ. უორდროპსაც². „ახსნილი“ აშვეებულს, აწვევტილს, ანარქიულს ნიშნავს და არა „თავისუფალს“ ან თუნდაც „მოშვეებულს“ (რაც free-ს მეორადი მნიშვნელობაც არის). შეიძლებოდა ვეცხმარა სიტყვა unbridled, ungovernable, uncontrollable.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ სტივენსონს კარგად უთარგმნია 36-ე სტროფი, ლაკონურად, სიტყვათმრავლობის გარეშე, კარგადაა თარგმნილი აგრეთვე აფორიზმი „ლუკვი ლომისა სწორია“. კარგი იქნებოდა აფორისტული თქმის პრინციპი მის ვეულან დაეცა, ვინაიდან, როგორც ჩვენ ერთხელ შევნიშნეთ ვ. ურუშაძეს, რუსთველი თავის ყოველ სტროქონში აფორისტია და არა მარტო იმ სენტენციებში, რომელნიც მის „აფორიზმებად“ არიან ცნობილი. რუსთველის სტილის მთლიანობა მაშინ ირღვევა, როდესაც მხოლოდ მის ვ. წ. აფორიზმებს თარგმნიან აფორისტული პრინციპით, სიტყვის ეკონომიით, ხოლო პოემის დანარჩენ ადგილებს სიტყვაგმრავლად. მაგალითად, აფორიზმი „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“ მ. უორდროპს გაცილებით უკეთ აქვს თარგმნილი, სტივენსონს კი იგი გაუწეულია, სიტყვები ჩაუმატებია, რი-

ვეფხისტყაოსნის პროლოგის სტივენსონისეული თარგმანის შესახებ იხ. ჩვენი წერილი: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სარია, 1982, № 2.

² როგორც ირკვევა, უორდროპის ამ შეცდომის წყარო იყო დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი (СПБ., 1887, ტ. 1.) სადაც „ახსნილი“ განმარტებულია როგორც „თავისუფალი“ და მოცემულია არასწორი რუსული თარგმანი ვეფხისტყაოსნის სხენებული აფორიზმისა.



თავ დაუყარავს სტილის სპეციფიკა: „რასაც შენ გასცემ საჩუქრების სახით შენვე დაგრჩები“ (ქვემოთაა რასაც შეინარჩუნებ, დაყარგულია სამუდამოდ).

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, რუსთველს სჩვევია თავის პოემაში, ასე ვთქვათ ტროპული შიფრები, მეტაფორები ობიექტის გარეშე, რომელთა ამოცნობაც მკითხველის საქმეა. ამის კლასიკური მაგალითია 72-ე სტროფი:

„ღილსა ადრე მოვიდა იგი ნაზარდი სოსანი
მოწყულთა მოსილი, პირად ბროლ-ბადახშოსანი,
პირ-ოქრო რიდე ეხვია, კმევნოდა ქარქაშოსანი,
მეფესა ვასლვად აწვევდა, მოღვა თეთრ ტიპოსანი“.

სტივენსონს შემდეგნაირად უთარგმნია ეს სტროფი: „დღილადრიან ავთანდილმა მოაქენა თეთრი ცხენი: სოსანივით მწვენიერი იყო იგი შესახედად. მისი სახე ანათებდა სიმწვენიერით ლალისა და ბროლის მსგავსად. მისი ჩაღმა ოქროსი იყო. ბრწყინვალე შესახელი იყო იგი მშვილდოსნის მოწყობილობით (gear)“.

უნდა ითქვას, რომ დაუშვებელია ვეფხისტყაოსნის ასე თარგმნა: დაყარგულია რუსთველის სტილი, საცნაურია სიტყვაშეადობა, ტროპების გამოყენება, სიტყვათა მნიშვნელობების შეცვლა („რიდის“ ნაცვლად „ჩაღმა“, „ქარქაშოსანის“, ე. ი. ხმლის, ნაცვლად მშვილდოსანის მოწყობილობა), ერთი და იმავე სიტყვების რამდენჯერმე განმეორება („მწვენიერი შესახელი“) და სხვა. ეს სტროფი გამოდგება იმის მაგალითად, თუ როგორ არ უნდა ითარგმნოს რუსთველი.

ამ სტროფის მთელი სილამაზე ის არის, რომ აქ არ არის ნახსენები ავთანდილი. მის მაგივრად ნახსენებია „ნაზარდი სოსანი“: არ არის ნახსენები მისი „ხმალი“. მის მაგივრად ნახსენებია „ქარქაშოსანი“ და ა. შ. სტივენსონის თარგმანში კი ყოველივე ეს დაყარგულია. სამწუხაროდ ასეთი პრინციპით არის თარგმნილი პოემის დიდი ნაწილი.

ავთანდილის ანდერძი, ლოცვა ავთანდილისა. ახლა გადავხედოთ ავთანდილის ანდერძს, „ლოცვას ავთანდილისას“, „მზიანი ღამის“ პასაჟს და პოემის სხვა ადგილებს.

„ავთანდილის ანდერძი“ უაღრესად მნიშვნელოვანია რუსთველის მსოფლმხედველობრივი კრების გაგებისათვის, ამიტომ ზოგიერთ სტროფს აქ ფორმულების სრულყოფილად უნდა თარგმნა, თუ არ გვესრუტა დამახინჯება რუსთველის ნაზრებისა. გამოტოვებაც დაუშვებელია მნიშვნელოვანი ტერმინებისა და გამოთქმებისა. იგივე ითქმის „ავთანდილის ლოცვაზე“.

ავთანდილის ანდერძში, 789-ე სტროფში არის ასეთი სტროფი: „შემინდევ და გამაბანე მოწყალემა ღმრთებრისად“ (აკად. ა. შანიძის გასწორებით უნდა იყოს ცალ-ცალკედ: „ღმრთებერი საღ“). ჩვენი დროის რუსთველოლოგიაში აღინიშნულია, რომ „ღმრთებერი“ ამ შემთხვევაში ნიშნავს ღმერთს, თუმცა მ. უორდროპის დროს, როგორც ჩანს, სწორად არ ესმოდათ ეს გამოთქმა და მან ეს ადგილი თარგმნა შემდეგნაირად: შემინდე და იყავი მოწყალე ჩემს მიმართ, როგორც ღმერთი. ასევე უთარგმნია ეს ადგილი სტივენსონს. აი, რაოდენ საჭიროა მთარგმნელისათვის ვაცნობა რუსთველოლოგიის თანამედროვე მიღწევებისა.

აქ ჩვენ უნდა მოვიყვანოთ ერთი საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ „ღმრთებერი“ უშუალოდ ღმერთს ნიშნავს: კერძოდ, პროლეტს იოანე პეტრიწისეულ თარგმანში იგი ნახმარია ბერძნული *θεός*-ის, „ღმერთის“ შესატყვისად: „ყოველი ღმრთებერი თვის მიერ იღასამამებს მოქმედებათა“ (ტ. I, გვ. 81), ამრიგად, ეს ადგილი უნდა ვთავოთ შემდეგნაირად: „შემინდევ და გამაბანე მოწყალემა იქ, სადაც ღმერთია“ (ე. ი. საიქიმი).

„სიერეთე და ორპირობა“ თარგმნილია როგორც „სიყალბე და ორპირობა“. აქაც სიზუსტე აჭობებს და უნდა გიხმაროთ სიტყვა *Lie* ან *Lying* როგორც უორდროპი ხმარობს.

„არა ვიკმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებთ, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა“ (790) თარგმნილია შემდეგნაირად: „თუ არ ვიმომედებ, ვით შემეწევა ფილოსოფოსთა სიბრძნე, ცოდნა, რომელმაც უნდა შემეერთოს ზეციერ პარმონას“.

ერთი რომ, „არა ვიკმ“ მოქმედებას კი არ ნიშნავს აქ, არამედ ფილოსოფოსთა ბრძნობის პრაქტიკულად აღსრულებას, ცხოვრებაში მის განხორციელებას, რის გარეშეც არ მოხდება „შერთვა ზესთ მწყობრთა მწყობისა“, ე. ი. ღვთისა. რაც შეეხება „მწყობის“ ვერ გაგებას სტივენსონის მიერ, ეს იმის შედეგია, რომ ვეფხისტყაოსნის მრავალ გამოცემაში დამცემბულია ეს შეცდომა: „მწყობის“ ნაცვლად ნახმარია „წყობისა“ ან „მწყობრისა“, რაც სრული გაუგებრობის შედეგია. „მწყობი“ უნდა ითარგმნოს სიტყვით *ordainer*, რაც ღმერთის ერთ-ერთი სახელთაგანია.

კარგად არის თარგმნილი 791-ე სტროფი („წაგვიტოვებს სიყვარულსა...“). 792-ე სტროფში ნახმარი ახალღოთქმისეული ტერმინი „ძალი უხილავი“ (რომ. 1. 20), რაც ნიშნავს ძეს ღვთისას, სამების მეორე პირს, ქრისტეს, კარგი იქნებოდა თარგმნილიყო ისევე, როგორც ეს ახალი აღთქმის ინგლისურ თარგმანშია, სიტყვით Power და არა Might.

„ვინ საზღვარსა დაუზღვრებს“ — „საზღვარი“, როგორც ჩვენ აღრეც აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაში თანამედროვე ვაგებით არ უნდა გავიგოთ. „საზღვარი“ აქ ნიშნავს „განსაზღვრებას“, ცნებით ღიფერენციურებას ამა თუ იმ საგნისას, არსთა განსაზღვრებას (იხ. ნემესისი ემეხელი, ბუნებისათვის კაცისა, გვ. 74). რაც შესაქმეში სულიწმინდის ფუნქციაა, რომელიც არის არსთა განმრიგე, გამომყოფი, განმსაზღვრებელი, ე. ი. იგი არის „ვინ საზღვარსა დაუზღვრებს“.

ასე რომ, ამ გამოთქმის თარგმანს არ შეიძლება ისე, როგორც ვხვდებით უორდრობთან და სტივენსონთან: ვინც დაუსვა საზღვრები (bounds) კმნადობს. უნდა იყოს Who defines beings — ვინც განსაზღვრავს არსთ, აძლევს მათ განსაზღვრებას, რაც აგრეთვე საზღვრების დასმავა მათ შორის.

„ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად“ — სტივენსონის თარგმანში გამოტოვებულია „ზის“, რაც უაღრესად არსებითი მომენტია, ვინაიდან ვეფხისტყაოსნის ღმერთი პირველყოფი, თვისტური ღმერთია, რომელიც ბიბლიურ-ქრისტიანული ვაგებით „ზის“. რუსთველოლოგიაში უხვად არის მოყვანილი ამის მავალითები საღვთო წერილიდან (შესამე მეფეთა 22, 19, ესაია 6.1—3, ლუკა 22, 69, მათე 23, 22 და სხვა და სხვა). ესეც ერთ-ერთი საბუთია იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის ღმერთი არავითარი პანთეისტურ-ნეოპლატონისტური ღმერთი არ არის და ეს ყურად უნდა იღონ მთარგმნელმა.

„წესი არის მამაკის“ (795) სტივენსონს გაუგია თანამედროვე ვაგებით და უთარგმნია როგორც brave man, სინამდვილეში „მამაკი“ აქ გამბედავ კაცს კი არ გულისხმობს, არამედ უბრალოდ მამარს, მამაკაცს.

„თუ ვეღარ განახე ცოცხალმან, ყოფამა მქონდა ქამისად“ შემდეგნაირად არის თარგმნილი: „თუ ვერ დაებრუნდი, დარწმუნებული იყავი, რომ ვპოვე სამარე დროზე ადრე“. სინამდვილეში კი „ქამი“ აქ არის ერთ-ერთი სახელი ღვთისა, ისევე როგორც დღონისე ატოპაგელთან (შრომები, გვ. 84). აქ ავთანდილი უსურვებს თავისთვის, თუ ცოცხალია ვერ განახე, დეე ღმერთთან ვიყოი (ე. ნოზაძე ამ ადგილს განმარტავს როგორც „მარად ქამს“, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით. ვინაიდან, ერთი არის, „ქამისად“ მარადეამს სულაც არ ნიშნავს, მეორეც, მარადეამული ყოფნა ჭოჯხეთისმე არსებობს, ასე რომ, ასეთ გაურკვეველობას ავთანდილი ვერ უსურვებდა თავისთვის. ასე რომ, ეს ადგილი უნდა ითარგმნოს შემდეგნაირად: let me be with Time, Time დიდი ასოთი, როგორც სახელი ღმერთისა).

„ცეცხლთა ჩემთა დამავსებლის“. 803 და 804 სტროფებიდან ჩანს, თუ რაოდენ დიდი რეალობა იყო საიჭიო რუსთველისათვისაც და მისი გმირებისათვისაც. ჩვენ ვხვდებით, თუ როგორ ევედრება ავთანდილი როსტევანს იზრუნოს მისი სულისათვის: „შენგან კიდე არვი ავიც ცეცხლთა ჩემთა დამავსებლად“. რომელი „ცეცხლი“ იგულისხმება აქ? განა ის ცეცხლი, რომელიც ენთო ავთანდილის გულში ანდერძის წერისას? იმ ცეცხლს განა დავსებდა როსტევანის მიერ ქვრივ-ობოლიათის წყალბის გაღვმა? არა, აქ იგულისხმება საიჭიოს, ჭოჯხეთის ცეცხლი, რომლის შიშიც ჰქონდა ყველა ქეშმარიტ მორწმუნეს და რომლისაგან ხსნას ხელადღენ ყოველივე იმში, რასაც ავთანდილი სთხოვს როსტევანს (ქველმოქმედებაში მიცვალებულს სახელით). არ უნდა დაგვაუწყდეს, რომ ავთანდილმა ანდერძი დაწერა იმ შემთხვევისათვის, თუ ტარიელის მეზნისას დაიუთებოდა და მასში გვესაუბრება იგი უკვე მიცვალებული. სტივენსონს კი სწორად ვერ გაუგია ეს ადგილი და უთარგმნია: „შენს გარდა ვერვინ ჩააჭრებს იმ ცეცხლს, რომელიც ღვთის ჩემს გულში“. როგორც ჩანს, მან ყურადღება არ მიაქცია მ. უორდრობის თარგმანს, სადაც ეს ადგილი სწორად არის ვაგებული, და არც ე. უორდრობის კომენტარს, რომელიც მიუთითებს, რომ აქ პურგატორიუმში, ე. ი. საღვინებელი, იგულისხმება პურგატორიუმის რწმენა მას აღმათ არ ექნებოდა, ვინაიდან პურგატორიუმის ვაგება მართლმადიდებლობაში არ არსებობს. ასე, რომ აქ იგულისხმება პირდაპირ ჭოჯხეთის ცეცხლი).

„ემა მოგშორდი გამარადელი“ — თარგმნისას სტივენსონს გამოუტოვებია „გამარადელი“ და შეუცვლია იგი ტრადუციულად „მატონო“-თი (my dear lord), რითაც იკარგება ინტიმური განწყობილება. მას უნდა შეენარჩუნებინა ეს სიტყვა ისევე, როგორც უორდრობმა შეინარჩუნა (upbringer).

„ლოცვა ავთანდილისა“. მთარგმნელს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს ისეთი პა-



საეპის თარგმნისას, როგორცაა „ლოცვა ავთანდილისა“. აქ თითოეული ზედმეტი სიტყვის ჩამატება ან არსებული ტერმინების გადასხვაფერება დედნის აზრს რადიკალურად სცვლის. აქ ნახმარ გამოთქმებს პირდაპირ ფორმულების ხასიათი აქვთ და ისინი ფორმულებისდარი სი-
 ზუსტით უნდა ითარგმნონ. ლოცვის ლაკონიკობაც მიუთითებს თვით მლოცველის (ავთან-
 დილის) ქრისტიანობაზე, თუმცე პირობითად იგი „არაბა“. ქრისტიანულ ლოცვას ახასიათებს
 სიტყვათწმენა, როგორც ამას გვეუბნება თვით ქრისტიანობის ფუძემდებელი: „და რაგამს
 ილოციდეთ, ნუ შრავალსა იტყვით, ვითარცა იგი წარმართთაგანი, რამეთუ ჰგონებენ, ვი-
 თარმელ შრავლისმეტყველებითა მათითა ისმინოს მათი. ხოლო თქვენ ნუ ემსხავებეთ მათ,
 რამეთუ იცის მამამან თქვენმან, რაა იგი გიხმს თქვენ, ვიდრე თხოვადმედ თქვენდა მისგან“
 (მათე 6,7). აი, ამ პრინციპზეა აგებული „ლოცვა ავთანდილისა“. სტივენსონს კი ჩემბატება
 ცალკეული სიტყვები, არსებული ზოგი ტერმინი შეუცვლია, რაც დაუშვებელია.
 მაგალითად, ლოცვაში ნათქვამია: „მალაღ ღმერთო ხელთა და ცათაო“, სტივენსონი
 კი თარგმნის: „ღიადღ ღმერთო, რომელიც მართავე (rulest) მიწას და ცას. მართავე“ საესებთა
 ზედმეტი.

შეადართ ცალკეული გამოთქმები დედნისა თარგმანს: რუსთველი: „ზოგჯერ მომცემო
 პატყთა, ზოგჯერ კეთილთა მშათაო“ სტივენსონი: „შენ რომელიც ზოგჯერ გვყჩი, ზოგჯერ
 კი გვიგზავნი კურთხევას“. რუსთველი: „უცნაურო და უთქმელი, უფალო უფლებთაო“. სტივენსონი:
 „შეუცნობლო, გამოუთქმელო უფალო სიძარბოისაო“.

„კეთილთა მშათაო“ შეიცვლიდა „აპურთხვით“, ხოლო ქრისტიანული ღმერთის განსა-
 ზღვრება „უფალო უფლებათა“ (1 ტიმ. 6,15, გამოცხ. 17,14) თარგმნილია ტრადიციული გა-
 მოთქმით: ღმერთო სიძარბოისაო. ტერმინების იგნორირება ასე არ შეიძლება. ახალი აღ-
 თქმის ინგლისურ თარგმანში ეს ტერმინი „კირით ტონ კირიონ“ თარგმნილია როგორც Lord
 of Lords, ხოლო უორდრობი თარგმნის მას, როგორც Lord of lordships, რაც აგრეთვე სწო-
 რია. ამის მიხედვით უნდა გასწორდეს თარგმანი.

ახლა გადავიდეთ მეტად მნიშვნელოვან თავზე: „წასლვა ავთანდილისგან ტარიელის შეყ-
 რად მეორედ“, სადაც რუსთველმა პრაქტიკულად გვიჩვენა, თუ როგორ ბაძავენ „ხელომანი
 ქვენანა“ („ბუნებითი ტრადიციულობა“) პირველ, ე. ი. საღვთო, მიწნურობას და როგორ მიღის მიწ-
 ნური ეროსის სუბლიმიაციის გზით საღვთო მიწნურობისაკენ (ამ შემთხვევაში ავთანდილი თი-
 ნათინისადმი მიწნურობის გზით, ისევე როგორც რუსთველი თამარისადმი, ყაისი ლეილისადმი,
 პეტრარკა ლაურასადმი, დანტე ბეატრიჩესადმი, ხოლო გურამიშვილი „ზუბოვიცს“ გმირისად-
 მი მიწნურობის გზით).

ეს თავი ყველაზე მეტად ენათესავენ აგრეთვე სოლომონის ქებათქებას, სადაც მიწ-
 ერი სიყვარულის ალუგობანი მოცემულია ღვთის სიყვარულის შესხამა-პოლოგია.

რაც შეეხება სტივენსონს, მას ეს თავი იმგვარად გადაუტყვებია, თითქოს აქ მარტოოდენ
 მიწნური სიყვარული ჩანდეს ავთანდილისა. წინასიტყვის შენიშვნებში სტივენსონი აიბარებს ნი-
 ზამის ყაისის რუსთველის გმირს და ამბობს, რომ ყაისი მიწნურობისაგან მიღებული ტანჯვისა-
 ში შმაგობის შედეგად ვარდება რელიგიურ ექსტაზში (გვ. XXVII), რასაც იგი ვეფხისტყაოსან-
 ში ვერ ამჩნევს, ვინაიდან არ ესმის სწორად ზემოხსენებული თავი. ამ თავში ნაჩვენებია სუ-
 რათი მიწნურის ტანჯვისა რომელიც სწორედ რელიგიურ ექსტაზში ვარდება და მიმართავს სა-
 შევლად სულიერ მშეს, რომელიც არის ხატი „მზიანი ღმისა“, „პერთარსებისა ერთისა“. შევლად
 „უცამო ეამისა“. ამ მშეს უკვერტის იგი „ლონედ პატყთა თმნისად“, „უჭკვერტის, თვანნი
 ვერ მოხსნის, თუ მოხსნის, მიხმდის ცნობასა“, ე. ი. ეს მშე შევლის მას დახედის, გულს
 წასვლის დროსაც. იგი „იყვ“ მისთვის „მზისავე შობასა“. საკითხავია ვის წინაშე „იყვს“ იგი
 იმ უდაბნოში? იქ ხომ აღარ არის აღარც როსტევან მეფე, არც თინათინი? — ცხადია, ღვთის
 წინაშე და სულიერი მზის წინაშე, რომელმაც თავის მხრივ უნდა „უჯოს“, ე. ი. უშუამდგომ-
 ლოს „ერთთარსება ერთთან“, „უცამო ეამთან“, გამოუთქმელ ღვთაებასთან. მამამთან. აქვე ორ-
 გზისაა ნახმარი ტერმინი „მოპარუნება“, „ღებარუნება“, რაც ფიზიკურ დაბრუნებას არ ნიშნავს,
 ვინაიდან ეს „ღებარუნება“ ჰერტვის პირობაა, სულიერი მზის ნათელბილვითი ჰერტვისა.

- „მწაწმ მობრუნდის იაქდის მისთვის მზისავე შობასა“
- „ზოგჯერ დაბრუნდის, იჭვერტდის, ღონედ პატყთა თმნისად“.

თუ თინათინის ჰერტვაზეა საუბარი, გაუგებარია, ვით შეიძლებოდა მისი ჰერტვა უდა-
 ბნოში მყოფი ავთანდილისათვის და, მეორეც, რად სჭირდებოდა ამგვარ ჰერტვას „ღებარუნება“?
 ნუთუ ავთანდილი ისევე არაბეთში ბრუნდებოდა ფიზიკურად, შეხედავდა თინათინს და მერმე
 ისევ განავრტობდა გზას? ეს აბსურდია. არა, აქ იგულისხმება მისტყური შემობრუნება, სუ-

ლიერსიაცენ, მედიტატური ჩაღრმავება, ნათელილივითი ჰერეტიკა სულიერი მზისა რამეთუ იგი იაჟდა მისთვის „მზისავე მზობას“, ლოცულობდა რათა ჰეშმარტი მზე („მზიანი ღამის ხატი“), ლოგოსი გამოცხადებოდა და შესწოვდა მას. ამავე დროს მიგნური თინათინი მისთვის ხატია ამ ლოგოსისა, ისევე როგორც ლოგოსი ხატია ღმრთისა უხილავისა. აი, ეს გზაა ნაჩვენები სხენებულ თაყში, საღვთო და ადამიანური სიყვარულის ერთობისა და სუბლიმაციის გზა.

აქ ავთანდილი „შეაგობს მისისა ვერ მიხვდომისა წყენითა“ და აქვს დროებითი „საღმრთო სიახლე“ ამის წყევალ და „დაშვრების აღმაფრენითა“, ვინაიდან მუდმივი საღმრთო სიახლე და აღმაფრენა მხოლოდ ბრძენთ, მისტკოსთ და განდევილთ გააჩნით. ავთანდილის ეს აღმაფრენა მოსჩანს მზისადმი მიმართვაში: „იტყვის ჰე მზეო...“ და მნათობთაღმი ჰიმნში, რომელნიც მისთვის ავრეთვე ლევაბრძივი სულნი არიან.

ახლა პარალელურად განვიხილოთ დედნისა და თარგმანის მნიშვნელოვანი ადგილები.

დედანი: „წამწამ შობრუნდის, იაჟდის მისთვის მზისავე მზობასა
უჰერეტდის თვალნი ვერ მოხსნის, თუ მოხსნის მიხლდის ცნობასა“.

თარგმანი: იგი უკან იხედებოდა (შემობრუნდებოდა ხოლმე) (Kept turning round), ლოცულობდა, რათა სხივს შვესავითი მშვენიერი ქალბატონისას მოეღწია მასთან (?). იგი ვერ აიძულებოდა საცუთარ თვალებს, ეყურებნათ იმ გზისათვის, რომლითაც მიდიოდა. თუ იგი შეეცდებოდა თავისი მზერის მოშორებას, მას გული მისდიოდა“.

ახლა დაუტყვირდეთ, რა ასულრდი გამოვიდა თარგმანში: ავთანდილი უკან იხედება და ისე ლოცულობს. შემობრუნება, უკან მოხედვა განა რად სჭირდება ლოცვას? თან თურმე ლოცულობს იმისთვის, რომ მისი ქალბატონის სხივი მისწვდეს მას (ე. ი. გერ არ მისწვდენია), თან ამ დროს ვერ უყურებს გზას და უყურებს რაღაც სხვას (იქნებ თავისი ქალბატონის მოჩვენებას?) და თუ მას მოაშორებს მზერას, გული მისდის. საწყუხაროდ, ამ სტროფის ვერგაგების შედეგად უორდრომასაც მსგავსადვე უთარგმნია ეს ადგილი.

ახლა ვნახოთ 832-ე სტროფი:

„რა მიეახლის დაბნედალ, ვერ ზელჰყვის დაძვრად ენისად,
მაგრა სდის ცრემლი თვალთაგან მსგავსად დიჭლისა დენისად.
ზოგჯერ დაბრუნდის, იჰერეტდის, ღონედ პატყთა თმენისად,
რა გაეპართს, არ იცის, მას თუ არბევედის ცეხნი სად“.

თარგმანი: „გულის წასვლას უახლოვდებოდა იგი და წართმეული ჰქონდა მეტყველების ძალა, მაგრამ ცრემლები ტერგოსის წყლებივით მიდიოდა მის თვალთაგან. კვლავ და კვლავ ამხნევებდა იგი თავისთავს, რათა მოეთმინა... მიმავალმა აღარ იცოდა თუ საით მიჰყავდა იგი ცეხნის!“ ვგონებ ნათელია მკითხველისათვის, თუ რამდენად ადეკვატურია ასეთი თარგმანი, ეს კი გამოიწვია დედნის ტექსტის ვერ გაგებამ. ამ სტროფში საერთოდ გამოტოვებულია „იჰერეტდის ღონედ პატყთა თმენისად“, რითაც სავსებით შეცვლილია აზრი დედნისა (ისევე არა-ადეკვატურად აქვს თარგმნილი ეს სტროფი უორდრომასაც).

ახლა ვნახოთ „მზიანი ღამის“ სტროფი (836):

„იტყვის ჰე, მზეო, ვინ ხატად გოქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უქამოსა ქამისად,
ვის გამოჩაილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად
